

## პროლოგი

ისრაელი ზეთისხილის ხეთა, ქვა-ლორღის, ვარსკვლავებისა და მწყემსების მიწაა. მიწა, სადაც ინდის ხურმას სხვენში ჩალაზე დაწყობილს აშრობენ; მიწა, სადაც მსხნელის ნალვლიან მოლოდინში ადამიანებს გულები უკაჟდებათ; მიწა ფორთოხლების, ლიმონებისა და იმედისა. ისრაელი ბაღია ჩემი – ბაღი, სადაც დავიბადე. და სადაც სულ მალე აღვესრულები.

გავა კიდევ რამდენიმე საათიც და ისინი ჩემ წასაყვანად მოვლენ.

ისინი უკვე ემზადებიან.

ჭარისკაცები უკვე პოხავენ იარაღს. შიკრიკები სასამართლოს წევრების გასაფრთხილებლად ქალაქში მიმოფანტულან, დურგალი უკვე ეფერება ჯვარს, რომელზეც ხვალ ჩემი სისხლი დაიღვრება. ქალაქში უკვე დაირხა ხმები: ლამის მთელმა იერუსალიმმა იცის, რომ წუთინუთზე დამაპატიმრებენ.

გადაუწყვეტიათ, მოულოდნელად დამადგინე თავზე... მე კი რახანია ველოდები მათ. ისინი დამნაშავეს ეძებენ, მაგრამ სინამდვილეში თანამზრახველს თუ ჩააგვლებენ ხელს.

ღმერთო, გემუდარები, მოუდუნე მათ თავშეკავებისა და ზომიერების უნარი, აქციე ისინი უგუნურებად, მოძალადეებად და სასამართლოს გადაწყვეტილებათა სწრაფ, პირუთვნელ აღმსრულებლებად. დამინდე და ნულა დამქცავ.

დაე, მომისწრაფონ სიცოცხლე!

სწრაფად! დაუფიქრებლად! დაუყოვნებლად!

\*\*\*

და როგორ მოხდა ეს ამბავი?

შესაძლოა ამ საღამოს სულ სხვაგან ვყოფილიყავი, სადმე, რწყილებით გაძევილ უბადრუკ დუქანში. ისე მომეღიბინა, როგორც იქცევა ხოლმე ყოველი იუდეველი პასექზე. ხოლო კვირას მოვალეობის პირწმინდად შესრულების შემდეგ სასიამოვნო განცდით აღსავსე ნაზარეთის გზას დავადგებოდი. სახლში, რომელიც არ გამაჩნია, შესაძლოა მეუღლე დამლოდებოდა, რომელიც ასევე არ მყავს; კარიდან თმახუჭუჭა და ღიმილიანი ბალები გამოყოფდნენ თავს და მამის დაბრუნებით გახარებულნი აცეკვდებიან. ოცნებათ კი სინამდვილეში, აი, სადამდე მიმიყვანა – ბაღში დაბაფრული ველოდები აღსასრულს.

როგორ დაიწყო ეს ამბავი?

და საერთოდ აქვს კი ბედს დასაბამი და დასასრული?

მთელი ბავშვობა ოცნებებში გავატარე. ნაზარეთში ყოველ ღამით ავფრინდებოდი ხოლმე და მინდვრებისა და ბორცვების თავზე დავფარფატებდი. როცა ყველა ღრმა ძილს მიეცემოდა, ფეხაკრფით, უხმაუროდ კარს შევავლებდი, ფართოდ გავშლიდი ხელებს, გავირბენდი და ზეცაში ავიჭრებოდი. კარგად მახსოვს, იდაყვებით ჰაერს რომ ვეყრდნობოდი; უფრო მკვირვს, მჭიდროსა და შეკუმშულს, ვიდრე წყალია. ჰაერს – უასმინის ნოტიო სურნელებით გაჟღენთილს, ჰაერს, რომელიც იქით გამაქანებდა, საითაც მომეპრიანებოდა, ჰაერს, სადაც იოტისოდენა ნიავიც კი არ იგრძნობოდა... ხშირად სიზარმაცე მჭაბნიდა. მაშინ ჭილობს პირდაპირ ზღურბლთან მივანოჩებდი ხოლმე, ზედ გავიშხლართებოდი და, ჰაიდა! წამში ნაცრისფერი სივრცეების თავზე მოვექცეოდი. გოგოსავით ლამაზთვალეა ვირები თავს ზეცისკენ სწევდნენ და ვარსკვლავებს შორის ჩემი ხომალდის ცურვას აკვირდებოდნენ.

შემდეგ იყო „კატა ქანდარაზე“ – თამაში, რომელიც სხვა არაფერი იყო, თუ არა პიტალო კლდეზე ცოცვაში შეჭიბრი. ეს მოხდა მხოლოდ ერთხელ და მსგავსი რამ არც არასოდეს განმეორებულა.

...გაკვეთილებს მოვრჩით და ქუჩაში გავედით. სირბილის დაუოკებელმა ჟინმა შეგვიპყრო. ოთხნი ვიყავით, ოთხი განუყრელი მეგობარი: მოშე, რამი, კესედი და მე. გზების ქვის სამტეხლოში თამაში მოვიფიქრეთ, რომელსაც „კატა ქანდარაზე“ დავარქვით... მოგების მსგავსი სურვილი არც არასოდეს დამუფლებია, უზარმაზარ კლდეს მივადექი და მის დაპყრობას შევუდექი. შვერილებს ვებლაუჭებოდი და სუნთქვაშეკრული სულ უფრო და უფრო მაღლა მივცოცავდი. მალე ზეგანზე აღმოვჩნდი, რომელიც მიწიდან ოცდაათი წყრით მაინც იქნებოდა დაცილებული. ქვემოთ გადავიხედე. ჩამორჩენილი მეგობრები ძლივს გავარჩიე – მათი ბლუჯა თმა და გვერდებზე მოყანყალე ფეხები შევამჩნიე. ველარ მპოულობდნენ. არც ერთს არ მოსვლია აზრად, ზემოთ ამოეხედა.

იმდენად მიუწვდომელი აღმოვჩნდი, ცხადია, თამაშს გამოვითიშე. რამდენიმე წუთის მიწურულს მთელი ძალ-ღონით შევეყვირე და ჩემს ადგილსამყოფელზე მივანიშნე. კისრები მოეღრიცათ. დამინახეს და ტაში დამიკრეს:

– ყოჩაღ, იეშუა, ყოჩაღ!

არ სჯეროდათ, ასე მაღლა აცოცება რომ შემეძლო. ბედნიერების განცდა დამეუფლა. გამარჯვება ენით აღუწერელ სიამოვნებას განმაცდევინებდა.

შემდეგ კესედმა დასჭყდა:

– ახლა კი ჩამოდი, ოთხნი უფრო ვიხალისებთ.

წელში გავიმართე და ჩასვლა დავაპირე. უეცრად შიშმა შემიპყრო. დაღმასვლა წარმოუდგენელი მეჩვენა. მუხლებზე ჩავიცუცქე, კლდეს, საიდანაც ამოვძვერი, ხელისგულთ შევეხე. პრიალა იყო. ოფლმა დამასხა. როგორ მოვიქცე? რა გზას დავადგე?

უეცრად გონება გამინათდა და გამოსავალსაც მივაგენი: უნდა ვიფრინო! საკმარისი იყო, მკლავები გამეშალა, როგორც ამას ყოველ ღამით ჩავდიოდი.

კლდის ძგიდეს ხელგაშლილი მივუახლოვდი... ჰაერი აღარ მერვინა ისეთი მკვრივი და ისეთი თხევადი, როგორც სიზმრებიდან მახსოვდა... წინაღობის შეგრძნება დავკარგე. ჰაერი აღარ მაკავებდა, მხრები დიდი გაჭირვებით უძლებდა გამაღილი მკლავების სიმძიმეს...

გეგონება, ბრინჯაოსგან ჩამომასხესო... ადრე ფეხის წვერებზე ოდნავ აწევა და ჰაერში აჭრა ერთი იყო, მაგრამ ამჯერად – ნურას უკაცრავად. ტერფები თითქოს ამიჯანყდნენ და მიწისგან მოწყვეტას უარობდნენ... ვგრძნობდი, რომ თუ წამოწევას ვეცდებოდი, უთუოდ ძირს მოვადენდი ბრავვანს. ნეტავი სხეული ასე რატომ დამიძიმდა?

ორჭოფობამ შემპყრო. მხრებში თითქოს ტყვია ჩამელვარაო. მიფრენია კი ოდესმე? იქნებ ჩემი ფრენა მხოლოდ სიზმარი, წმინდა წყლის სიზმარი იყო და სხვა არაფერი?

გონება დამიბნელდა.

ძირს გავიშხლართე.

მამანემის, იოსების ზურგს მიტმასნილს გამეღვიძა. მოშე გავარდნილიყო მის მოსაყვანად. თურმე გონება დამიკარგავს.

მამანემს, რომელსაც უხილავი შვერილების დანახვაც კი შეეძლო, ძირს ჩამოვუყვანივარ.

თავი სამშვიდობოს რომ იგულა, მაკოცა. ასეთი იყო მამანემი – ნებისმიერი სხვა დამტუქსავდა, ის კი გულიანად გადაამეხვია.

– ყოველ შემთხვევაში, დღეს ერთი რამ მაინც შეიტყვე.

კი გავუღიმე, მაგრამ ვერ მივხვდი, რას გულისხმობდა.

მხოლოდ ახლალა, დღეს ჩაწვდი მის ნათქვამს: მე გამოვემშვიდობე ბავშვობას, რეალობა სიზმრების ხლართებისგან გამოვაცალკევე. გავისივრებო, რომ სამყარო ორად იყოფა. ერთ ნაპირზე სიზმრებია, სადაც ფრენაში ნებისმიერ მტაცებელ ფრინველს ვჭაბნი, მეორეზე კი – რეალობა, ისეთივე მკვრივი და შეუვალი, როგორც ის პიტალო კლდე, რომელზეც სულის გაცხებას ძლივს გადავურჩი.

ისიც შევიგნე, რომ სიკვდილი მომიახლოვდა, თითქოსდა მისი სუნთქვა ვიგრძენი. დიახ, მე! იეშუამ! ისე კი, სიკვდილს ჩემთან რა ხელი უნდა ჰქონოდა? მე ის საერთოდ არ მეხებოდა. ის კია, რომ მკვდრები სამზარეულოშიც მინახავს და ბოსელიც, მაგრამ მერე რა? ეს მხოლოდ ცხოველები თუ იყო! ზოგჯერ ყური მომიკრავს, ამა და ამის ბიძა, ან ამა და ამის დეიდა გარდაიცვალაო. და რა მოხდა მერე? ბებრები იყვნენ და დაიხოცნენ. მორჩა და გათავდა! მე არასოდეს ვყოფილვარ ბებერი და არც არასოდეს ვიქნები. არა, მართლა არ ვიქნები არც სულელი და არც დანაჩანაკებული! მე ამ ქვეყანას იმიტომ მოვევლინე, რომ მარად ვიცხოვრო, მე უკვდავი ვარ. ჩემში სიკვდილს ვერ ვგრძნობ... მოკლედ, სიკვდილთან არაფერი მესაქმება. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ თამაშისას, იქ, მაღლა ზეგანზე, კეფაზე მისი ნოტიო ხვნეშა ვიგრძენი.

გავიდა რამდენიმე თვე. გავახილე თვალები. ისე კი, მერჩივნა, თვალდახუჭულს მეცხოვრა. არა, მე ნამდვილად არ ვიყავი ყოვლისშემძლე, მე არ ვიცოდი ყველაფერი და ალბათ არც უკვდავი გახლდით... ერთი სიტყვით, მე არ ვიყავი ღმერთი.

ვფიქრობ, რომ როგორც ყველა ბავშვი, მეც თავიდან თავს ღმერთად მივიჩნევდი. შვიდი წლის ასაკამდე სამყაროს წინააღობასთან შეხება არ მქონია. დარწმუნებული ვიყავი, რომ მეფე, ყოვლისშემძლე, ყოვლისმცოდნე, უძლეველი და უკვდავი ვიყავი... თავი ღმერთი ხომ მხოლოდ იმ ბავშვებს ჰგონიათ, სახლში ერთი გვარიანად არასოდეს რომ არ მიუტყვიანთ. მსგავსი მიდრეკილება, მერჩივნათ, მხოლოდ მათთვისაა ნიშნული. ზრდა სიცრუეში ჩაფლობას ნიშნავდა. ზრდა სხვა არაფერი იყო, თუ არა ვარდნა.

მოზრდილი ადამიანის მდგომარეობას მხოლოდ ტკივილების, ჭრილობებისა და ძალადობის, დათმობებისა და იმედგაცრუებების ხარჯზე ჩავწვდი. სამყარომ ჩემთვის დაკარგა ჯადოსნური ხიბლი. და რას ნიშნავს, იყო ადამიანი? ეს არც მეტი, არც ნაკლები, ის არსებაა, რომელსაც არ ძალუძს... რომელსაც უნარი არ გააჩნია, ყველაფერი იცოდეს და მოიმოქმედოს; არსება, რომელსაც ძალა არ შესწევს, არ მოკვდეს. ჩემი შესაძლებლობების შეზღუდულობის შეგნებამ გამიცამტვერა ოცნების ციხე-კოშკები. ნათელაგონიერებამ და ნათელმხილველობამ ზრდაში შემინყო ხელი. შვიდი წლის ასაკში საბოლოოდ ვთქვი ღმერთობაზე უარი.

\*\*\*

ამ საღამოს ბაღში ისეთი სიმშვიდე და სინყნარე სუფევს, გაზაფხულზე ბინდის ჩამოწოლისას რომ იცის ხოლმე: ჭრიჭინები დაუღალავად უმღერიან სიყვარულს... მიმდევრებს უკვე ჩაეძინათ. შიში, ჩემს არსებას რომ ეუფლება, ჰაერში გამოძახილს ვერ პოულობს.

იქნებ კოჰორტა იერუსალიმიდან ჯერჯერობით არ გამოსულა? იქნებ იეჰუდას შეეშინდა და განზრახვებზე ხელი აიღო? მიდი, იეჰუდა, მიდი, დამასმინე! დაუდასტურე მათ, რომ თვითმარქვია ვარ და თავს მესიად ვასალებ; დაარწმუნე, რომ მათთვის ძალაუფლების ჩამორთმევა მწადია. დამდე ბრალი, გაუმძაფრე მათ ყველაზე ცუდი ეჭვები. მიდი, იეჰუდა, მიდი! ნუ აყოვნებ. იჩქარე! დაე, დამიჭირონ და დამსაკონ! იჩქარე! იჩქარე!

მათთვის ამბავი მთავრდება, ჩემთვის კი ახლა იწყება.

რა აძლევს მოვლენებს დასაბამს?

როგორ მოვალწიე აქამდე?

\*\*\*

ჩემს ბედ-იღბალს ყოველთვის სხვები განაგებდნენ. მათ შეეძლოთ წაეკითხათ ის პერგამენტი, თავად მე რომ გახლდით. პირადად მე მისი გაშიფრვა არ ძალმიძდა. დიახ, სხვები სვამდნენ დიაგნოზს, როგორც ექიმები სენის აღმოჩენისას.

– რა გინდა გააკეთო, როცა გაიზრდები?

ერთხელ მამანემი ამ შეკითხვით მაშინ დამადგა თავს, როცა დაზგის ქვეშ ხორბლისფერ ნარანდში ვიყავი მოკალათებული. ოქროსფერ მზის სხივებს მიფიცხებული ვნებივრობდი, თან ნახერხს ერთი ხელისგულიდან მეორეზე ვიყრიდი.

– არ ვიცი... ალბათ შენსავით ხურო გავხდები!

– არ ჯობდა, რაბინი გამოსულიყავი?

მამანემს გაუგებარი მზერა შევაველე. რაბინი? ჩვენი სოფლის რაბინი ისააკი ისეთი ბებერი იყო, ისეთი დანაზნაკებული, რომ... იმ თავისი ობმოკიდებული წვერით უფრო ხანდაზმულად გამოიყურებოდა, ვიდრე სინამდვილეში იყო... საკუთარი თავი მსგავს ფიზიკურ მდგომარეობაში მისული ვერაფრით ვერ წარმომედგინა. ამას გარდა, ბუნდოვნად, მაგრამ მაინც ვეჭვობდი, რომ რაბინები კი არ ხდებოდნენ, არამედ იზადებოდნენ. პირადად მე ამქვეყნად მოვედი, როგორც იეშუა, იეშუა ნაზარეველი, ანუ დიდი ვერაფერი ბედენა.

– კარგად დაფიქრდი.

მამანემმა ისევ დაავლო შალაშინს ხელი და ფიცრის გარანდვა განაგრძო. გამიკვრდა. მამანემის სიტყვებზე ზანტად დავიწყე ფიქრი, მით უმეტეს, რომ ბიბლიის სკოლაში, დღე არ ჩავიღვიძე, შეხლა-შემოხლა რომ არ მქონოდა. მოშე, რამი და კესედი არასოდეს ითხოვდნენ ახსნა-განმარტებებს. რასაც გვასწავლიდნენ, სრულ ქეშმარტებად აღიქვამდნენ. მე მეტსახელად „იეშუა ათასი კითხვის დამსმელი“ დამარქვეს. ისე, რაც მართალია, მართალია, ნებისმიერ რამეზე აუარებელი კითხვა მეზადებოდა. ვითომ რატომ არ შეიძლება შაბათობით მუშაობა? რატომ იკრძალება ღორის ხორცის მირთმევა? რატომ სჯის მაღალი ღმერთი იმის ნაცვლად, რომ მიუტევოს? პასუხი იშვიათად თუ მაკმაყოფილებდა. მაშინ ჩვენი პედაგოგი საბოლოო განაჩენს ამოუფარებოდა ხოლმე – კანონი ასეთიაო! მე არ ვცხრებოდი და განვაგრძობდი: „რა არგუმენტს მოიყვანთ კანონის სასარგებლოდ? რას ეფუძნება ტრადიცია?“ ყოველ კითხვაზე იმდენ განმარტებასა და სინათლეს ვითხოვდი, რომ ხშირად მთელი დღით ხმის ამოღების უფლებას მართმევდნენ. არადა, მარად არსში ჩანვდომის წყურვილი მკლავდა.

– მამი, რაბინი ისააკი ჩემ შესახებ კარგი აზრისაა?

– რა თქმა უნდა. გუშინ საღამოს თავად მეახლა და შენზე მელაპარაკა.

მამანემის პასუხმა სახტად დამტოვა. მე ხომ რაბინ ისააკს ჩემი გაუთავებელი შეკითხვებით თავ-ბედი ვაწყველინე და საკუთარი უმეცრება სულ ცხვირში ამოვადინე.

– ეს წმინდა ადამიანი მიჩინევს, რომ შენ შევბას მხოლოდ რელიგიურ ალტკინებაში იპოვი.

რაბინ ისააკის ამ გამონათქვამმა ყველა მისი ადრინდელი ბრძნული ნაზრევი დაჭაბნა. შევბა? და ველტვოდი კი მე შევბას?

ყოველ შემთხვევაში, მამამ თავისი სიტყვა თქვა. მისი ფრაზა დღეში რამდენჯერმე მახსენებდა თავს – „რაბინი რომ გამოსულიყავი?“

მამანემი ამ საუბრიდან სულ ცოტა ხანში გარდაიცვალა. მან შუადღის მცხუნვარე მზის ქვეშ განუტევა სული, როცა მუშტრის მიერ დაკვეთილი სკივრი ქალაქის მეორე დასალიერზე გადაჰქონდა. გზის ნაპირას უბრალოდ გული გაუჩერდა.

სამი ხანგრძლივი თვე უწყვეტად ვტიროდი. ჩემს დებსა და ძმებს ცრემლები დაუშრათ; დედაჩემსაც, სხვათა შორის. უბრალოდ სურდა, ჩვენთვის დარდი გაექარებინა. მე კი ვერ ვჩერდებოდი, ვტიროდი და ვტიროდი. დავტიროდი მამას, რომელსაც გული ბევრად უფრო რბილი და თბილი ჰქონდა, ვიდრე იმ ხეს, რომელსაც ის ასე რუდუნებით რანდავდა. განსაკუთრებით კი იმის გამო მოვთქვამდი, რომ ვერ ვუთხარი, ასე ძლიერ რომ მიყვარდა. თითქმის ვნანობდი, ასეთი უცაბედი სიკვდილით რომ აღესრულა. მერჩივნა, აგონიაში ჩავარდნილიყო. მაშინ შევძლებდი, ბოლო ამოსუნთქვამდე მისთვის ყურში ჩემს სიყვარულზე შეჩურჩულა.

იმ დღეს, როცა ზღუქუნი შევწყვიტე, უკვე აღარ ვიყავი უწინდელი იეშუა. არ შემეძლო, შევხვედროდი ვინმეს და სიყვარულში არ გამოვტყდომოდი. პირველი ადამიანი, ვისაც ეს ბედნიერება ხვდა წილად, ჩემი ამხანაგი მოშე გახლდათ. ჩემი განცხადებისგან ყურებადმე განითლდა.

– რატომ როშავ მსგავს სისულელებს? – მომახალა აჭარხლებულმა.

– რასაც ვამბობ, ნამდვილად არ არის სისულელე. გუებნები, რომ მიყვარხარ.

– მსგავს რამეებს არ ამბობენ.

– და რატომ?

– კარგი რა, იეშუა, ნუ ისულელებ თავს.

„სულელი, რეგვნი, გამოთაყვანებული,“ – სახლში ყოველ ღამე ნაირ-ნაირი ლანძღვა-გინებით ჯიბეებსაც ვბრუნდებოდი. დედაჩემი შეეცადა, შეგონებინა ჩემთვის, რომ არსებობს დაუნერელი კანონი, რომელიც გრძნობების დათრგუნვისა და დამალვისაკენ მოგიწოდებს.

– რომელი?

– ამ კანონს სიმორცხვე ჰქვია.

– დედი, ნუთუ არ გესმის, რომ ჩვენ დასაკარგი დრო არა გვაქვს. უნდა მოვასწროთ და ადამიანებს ვუთხრათ, რომ გვიყვარს. ყველა მათგანი ხომ გარდაიცვლება, ასე არ არის?

ყოველთვის, როცა ამას ვიმეორებდი, დედაჩემი ჩუმად ტიროდა. თავზე ხელს მისვამდა და ჩემი აფორიაქებული გონების დამშვიდებას ცდილობდა.

– მეტისმეტი სიყვარულიც არ ივარგებს, ჩემო პატარა იეშუა, – მეუბნებოდა, – შენ თვითონ დაიტანჯები ამ გრძნობისგან.

– სულაც არ ვიტანჯები. მე უბრალოდ გაბრაზებული ვარ.

ყოველ ცისმარე დღეს ჩემს ცოფს ახალი არგუმენტები კვებავდა. ჩემი ბრაზი ქალის სახელებს ატარებდა. ივდითი, რახილა...

ივდითი ჩვენი მეზობელი თვრამეტი წლის გოგო იყო, რომელსაც ერთი სირიელი მოუვიდა თვალში. როცა ეს უკანასკნელი ხელის სათხოვნელად შეყვარებულის ოჯახს ესტუმრა, ივდითის მშობლებმა ცივი უარით გაისტუმრეს: მათი ქალიშვილი ვერ მისთხოვდებოდა მამაკაცს, რომელიც ებრაულ კანონს პატივს არ სცემდა. სანყალი ივდითი სახლში გამოკეტეს. ერთი კვირის შემდეგ მან თავი ჩამოიხრჩო.

რახილა ძალით გაატანეს მსხვილფეხა საქონლის მდიდარ მომშენებელს. სიძე პატარძალზე ბევრად ასაკოვანი, ღიპიანი, სქელსაჯდომიანი, ბალნიანი, ლოყებდაულაჟა და მსუქანი იყო, თანაც – ფხუკიანი. დღენიდაც თავში ურტყამდა რახილას. ერთხელაც ცოლს ახალგაზრდა მწყემსის მკლავებში მონებივრეს წაასწრო. რახილას ჩაქოლვაში მთელი სოფელი იღებდა მონანილობას. ქვების წვიმას სანყალმა ორი საათი გაუძლო. წარმოიდგინეთ, ორი საათი კვდებოდა. ასობით ქვა დააყარეს ნორჩ სხეულს. რახილა! ორი საათი! ასე იცავს ებრაული კანონი არაბუნებრივ ქორწინებას.

ყველა ეს დანაშაული ერთ სახელს ატარებდა – კანონი.

და კანონს თავისი კანონმემოქმედი ჰყავდა – ღმერთი.

მე ბრალს ვდებდი ღმერთს ადამიანთა ყველა სისულელესა და უგვანო ქმედებაში. მე ველტვოდი უფრო სამართლიან და მოსიყვარულე სამყაროს. მსურდა, მთელი დედამიწა ღმერთის წინააღმდეგ ამეშხედრებინა და მისი უუნარობა და მცონარება დამემტკიცებინა. სასამართლოს ტრიბუნლიდან დილიდან საღამომდე არ ვცხრებოდი, ქდავს არ ვიზარებდი.

სამყარო ჩემში ამბოხს იწვევდა. ამაოდ ვფიქრობდი, რომ ის ისეთივე მშვენიერი და დიდებული იქნებოდა, როგორც წმინდა წერილთა გვერდი, ისეთივე ჰარმონიული, როგორც გალობა. ღმერთისგან მოველოდი, რომ საუკეთესო ხელოსანი იქნებოდა, უფრო მზრუნველი და ყურადღებიანი; დარწმუნებული ვიყავი, თანაბრად შეინუხებდა თავს როგორც დეტალებზე, ასევე მთლიანობაზეც. დიახ, მე ვფიქრობდი ღმერთზე, რომელიც სამართლიანობასა და სიყვარულზე იზრუნებდა. სინამდვილეში კი რა ხდებოდა? გამოდის, რომ ღმერთი დანაპირებს ვერ ასრულებდა.

– მაშინებ, იეშუა. წარმოდგენა არა მაქვს, რა მოგიხერხოთ.

რახილი წვერზე ხელს ისვამდა.

ნეტა მართლა რა უნდა მოეხერხებინათ ჩემთვის? ბოროტების პირისპირ დღენიდაც ბრაზი მახრჩობდა. ჩემი სიცოცხლის პირველ პერიოდში სწორედ რომ ბრაზმა და ცოფმა გადამონა ყველა სხვა გრძნობა. ვერა და ვერ ვეგუებოდი უსამართლობას. ეს იყო სრული შეუთავსებლობა, გარიგება არც არასოდეს მომსვლია აზრად.

მე ვერ მივიღებდი საგნებს ისეთად, როგორებიც არიან. მსურს, ისინი ისეთი ვიხილო, როგორებიც უნდა იყოს. და მაინც, რა უნდა მოეხერხებინათ ჩემთვის? ისევ ავამუშავე მამაჩემის სახელოსნო. ოჯახში უფროსი მე ვიყავი და ჩემს და-ძმებზე უნდა მეზრუნა. ვეზრხავდი, ვამალაშინებდი და ფიცრებს ერთმანეთზე ვამაგრებდი. სკივრებს, კარებს, ძელურებსა და მაგიდებს ვკრავდი. მამაჩემზე ცუდად გამომდიოდა, სამაგიეროდ, კონკურენტი არ მყავდა – სოფლის ერთადერთი დურგალი მე გახლდით.

სახელოსნო, დედაჩემის სიტყვებს თუ დავესხებები, გოდების ტაძრად იქცა. უმნიშვნელო დაბრკოლებაზეც კი სოფლის მცხოვრებლები მე მომადგებოდნენ ხოლმე და დილიდან საღამომდე თავიანთ სადარდებელსა და გაჭირვებას მიზიარებდნენ. მე კი პირში წყალი მქონდა დაგუბებული, საათობით ვუსმენდი და ვუსმენდი, ბოლოს მათი მდგომარეობიდან გამომდინარე, ერთი-ორი დამამშვიდებელი სიტყვით ვისტუმრებდი. გამხნევებულნი მტოვებდნენ. კეთილგანწყობილი ჩემ მიერ უდიერად გარანდულ ფიცრებზეც კი თვალს ხუჭავდნენ. სოფლის მცხოვრებლებმა ერთი რამ არ იცოდნენ მხოლოდ: ამ საუბრებს შვება და სარგებელი არა მართო მათთვის, არამედ ჩემთვისაც მოჰქონდა. მათი აღიარების წყალობით ჩემი ბრაზიც მინავლდა. ნაზარეველთათვის მშვიდობისა და სიყვარულის სამყაროსკენ გზის გაკაფვისას ცხოვრების გაგრძელების აუცილებლობამ და სხვისთვის ხელის გამართვის სურვილმა ჩემდა უნებურად ჩემში ამბოხი ჩააქრო. მე ვგრძნობდი, რომ ღმერთი შესაქმნელი იყო.

სწორედ იმხანად რომაელებმა გალილეაში გამოიარეს. მაშინ შევიტყვე, ებრაელი რომ ვიყავი. ებრაელი – ამის გასიგრძეგანება ჩემთვის სილის განწენის, შეურაცხყოფის ტოლფასი გამოდგა. ნაზარეთში რომაელები ცოტა ხნით შეყოვნდნენ, რათა გამომეტყვრალიყვნენ. საძაგაად იქცოდნენ, თავი ქედმაღლურად ეჭირათ და წამდაუნუმ იფურთხებოდნენ. ასე თავი მხოლოდ იმათ უჭირავთ, ვინც მიიჩნევს, რომ სხვებზე აღმატებული ბრძანდება და ამ ქვეყანას სხვათა სამართავად მოველინა. მოგვიანებით ჩვენამდე მოაღწია ხმამ მათი „საგმირო საქმეების“ შესახებ. მეზობელ სოფლებში თურმე აუარება პატრიოტი დაუხოცავთ, არა ერთი გოგოსთვის აუხდიათ ნამუსი, სახლები ძირფესვიანად გაუძარცვიათ და ღირებული არაფერი დაუტოვებიათ. ისე, ჩვენი ხალხი არა ერთხელ ყოფილა თარეშისა და დაპყრობების ობიექტი, ხშირად მოქცეულა სხვისი გავლენის ქვეშ. გეგონება, ბედად ეწერა, დღენიდაც გადამთიელთა ფეხქვეშ ყოფილიყო გათელილი. ისრაელს კარგად ახსოვს თავს დატეხილი უბედურებანი. ზოგჯერ საღამოობით სევდა რომ მომეტარებოდა, ჩემს თავს ვეუბნებოდი: „ებრაელებს რწმენა რომ არ ჰქონოდათ, შავი დღეების მწარე მოგონების გარდა, აღარაფერი ფასეული აღარ დარჩებოდათ“. როცა რომაელებმა გალილეა ცეცხლითა და მახვილით დაიპყრეს, გაავრანეს და გააცამტვერეს, მე ქეშმარტ ებრაელად ვიქეცი. ანუ მსურდა, მეთქვა, რომ ლოდინი დავიწყე. დიახ, მე მხსნელის მომლოდინე ებრაელად გარდავიქმენი. დამპყრობელი გვამცილებდა, ბლალავდა ჩვენს რწმენას. დაგროვილ მახრჩობელა სირცხვილის განცდას მხოლოდ ერთი პასუხი ვუპოვე: მესიის მოვლინება.

გალილეა მესიებით განებივრებული იყო. ყოველ ექვს თვეში ერთხელ ერთი მაინც მოგვევლინებოდა. როგორც წესი, „მხსნელი“ ქუჭყიანი, გაძვალტყავებული და ხერხემალზე მუცელმიკრული, მშიერ-მწყურვალი უნდა ყოფილიყო. მესიები თვალს ერთ წერტილს მიაშტერებდნენ ხოლმე და ქდავად იღვრებოდნენ. მათი ენა მხოლოდ ციცინათელებისათვის თუ იქნებოდა გასაგები. მათი არავის სწამდა, მაგრამ ყურს მაინც უგდებდნენ. „რა იცი, რა ხდება,“ – იმშვიდებდნენ თავს დედაჩემივით.

– და რა უნდა მოხდეს?

– იქნებ სულაც ნამდვილი მხსნელი აღმოჩნდეს.

რასაკვირველია, მსგავსი მხსნელი, უპირველეს ყოვლისა, სამყაროს დასასრულზე ქადაგებდა: რომ სამყაროს ბნელეთი მოიცავდა და მხოლოდ უცოდველი ადამიანები გადარჩებოდნენ. თურმე ჩამოწვებოდა უკუნეთი, რომელიც გამოთენისას ყველა რომაელს თან გაიყოლებდა. უნდა ვაღიარო, რომ ქანცგამწყვეტი ჯაფის შემდეგ ზოგჯერ სასიამოვნოც კი იყო ამ ნათელმჭკრეტო ცეცხლოვანი გამოსვლებისათვის ყურისგდება. ხანდახან ისეთ სიგიჟეებს რომავდნენ, ჭკუათმყოფელს რომ არც კი მოაფიქრებოდა და რაც მთავარია, საშინლად გვაფრთხობდნენ. თუმცა ისიც მართალია, რომ შიში წარმავალი იყო და მათ სიტყვით გამოსვლას არც არასოდეს გადასცილებია. ეს იყო უშედეგო შიში. შეიძლება სწორედ ამის გამო გავიხადეთ მათი ქადაგი ჩვენს საყვარელ გართობად. ზოგიერთი „მხსნელი“ მსმენელთა ატირებასაც კი ახერხებდა. ასეთებს, რა თქმა უნდა, უფრო ვწყალობდით. ისე კი, ხშირ შემთხვევაში ისინი ჩვენში ძლიერი გრძნობებისა და ემოციების აღძვრას ვერ ახერხებდნენ. მე მათ უფრო მეტაპრეზიბად მოგნათლავდი, ებრაელებს კი, იცოცხლე, უყვართ ზღაპრების მოსმენა.

დედაჩემი სახელოსნოში ჩემ მიერ დამზადებულ ავეჯს სევდანარევი მხერით შეჰყურებდა.

– ვერა ხარ დიდი ნიჭის პატრონი, იეშუა.

– მცდელობას არ ვაკლებ, დედი.

– რამდენიც უნდა ეცადოს ცალფეხა, კედელს ვერა და ვერ გადაახტება.

დედაჩემის ამგვარი თავაზიანობა მხოლოდ გულს თუ მიტეხდა. მე მზამდა, რომ ბედად მამაჩემის საქმის გაგრძელება მეწერა. რაბინობის იმედი საერთოდ გადამეწურა. მართალია, სადილის შემდეგ დროს ხანგრძლივ ლოცვასა და კითხვაში ვატარებდი, მაგრამ საკუთარ თავთან მაინც მართო ვიყავი, რომელსაც არ ვინდობდი და გამუდმებით ვედავებოდი. არაერთი ნაზარეველი ცუდ მორწმუნედ აღმიქვამდა. შაბათს ცეცხლის დანთებას არ ვერიდებოდი; თუ ჩემი უმცროსი და ან ძმა ავად გახდებოდა, შაბათ დღეს ვუვლიდი მათ. რაბინი ისააკი, რომელიც კიდეც უფრო დაბერდა და დაუძლურდა, ძალიან წუხდა ჩემი საქციელის გამო. ის კია, რომ სხვებს აფრთხილებდა, ჩემ მიმართ გულისწყრომა და ზღვარსგადასული ბრაზი არ გამოეხატათ.

– იეშუა ბევრად უფრო ღვთისმოშიშა, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. მიეცით დრო, გაიგოს ის, რაც თქვენ უკვე გაიგეთ.

პირად საუბარში კი ჩემ მიმართ ბევრად უფრო მეტ სიმკაცრეს ავლენდა.

– იცი, რომ არაერთი ადამიანი ჩაქოლეს ზუსტად ისე მოქცევის გამო, როგორც შენ იქცევი?

– ცუდი არაფერი ჩამიდენია.

ჩემი თავი რაბინის როლში სულ უფრო და უფრო ნაკლებად წარმომედგინა. გადაულახავი უნდობლობის გრძნობით აღვივსე იმ ადამიანების მიმართ, ჭკუის კოლოფებად რომ მიიჩნევენ თავს. შემზიზიდა კანონებიც, აზროვნების უფლებას რომ მართმევდა. რელიგია თავისი სტრუქტურით, იერარქიული მოწყობით მხოლოდ მკვდარ ენაზე მეტყველებდა, სულიერება გაწირა უაზრო სიტყვების სანაცვლოდ. მდუმარებასა და მედიტაციებში ღმერთის ქეშმარიტი სიტყვის პოვნა ვცადე.

– როდის დაოჯახდები, ჩემო იეშუა? შეხედე ერთი, მოშეს, რამსა და კესედს. უკვე ცოლ-შვილის პატრონები არიან. შენი უმცროსი ძმების წყალობით უკვე ბებია გავხდი. მითხარი, რაღას ელოდები? – მეკითხებოდა დედაჩემი.

მე კი არც არაფერს ველოდებოდი. ცოლის მოყვანაზე არც ვფიქრობდი.

– მიდი, ჩემო იეშუა, ნუღარ აყოვნებ დაწყვილებას. დროა, ჭკუას უხმო და სერიოზული ადამიანი დადგე.

„სერიოზული ადამიანი!“ დედაჩემს სჯეროდა ჩემი, როგორც დაოჯახებული მამაკაცის მომავლისა. მანაც არაერთი ჩვენი თანასოფელელივით ირწმუნა, რომ დიდი მექალთანე ვიყავი.

მომწუსხველი ნაზარეთიდან... იმის გამო, რომ ამა თუ იმ გოგოსთან საათობით მოსეირნეს ან მოსაუბრეს მხედავდნენ, დაასკვნეს, რომ ერთდროულად ათთან მაინც ვიყოფიდი სარეცელს. ის კია, რომ ქალთა საზოგადოებაში არხინად ვგრძნობდი თავს და მათაც სიამოვნებდათ ჩემთან ურთიერთობა. ისიც უნდა ვაღიარო, რომ ჩვენ ბუჩქებში კი არ გავგზობდით ან ბედელს ვაფარებდით თავს, ერთმანეთს რომ მივტმასნოდით, უბრალოდ ვმასლაათობდით. ქალები ბევრად უფრო დამაჯერებლად და გულწრფელად საუბრობენ. მათი ბაგეები პირდაპირ გულთანაა მიბმული; სიტყვები, მათ ბაგეთ რომ სწყდება, პირდაპირ გულის სიღრმიდან იღვრება.

მოშე შემთხვევას არ უშვებდა ხელიდან, რომ არ დაეცინა:

– ახლა არ მითხრა, რომ როცა ერთად ხართ, არაფერს ეშმაკობთ?

– მხოლოდ ცხოვრებაზე და ჩადენილ ცოდვებზე თუ ვსაუბრობთ.

– აბა, რა, აბა, რა... როცა მამაკაცი ქალს საკუთარ ცოდვებზე ჩამოუგდებს სიტყვას, ამით თანამოსაუბრეს მიანიშნებს, რომ დაუფიქრებლად მოაწერდა კიდეც ერთ ცოდვაზე ხელს.

დედაჩემის მღელვარება კი უსაზღვრო იყო.

– როდის დაოჯახდები, შვილო? ასე ხომ არ დარჩები მარად ბერბიჭა? ნუთუ არ გაქვს სურვილი, ბავშვები გყავდეს?

სიმართლე გითხრათ, არანაირი სურვილი არ მქონდა, ბავშვები მყოლოდა, არ მივიჩნევიდი თავს მზად მათ ჩასასახად. ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, რომ ისევ და ისევ ვაჟიშვილი ვიყავი და არა მომავალი მამა. ან როგორ უნდა გამეწვდინა ბავშვისთვის ხელი? მერე სად უნდა წამეყვანა? ან რა უნდა მეთქვა?

ზენოლამ დედაჩემისა და და-ძმების მხრიდან მუდმივი ხასიათი შეიძინა:

– გამაგებინე ერთი, რატომ არ მოიყვან ცოლს?

აი, სწორედ მაშინ ინათა რებეკამ ჰორიზონტზე.

ჰაერი გამჭვირვალე გვგონია და მერე ვხვდებით, რომ გამჭვირვალეა: რებეკას ღიმილმა ეს გამჭვირვალე სივრცე გააპო და გულში ისრად ჩამესო, დაძვლა დამცა, ცეცხლი წამკიდა და ენა დამიშრო. წაშლი დამეპატრონა. მისი ნადავლი გახდა. ნეტა რითი შემობორკა ხელ-ფეხი? თავისი სილურჯეში გარდამავალი კუნაპეტივით შავი, სქელი ნაწნავებით? ქათქათა კანით, ისეთი ნაზი რომ ჰქონდა და აბრეშუმის ყვავილის ფურცელს მაგონებდა? იქნებ მომწვანო-მოყვითალო თვალებით, მდელი რომ გეგონებოდა, სადაც საღამო უამს ისეთი სიამეა წამოწოლა? შესაძლოა მოძრაობის მანერით, ნებისმიერ მოცეკვავს რომ შეშურდებოდა? ან იქნებ მოხდენილი და მოქნილი სხეულით, ტუნიკიდან ხან რომ გამოანათებდა და ხან ისევ მასში იმალებოდა. ჩემთვის ერთი რამ ცხადზე უცხადესი გახდა. რებეკა ყველა ქალზე ქალური გახლდათ – ქალის ყველა ღირსება მასში მოიყარა თავი. რებეკა ყველა ქალზე აღმატებულად, უნიკალურად მესახებოდა. ეს იყო მხოლოდ რებეკა და სხვა არავინ.

მასთან არშიყი არც დამჭირვებია. ჩემ მაგივრად თვალები მეტყველებდნენ... ვფიქრობ, ჩემი ერთი მხერაც კი საკმარისი აღმოჩნდა, რომ შეეცვარებოდი. ამას ხომ ერთი ნახვით შეეცვარება ჰქვია? ჩვენ უმაღლ ვალიარეთ ერთმანეთი.

ჩვენს ოჯახებს ჩვენი ურთიერთობა შეუმჩნეველი არ დარჩენიათ და გამხმევებაც არ დაახანეს. რებეკა ნაზარეველი არ გახლდათ, ნაინში იარაღის მწარმოებელთა მდიდარ ოჯახში ცხოვრობდა. დედაჩემს სიხარულის ცრემლები გადმოუგორდა, როცა შეიტყო, მთელი ჩემი დანაზოგი ოქროს გულსაბნევის შეძენას რომ შევწირე. როგორც იქნა, მის ვაჟიშვილს ისეთივე სურვილები გაუჩნდა, როგორიც ყველა სხვას.

ერთ მშვენიერ საღამოსაც გადავწყვიტე, რებეკას სიყვარულში გამოვტყდომოდი. მდინარის პირას ფუნდუკში დავპატიჟე. იქ ჭრატებით განათებულ ტერასაზე ალვის ხეების სიგრილეში მაგიდა შეეყვარებულ წყვილს ელოდა.

რებეკა განზრახვას მიმიხვდა და ჩვეულებრივზე მეტი მზრუნველობით მოირთო და მოიკაზმა. ძვირფასი ბრჭყვილა სამკაულების არშია სახეს უნათებდა. გეგონებოდათ, ეს პატარ-პატარა ჩირაღდნები მხოლოდ და მხოლოდ მისი სახის გასაბრდღვილებლად მოეფიქრებინათ.

– გაიღეთ მოწყალება, გეთაყვა!

ძონძებში მოსილ მოხუცსა და ბავშვს ქუჭყიანი და დაკოჟირილი ხელები ჩვენკენ გამოეწვიდნათ.

– დაგვეხმარეთ! გაიღეთ მოწყალება, გეთაყვა!

გალიზიანებულმა ამოვიხვინე.

– მოგვიანებით გამოიარეთ, – მკვახედ უპასუხა რებეკამ.

გლახაკებმა პატივისცემით მოიხარეს ქედი და იქაურობას გაეცალნენ.

მაღე მაგიდის გაშლასაც შეუდგნენ. ვახშამი დიდებული გამოდგა. ნაირ-ნაირად მორთული ხორცისა და თევზის კერძები სახეიმო განწყობილებას ქმნიდა.

მდინარის ნაპირას ჩამომსხდარი მოხუცი და ბავშვი შორიდან შურიანი თვალებით შემოგვცქეროდნენ. ყველას მიერ უხეშად ჩამოცილებულ მოხუცს კარგად ახსოვდა რებეკას სიტყვები, მოგვიანებით გამოიარეთო. თვალს არ გვაცილებდა. ჩვენგან ნებართვის ნიშანს ელოდა. ამ დამცირებული ადამიანის გამოხედვა საშინლად მალიზიანებდა. გახევებული ვიჭექი და ცდილობდა, მათკენ თავი საერთოდ არ მიმებრუნებინა.

რებეკა წრუპავდა ღვინოს და მაღე საოცრად მხიარულ განწყობაზე დადგა, პირდაპირ გაიფურჩქნა. ყველაფერზე კისკისებდა. სიყვარულით მთვრალს მეგონა, რომ ამიერიდან ჩვენ ორნი სამყაროს ქიშს წარმოვადგენდით, რომ აქამდე დედამინის ზურგზე ჩვენზე უფრო ახალგაზრდა, უფრო ცოცხალ და უფრო ლამაზ და მომხიბვლელ წყვილს არ უკლია.

ვახშმის მიწურულს რებეკას ოქროს გულსაბნევი ვაჩუქე. ვერ გამერკვია, სამკაულით უფრო აღფრთოვანდა თუ ჩემი საქციელით.

ცრემლებად დაიღვარა.

– უზომოდ ბედნიერი ვარ, – როგორც იქნა, ამოილულულა.

მეც ამიწყლიანდა თვალები. ცრემლებმა რალაცნაირად გაგვეერთიანა, ჩვენი სხეულები ერთმანეთს გადააჭაჭვა. მგზნებარებით ვკოცნიდით ერთმანეთს. ვნებამორეულები სიყვარულის დაუოკებელმა სურვილმა შეგვიპყრო.

ამასობაში მოხუცი და ბავშვი ისევ მობრუნებულიყვნენ და ხელები გამოეშვირათ. შიმშილისგან დაოსებულები ფეხზე ძლივს იდგნენ. რებეკა გაბრაზდა და ყვირილით ფუნდუკის მეპატრონეს უხმო. აღშფოთებას გამოთქვამდა, რომ ამ ტერასაზე ნორმალურ პირობებში ვერ ევახშმა. მეც ლაჩრულად თავის კანტურით დავეთანხმე. ამ დროს მთელი ჩემი არსება რებეკასა და მის სხეულზე ფიქრით იყო მოცული. დიდი სურვილი მქონდა, გულში ძლიერ ჩამეკრა.

ხელში ჩვარმომარჯვებულმა მეფუნდუკემ მოხუცი და ბავშვი იქიდან ლანძღვა-გინებით გაისტუმრა.

რებეკამ გამიღიმა.

გლახაკები შიმშილის წყვდიადში გაუჩინარდნენ.

შევხედე თითქმის ხელუხლებელ კერძებს, ჩემ მიერ ნაჩუქარ ოქროს გულსაბნევს, შევხედე ჩვენს ბედნიერებას და მეტყველების უნარი წამერთვა.

მომეჩვენა, რომ საშინლად აცივდა.

– მე გაგაცივებ.

მეორე დღეს დილით გადავწყვიტე, რომ ჩვენს ურთიერთობას მომავალი არ ეწერა და ნიშნობა გავწყვიტე.

ყველას თვალში მე მცდარი ნაბიჯი გადავდგი. არავისთვის არაფერი ამიხსნია. არც დედაჩემისთვის, ასე რომ მეხვეწებოდა და არც რებეკასთვის.

სიმართლე კი ის იყო, რომ იმ საღამოს სიყვარულის ეიფორიით შეპყრობილებს და ერთ არსებად ქცეულებს საერთოდ დაგვავიწყდა, რომ არსებობს სიღარიბე და სიდუხჭირე. მივხვდი, რამდენად ღრმად ეგოისტურია ბედნიერება. ბედნიერება გაიძულბს, გამოცალკევდე და განერიდო სამყაროს, ჩაიკეტო დახურულ კარს მიღმა, ჩამოაფარო ფარდები, დაივიწყო სხვები, გადაულახავი გალავანი შემოართყა საკუთარ ადგილსამყოფელს. სიყვარულით შეპყრობილი სამყაროს განსხვავებულად აღიქვამ, არა ისეთად, როგორც სინამდვილეშია. იმ საღამოს ბედნიერება აუტანელი და გაუსაძლისი მეჩვენა.

ბედნიერებას მე სიყვარული ვამჯობინე, მაგრამ არა ის სიყვარული, რებეკას მიმართ რომ განვიცდიდი, არამედ სიყვარული განსაკუთრებული და გამორჩეული, უზენაესი სიყვარული, ყველაფერზე მაღლა რომ დგას. უკვე აღარ მიზიდავდა ვინმე ერთის სიყვარული, საყოველთაო სიყვარული მხიბლავდა უფრო. მე უნდა დამეზოგა სიყვარული გაუბედურებული ბავშვებისთვის, იმათთვისაც, ვინც ვერ იყვნენ ისეთი მშვენიერი, ლამაზი და საინტერესო, სხვისი ყურადღება და გულისხმიერება ბუნებრივად რომ მიეზიდათ. სიყვარული უნდა დამეზოგა იმ ადამიანებისთვისაც, სიყვარული საერთოდ რომ არ ღირსებით.

მე არ ვიყავი ბედნიერებისთვის შექმნილი. ადამიანი კი, რომელიც ბედნიერებისთვის არ არის შექმნილი, შეუძლებელია, ქალებისთვის იყოს შექმნილი. ეს გაკვეთილი რებეკამ თავისდაუნებურად ჩამიტარა. ჩვენი დაშორებიდან ნახევარი წლის შემდეგ ის ნაინის ერთ-ერთ მდიდარ მიწათმფლობელს მისთხოვდა და ერთგული და მოსიყვარულე მეუღლე გახდა.

– ჩემო საწყალო ბიჭუნავ, ასეთ ჭკვიანსა და გონებაბახვილს როგორ შეგიძლია ამდენი სისულელე ჩაიღინო? – ხშირად იმეორებდა დედაჩემი, – შენი ვერაფერი გამიგია.

– დედა, მე არ ვარ ჩვეულებრივი ცხოვრებისათვის დაბადებული.

– ღმერთო, აბა, რისთვის ხარ დაბადებული, რისთვის? მამაშენი მაინც ყოფილიყო ცოცხალი... ის მაინც იცი, რა გინდა?

– არ ვიცი. არა უშავს. რაც მოხდა, მოხდა. ქორწინება ბედად არ მეწერა.

– როგორია შენი ბედ-იღბალი, ჩემო უბედურო ბიჭუნავ? მითხარი, რა გინერია ბედად. ოო, ღმერთო, მამაშენი მაინც ყოფილიყო ცოცხალი...

ვიქნებოდი კი მე ახლა ბაღში სიკვდილის იმედით შეპყრობილი და თან მისგან დაზაფრული, მამაჩემი რომ ცოცხალი ყოფილიყო? გაგებდავდი კი ასე მოქცევას?

\*\*\*

სახელოსნოში ჩვეულებრივად განვაგრძობდი სადურგლო საქმიანობას. ამავდროულად ვიქეცი ერთგვარ ბრძენ ადამიანად, სოფლის მობინადრენი გასაჭირის უამს რჩევას რაბინისგან მალულად რომ ეკითხებოდნენ. ჩემი ხელშეწყობით არაერთი დაუძვრა პრობლემებს.

მოიშას, ჩემს მეგობარ მოიშას, ბავშვობიდან მუდამ ჩემ გვერდით რომ იდგა, შვილი დაეღუპა. ჩვენს სოფელში იშვიათად თუ უნახავთ მამაკაცი, გარდაცვლილ ბავშვს ასე რომ დასტიროდა. ზოგადად მამები, რომლებსაც კარგად ესმოდათ ცხოვრების ამოცანა და წარმატება, ბაღლებს, განსაკუთრებით მათი სიცოცხლის პირველ წლებში, გადაჭარბებული ყურადღებითა და გრძნობებით არ ანებიერებდნენ.

მწუხარებით შეძრულმა მოიშამ ჩემს სახელოსნოს შეაფარა თავი.

– რატომ მაინცდამაინც ის? ის ხომ მხოლოდ შვიდი წლისა იყო.

საწყალი, საწყალი მოიშა. თვალებს ხუჭავდა, ცრემლების ნიაღვარი რომ შეეკავებინა. ჩემი საყვარელი მოიშა! როგორ იტანჯებოდა! გეგონება, მის თავზე თმები ნემსებად იქცნენ, ქალას უხვრეტდნენ და გაუსაძლის ტკივილს აყენებდნენო. უბედური ვერ ეგუებოდა სიკვდილს, აუჯანყდა.

– რატომ ის? რატომ ასეთი ყრმა? ერთხელაც კი არ შეუცოდავს, ვერ მოასწრო... ეს უსამართლობაა.

უსამართლობა... მოიშას გონება იტანჯებოდა: სურდა, გაეგო, ჩაწვდომოდა, მაგრამ უნარო აღმოჩნდა, მომხდარი უბედურება გაეცნობიერებინა.

– რატომ წაიყვანა იქ ღმერთმა? ნუთუ არსებობს ღმერთი, ბავშვების სიკვდილი რომ სწადია?

თბილი სიტყვებით მოიშას დამშვიდებებს ვცდილობდი.

– ნუ ეცდები, გაუგებარი გაიგო. ნუთისოფელს რომ გაუძლო, უარი უნდა თქვა, ჩაწვდე იმას, რაც შენს ძალებს აღემატება, რაც შენზე მაღლა დგას, მიუწვდომელია. არა, შესაძლოა სიკვდილი სულაც არ არის უსამართლო, უბრალოდ შენ არ უწყი, რა არის სიკვდილი.

შენ მხოლოდ ერთი რამ შეიძლება იცოდეს: მან შვილი წაგართვა. მაგრამ განა იცი, სად არის ის? ან რას გრძნობს ის? ნუ შეგიპყრობს ამბოხი! დანყნარდი, შეეშვი განსჯას, იმედით იცხოვრე. შენ არ იცი და არც არასოდეს გეცოდინება, რას ფიქრობს ღმერთი. შენ მხოლოდ ის იცი, რომ ღმერთს ვუყვარვართ.

– ეს უსამართლო სიყვარულია.

– და რას ნიშნავს სამართლიანობა? ნუთუ გგონია, რომ ის ყველასთვის ერთგვაროვანია? ღმერთი ყველა ჩვენგანს ჭერ სიცოცხლეს ჩუქნის, მერე კი – სიკვდილს. დანარჩენი კი მხოლოდ ადამიანებსა და გარემოებებზე დამოკიდებულია.

ვერ შევძელი მოიშას შეგონება. არ სურდა, ღმერთის ერწმუნა. სიკვდილის მძაფრი და მტკივნეული განცდა ხელს უშლიდა

რწმენაში. მისი რწმენა უძლური აღმოჩნდა ბოროტების პირისპირ.

მოიმა ყოველდღე მსტუმრობდა სახელოსნოში. მოთქვამდა, ტიროდა ცხარე ცრემლებით, ბრაზობდა, ჩემი სიმშვიდისა და სინყნარის შემხედვარე ხშირად ღიზიანდებოდა კიდევ.

– ვერ მეტყვი, შენ რატომ ვერ გრძნობ ვერაფერს? თუმცა, როცა მამაშენი გარდაიცვალა, ცრემლები ღვარე... რას ფიქრობდი მაშინ?

– მამარჩემი ჩვენგან რომ წავიდა, საკუთარ თავს ვუთხარი, რომ ერთი საათიც არ უნდა დამეკარგა, რათა ძლიერ მყვარებოდა ისინი, ვინც მიყვარს. მივხვდი, რომ სიყვარულის გადადება დაუშვებელია. არა, მოიმა, ნუ იფიქრებ, რომ ბოროტება არ მტანჯავს და ტკივილს არ მაყენებს. მაგრამ ტანჯვა არ არის სიძულვილის საბაბი. ტანჯვა მხოლოდ სიყვარულის საბაბია.

მოიშამ ჩემკენ ამოიხედა. მომეჩვენა, რომ გამიგო. გათამამებულმა განვავრდი:

– შენი უფროსი ვაჟიშვილი გარდაიცვალა. შეიყვარე ის უფრო ძლიერ და განსაკუთრებით შეიყვარე ისინი, ვინც დაგრჩა. სასწრაფოდ უთხარი მათ, რომ გიყვარს. სიკვდილი ერთ რამეს გვასწავლის მხოლოდ: ვიჩქაროთ სიყვარული.

იმ დღიდან მოყოლებული მოიშამ ტირილი შეწყვიტა. მართალია, შვილის უფროოდ წასვლას სულ დარდობდა, მაგრამ ის კი მოახერხა, ტანჯვა სიყვარულად გადაექცია. მწუხარებას ვერაფერი გააქარწყლებს, მაგრამ ქეშმარიტ გულს მის კეთილ გრძნობად გარდაქმნა ძალუძს.

გავიდა რამდენიმე წელი. შემექმნა შთაბეჭდილება, რომ ცხოვრებაში საკუთარი ადგილი ვიპოვე. მართალია, ავეჭსა და ჩარჩოებს მეტი სინატიფე ვერ შევძინე, მაგრამ სამაგიეროდ ჩემს რჩევებს შეემატა საგრძნობი სიბრძნე. თანასოფელელათვის სიმშვიდის მოგვრაც გამიადვილდა.

სწორედ ამ დროს მცოვან რაბინ ისააკს წლების სიმძიმის ქვეშ სული აღმოხდა და იერუსალიმის ტაძარმა ახალი რაბინი ნაუმი გამოგვიგზავნა, რომელიც წმინდა წერილთა დიდ მცოდნედ მოიაზრებოდა. რაბინი რამდენიმე კვირაში მიხვდა, რომ სოფელში ყურს მართო მას როდი უგდებდნენ. მოითხოვა, მისთვის ჩემი ყოველი ნათქვამი ჩაეყაბათ და ერთხელაც გაცოფებული სახელოსნოში მომივიარდა:

– ვინ გგონია თავი, წმინდა წერილზე ლაპარაკს რომ ბედავ? ვინ მოგცა უფლებები, სხვებს რამე ურჩიო? გისწავლია ოდესმე რაბინთა სკოლაში? იცავ თუ არა წმინდა წერილს, როგორც ამას ჩვენ ვაკეთებთ?

– რჩევას მე კი არ ვიძლევი, არამედ სინათლე, ჩემი ლოცვების სიღრმიდან რომ იღვრება.

– როგორ ბედავ მსგავსი სიტყვების როშვას! ეს ხომ მკრეხელობაა. შენ მხოლოდ ფიცრების გარანდვა თუ შეგიძლია, არადა, სხვების წინამძღოლობა და დაკვლიანება კი გადაგიწყვეტია! არა გაქვს უფლება, წმინდა წერილის, მით უმეტეს, ღმერთის სახელით იქადაგო! ტაძარი განიკითხავს შენისთანა უწმინდურებს. იერუსალიმში უკვე დიდი ხნის წინ ჩაგქოლავდნენ.

ნაუმმა შემაშინა.

ორი დღის განმავლობაში სახელოსნოს არ გაგვკარებდნენ და მისგან შორს, დაბლობში ვსეირნობდი.

ნაუმი უდავოდ ქეშმარიტებას ბრძანებდა. შეუმჩნევლად და სრულიად გაუაზრებლად მე სოფლის სულიერ მოძღვრად ვიქეცი. ვქადაგებდი მორალურ პრინციპებს, ვარიგებდი მოშუღლებებს, მოვეუწოდებდი სამართლიანი ამბოხისკენ და რაც მთავარია, ყველგან ღმერთის სახელით ვმეტყველებდი... ისე იოლად გამომდიოდა ადამიანთა სულელებზე ზემოქმედება, რომ არც მომსვლია აზრად, მსგავსი ქმედების განსაკუთრებულობაზე დავფიქრებულყავი. ახალგაზრდა რაბინი სრულიად მართებულად მსაყვედურობდა, რომ ვცოდავდი უმეცრებითა და სიამაყით დაბრმავებულნი.

ჩაქოლვა! არა, ნაუმი მართალი იყო. ჩემი უცნაურობა, დაპირისპირება ტაძართან საკმარისი საბაბი იყო იმისათვის, რომ ერთხელაც ქვების ნიაღვრის ქვეშ აღმოვჩენილიყავი. ის მემუქრებოდა. შემეშინდა ჩაქოლვის.

არც ნაუმს და არც მე მაშინ ორ რამეზე არც გვიფიქრია, რომ მსგავსი სიკვდილს ერთ მშვენიერ დღეს მე თავად ვისურვებდი. ოდესღაც რომაელები იერუსალიმში წამების ახალ ფორმას – ჯვარცმას შემოიტანდნენ. აი, სწორედ იმ გადაჯვარედინებულ ფიცრებზე აღმოვხდებოდა ხვალ სული.

\*\*\*

– თუ იცი, შენი დეიდაშვილი იოჰანანის სახელი რომ აკერია ყველას პირზე?

დედაჩემს თვალები უბრწყინავდა.

– რომელს გულისხმობ?

– ელისაბედის, ჩემი დეიდაშვილის ვაჟი. იცნობ შენ. ამბობენ, რომ წინასწარმეტყველების საოცარი ნიჭითაა დაჯილდოებული.

დედაჩემის სიტყვები ცალი ყურით მოვისმინე. ცრუ წინასწარმეტყველება და მესიები ჩემში ინტერესს უკვე აღარ აღძრავდა. მათ მიმართ ჩემი ცნობისმოყვარეობის მარაგი პირწმინდად ამოიწურა. მე ცხოვრებაში საკუთარი ადგილის მონიშვნა ვცაადე. ახალგაზრდა რაბინმა კი ყველაფერი თავდაყირა დააყენა. ახლა კვლავ არჩევანი უნდა გამეკეთებინა.

დედაჩემი არ ცხრებოდა. ნუთუ ეს რელიგიისადმი ინტერესით იყო განპირობებული, თუ უბრალოდ ოჯახური სიამაყით? გაუთავებლად თავის დეიდაშვილზე ლაპარაკობდა.

– იოჰანანი იორდანის ნაპირზე დგას, მსურველებს თავს წყალში აყოფინებს და ამგვარად ცოდვებისგან განბანს. სწორედ ამის გამო შეარქვეს მეთსახელად იოჰანან მყვინთველი.

მე ისევ გავხსენი სახელოსნო, მაგრამ ველარავინ ბედავდა ჩემთან მოსვლას ფიცრების სათხოვნელადაც კი. ნაუმმა შიში



ჩაუნერგა ყველას.

მოგვიანებით ადამიანებმა ჩემთან ჩუმად იწყეს შეხვედრა. უწინდებურად ჩემთან მასლაათი სურდათ. ერთმანეთს დღის მიწურულს სოფლიდან შორს, ტბის სანაპიროზე ვნახულობდით. იქ სრული სიმშვიდე მეუფლებოდა. მწუხრისას იისფერ წყალში ღმერთის მანუგეშებელ დუმილს ვგრძნობდი, ლოცვების სიღრმეში რომ იმალება, როცა ორ ერთმანეთს გადაჭდობილ ხელს ვარსკვლავებით მოჭედული ცისკენ აღაპყრობ.

ნაუმს მაინც მიუვიდა ამბავი საიდუმლო შეხვედრების შესახებ და ისევ სახელოსნოში მომივარდა. ხმის ჩახლეჩამდე გაჰყვიროდა.

ნაუმი მართალი იყო.

განა მე პატივმოყვარე ურჩხულად არ ვიქეცი? განა მართებული იყო იმის გაცხადება, რომ ქეშმარიტება ჩემში იყო და არა წმინდა წიგნებში? განა დასაშვები იყო, ადამიანს საკუთარი თავისთვის მსგავსი ნდობა გამოემუღავნებინა? მე განწმენდა მჭირდებოდა; მჭირდებოდა დახმარება, მეგზური, შესაძლოა მოძღვარიც კი. უცილოდ უნდა შევხვედროდი იოჰანანს, ცოდვებისგან რომ განვებნა.

\*\*\*

მდინარე იორდანეს კლაკნილ სანაპიროს ავეყევი.

იოჰანან მყვინთველი ბეთანიაში დამკვიდრებულიყო. რაც უფრო ვუახლოვდებოდი მის ადგილსამყოფელს, მით უფრო ჭირდა გავლა. პილიგრიმებისგან ტევა აღარ იყო. ადამიანთა ნაკადი უფრო სწრაფად მიედინებოდა, ვიდრე მდინარე იორდანე. მოდიოდნენ სამყაროს ყველა კუთხე-კუნჭულიდან – დამასკოდან, ბაბილონიდან, იერუსალიმიდან, იდუმეიდან...

იორდანეს ქვედა დინების გაყოლებაზე ხეობაში სტიქიური ბანაკი წარმოიქმნა. პილიგრიმებმა გაშალეს კარვები, ააგებინეს ცეცხლი, გაერთიანდნენ ოჯახებად, ასობით ქალმა და კაცმა ერთმანეთს გაუზიარა ლუკმა-პური.

იოჰანან მყვინთველის სილუეტი შორიდანაც ჩანდა. მუხლებამდე წყალში ფეხებგაჩაჩხული იდგა. ამ ადგილას დინება მდორე იყო, წყალი – თავთხელი. არემარეს ზემოდან პიტალო კლდეები მედიდურად გადაჰყურებდა.

პილიგრიმთა უსასრულო რიგი ქალაში მდუმარედ მიიწევდა წინ. ფრინველთა ხავილი თუ არღვევდა დროდადრო ჩამოწოლილ სიჩუმეს.

იოჰანან წინასწარმეტყველი კარიკატურას წააგავდა. გალეულს უზარმაზარი წვერი ამძიმებდა, თმაბურძგნილს გაძუნძგული აქლემის ტყავი მოესხა. სიმყრალით მოზიდული ბუზებისა და სხვადასხვა მწერის გუნდები მის გარშემო ირეოდა და ზუზუნებდა. ვეებერთელა თვალეები შემანუხებლად გაშტერებოდა. მისი სიუხეზე იმდენად სასაცილო მეჩვენა, ვიფიქრე, მსგავსი იერით თავს ხომ არ იწონებს-მეთქი. თავი შეურაცხყოფილად ვიგრძენი. მე ვესწრებოდი იმის პაროდისას, რასაც თავად ველტვოდი. ეს იყო ჩემი სანუკვარი და უხედაესი სურვილების უბადრუკი ანარეკლი. ყურადღებით დავაკვირდი ბრბოს, რომელსაც განწმენდა ბინდის ჩამოწოლამდე უნდა მოესწრო. ჩემდა გასაკვირად, იუდეველთა გარდა, ბლომად იყვნენ რომაელებიც, სირიელი დაქირავებული მეომრებიც... ერთი სიტყვით, ისეთი ადამიანები, ცხოვრებაში თორა რომ არ წაეკითხათ და წარმოედგენა არ ჰქონდათ ჩვენს წმინდა წერილებზე. ნეტა რას ეძებდნენ აქ? რას შეჰპირდა მყვინთველი ამისთანას, რასაც მათ თავიანთი რელიგია ვერ აძლევდა.

მივუახლოვდი ორ პილიგრიმს, ნაპირზე თავის რიგს მოთმინებით რომ ელოდა.

– წავედი, – თქვა მსუქანამ.

– მე აქედან ფეხს არ მოვიცვლი, – უპასუხა გამხდარმა, – ისე, ვერ გამიგია, რატომ უნდა განვიბანო ცოდვებისაგან. მე ხომ ზედმიწევნით ვიცავ ჩვენს კანონს.

– საბრალონო! თავდაჯერებულობისა და ნაგვის გუდებო!

იოჰანანის მქუხარე ხმამ ჩვენამდე მოაღწია. უდავოდ არაჩვეულებრივი სმენა უნდა ჰქონოდა, ამ სიშორეზე და თანაც მდინარის წყლის ჩხრიალში ორ ადამიანს შორის გამართული დავა რომ მოესმინა.

იოჰანანი გამხდარის მისამართით ყვირილს განაგრძობდა:

– ასპიტის ნაშიერო! ბინძურ ღორო! თავი სუფთა გგონია, იმიტომ, რომ ცარიელ, აზრისგან დაცლილ კანონს იცავ? ყოველი სადილის წინ ხელის დაბანა და შაბათის დაცვა სრულიადაც არ კმარა, თავი ცოდვებისგან რომ დაიზღვიო. გულით თუ მონიანობით, მხოლოდ მაშინ თუ განიწმინდები ცოდვებისგან.

ეს ქადაგება ბუზანკალის ნაჩხველტად ალვიქვი. განა თავადაც ასე არ ვფიქრობდი, წლების განმავლობაში სრულ სიმართლეში რომ ვცხოვრობდი?

იოჰანან მყვინთველი განაგრძობდა გამოსვლას. გალეული ხეული ბრაზისგან სულ უცახცახებდა. იგრძნობოდა, რომ მასში ამოუწურავი ცოფის მარავი იყო და უღვთობით საზრდობოდა. ერთ რამეს მივხვდი: შეიძლება იოჰანანი არ იყო ქეშმარიტი წინასწარმეტყველი, მაგრამ პირდაპირი და ალალი უდავოდ კი.

გამხდარი პილიგრიმი არც მოელოდა, რომ ლანძღვა-გინების მსგავს მორევში მოჰყვებოდა და მსუქანას დაბნეული შეჰყურებდა. აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო.

– მომიახლოვდი! – დასქევა იოჰანანმა.

გამხდარმა წყალში რამდენიმე ნაბიჯით წაიწია წინ.

– შიშველი! შიშველი, როგორიც დედის საშოდან გამოხვედი.

გამხდარი უსიტყვოდ დაემორჩილა. ვერც კი მიხვდა, თუ რატომ ან როგორ სასწრაფოდ გაიძრო სამოსი და ახალშობილივით ტიტლიკანა იოჰანანის წინაშე წარდგა.

იოჰანანმა მისი თავი უზარმაზარ ხელის მტევნებში მოაქცია და თვალი თვალში გაუყარა; ისე მიაშტერდა, გეგონება, მზერით ლურსმანს ურჭობსო.

– მოინანიე ცოდვები! ისურვე სიკეთე, ითხოვე პატიება! თორემ...

რა იყო გამხდარი მამაკაცის ასეთი მორჩილების მიზეზი? შიში? მორჩილების სურვილი თუ გულწრფელობა? ყოველ შემთხვევაში, ჩანდა, რომ სულით და გულით მოინანია და იოჰანანმაც რამდენიმე წამში მდინარეში ჩაარგვევინა თავი; საკმოდ დიდხანს აყურყურა წყალქვეშ. მალე ჰაერის ბუშტულებმა დაიწყეს ამოსვლა. ბოლოს, როგორც იქნა, ლამის გაგუდულს, თავის ამოყოფის ნება დართო.

– წადი, მიტევებული ხარ.

ცოცხალ-მკვდარმა მამაკაცმა ბორძიკით ძლივს მიიტანა სული ნაპირამდე. როგორც კი ფეხქვეშ ხმელეთი იგრძნო, ძირს გაიშლართა, თავი მუხლებში ჩარგო და ხმამაღლა ახლუქუნდა. მსუქანა მივარდა და სცადა, დაემშვიდებინა. გამხდარმა თავი წამოსწია და წაილულულა:

– მადლობა, უფალო, მადლობა... მადლობა, რომ ცოდვები მომიტევე. ისეთი უწმინდური და ცოდვილი ვიყავი.

ბინდისას ცას იისფერი გადაეკრა. იოჰანანი იორდანეს გაეცალა და ლამის გასათევად გამოქვაბულს შეაფარა თავი. საღამოს ბანაკში კოცონის გარშემო საუბრისას შევიტყვე, რომ მდინარის წყლით გაჰქონდა თავი და საჭმელს პირს თითქმის არ აკარებდა. აღფრთოვანდი მისი ნებისყოფითა და სულიერი სიძლიერით. დარწმუნებული ვიყავი, რომ პირადად მე ხორცის, პურისა და ღვინის გარეშე ვერ გავძლებდი.

– რატომ მოუსხია ასეთ წმინდა ადამიანს აქლემის ტყავი? – წამოიყვირა ერთ-ერთმა პილიგრიმმა, - აქლემი ხომ უწმინდური და ბინძური ცხოველია, ისევე, როგორც ღორი და ბოცვერი. ეს ებრაული კანონის საწინააღმდეგოა.

მე მივხვდი, რომ იოჰანანის უპირობო თავყვანისმცემლებსაც კი ვერ გაეგოთ მისი მთავარი გზავნილი: მხოლოდ კანონის არსის და არა სიტყვის დაცვა განწმენდს სულს. სწორედ მაშინ გავცანი იოჰანანის ყრმა მოწაფეებს – ანდრეასა და სიმონს. ლამის დიდი ნაწილი იოჰანანსა და მის სწავლებებზე საუბარს შევწირეთ. ტაძართან დაპირისპირებული მოძღვრება მის მდგომარეობას ერთობ ართულებდა. იოჰანანს ქუმრანის ბერებს ვადარებდით, ესაიელებს, რომლებიც ასევე ცოდვილთ განბანდნენ.

მეორე დღეს დილით მდინარის სიახლოვეს კლდეზე ჩამოვჯექი. აქედან თავისუფლად შემეძლო იოჰანანის ქმედებებისთვის თვალყური მედევნებინა, თანაც ისე, რომ თვითონ ვერ შევეჩინე.

იოჰანანმა, უპირობო ყოვლისა, გადამთიელთა განწმენდა განიზრახა.

– მომახლოვდით, რომაელებო. თქვენ კი იუდეველებო, ყური მიგდეთ და ეცადეთ, ჩემი სიტყვა შეიგნოთ: იყო იუდეველი, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ აუცილებლად გადარჩებით. ნუ დაკმაყოფილდებით იმის გამეორებით, რომ აბრაამის შვილები ხართ, გესმით? არ კმარა, იმეორეთ წამდაუნუმ, „მე აბრაამის შვილი ვარ, აბრაამის შვილი ვარ“, რამეთუ ღმერთს ძალუძს აბრაამის შვილები ნებისმიერ ქვეყანაში შვას... ქვებისგანაც კი.

ხუთი რომაელი კარისკაცი იოჰანანს მიუახლოვდა.

– როგორ მოვიქცეთ?

– ნუ იქნებით მოძალადენი, ნურავის დანაგრავთ. იმყოფინეთ ჯამაგირი, რომელიც დაგენიშნათ.

კარისკაცების შემდეგ ხარკის ამკრეფთა რიგიც დადგა.

– ნუ მოითხოვთ ზედმეტს. აკრიფეთ ის, რაც დანესდა.

შემდეგ მდიდარ მოქალაქეებს მიუბრუნდა:

– ორი ტუნისის მფლობელი ერთს შეელიოს და შიშველ უპოვარს უბოძოს; ვისაც საჭმელ-სასმელი აქვს, უწილადოს მშიერ-მწყურვალ გლახაკს.

როცა მზე ზენიტს მიუახლოვდა, იერუსალიმიდან წარმოგზავნილი დელეგაციაც გამოჩნდა. ტაძრის მღვდლებისა და ლევიტებისგან შემდგარ კომისიას იოჰანანის საქმიანობა უნდა შეესწავლა.

– ვინ ხარ შენ?

– იოჰანან მყვინთველს მეძახიან.

– ერთნი ამბობენ, რომ მკვდრეთით აღმდგარი წინასწარმეტყველი ელიაჰუ ხარ.

– ამბობენ. პირადად მე ეს არასოდეს დამიდასტურებია.

– სხვანი ამტკიცებენ, რომ საღვთო წერილის მიერ გამოცხადებული მესია ხარ.

– მე არ ვარ მესია. მე მხოლოდ მის მოსვლას ვქადაგებ. მე ვარ ხმა უდაბნოში მლაღადებლისა: „გაიყვანეთ გზა მაღალი ღმერთისკენ“.

– ესე იგი, არ გვიდასტურებ, რომ მესია ხარ?

– მე მისი სანდლების ტარების ღირსიც კი არ ვარ. როცა ის გამოცხადდება, სამართლიანობა იჩემებს და აღსრულდება შურისძიება. დაწვავს ცოდვილთ, ვითარცა მარგებელი მარცვლისგან დაცლილ თავთავებს.

– თუ არც მესია ხარ და არც ელიაჰუ, მაშ, რად ძირავ ადამიანთა სხეულებს წყალში? ვინ მოგცა უფლება, ისინი ცოდვებისგან განბანო?

– მე მესიის მახარობელი ვარ მხოლოდ. ის მალე მოგვევლინება! ახლაც თქვენ შორის დგას და მალე გამოგვეცხადება. ამ საღამოს მე მის წინაშე ქედს მოვიხრი.

სანაპიროზე ადამიანებმა ერთმანეთს გადახედეს: საკუთარ თავს ეკითხებოდნენ, ალექვათ თუ არა იოჰანანის სიტყვები წინასწარმეტყველებად. ეს ხომ იმას ნიშნავდა, რომ მესია უკვე მდინარე იორდანეს სანაპიროზე იმყოფებოდა.

– მე მხოლოდ მეგზური ვარ, მეფისთვის გზის გაკავება რომ იტვირთა; გზისა, მონანიებისკენ რომ მივყავართ. ის აუცილებლად გამოგვეცხადება. ძალიან მალე იქნება აქ, ის – ძე ღმერთისა, ძე, რომლის მობრძანება წინასწარმეტყველმა დანიელმა გვამცნო.

ნაპირზე სუნთქვაშეკრული ადამიანები გაშეშდნენ. განძრევას ვეღარ ბედავდნენ. მალე დაასკვნეს, რომ ეს იოჰანანის ხატოვანი გამოსვლა იყო და სხვა არაფერი. მე კი უეცრად თავი შეუძლოდ ვიგრძენი: მომეჩვენა, რომ მიუხედავად მანძილისა, იოჰანანმა თვალი თვალში გამიყარა.

დამშვიდებული კომისიის წევრები იერუსალიმის გზას დადგნენ: ეს იოჰანანი მხოლოდ მორიგი უსაფრთხო ნათელმხილველი იყო. სანამ ამ ჭაობში იდგა და პილგრიმთა თავების წყალში ჩარგვას სჭერდებოდა, არავისი ძალაუფლებისთვის საშიშროებას არ წარმოადგენდა. ტაძარს როგორმე უნდა აეტანა წარმავალი წინასწარმეტყველები, ეს იქნებოდა ადამიანთა თავების წყალში მძირავი თუ ქუმრანის ცოდვათა განმბანველი განდევნილები.

ღრუბელმა გადაიარა და წყალში შევტოპე, რათა იოჰანანს ცოდვებისაგან განვეწმინდე. როცა შეამჩნია, მისკენ რომ მივიწვედი, წარბები შეიჭმუნა.

– მე შენ გიცნობ.

– მე შენი დეიდაშვილი ვარ, მირიამის ვაჟი. დედაჩემი დედაშენის, ელისაბედის სისხლი და ხორცია.

იოჰანანს ამჯერად ნაოჭებისგან შუბლი დაეღარა, თითქოსდა ჩემი სიტყვების არაფერი გაეგებოდა. მე ნათქვამი გავუმეორე.

– მიცანი იმიტომ, რომ შენი დეიდაშვილი ვარ.

– მე შენ ამოგიცანი, როგორც უფლის რჩეული.

საკუთარი სიტყვები თვითონვე გაიკვირვა. საოცრებასავით მათვალისწინებდა. მერე მოულოდნელად ყვირილი მორთო, რათა მისი ხმა ყველას გაეგონა.

– აი, ღმერთის ბატკანი, რომელიც მთელი სამყაროს ცოდვებს გამოისყიდის!

იოჰანანმა ეს სიტყვები ისეთი თავდაჭერებულობით იღრიალა, რომ მე შეტყვევების უნარი წამერთვა. ვიგრძენი, ჭალაში ბრბო გაიყინა და ჩვენ მოგვაშტერდა. ადამიანთა მწველი მზერისგან აღმური მომეკიდა. არ ვიცოდი, რა შეთქვა, რა მომემოქმედა. სასწრაფოდ წავილულულე:

– განმბანე სწრაფად და მოვრჩეთ ამით.

აღშფოთებულმა იოჰანანმა შესძახა:

– ეს მე მჭირდება შენგან განწმენდა. შენ გიხმობდი სულითა და გულით! და შენ გამოცხადდი ჩემთან! მე მიყვარხარ შენ.

ეს ნამეტანი იყო. ფეხები მომეკვება, წავბორძიკდი. იოჰანანმა ხელში ამიყვანა და ნაპირამდე მიმიყვანა. იქ ანდრიამ და სიმონმა მომხედეს. გარშემო შემოხვეული ცნობისმოყვარე ადამიანები მიჩქვ-მორჩქვს. ქალები ჩურჩულებდნენ, რომ როცა გონება დაგვარგე, თურმე ციდან თეთრი მტრედი ჩამოფრენილა და ჩემს შუბლზე ჩამომჯდარა.

მე, ცხადია, არაფერი მინახავს.

სიმართლე რომ გითხრათ, აი, სწორედ მაშინ დაიწყო ყველაფერი...

\*\*\*

მშვენიერი ცისფერი ღამე. სასიამოვნო მდუმარება.

ეს მოლოდინი მფიტავს და მანგრევეს. სიცარიელე მიპყრობს. ცხადია, ვამჯობინებდი საუბარს, ბრძოლას, მოქმედებას...

მე უმნიშვნელო ხმაურსაც კი ვარ ჩასაფრებული. თავს ხან აქეთ მივატრიალებ, ხან იქით, ხანაც მივაყურადებ. იარაღის ჯღარუნი არა და არ ისმის. იმედი გადამეწურა. არა, განა სიკვდილი მეჩქვარება?! არამც და არამც! უბრალოდ მინდა, ამ გაუსაძლის მტანჯველ მოლოდინს მოეღოს ბოლო. აგონიას სიკვდილი სჯობია. რატომ დააგვიანდათ ასე ჭარისკაცებს? ნუთუ ამდენი დროა საჭირო, ტაძრიდან ზეთისხილის მთას რომ მიაღწიო?

მელიებს აქვთ სორო, ჩიტებს – ბუდე, მე კი ვერსად მიპოვია ჩემი ადგილი.

\*\*\*

გონს რომ მოვეგე, ანდრიამ და სიმონმა მოსვენება არ მომცეს, აუარება შეკითხვა დამაყარეს: ვინ ვარ მე, რას ვსაქმიანობდი აქამდე? რატომ გამომაცხადა იოჰანანმა რჩეულად? რატომ ვასაღებდი თავს უბრალო პილიგრიმად? შეუძლიათ თუ არა ჩემი

მიმდევარნი გახდნენ? დავრთავ თუ არა ნებას, თავი შემომწირონ?

– არავინ არ ვარ. არ მესმის, რაც იოჰანანმა თქვა. ერთი უნიჭო დურგალი ვარ მხოლოდ, ცუდი მორწმუნე, ნაზარეთიდან რომ ჩამოვიდა.

– ნაზარეთში დაიბადე?

– არა, სინამდვილეში ბეთლემში, მაგრამ ეს გრძელი ამბავია.

– ასე წერია. მიხეიმ გვაუწყა: რჩეული ბეთლემიდან მოგვევლინებაო.

– ცდებით.

– დავითის ჩამომავალი ხარ?

– არა.

– დარწმუნებული ხარ?

– ანუ... ოჯახში დღემდე ჰყვებიან ერთ უძველეს ლეგენდას... რომლის თანახმად... მოდი რა, ვიყოთ სერიოზულები! მითხარით, პალესტინაში ერთი ოჯახი მაინც თუ გეგულებათ, დავითის პირდაპირ შთამომავლად თავს რომ არ მიიჩნევდეს?

– გამოდის, რომ ეს შენ ხარ რჩეული დავითის ჯილაგისა!

– თქვენ ყველაფერი ერთმანეთში აურიეთ.

– რა უნდა გვასწავლო?

– არც არაფერი.

– ფიქრობ, რომ შენი ღირსნი არ ვართ?

– მე ეს არ მითქვამს.

\*\*\*

ერთადერთი გზა დამრჩენოდა: სასწრაფოდ გავცლოდი იქაურობას.

უნდა გავქცეოდი უაზრო ყბედობას. არ მსურდა, ვინმეს ზეგავლენა განმეცადა.

ოცდაათი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩემს ბედ-იღბალზე ყოველს ჰქონდა საკუთარი წარმოდგენა, ჩემს გარდა. რჩევების სიმძიმის ქვეშ გათელილი, ასობით ბილიკს შორის უგზო-უკვლოდ დაკარგული, ზოგისთვის ღვთისმომშიში, ზოგისთვისაც უღმერთო და ურჯულო, აღიარებული, უკუგდებული, შევიწროებული, გაღმერთებული, გაკერპებული, შეურაცხყოფილი, დამცირებული, ყურადღებული (შესმენილი), შეზიზღებული, ქომაგად აღიარებული, უკვე ველარ აღვიქვამდი საკუთარ თავს ადამიანად. დავემსგავსე ცარიელ დუქანს ათასი გზის შესაყარზე, სადაც თითოეული საკუთარი ხასიათით, ტვირთითა და რწმენით შედის. ჩემში მხოლოდ სხვების ხმაური პოულობდა გამოძახილს, მე სხვათა ხმის ექოდ ვიქეცი.

და გავიქეცი.

ყამირ მიწებს შევაფარე თავი, სადაც ადამიანებს ჯერ კიდევ არ დაედგათ ფეხი, სადაც მცენარეული საფარი ხელთუქმნელი და მწირია, სადაც იშვითად თუ გადააწყდები ანკარა წყაროს წყალს და მოიკლავ წყურვილს. წავედი იქ, სადაც ადამიანებთან შეხვედრისგან სრულიად დაცული ვიყავი.

უდაბნოში მხოლოდ საკუთარ თავთან შეხვედრას ველტვოდი. სიმართოვეში განდევილს საკუთარი თავი უნდა შემეცნო. უნდა დამედგინა, ვინ ან რა ვიყავი მე.

ბევრი ვიქეცი საკუთარ თავში და ვერც ვერაფერი აღმოვაჩინე. მხოლოდ გაღიზიანებას, დაღლილობას, შიმშილსა და მომავლისადმი შიშს თუ ვგრძნობდი... რამდენიმე დღის თავზე ქუჩყი და მტვერი, ბოლო კვირების მანძილზე რომ მომეცხო, ჩამოვიფხიკე და ჩამოვიბერტყე, დამიბრუნდა ჩემთვის ნიშნული თავშეკავებულობა. ისევ ნათელი მომავლის მომლოდინე მეოცნებე ნაზარეთელ ბავშვად გადავიქეცი, ისევ შემოიყვარდა ყოველი წუთი, ყოველი წამი, ყოველი გაელვება, აღფრთოვანდი ყოველი სულდგმულით. ბევრად უკეთ ვიგრძენი თავი. სამაგიეროდ, სრულმა იმედგაცრუებამ მომიცვა: არსებობს თუ არა ადამიანი სინამდვილეში? ზრდასრულს სამოსი რომ შემოხსნა, რა შეგვრჩება ხელში – ბავშვი? ნუთუ წლები მხოლოდ ბალანს, წვერს, საბრუნავს, დავიდარბას, ცდუნებას, ჭრილობებს, დაღლილობასა და ავხორცობას სძენს ადამიანს?

აი, სწორედ მაშინ მოხდა ჩემი ვარდნა; აი, სწორედ მაშინ დავეშვი ძირს.

ვარდნამ მთელი ჩემი ცხოვრება თავდაყირა დააყენა.

ერთ ადგილას მიყინული ვვარდებოდი: ეს იყო უმოძრაო ვარდნა.

პიტალო მთის წვერზე ვიქეცი. ჩემ თვალწინ უკიდვანო სივრცე გადაშლილიყო. ერთადერთ რამეს ვგრძნობდი მხოლოდ. ეს იყო დროის დინება. წელ-წელა სევდა მომეჭარა. ხელები მუხლებზე შემოვიწყე და უცერად ვიგრძენი, რომ ვვარდებოდი, თან ისე, რომ არც კი გავნძრეულვარ...

ვვარდებოდი...

ვვარდებოდი...

ჩამოვარდი საკუთარ თავში. რას ვიფიქრებდი, რომ ადამიანის სხეულში ამდენი პიტალო კლდე, ამდენი თავბრუდამხვევი უფსკრული და ამდენი სივრცეა.

მე სიცარიელეში თავდაყირა დავეშვი.

რაც უფრო ჩქარი ხდებოდა ვარდნა, მით ხმაბალა ვყვიროდი. სისწრაფე ახშობდა ყვირილს... ხავილს...

შემდეგ დამეუფლა განცდა, რომ სინქარემ კლება იწყო.

სხეული ამიშრატდა, უწონო და ჰაეროვანი გახდა. ფრენისას ჰაერთან განსხვავება ნელ-ნელა წაიშალა. მე თავად გარდავიქმენი ჰაერად.

სინქარე მებრკოლებდა, ვარდნა კი სიმჩატეს მმატებდა.

და დავიწყე ფართობი.

გარდაქმნა ნელ-ნელა დასრულდა. ეს ისევ მე ვიყავი, მაგრამ სრულიად განსხვავებული არსება. ხან ვგრძნობდი საკუთარ სხეულს, ხანაც არა. განვგრძობდი აზროვნებას, მაგრამ უკვე აღარ ვამბობდი „მე“-ს.

სინათლის ოკეანეში გადავეშვი.

ცხელოდა ძალიან.

აქ ყველაფერი მესმოდა. აბსოლუტური რწმენა დამიბრუნდა.

მე სიცოცხლის სამჭედლოში ჩავედი, ცენტრში, კერასთან ამოვყავი თავი, იქ, სადაც ყველაფერი დნება და გარდაიქმნება, სადაც ყველაფერი წყდება! ჩემში არა მხოლოდ საკუთარი თავი აღმოვჩინე, არამედ ბევრად უფრო მეტი, უფრო მნიშვნელოვანი – მოთუხთუხე ლავა, მარად მოძრავი და ცვალებადი უსასრულობა, სადაც ვერც სიტყვას ვარჩევდი, ვერც ხმას, ვერც ვინმეს ქადაგებას. აქ ახალი შიშისმომგვრელი, მასშტაბური, უნიკალური და ამოუწურავი შეგრძნებები დამეპატრონა.

ეს იყო საყოველთაო სამართლიანობის სასუფეველი.

ბუნქარში შეშინებული ხვლიკის გარბენის მშრალმა ხმაურმა ისევ დედამიწას დამაბრუნა. წამში ამოვტივტივდი უსასრულო ვარდნიდან, წამში დავეხსენი დედამიწის გულს.

რა დრო გავიდა ნეტავ?

მშვიდი და უწყინარი ღამე ჩამოწოლილიყო. გამომწვარი ქვიშა შვებით სუნთქავდა, ბალახსაც მოეკლა წყურვილი. ეს იყო ბუნების მიერ მორთმეული ძველი მახრობელა დღიური ბუდის სანაცვლოდ.

შვება ვიგრძენი. არც მშობდა და არც მწყუროდა, აღარც დაძაბულობა მტანჯავდა. ვგრძნობდი, რომ სულიერად დავნაყრდი.

უდაბნოს სიღრმეში საკუთარი თავი ვერა და ვერ ვიპოვე. სამაგიეროდ ვიპოვე ღმერთი.

იმ დღიდან მოყოლებული საკუთარ თავში ეს უძრავი გადაადგილება არაერთხელ განვახორციელე. ავცოცდებოდი მთის წვერზე და იქიდან საკუთარი თავის სიღრმეებში თავდაყირა ვეშვებოდი. საიდუმლოს ამოხსნა მქონდა განზრახული. ყოველ ჯერზე ვუბრუნდებოდი გაუსაძლისი სინათლის ოკეანეს, ჩავუვარდებოდი მკლავებში და გატრუნული დროის შეგრძნებას ვკარგავდი.

ეს სინათლე მე იშვიათად, მაგრამ ადრეც შემიმჩნევია. პატარობისას, როცა აგზნებული ვლოცულობდი, ხანდახან ის ადამიანების მზერაშიც გაივლევებდა ხოლმე. ვიცოდი, რომ ამ ნათელს ეფუძნება სამყარო, აერთიანებს ყველას და ყველაფერს, მაგრამ წარმოდგენა არ მქონდა, ხელმისაწვდომი რომ იყო. ამჟამად ჩემში სინათლე უფრო მეტია, ვიდრე მე: ერთგვარი მთლიანობა, რომელიც ადრე არ გამაჩნდა, თუმცა უცხოც არ იყო. მთლიანობა, ჩემში რომ ბუდობს, ჩემს არსს შეადგენს. ამ გაუცნობიერებელი მთლიანობიდან გადმოდინდება მთელი ჩემი ცოდნა; გაუგებარი და შეუცნობელი მთლიანობა ყველაფერს გასაგებს ხდის; მთლიანობა ისაა, საიდანაც მოვდივარ, სადაც წარმოვიშვი; მამაა, რომლის ძეც მე ვარ.

უდაბნოში ცხოვრების 39-ე დღეს გადავიწყვიტე, ადამიანებს დავბრუნებოდი. მე უფრო მეტი ვნახე და შევიძინე, ვიდრე მოველოდი. მაგრამ როცა ჩრდილში დაფარულ მდინარე იორდანეს მაგრილებელ წყალს მივუახლოვდი, გზაზე მკვდარ გველს მოვკარი თვალი. ხახადაფრენილი უკვე ლპებოდა, ჭიანჭველები დასეოდნენ, ყვითელ თვალებში დამცინავი მზერა გაჰყინვოდა.

ამ დროს საშინელმა აზრმა გამიელვა გონებაში: იქნებ სატანა მცდის? იქნებ სატანას ჩემი შეცდენა გადაუწყვეტია? იქნებ 39 დღის განმავლობაში მის მიერ შობილ ილუზიებში დავფრინავდი. იქნებ ის ძალა, ასე რომ მავსებდა, ბოროტების ძალა იყო და სხვა არაფერი?

უდაბნოში მეორმოცე ღამეც უნდა გამეტარებინა.

იქ თეთრად გათენებულმა ღამემ ყველაფერი ამირ-დამირია და დამინგრია. რაც ნათელი და გასაგები მეჩვენებოდა, გაუგებარი გახდა და ბურუსით შეიმოსა. იქ, სადაც სიკეთე მეგულებოდა, ახლა მხოლოდ ბოროტებას თუ ვამჩნევდი. ის, რაც ჩემ მოვალეობად მესახებოდა, პირადი პატივმოყვარეობა, თავმოწონეობა და ქედმაღლობა მეჩვენა. როგორ შეიძლებოდა მერწმუნა, რომ რაღაცით ღმერთს ვუკავშირდებოდი? ამის დაჯერება განა სრული სიგიჟე არ იყო? როგორ შეიძლებოდა დამუფლებოდა იმის განცდა, რომ მართებულს უმართებულოსგან, სამართლიანს უსამართლოსგან განვასხვავებდი? განა ეს წმინდა წყლის ილუზია არ იყო? როგორ მივიჩინე თავი ვალდებულად, ღმერთის სახელით მექადაგა? მხოლოდ პრეტენზიული ადამიანი თუ მოიქცეოდა აგრერიგად. როგორც კი უდაბნოს საზღვრებს გავცდებოდი, განა სიცრუის გზას არ დავადგებოდი და ბევრ უცოდველს დანაშაულის მორევში არ ჩავითრევდი?

ამ კითხვებს პასუხები ვერც ვერასდროს მოგუძებნე. უბრალოდ, როგორც კი მე-40 დღემ იწაბა, საკუთარ თავთან გარიგება დავდე. ამ გარიგების თანახმად, თავი დავიწმუნე, რომ ჩემს ვარდნებს, ქანცამწყვეტ მედიტაციებს პირდაპირ ღმერთთან მივყავდი და არამც და არამც – სატანასთან.

გარიგების არსი იმაში მდგომარეობდა, რომ ამქვეყნად მხოლოდ კეთილი საქმე უნდა მეკეთებინა.

გარიგების არსი მდგომარეობდა იმაშიც, რომ საკუთარი თავისაც უნდა მერწმუნა.

მაშინ, აბა, რა ვიცოდი, რომ მოვლენების შემდგომი განვითარება მაიძულებდა, უფრო მძიმე და უგუნურ გარიგებაზე წავსულიყავი. გარიგება, რომელიც აქ, ამ ბაღში მომიყვანდა და თავად მანატრებიწებდა საკუთარ სიკვდილს.

თავიდან გადავწყვიტე, მოვლენებისთვის არ გამეწრო, დინებას მივყვი. იორდანეს ნაპირზე პილიგრიმებს შევუერთდი. მოვალეობად მივიჩნიე, მათთან იმ სიბრძნის სახელით მესაუბრა, ჩემს ლოცვებში რომ ვეზიარე.

ანდრია და სიმონი ბანაკში მელოდნენ. როცა მათ წინაშე წარვდექე, სიმონმა გამიღიმა და შეჰყვირა, თითქოს ჩემი გამოცდა განიზრახა:

– ვინ ხარ შენ?

– შენი აბრით, ვინ ვარ?

– ღმერთის მიერ მოვლინებული.

– ამას შენ ამბობ, მე კი არ მითქვამს.

ჩვენთვის ეს სიტყვები საკმარისი აღმოჩნდა. მხურვალედ გადავხვიეთ ერთმანეთს. იოჰანან მყვინთველმა კიდევ ერთხელ მომმართა ნათლობის სახელით. მის საყვარელ მოწაფეებს, ანდრიასა და სიმონს ევედრა, მართო დაეტოვებინათ და მე გამომყოლოდნენ.

იოჰანანი დიდ იმედებს ამყარებდა ჩემზე.

ვიცოდი, რომ ჩემთვის სრულიად უცნობ გზას დავადექე, მაგრამ პირველი ნაბიჯი ყოველგვარი ორჭოფობის გარეშე გადავდე.

ის ხანა ჩემს ცხოვრებაში ყველაზე ბედნიერი და ამალეღვებელი აღმოჩნდა. ვთვრობდი იმ საიდუმლოებებით, ღმერთმა მედიტაციებისას რომ მანდო. ვცდილობდი, ყოველწამიერად სხვებიც ზიარებოდნენ მათ. ბედნიერი ვიყავი, რომ ჩავწვდი ღმერთის სიტყვას, გულისნადებს. სავალალო შედეგებზე კი ჯერჯერობით არც ვფიქრობდი.

ანდრია, სიმონი და მე მწვანედ აბიბინებულ, მაგრილებელ და ხეხილით მდიდარ გალილეას მოვედეთ. ცხოვრებით ვტკბებოდით და ხვალინდელ დღეზე ფიქრით თავს არ ვიწუხებდით. გვეძინა ღია ცის ქვეშ და მივირთმევდით იმას, რასაც ხეებიდან მოვწყვეტდით ან იმას, რასაც კეთილი ადამიანები გვთავაზობდნენ. დღეებს უდარდელად და უზრუნველად ვატარებდით.

როცა რომელიმე საკითხი სასწრაფო გადაწყვეტას მოითხოვდა, სიმარტოვეს ვამჭობინებდი. განვერიდებოდი ყველას და კლდეს ან ლეღვის ხეს ამოვფარებოდი. შემდეგ კი აღმოჩნებოდა ქაში გადავწყვეტოდი. იქიდან უცილოდ მზა პასუხით თუ არა, იმის შეგრძნებით მაინც ვბრუნდებოდი, რომ უახლოეს მომავალში ვიღაცა მიკარნახებდა მას.

მე შეეცვალა ბანქოს თამაშის წესები. ის ჩემთვის უკუღმა იწყებოდა, საბოლოო შედეგს უკვე თავში ვხედავდი. ისე კი, ადამიანები ცუდად თამაშობდნენ. მოგებას მოწყურებულნი უსინდისოდ ცრუობდნენ, ბორბლად იყენებდნენ ძალას, ხელისუფლებასა და ფულს. მე ამ სულელურ პაექრობაში ხელმოყარულნი მიყვარდა: დამარცხებულები, ისევ ბედის ცდა რომ ვერ გაებედათ; გლახაკები, კეთილი და გულისხმიერი ადამიანები, სწეულები; ქალები და დევნილები.

ღარიბები ჩემი ძმები გახდნენ, სიდუხჭირე – ჩემი იდეალი. უპოვარნი ხელმოკლეობას უიღბლოდ არ მიიჩნევენ, მათთვის ეს ცხოვრებისათვის ზურგის შექცევის ტოლფასი იქნებოდა. არამც და არამც! მათ იმდენად უყვართ წუთისოფელი, სრულ ნდობას უცხადებენ მას. იციან, რომ უთუოდ გამოივლის ადამიანი, მათთვის ერთ-ორ მონეტას რომ გაიღებს ან ლუკმა-პურს უწილადებს. ეს ნდობა სხვა არაფერია, თუ არა თავყვანისცემა. ჩვენ ქედს ვიხრით სიცოცხლის წინაშე. ანდრია, სიმონი და მე მოხეტიალე დატაკებულ ვიქცივით, თავი მოწყალებით გავგვქონდა. ზედმეტს უმაღლ გლახაკებს ვურიგებდით. უფლებას მხოლოდ იმ მცირედზე ვიტოვებდით, ჩვენს პირველად მოთხოვნილებას რომ დააკმაყოფილებდა. დანარჩენს კი ფუფუნებად, ჩვენთვის შეუფერებლად მივიჩნევდით.

იმდენი სიხარული იყო ჩვენს ქმედებაში, რომ არა ერთი ახალგაზრდის უყურადღებო მივიქციეთ. ჩვენი ჯგუფი ახალი მიმდევრებით დღითი დღე იზრდებოდა. ზოგიერთი ჩვენგანი აღშფოთებას ვერ მალავდა, როცა ქალებს მივმართავდი და მათ გადმოიბრუნებდა ვცდილობდი. თუმცა ჩემს საქციელს გამართლება ჰქონდა: სიყვარულის ქაში ჩასვლისას დავადგინე, რომ სათნოება, რომლითაც ღმერთი ჩემს აღჭურვას ცდილობდა, მხოლოდ ქალებისთვის იყო ნიშნული. მამა ღმერთი ზუსტად დედაჩემივით მესაუბრებოდა. მაცნობდა იმ გმირ ქალბატონებს, რომლებშიც თავად გარდაისახა; სიყვარულისა და სიცოცხლის მბოძებლებს, მათ, ვინც ბავშვის სხეულს განაბანენ და ამშვიდებენ, დამშეულ პირებს ავსებენ; მარად მსახურებსა და მშრომელებს, კომფორტსა და სისუფთავეზე რომ ზრუნავენ და სიყვარულითა და სიამოვნებით გვაავსებენ; თვინიერებს თვინიერთა შორის, ჩვენი ყოფის ყოველწამიერ მეომრებს, ყურადღებიან და მზრუნველ დედოფლებს, ნაღველს გვიქარწყლებენ და გვავიწყებენ. მამაკაცები იცავენ იმ საზოგადოების კარიბჭეს, სიკვდილს რომ თესავს და ზიზღს აღვივებს, ქალები კი გონების კარიბჭესთან დგანან, ქმნიან სიცოცხლეს და მოითხოვენ სიყვარულს. ჩემს მიმდევრებს – იუდეველთა მიწის ქმშარბიტ მამრებს – უძიძდათ იმის წარმოდგენა, რომ ქალებსაც თავისუფლად ხელწიფებათ ყველაფერი ის, რაც მათგან ამდენ ძალისხმევასა და ოფლისღვრას მოითხოვს. ქალებთან ჩემს შეხვედრებზე თვალებს ხუჭავდნენ, თანმხლებ უზარმაზარ კოჰორტასაც იტანდნენ, მაგრამ მათდამი ნდობით ვერა და ვერ განენწყვენ. მათ უნდობლობას გარკვეულწილად მდებრთა წადილიც კვებავდა.

ვაკვირდებოდი ყველას: ჩვენს ჯგუფში განვევრიანების მსურველებსაც და იმათაც, ვინც მიმხრობას უარობდა. ვაკვირდებოდი ძლიერებსაც ამა ქვეყნისა, ადამიანებს განსხვავებული საზომით რომ აფასებდნენ. საბოლოოდ ჩემთვის ერთი ქმშარბიტება

დავადგინე: ანგარებიანები დაჯილდოებულნი არიან ერთი ნიჭით, რომელსაც მე სრულიად მოკლებული ვარ – მათ შეუძლიათ, ადამიანებს პირდაპირ სახეში გაართყან. მაგალითად, როდესაც გადასახადების ამკრეფი ლატაკ ოჯახს არ ასვენებს, პირადი დაინტერესება სრულ უფლებებს აძლევს, მოვალეს სახეში უთავაზოს, გაანადგუროს და ფეხქვეშ გათელოს იგი. მე კი არ შემწვევს უნარი, აგრერიგად მოვიქცე. ადამიანის პირისპირ დგომისას მე მხოლოდ ადამიანს ვხედავ. არ შემიძლია, ვერ შევიგრძნო ცხოვრების მთელი სიმძიმე, ასე მძიმე ტვირთად რომ აწევს მას მხრებზე; მისი გახმოვანებული თუ გაუხმოვანებული ტკივილები, ასევე იმედები – მოკლედ ყველაფერი, რაც სახეს უღარავს ან უსხივოსნებს, სიცოცხლეს სძენს მის ნაკვთებს. ხშირად ჩემ წინ მდგომში უფრო მეტს ვხედავ, ვიდრე ადამიანს. მის უკან იმ ბავშვს ვხედავ, როგორიც ის ოდესღაც იყო, ვხედავ მხივანსაც, როგორიც მომავალში იქნება. ვხედავ მთელი მისი ცხოვრების ოღორღოღრო, ხიფათიან გზას.

ვერაფერი შეედრება ხეტიალით მონიჭებულ უცოდველ სიხარულსა და უზრუნველობას. ჩვენ ყამირ მიწას ვიპყრობით, ვიგონებდით ცხოვრების ახალ წირს. ვანგრევდით უნდობლობას როგორც სხვების, ასევე საკუთარი თავის მიმართ. მხოლოდ გაცემა ან მიღება თუ შეგვეძლო. ვიყავით თავისუფალნი. ჩვენ ღია ზღვაში ვცურავდით.

ყოველსაშემძლეა თვალში ჩვენ მხოლოდ უმწეონი და უუნარონი ვიყავით. არც გვანუხებდნენ – არ მიგვიჩნევდნენ ყურადღების ღირსად. მწარედ კი ცდებოდნენ. მარტოებს მხოლოდ ის შეგვეძლო ამ ქვეყანას განვრიდებოდით, ერთად შეკრულებს კი მისი გარდაქმნა შეგვეძლო.

განვარდობდით წონილს და იმ საგანძურს ვეძებდით, ფულით რომ ვერ შეიძენ. ერთხელაც ხეტიალმა ნაზარეთის კარიბჭეს მიგვაცენა.

უზომო სიხარული მომანიჭა დედაჩემის ნახვამ, მაგრამ მშობლიურ სახლში გაჩერებაზე უარი ვთქვი. ღია ცის ქვეშ, მეგობრებს შორის ცხოვრება ვამტობინე. კვლავ ნაზარეთელთა კეთილი ნებით გაღებულ სარჩოს მივითმევედი. იქ შემძლო ყოველს გაგასაუბრებოდი.

ერთ დღესაც დედაჩემმა და ძმებმა სახლში დამიბარეს. ჩემი უმცროსი ძმა გაცოფებული დამხვდა.

– იეშუა, შენ გვარცხვენ! შენ დატოვე მამაჩვენის სახელოსნო და რაბინი გახდი ისე, რომ რჩევას არც დაგვეკითხე. ამას კიდევ აიტანდა კაცი, მაგრამ ღია ცის ქვეშ გძინავს, მათხოვროდ საკუთარ სოფელში, სადაც ყველა გიცნობს, სადაც შენი ოჯახის სხვა წევრები ცხოვრობენ და შრომობენ. რას იფიქრებს ხალხი ჩვენზე? შეწყვიტე ხეტიალი, გონს მოეგე!

– ვერ შევცვლი საკუთარ ცხოვრებას.

– თუ მუშაობას უარობ, სახლში წოლა და ქამა ხომ შეგიძლია, არა?

– და მეგობრებს რა ვუყო?

– აი, ზუსტად! მოდი, შენს მეგობრებზე ვილაპარაკოთ. ეგ შენი მეგობრები მანანწალათა, უუნაროთა, უქნაროთა, გამოუსადეგართა და ზნედაცემულთა ხროვასა და სხვა არაფერი. მსგავს რამეს აქაურები არ მოსწონიან. უმჯობესი იქნება, აქედან გუდა-ნაბადს თუ აიკრავენ.

– მაშინ მეც მათთან ერთად წავალ.

– გასურს, საბოლოოდ დაგვამცრო?

ძმა სიფიცხემ აიტანა და სილა გამაწანა. თვითონაც გაუკვირდა მსგავსი გაშმაგება და უეცრად გამძვინვარებული ზრდასრული მამაკაცის სახეზე იმ ბავშვის მღელვარება ამოვიკითხე, დანაშაული რომ ჩაიდინა და საკუთარ თავს ეკითხება, ნეტა რით დამსჯის უფროსიო.

მიგუახლოვდი და თბილად ვუთხარი:

– გამართყი მარცხენა ლოყაზეც!

ჩემმა გამონვევამ სულ გააშმაგა. ნესტოები შეარხია და გასართყმელად მოემზადა. მარცხენა ლოყის მიშვერით მივანიშნე, რომ მზად ვიყავი, მისი ბრაზი ამეტანა.

გაათრებულს ღმუილი აღმოხდა. ხელები მომუშტა და ოთახიდან გავარდა. დანარჩენი და-ძმები ჩემს ლანძღვა-გინებას შეუდგნენ. გეგონება, მარცხენა ლოყის მიშვერით უფრო მეტი ძალადობა გამოვიჩინე, ვიდრე ჩემმა ძმამ – სახეში გართყმით.

ამ დროს გადავწყვიტე, სინამდვილისადმი მომერგო ის ცოდნა, უძირო ქაში მოგზაურობისას რომ ვეზიარე: გიყვარდეს მოყვარე იმ ზომამდე, რომ მისგან სისულელეც კი მიიღო. უპასუხო ძალადობას ძალადობითვე, იყო ერთგული პრინციპისა – თვალი თვალისა წილ, კბილი კბილისა წილ – მხოლოდ ძალადობის გამრავლებას, მეტიც, მის დაკანონებას ნიშნავს. ხოლო თუ ძალადობას სიყვარულით უპასუხებ, მის ჩაცხრობას შეძლებ. ამით მოწინააღმდეგეს აიძულებ, სარკვეში ჩაიხედოს და ზიზღისა და ბოროტებისგან მოქცეული, დამახინჯებული და გონჯი სახე დაინახოს. ჩემმა ძმამ საკუთარ დასახინჯებულ სახეს ვერ გაუძლო და გაქცევით უშველა თავს.

– ყველანი გაჩუმდით და მარტო დამტოვეთ იეშუასთან.

ბრძანებას ყველა უსიტყვოდ დაემორჩილა. მე და დედაჩემი მარტო დავრჩით. მან ყელზე შემომხვია ხელები და დიდხანს ღვარა ცხარე ცრემლები. მეც ნაზად გადავხვიე. ვიცოდი, რომ ცრემლები ხშირ შემთხვევაში ქვეშარტების აღიარების მაუწყებელია, მისი წინამორბედი.

– იეშუა, ჩემო იეშუა, ეს დღეები შენს მოსასმენად დავდიოდი და ძალიან ვღელავდი. მე უკვე აღარ მესმის შენი. შენ მამაშენზე ლაპარაკობ, გამუდმებით ასხენებ მას, იმეორებ მის სიტყვებს. არადა, შენ მას თითქმის არ იცნობდი.

– მამა, რომელსაც ვახსენებ, ღმერთია, დედა. განმართობისას, როცა ფიქრებს მივეცემი, მხოლოდ მას ვეკითხები რჩევას.

– მაშინ რატომ ამბობ „მამაჩემო“?

– იმიტომ, რომ ის მამაა ჩემი, შენი მამაცაა, მამაა ყველასი.

– შენ ზოგადი სიტყვებით მეტყველებ. ზოგადია შენი რჩევებიც. ამბობ, ყველა უნდა გიყვარდეთო, მაგრამ გიყვარს კი დედაშენი?

– ძნელი როდია იმ ადამიანების შეყვარება, რომლებსაც უყვარხარ.

– მიპასუხე! შეეშვი ზოგად სიტყვებს და ისე მიპასუხე!

– კი, მე შენ მიყვარხარ, დედა, ჩემი დებიც და ძმებიც მიყვარს! მაგრამ ეს არ კმარა. მნიშვნელოვანია, გვიყვარდეს ისინი, რომლებსაც არ ვუყვარვართ, მტრებიც კი.

– მაშინ მოიკრიბე ძალა. მტრები უდავოდ გეყოლება. გაქვს კი შეგნებული, საით მიდიხარ? როგორ ცხოვრებას უმზადებ საკუთარ თავს?

– არ მაინტერესებს საკუთარი ცხოვრება. მე ზოგადად ცხოვრება მაინტერესებს, როგორ მოვექცეთ მას, როგორ მოვიქცეთ მასთან. არ მსურს, მხოლოდ საკუთარი თავისთვის ვიცხოვრო, საკუთარი თავის გულისთვის მოვკვდე.

– როგორ? ოცნებები არ გაგაჩნია?

– არანაირი! მე მხოლოდ შემოძლია სხვას ვაუწყო ის, რასაც საკუთარ ნააზრევში ვპოულობ.

– სხვები! სხვები! ამოგიჩემებია. ჯერ საკუთარ თავზე იფიქრე! შენ დედაშენს ყოველგვარი იმედი გადაუწურე, სასოება წაართვი. მე კი მსურს, საკუთარი ცხოვრება მოიწყო.

– დედა, ჩემს სიღრმეში მე საკუთარ თავს კი არ ვპოულობ.

დედაჩემი ისევ აქვითინდა, მაგრამ ეს განსხვავებული ცრემლები იყო. ეს იყო ჩემთან მეტი თანხმობის მაუწყებელი ცრემლები.

– შენ ქუიდან გადადექი, ჩემო იეშუა.

– მე აღმოვჩნდი არჩევანის წინაშე. ან კარგი შემოიღოს გზას უნდა დავადგე, ან უნიათო, უნიჭო დურგლისას. ვამჯობინებ, კარგი შემოიღოს ვიყო.

დედაჩემის ზღუქუნს სიცილი შეეპარა. მისმა ცრემლებმა რალაცნაირად დამასუსტა. სასწრაფოდ განვერიდე ნაზარეთს.

უსიამოვნებებმა არ დაახანა ჩემ მიერ პირველი სასწაულებრივი განკურნების შემდეგ.

არ ვიცი, მომავალი რას შემოინახავს ჩემი ამჟამინდელი ცხოვრებიდან, მაგრამ მსურს, სასწრაფოდ შეწყდეს ჭორები, უკვე მძიმე ტვირთად რომ დამაზავა ზურგზე. დაყრილმა ხმებმა ხელ-ფეხი შემიბორკა. არადა, არ მინდა, სასწაულოქმედის რეპუტაცია დავიმკვიდრო.

პირველი სასწაული ისე მოვახდინე, ვერც მივხვდი, რა ჩავიძინე ან როგორ გამომივიდა. მხერას, სიტყვას ძალუძს ადამიანის განკურნება. ეს არავისთვის არაა საიდუმლო და არც მე ვარ პირველი მკურნალი პალესტინის მიწაზე. მე დავესწარი რიტუალს ბავშვობაში, როცა ნათანაელი, კანას დასტაქარი მძიმე ავადმყოფებს სახლში აკითხავდა. დრო უნდა დახარტო, არ ინქარო, შენში არსებულ მთელ ენერგიას ერთად მოუყარო თავი და თავი ტანჯულს მიუძღვნა. ზოგჯერ მისი ტკივილებიც კი უნდა შეიწოვო. შესაბამისად ნებისმიერს შეუძლია სნეულის განკურნება და მივიჩნიე, რომ მეც მმართვება სხვისი ტკივილების შემსუბუქება. დიახ, მე შევხევე ქრილობებს; დიახ, მე თვალებში შევხედე ტანჯვას; დიახ, მე ღამეები თეთრად მითენებია სნეულის სარეცელთან. დავუჭდებოდი წინ ხეიბარს და ვცდილობდი, ხელეებით გადამეცა მისთვის იმ ენერგიის ნაწილი, ჩემში რომ დუღდა. მათთან საათობით საუბარს არ ვიზარებდი, მსურდა, მათი ტკივილებისათვის გამოსავალი მეპოვა. მოვუწოდებდი ლოცვებისკენ, ვურჩევდი, სიყვარულის ჭა საკუთარ თავში თავადვე ეპოვათ. ერთნი ამას ახერხებდნენ და უკეთესად გრძობდნენ თავს, სხვანი – ვერა. თქმა რად უნდა, მე მიწახავს ფეხზე წამომდგარი დამბლადაცემულები, ფეხგასწორებული და გამართულად მოსიარულე კოჭლები. მიწახავს კეთროვანებიც, სხეულის დაშლა და ღმობა რომ შეუწყდათ; ქალები, სისხლის დენა რომ შეუჩერდათ; ყრუები, სმენა რომ დაიბრუნეს და საუბარში ჩაებნენ; გრძნეულნი, საკუთარი სხეულიდან ავი სულები რომ განდევნეს... სწორედ ეს ადამიანები შემორჩა ჩემს მახსოვრობას. დამავიწყდა ისინი, ვინც სამუდამოდ მიეჯაჭვა სარეცელს, ვინაიდან ვერც მათ და ვერც მე, მიუხედავად ჩვენი მცდელობისა, შედეგს ვერ მივალწიეთ. მე არ გამაჩნია არანაირი ძალა. მხოლოდ შემოძლია იმ კარის შეღებაში დავეხმარო, რომელიც ყოველს საკუთარ თავში არსებული ღმერთისკენ წაიყვანს. მეტსაც გეტყვით, თუ ვინმემ დახმარების ხელი არ გამომიწოდა, მე იმ კარის შეღებაც არ ძალმიძს.

იძულებული ვიყავი, ყოველი სნეულისთვის მეკითხა:

– გნამს? მხოლოდ რწმენას თუ შეუძლია ხსნა.

ძალიან მალე ჩემს შეკითხვას აღარავინ აქცევდა ყურადღებას. მას უბრალო ფორმალურად აღიქვამდნენ. ადამიანები ჩემკენ გამორბოდნენ, ვითარცა მწყურვალნი ძროხები სარწყულბუდისკენ და ირგვლივ ვერაფერს ხედავდნენ.

– კანის ავადმყოფობას კურნავთ?

– მტკივნეულ სისხლდენას?

შეკითხვებისგან ამოსუნთქვის საშუალებას არ მაძლევდნენ, გეგონება, წამლებით მოვაჭრეს მიადგნენო: „გაქვთ ეს საქონელი თქვენს ფარდულში?“

– გნამთ? მხოლოდ რწმენა თუ იხსნის ადამიანს, – ვპასუხობდი.

სულ ფუჭად. მათ ჩემი გრძნეულად გადაქცევა გადაეწყვიტათ. რამდენიც უნდა ამეხსნა, მაინც არაფერი გამომდიოდა.



ვერავის შევასმინე, რომ სასწაული მოწმენდილ ცაზე არ ხდება, რომ ის სულიერი აბრის მატარებელია და ორმხრივ რწმენას საჭიროებს. მკურნალიცა და განსაკურნიც აუცილებლად რწმენით უნდა განიმსჭვალოს.

მიგზავნიდნენ უქნარებს, ურჯულოებს – ადამიანებს, არც ღმერთისა და არც ეშმაკისა რომ არ სწამდათ. ათიდან ერთი წარმატებული მკურნალობაც საკმარისი იყო, ჩემი, როგორც სასწაულმოქმედის რეპუტაციას გაუგონარი მასშტაბებისთვის რომ მიეღწია.

გადავწყვიტე, ადამიანების მორჩენაზე აღარ მეზრუნა. მოწაფეებსაც სასტიკად ავუკრძალე ჩემთან სწეულთა მოყვანა. მაგრამ როგორ გინდა, გაუძლო ნამდვილ ტანჯვას? როცა გაელუღი ბავშვი ან უნაყოფო ქალი ჩემ წინ ცრემლად იღვრებოდა, გული ვერ უძლებდა და მიღებულ გადაწყვეტილებას ვღალატობდი.

გაუგებრობანი კი მრავლდებოდა და მრავლდებოდა. სიტუაცია მთლიანად გაექცა ჩემს კონტროლს. ისეთი სასწაულების ავტორად შემრაცხეს, მკურნალობასთან იოტისოდენა კავშირიც რომ არ ჰქონდა. თურმე ვილაცას საკუთარი თვალით უხილავს, ცარიელ კალათას – პურებით, ქვევრებს – ღვინით, ხოლო მეთევზეთა ბადეებს თევზით რომ ვავსებდი. მსგავსი რამეები მართლა მომხდარა, თავად შევსწრებივარ. მაგრამ ვფიქრობ, ყოველ მოვლენას ბუნებრივი ახსნა-განმარტებებიც მოეძებნებოდა. არაერთხელ ჩემს მოწაფეებშიც შემპარვია ეჭვი... არ არის გამორიცხული, ვნებით დაბრმავებულებს, როგორც ეს ყოველი ჭეშმარიტი იუდეველისთვისაა ნიშნული, ნანახი და გაგონილი თხრობისას ცოტათი გაებუქებინათ. საქმე ისაა, ჩემს მიმდევრებს თავიანთ ქმედებებშიც ზედმეტი მოსდიოდათ. განა მათ პირველებმა არ დაიწყეს ეგრეთ წოდებულ სასწაულებზე ყბედობა? განა თავად არ გაავსეს ეს ქვევრები ღვინით? განა თავად არ მომანწერეს ტიბერიადის ტბაში თევზების გუნდთა უცაბედი მომრავლება? ის კია, რომ ვერც ერთს ვერ დავადებ ხელს. უბრალოდ ვვარაუდობ. ან რა უნდა ვუსაყვედურო მათ? ისინიც ხომ ჩვეულებრივი მოკვდავები, აქაური უბრალო და ალალი ადამიანები არიან? აღფრთოვანებულები მაღმერთებენ და მეთაყვანებიან. ხშირად უწევთ მოწინააღმდეგეთა მოგერიება, საკუთარი ოჯახების წინაშე თავის მართლება. ძლიერმა გატაცებამ მათში საკუთარი ქვეყნის ისტორიის გაცნობისა და შესწავლის სურვილი გააღვივა. მათ სურთ, სხვებიც დაარწმუნონ და აიყოლიონ და როცა სხვისთვის რწმენის გადაცემა გადაწყვიტა, არ არის გამორიცხული, ჭეშმარიტებას ცოტა სიცრუეც წააშველო. ვიცი, ვიცი, ჩემ ნათქვამ ზოგიერთ ჭეშმარიტებას ტყუილი რომ დაამატეს. ისე კი, რატომ არ უნდა გამოიყენო მცდარი არგუმენტი, როცა ჭეშმარიტი არ ჭრის? და განა აქვს კი მნიშვნელობა, ესა თუ ის სასწაული აღსრულდა თუ არ აღსრულდა? დამნაშავენი მხოლოდ გულუბრყვილონი და მიმნდობნი არიან: ისინი, ვისაც სურთ მოტყუებულები იყვნენ.

ჩვენი ცხოვრება შეიცვალა. თუ გლახაკთა და სასწაულებზე მოწადირეთაგან ოდნავ მაინც ამოვისუნთქავდით, სამაგიეროდ, ფარისევლები, ღვთისმსახურები და კანონის მოძღვრები არ გვაძლევდნენ მოსვენებას. მიიჩნევდნენ, რომ უსაბზვროდ ბევრი ადამიანი გვიცდებდა ყურს. სამღვდელთა ვერ იგებდა ჩემს ქადაგებას. არ სჯეროდა, რომ მაღალმერთთან შესახვედრად ჩემი არსების სიღრმეში ჩავდიოდი და იქიდან ამოუწურავი სიყვარულის მარაგით ვბრუნდებოდი. მათ მხოლოდ დაწერილი კანონებისა სწამდათ. ინიშნავდნენ ყველაფერს, რასაც ჩემი რწმენა ადათ-ჩვევების ფორმალური დაცვის წინააღმდეგ მათქმევინებდა. რამდენჯერმე სწეულებს შაბათ დღესაც ვუმკურნალე, მივირთვი შაბათს, ვიმუშავე შაბათს... ჰქონდა კი დღეს მნიშვნელობა? შაბათი ადამიანისთვისაა მოგონილი და არა ადამიანი – შაბათისთვის. ბევრჯერ ვიმართლე თავი, გავამართლე ჩემი ახლობლებიც. შედეგად მხოლოდ ერთი რამ მოვიმკე: მე სიყვარულზე ვლაპარაკობდი, ჩემი მტრები კი მრავლდებოდნენ და ათასებს აღწევდნენ.

– როგორ ბედავ ღმერთის სახელით ლაპარაკს?

ახალ აზრს ადამიანები თავიდან აუცილებლად ეჭვის თვალით უყურებდნენ და მცდარად მიიჩნევდნენ. ფარისევლებს არ სურდათ, გაეგოთ ჩემთვის. პატივმოყვარე ადამიანად მომნათლეს.

– კი მაგრამ, როგორ ბედავ ღმერთის სახელით ლაპარაკს?

– იმიტომ, რომ ღმერთი ჩემშია.

– ეს მკრეხელობაა! ღმერთი ჩვენგან განცალკევებულად ცხოვრობს. ღმერთი ერთია და მიუღწეველი. შენსა და ღმერთს შორის უზარმაზარი უფსკვრულია.

– გარწმუნებთ, რომ ასე არაა. საკმარისია, საკუთარ თავში ჩავყვინთო, ჩავეშვა როგორც ჭაში და...

– ო, მკრეხელობა!

ისინი ფეხდაფეხ დაძვებოდნენ, მითვალთვალებდნენ, მოსვენებას არ მაძლევდნენ. მათი ბრბო ჩემი სანდლების ნაკვალევს თვალს არ აცილებდა. მიყფდნენ, სურდათ, ისევ თორას სიტყვისკენ მოვექციე. მე მათი არც გაღიზიანება და არც გამოწვევა მქონდა განზრახული. უბრალოდ, არ შემეძლო სიმართლე მიმეჩუმათებინა.

იერუსალიმში პასექის დღეებში და არც შემდეგ საერთოდ არ შემეშვნენ. ყოველ ცისმარე დღეს ახალ-ახალ ხაფანგს მიგებდნენ. ბევრს დავაღწიე თავი. ტექსტების ზედმიწევნით ცოდნა მშველოდა. ერთ მშვენიერ დილასაც ჩიხში მომამწყვდიე.

– მეძავო, ნათრეგო, როსკიპო, – მომესმა ყვირილი.

მოათრის ქალი, რომელსაც ქმრისთვის ელაღაბა. ნახევრად შიშველი, უმონყალოდ თმებით ათრის. არაფრად ჩააგდეს უბედური დიაცის შიშისა და სირცხვილის განცდა. მის ცხარე ცრემლებზე და ხვეწნა-მუდარაზე წარბიც არ შეხრიათ. აღგზნებული ბრბო გამახსენდა, ფალავანს გამოცდას რომ უწყობს და უძიმესი გრდემლის აწვეისკენ აქებებს.

თავით ფეხებამდე ხაფანგში გავები. ისრაელის კანონი ერთმნიშვნელოვანია: ავხორცი საპატარძლო უნდა ჩაიქოლოს. ასეთსავე ბედს იზიარებს ღალატში შემჩნეული ცოლიც.

ფარისევლებსა და კანონის მოძღვრებს ამ უბედურისთვის მრუშობის ადგილზე წაესწროთ, მამრისთვის გაქცევის საშუალება მიეცათ და ახლა კი დამნაშავეს ჩემ თვალწინ ჩაქოლვა განებრახათ. მშვენივრად იცოდნენ, რომ ვერ დავუშვებდი ძალადობას. მათთვის უფრო მნიშვნელოვანი ჩემი მკრეხელობაში მხილება იყო და არა იმ დანიშნულის მრუშობა.

ლაშაში, აცახცახებული, შიშისგან მკვდრისფერგადაკრული, თმაგაშლილი მსხვერპლი ორ ბანაკს შორის მოექცა. ერთს მისი სხნა სურდა, მეორეს კი ჩემთვის თავლაფის დასხმა.

მათ დასაბნევად, მუხლებზე დავეცი და სილაში ხატვას მოვყევი. ჩემი უცნაური ქმედება ფრიად გაიკვირვეს და ცოტა არ იყო, დაიბნენ. მე კიდევ ფიქრის დრო მომეცა. ცოტა ხანში ბრბომ ისევ ღრიალი მორთო:

– ჩვენ მოვკლავთ ამ საძაგელ მრუშს, ჩავქოლავთ. გესმის, ნაზარეველო? შენ თვალწინ ამოვხდით სულს.

უცნაური სცენა კი იყო. ისინი მე მემუქრებოდნენ და არა მოლაღატე დანიშნულს; ამ ქალის სიკვდილით მემუქრებოდნენ.

განვაგრძე ხატვა. ბრბოს ღვარძლის ამონთხევისა და დაშოშმინების საშუალება მივეცი. ყოველ შემთხვევაში, საქმე წინ გავიგდე. როცა მიხვდნენ, რომ ჩარევას არ ვაპირებდი, ავდექი და მშვიდად წარმოვთქვი:

– ვისაც არასოდეს შეუცოდავს, პირველმა ესროლოს ქვა.

ეს ხდებოდა ტაძრის გალავნის მიღმა. ყოველ მათგანს თვალი თვალში გავუყარე. ჩემი მზერა სიყვარულით კი არ იყო სავსე, არამედ შეუკავებელი ზიზღითა და ბრაზით, რამაც მათ, მგონი, შიში ჩაუსახა. ჩემი თვალები კითხულობდნენ:

– და შენ ამბობ, რომ არასოდეს შეგიცოდავს? შენ არ იყავი, გასულ კვირას დუქანში რომ მოგკარი თვალი? როგორ ბედავ, თავი წმინდანად წარმოაჩინო, როცა საკუთარი თვალით ვნახე, როგორ ელაციცებოდი წყლის მზიდავს ძუძუებზე. ან შენ, იქნებ გგონია, რომ არაფერი ვიცი იმის შესახებ, რაც გუშინწინ ჩაიდინე?

მოხუცებმა პირველებმა დაიხიეს უკან. ქვები ძირს დაყარეს, ზურგი შემომამქცის.

სისხლის სუნზე დაგვეილ ახალგაზრდებს არ სურდათ, სინდის-ნამუსისთვის მოეხმოთ.

მე მათ ირონიით აღსავსე მზერა მივაპყარი. ჩემი მზერა მათი დაბეზლებით იმუქრებოდა. ჩემი თვალები ამბობდნენ:

– მე ვიცნობ იუდეასა და გალილეაში მცხოვრებ ყველა მეძავს. ჩემთან წმინდანისა და უცოდველის თამაში არ გამოვიგათ. ზეპირად ვიცი ყველა მრუშის სახელი და გვარი. ყველაფერი ვიცი, ყველაფერი. შემიძლია, ყველა გამხილოთ!

ახალგაზრდებმაც იკადრეს თვალების დახრა და უკან დახვევა. მხოლოდ ერთი გამიძალიანდა და ძალიან თავხედურად შემომექცეოდა. წარბიც არ შეუხრია. ყველაზე ყრმა ჩანდა. ალბათ, თვრამეტი წლისა თუ იქნებოდა. დასაშვებია თუ არა, რომ გაფიცებულსა და გაგულსებულს საკუთარი უცოდველობისა ერწმუნა? იქნებ ახლახანს შერთო ცოლი, არც უღალატია მისთვის და არც მომავალში აპირებდა ერთგულების ფიცის დარღვევას? თავის თავში ზედმეტად დარწმუნებული გაჯგმული იდგა. დარწმუნებული იმამიც, რომ კანონი მოლაღატის ჩაქოლვის სრულ უფლებას ანიჭებდა.

მზერა ავარიდე. მისი უკვე აღარ მემიწოდა. არც მე ვიწვევდი საჩხუბრად, არც ვემუქრებოდი, უბრალოდ თბილად ვკითხე:

– დარწმუნებული ხარ, რომ არ შეგიცოდავს? მე მიყვარხარ ისეთი, როგორიც ხარ და რა მოხდა მერე, თუ ერთხელ მაინც შესცოდე.

ახალგაზრდა შეკრთა, თვალები მოჭუტა. ჩემგან ყველაფერს მოელოდა, გარდა სიყვარულისა. ამხანაგებმა სახელოზე გამოქაჩეს და მისი გაყვანა სცადეს. „თავს ნუ გამიხასხარავებ, წამოდი. შენ მაინც ვერ იტყვი, რომ არ შეგიცოდავს!“ დამარცხებული ყრმა თანამოაზრეთა ნებას დაჰყვა.

მართლ დავრჩი ვერხვის ფოთოლივით მოცახცახე ქალთან ერთად. უწინდებურად დამფრთხალი ჩანდა, მაგრამ ამჯერად განსხვავებულ შიშს შეეპყრო. სიკვდილის შიში გაქრობოდა, მაგრამ ახლა ის ანღვლებდა, რომ რაღაცას ვერ ჩაწვდა.

ღიმილით მისი დამშვიდება ვცადე.

– სად არიან ისინი, ამას წინათ ბრალს რომ დაგებდნენ? ნუთუ სასჯელის აღმსრულებელი აღარავინ დარჩა? მაშ, ვინღა იტვირთებს სასჯელის აღსრულებას?

– აღარავინ.

– არც მე განგსკი. გაეცალე აქაურობას და ამიერიდან არა იმრუშო.

ემშაკობამ კიდევ ერთხელ გადამარჩინა. ისე კი, დაგებულმა ხაფანგებმა ქანცი გამიწყვიტა. მოწაფეები ჩემი წარმატებისაგან აღფრთოვანებას ვეღარ მაღავედნენ. მე ვცდილობდი დამერწმუნებინა, რომ წარმატება სხვა არაფერია, თუ არა გაუგებრობა. იმასაც ხშირად ვახსენებდი, რომ ჩვენი მტრების რაოდენობა ბევრად სწრაფად მატულობდა, ვიდრე ჩვენი მეგობრებისა.

ჩვენ ყველამ გალილეს შევაფარეთ თავი.

უძლურება ბოლოს მიღებდა. დავიღალე იმის მუდმივი განმეორებისგან, რის შესმენაც არავის სურდა, ვიღლებოდი ყრუებთან ლაპარაკისგან. სწორედ ამ დროს დაიკავა იეჰუდა ისკარიოტელმა მნიშვნელოვანი ადგილი ჩემს ცხოვრებაში.

სხვა მოწაფეებისგან განსხვავებით, იეჰუდა წარმოშობით იუდეველი იყო და არა გალილეელი. სხვებზე უფრო განათლებული გახლდათ. იცოდა კითხვაც და თვლაც. მალე ის ჩვენი ხაზინადარი გახდა და ალაღად ურიგებდა გზად შემხვედრ უპოვართ ყველაფერს, რაც მოწყალებიდან შემოგვრჩებოდა. ტიბერიადის ყოფილი მეთევზეებისგან მას ქალაქელისათვის ნიშნეული ქცევა და საუბრის კილო მკვეთრად გამოარჩევდა. იერუსალიმში დაბადებულს ჩვენს ჯგუფში განსხვავებული სიო შემოჰქონდა. მიყვარდა მასთან მასლაათი. იეჰუდა სულ მალე ჩემი საყვარელი მოწაფე გახდა.

შემიძლია ვაღიარო, რომ იეჰუდაზე ძლიერ ცხოვრებაში არავინ მყვარებია. მხოლოდ მასთან, მხოლოდ და მხოლოდ მასთან თუ შემეძლო ღმერთთან ჩემს ურთიერთობაზე შელაპარაკა.

– ის ისე ახლოა ჩემთან, ისეთი ახლობელია.

– ის აქ მხოლოდ შენთვისაა, ის მხოლოდ შენშია. ჩვენ მას ვერ ვპოულობთ.

– იბოვით. მხოლოდ უკეთ უნდა ეცადოთ, იეჰუდა.

– ვცდილობ. ყოველდღიურ ძალისხმევას არ ვაკლებ. მაგრამ ჩემში უძირო ჭას ვეღარ ვაგნებ. ვინაიდან შენ გვერდით ვცხოვრობ, მე ეს არც მჭირდება.

იეჰუდამ ღმერთთან ჩემი ურთიერთობის განსხვავებულობაში დამარწმუნა. მე აღარ ვიყავი რაბინი, წმინდა წერილში სინათლეს ვეღარ ვპოულობდი. აღარც წინასწარმეტყველი ვიყავი იმიტომ, რომ მხოლოდ დამოწმება შემეძლო და არა წინასწარ განჭვრეტა და გამოცხადება. სინათლის უძირო ჭაში ჩაყვინთვის წყალობით სამყაროს განსჯის უნარი შემწედა. მე მისი განახლება მსურდა.

– ნუ მაღავ სახეს, იეჰუა, შენ ბრწყინვალედ მოგეხსენება, თუ რას ნიშნავს ეს. იოჰანან განმბანველმა ყველას დაასწრო: შენ ის ხარ, ძე ღმერთისა.

– იეჰუდა, გიკრძალავ ამ სისულელეების გამეორებას. მე ადამიანის ძე ვარ და არა ღმერთის!

– მაშინ რატომ ამბობ, „მამაო ჩემო“.

– შეწყვიტე ხუმრობა!

– და რატომ ამბობ, რომ მას შენში პოულობ?

– ნუ თამაშობ სიტყვებით. მესია რომ ვიყო, მეცოდინებოდა.

– შენ იცი ეს. წინასწარმეტყველისათვის აუცილებელ ნიშან-თვისებებსაც ფლობ, უბრალოდ მათი დანახვა არ გსურს.

– გაჩუმდი! გაჩუმდი ერთხელ და სამუდამოდ!

არა მგონია, იეჰუდა ყოფილიყო დამნაშავე ხმების გავრცელებაში. ეჭვგარეშეა, რომ ჭორები ჩემ შესახებ თავისთავად ვრცელდებოდა, ებრაელები ხომ, როგორც ეს ყოველი ერისთვისაა ნიშნული, საგნებზე საკუთარი სურვილებისა და მოლოდინის მიხედვით მსჯელობენ. ჭორები ვრცელდებოდა, გიგანტურ მასშტაბებს იძენდა, საშიში და აღმაშფოთებელი ხდებოდა. ჭორის ქარბუქმა უფრო სწრაფად გადაუარა გალილეის სახურავებს, ვიდრე გაზაფხულის სწრაფწარმაგვალმა სეტყვამ: იეჰუა ნაზარეტელი წმინდა წერილში გაცხადებულ მესიად შერაცხეს.

საჯაროდ გამოჩენა და შეკითხვის დასმა ერთი იყო:

– შენ ღმერთის ძე ხარ?

– ვინ გითხრა ეს?

– მიპასუხე. მართლა ღმერთის ძე ხარ?

– ამას შენ ამბობ და არა მე.

სხვა პასუხი მე არ გამაჩნდა – „ამას შენ ამბობ და არა მე“. საწინააღმდეგოს მტკიცება არც არასოდეს მიცდია. ვერც გავბედავდი, მეღიარებინა, ქრისტე რომ ვიყავი. მე მხოლოდ ღმერთსა და მის სინათლეზე შემეძლო მესაუბრა; ასევე – საკუთარ სინათლეზე, ასე ძლიერ რომ გიბგიზებდა ჩემში. სხვაზე არაფერზე. სხვები კი პირში უსინდისოდ მეჩრებოდნენ და ჩემ მაგივრად განაგრძობდნენ ლაპარაკს. და მერე როგორ აზვიადებდნენ! ისინიც, რომლებსაც ვუყვარდი და ქება-დიდებას მასხამდნენ და ისინიც, ვინც ჩემ დაპატიმრებასა და სიკვდილს ნატრობდნენ.

– იეჰუდა, გემუდარები, როგორმე გააქარწყლე ეს უგუნური მონაჩმახი. ჩემში არაფერია განსაკუთრებული, გარდა იმისა, რაც ღმერთმა მიბოძა.

– სწორედ ამას იმონებეს ჭორიც, იეჰუა, შენში განსაკუთრებულია ის, რაც ღმერთმა გიბოძა. მან შენ ამოგიჩრია. ღმერთმა სწორედ შენ გამოგარჩია სხვებისგან.

იეჰუდა მთელი ღამეები იქექებოდა წინასწარმეტყველთა ქადაგებებში. ჩემი ცხოვრების დეტალებში ელიას, იერემიას, იეზეთუ ობეს წინასწარმეტყველებათა ხორცშესხმას ხედავდა.

მე პროტესტს ვაცხადებდი:

– ეს სასაცილოა, უმნიშვნელო და უბადრუკია. თუ შედარებებში ჩაეფლობი, მსგავსებას მესიასთან ნებისმიერ მოკვდავს აღმოუჩენ.

იეჰუდა ზედმიწევნით იცნობდა წმინდა წერილს. ჩემს სულით ხორცამდე შეძრვასაც ახერხებდა დროდადრო. მაგრამ მე უწინდებურად ვუარობდი. განკურნებას, იძულებით თავს რომ მახვევდნენ, უფრო და უფრო მეტ უწინდობლბას ვუცხადებდი – იეჰუდა და მონაფეები ჩემს დაჟინებულ უარში წინასწარმეტყველებათა კიდევ ერთ დასტურს პოულობდნენ. დასტურს იმისა, რომ მესია მე ვიყავი.

ბრაზი მუდმივ თანამგზავრად მექცა. ეს ამბავი უდაბნოდან დაბრუნებისას სიხარულსა და აღმაფრენაში დაიწყო, გაგრძელებას კი უკვე ვეღარ ვაკონტროლებდი. დასაბამის ღამაში და მიმზიდველი თავგადასავალი წარსულს ჩაბარდა. მეგობრები თუ მტრები გაცილებით მეტს მომანერდნენ, ვიდრე ვამბობდი, ვაკეთებდი და გავცემდი.

სწორედ ამ დროს მიხმო თავისთან ჰეროდემ, გალილეის მმართველმა. სასახლეში მიმიღო, მთელი თავისი აურაცხელი სიმდიდრე მაჩვენა, გამაცნო კარისკაცები და კურტიანები. ბოლოს მოწმეთა მხერას მოშორებულნი ორ სვეტს შუა განვმარტოვდი.

– იოჰანან მყვინთველი ამბობს, რომ მესია ხარ.

– იოჰანანი აცხადებს ამას, მე ხომ არა.

– მე მას ქეშმარიტ წინასწარმეტყველად მივიჩნევ და მჯერა მისი.

– ირწმუნე ის, რისი რწმენის სურვილიც გაქვს.

ჰეროდე ზეიმობდა. ჩემს პასუხებს გავრცელებული ჭორების დასტურად აღიქვამდა.

– ჰეროდე! მე არ ვარ მესია და არც მაქვს უფლება, ამ ტიტულზე პრეტენზია მქონდეს. მე მიყვარს ადამიანების გარემოცვა, იქ თავს საჭიროდ და სარგებლობის მომტანად ვგრძნობ. ვხედავ, რომ მომიწევს მსგავს ცხოვრებაზე უარის თქმა და განდეგილის ბედის გაზიარება.

– უბედურო, ნუ განუდგები ქვეყანას ვილაც განდეგილივით, ან ფილოსოფოსივით. ამით რას მოიგებ? ნახევარი პალესტინა უკვე მზადაა, გამოგყვეს. ხალხის აზრი უნდა გაიზიარო, მათი თანადგომის მოპოვება და წინამძღოლობა თუ გნადა. კაცობრიობა საკუთარი ილუზიებით უნდა მართო. ცეზარმა მშვენივრად უწყოდა, ვენერას ძე რომ არ იყო, მაგრამ ყველა აიძულა, ერწმუნა ეს და კეისარიც გახდა.

– შენი მსჯელობა ბილწია და საზიზღარი, ჰეროდე. მე არ მსურს, კეისარი ან ისრაელის მბრძანებელი, ან კიდევ სხვა ვინმე გავხდე. პოლიტიკა ჩემი საქმე არ არის!

– რა მნიშვნელობა აქვს ამას, იეშუა? მოგვეცი საშუალება, შენი მაგივრობა ჩვენ გავწიოთ.

სასახლის დატოვებისას ჩემი გადაწყვეტილება კიდევ უფრო განმიმტკიცდა. მორჩა, საჯარო ცხოვრებასთან ყოველგვარი კავშირი უნდა გავწყვიტო – ყველაფერზე უარს ვიტყვი, სიცოცხლეს სრულიად მართო უდაბნოში დავასრულებ. მე უკან ვიხევ. ახლა ისლა დამრჩენია, ჩემი გადაწყვეტილების შესახებ მოწაფეებს ვაუწყო და ჯგუფი დავშალო.

სამწუხაროდ, ჩვენ ნაინში მოგვიწია შევლამ. ამ სოფლის გადაჭრის შემდეგ ჩემთვის მომავალი სრულიად ნათელი გახდა.

\*\*\*

ნაზარეთის სამხრეთით მდებარე ნაინს ბავშვობიდან მოყოლებული არაერთხელ ვწვევივარ. როცა მე და მოწაფეები ამ სოფელს მივუახლოვდით, სამგლოვიარო პროცესია შემოგვხვდა. ასაფლავებდნენ ახალგაზრდა ყმაწვილს, სახელად ამოსს.

დედამისი რებეკა – ჩემი ყრმობის სიყვარული რებეკა; რებეკა, კინაღამ ცოლად რომ შევირთე – წინ მიაბიჭებდა, სასონარკვეთილი და მორჩილი, გეგონება, სამუდამო პატიმრობა მიუსაჯესო.

რებეკა რამდენიმე წლის წინ დაქვრივდა. ამოსი მისი ერთადერთი ვაჟიშვილი იყო. ახლა რებეკამ ყველაფერი დაკარგა. რომ დამინახა, დიდი თვალეხი მომაპყრო. მის მზერაში ვერც სიმწარე, ვერც ბრაზი და ვერც ამბოხი ვერ ამოვიკითხე. მისი თვალეხი მხოლოდ მეუბნებოდნენ, რომ გამიმართლა ცხოვრებაში, ოჯახი რომ არ მყავდა, რომ მთელ კაცობრიობაზე ვბრუნავდი, რომ ყველა ჩემი სადარდელები იყო, ყველას ბედ-იღბალს ერთნაირად განვიცდიდი და არა ერთი რომელიმე გამორჩეული ადამიანისას.

ერთდროულად შეცოდებისა და დანაშაულის განცდა დამეუფლა. მისი ცხოვრების თანამგზავრი რომ გავმხდარიყავი, რებეკა ნუთუ მაინც არ ასცდებოდა გლოვას?

შთაგონებულმა პროცესიას შეჩერება ვთხოვე. ბავშვის ნახვა მსურდა. კუბოს მივუახლოვდი, ამოსის ხელები ავიტაცე და ჩემს ცხოვრებაში ყველაზე სასონარმკვეთ ლოცვაში გადავეშვი.

– მამაჩემო, მოახერხე ისე, რომ ამოსი არ მოკვდეს. დაუბრუნე მას სიცოცხლის უფლება, დაუბრუნე რებეკას ბედნიერება.

ვლოცულობდი სასონარმკვეთი. არაფერს მოველოდი მისგან. უბრალოდ ვლოცულობდი. ლოცვა ჩემთვის ის გამოქვაბული იყო, სადაც შემეძლო ჩემი მწუხარება გადამეშალა.

ამოსის თითები ჩემს ხელებს ჩაებლაუჭა. ბავშვი ნელ-ნელა ნელში გაიმართა.

ირგვლივ სიხარულის ყიჟინა გაისმა. ბედნიერებით აღტყინებული ორი პროცესია ერთ მთლიანობად იქცა. ჩემი მოწაფეები და რამდენიმე წამის წინ მძიმე მწუხარებით დათრგუნული ნაინელები ერთმანეთს შეერწყნენ. მხოლოდ ჩვენ სამნი – მე, რებეკა და ამოსი ვიდექით ენახავარდნილები. საკუთარ თავს ვეკითხებოდით, თუ რა მოხდა. სასწაულს ვერ ვიჭერებდით.

ბავშვმა იმ საღამოსვე ამოიღვა ენა. დედა-შვილი ჩემ სანახავად მოვიდა. გახარებულები თავდავიწყებით მკოცნიდნენ და მეხვეოდნენ. მე კი მდუმარებამ მომიცვა.

შუალამისას, ზეთისხილის ხის ქვეშ როცა ვიჯექი, იეჰუდა მომიახლოვდა.

– მაშ, იეშუა, როდის მოიშლი ქეშმარიტების უარყოფას. შენ ის გააცოცხლე, მკვდრეთით აღადგინე.

– მე ამაში დარწმუნებული არ ვარ, იეჰუდა. მე და შენ კარგად მოგვეხსენება, რაოდენ ძნელია სიკვდილის ამოცნობა. იცი, რამდენი ცოცხალი ადამიანი დაუმარხავთ? შესაძლოა, სწორედ ამის თავიდან ასაცილებლად ვტოვებთ ჩვენს მიცვალებულებს გამოქვაბულში კარგა ხანს. იქნებ ბავშვი სულაც არ იყო მკვდარი? იქნებ მხოლოდ ღრმად ეძინა?

– ნუთუ გჯერა, რომ დედამისი რებეკა მწარედ შეცდა და ჩაძინებული ბავშვი სასაფლაოზე გააქანა?

ისევ წამერთვა მეტყველების უნარი. მერჩივნა, კრინტი არ დამეძრა. პირი რომ გამეღო, იმის მაგივრად, რომ შესმენილი ლოცვისათვის უფლისთვის მადლობა შემეწირა, ჩემი ბაგეებიდან მსგავსი ნიშნებისათვის, მსგავსი შიშის ჩასახვისათვის ლანძღვის გარდა არაფერი გადმოიღვრებოდა.

მე არ ვეთანხმებოდი. არ მსურდა, სხვებისგან აგრერიგად გამოვეჩინე, ზედმიწევნით ვიცოდი, რა უღელში შემბამდა მსგავსი პატივი. მე ვუარობდი, ვუარობდი მსგავს ბედ-იღბალს. მრჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ღმერთი დუელში გამოვიწვიე. მას კი სურდა, მისი გამარჯვება მეღიარებინა. განმაიარალა, ექვები გამიქრო. მისი ფალავანი რომ გავმხდარიყავი, ჯერ უნდა დავერწმუნებინე. ისიც ვიცოდი, რომ ის ყველაზე ძლიერი როდი იყო, რომ ჩემი თანხმობის გარეშე ვერაფერს მიაღწევდა. მე

მქონდა შანსი, შემეძლო მისი მინიშნებებისთვის ზურგი შემეცქია, თავიდან ამეცდინა გამოღვიძება და დავრჩენილიყავი ჩემ მიერ დასმული შეკითხვების ბუნდოვან სამყაროში. მე ღმერთს უმონყალოდ ავუკანყდი.

დილით ცა მოკრიალდა, მამალმა ყელი ჩაიწმინდა. ღონემილეულს ჩამეძინა.

როცა თვალი გავახილე, ფარ-ხმალი დავყარე, დავთანხმდი ღმერთს, ძლიერ ვყვარებოდი.

იეჰუდას, ჩემს საყვარელ მოწაფეს ვუხმე. ვიცოდი, რომ უკეთეს ძღვენს მისთვის ვერ მოვიფიქრებდი, ვიდრე ის სიტყვების, რომელთა წარმოთქმას ვაპირებდი.

– იეჰუდა, მე არ ვიცი, ვინ ვარ სინამდვილეში. სამაგიეროდ, ვიცი, რომ ჩემში ჩემზე ბევრად ძლიერი და ამალღებული ცოცხლობს. იმ სიყვარულით, რომელიც უფალმა არაერთხელ დამიმტკიცა, ვხვდები, რომ ჩემგან ბევრს მოელის. იეჰუდა, გეუბნები შენ, საკუთარ თავს გავურთავი. ეს გარიგება გულის სიღრმეში მოხდა. გეუბნები შენ, რომ მე ვარ ის, ვისაც მთელი ისრაელი მოელის. ახლა მე ნამდვილად მწამს და ვაღიარებ, რომ ღმერთის ძე ვარ.

იეჰუდა მიწაზე განერთხო და კოჭებზე შემომაქდო ხელები. დიდხანს განძრევის საშუალება არ მომცა. ფეხის თითები ცრემლებით დამისველა.

საბრალო იეჰუდა, ჩემ დარად ისიც სიხარულისა და ბედნიერების ზღვაში ცურავდა. მაშინ როდი უწყოდა, ეს დილა როგორ ღამეს მიგვაყენებდა. არც ის, თუ რა საზღაურს ითხოვდა ეს გარიგება ჩვენგან.

\*\*\*

ამ საღამოს ბაღში სიკვდილი მელოდებოდა. ზეთისხილის ნარგავებს მიწისფერი გადაეკრა. კუტკალები სიყვარულს მისცემიან მთვარე-მაჭანკლის მზერის ქვეშ. ვისურვებდი, იმ ორი ცისფერი კედრიდან ერთ-ერთი ვიყო, რომლის ტოტებში ღამით მტრედები თავშესაფარს პოულობდნენ, დღისით კი პატარა ხმაურიანი ბაზრებისთვის ჩრდილსა და სიგრილეს არ იშურებდნენ. მინდა, რომ მიწაში ღრმად გავიდვარ ფესვები. მსურს, უდარდელი ვიყო და ირგვლივ მხოლოდ სიყვარული ვაფრქვიო.

მე მიმოვაბნე მარცვლები, რომელთა გაღვივებას, აღმოცენებასა და გაფურჩქვნას ვერ მოვესწრები. ველი კოჰორტას, რომელიც ჩემ დასაპატიმრებლად გამოცხადებას არ დაახანებს. მამაჩემო, მიბოძე ძალა, მომეც სიმხნევე და გამბედაობა, რათა ამ ბაღში, რომელიც ასეთი გულგრილია ჩემი დარდისა და სევდისადმი, აღვასრულო ის, რაც სიგიჟის უამს, ჩემ მოვალეობად მივიჩნიე...

\*\*\*

საკუთარ თავთან დადებული გარიგებიდან რამდენიმე დღის შემდეგ ჰეროდემ იოჰანან მყვინთველი დააპატიმრა და მაჰერონის ციხესიმაგრეში გამოამწყვდია. ჰეროდიადმა, მისი ახალი მეუღლე წინასწარმეტყველის თავს ითხოვდა – წინასწარმეტყველისა, მისი ქორწინების ლანძღვა-გინება რომ გაეხდებოდა.

შემფოთებულმა იოჰანანმა ციხიდან ჩემს მისამართზე გზავნილი აფერინა.

„ხარ თუ არა ნამდვილად ის, რომელიც უნდა გამოგვეცხადოს? ხარ თუ არა ქრისტე? თუ მე სხვისი ლოდინი მმართველს?“

ვიცოდი, რომ იოჰანანი ორჭოფობდა. მას საკუთარ თავში კი არ ეპარებოდა ეჭვი, არამედ ჩემში. უკვირდა, რომ დროს მეტწილად მდაბიო თავყანისმცემლებთან ვატარებდი. მსაყვედურობდა, მოწაფეებთან ერთად არც საქმელს და არც სასმელს რომ არ ვიკლებდი. თვითონ ხომ უმკაცრესი ასკეტი იყო. ვერ გაეგო, ასე რატომ ვაყოვნებდი გამოცხადებას.

ორ შიკრიკს მოვახსენე: „გადაეცით იოჰანანს, რაც ჩავიდინე: ბრმებს თვალი აეხილათ, კოჭლები გამართულად დადინან, კუთროვანები განიკურნენ, ყრუებს სმენა დაუბრუნდათ. გასახარი ამბავი გახმოვანდა. დაე, იყოს ბედნიერი და სწამდეს! დაე, ჰქონდეს იმედი ჩემი! მე მას არ გავანზილბ.“

პირველად განვაცხადე, რომ მზად ვიყავი, მიმეღო ჩემთვის გამზადებული ბედ-ილბალი. საუბედუროდ, შიკრიკებმა ამბის ჩატანა ვერ მოასწრეს – იოჰანანისთვის თავი მოეკვეთათ.

ჩემი მოწაფეები, რომელთაგან ბევრი თავიდან იოჰანანის მიმდევარი იყო, აღშფოთებას ვერ მალავდნენ.

– აიღე ხელში ძალაუფლება, იეჰუდა. ნუ მისცემ უდანაშაულო ადამიანების დასჯის უფლებას. დააარსე საკუთარი სამეფო. ჩვენ შენ გამოგყვებით, გალილეა შენთან იქნება. წინააღმდეგ შემთხვევაში, შენც იოჰანანის ბედს გაიზიარებ, შესაძლოა უარესიც დაგმართოს.

მათ გაფიცებულ გამოსვლებს კი ვუსმენდი, მაგრამ გულის სიღრმეში არ ვეთანხმებოდი. რაც უფრო მეტს ვფიქრობდი, მით უფრო ნათელი ხდებოდა ჩემთვის, რომ არანაირი უფლება არ მქონდა, სხვის ადგილს წავპოტინებოდი, ან ვინმეს ტახტს დაეპატრონებოდი. მე ადამიანთა წინამძღოლი და მბრძანებელი ვერ ვიქნებოდი, მხოლოდ ადამიანთა სულების მბრძანებელი შეიძლება ვაგმზადრიყავი. დიახ, მე მსურდა სამყაროს გარდაქმნა, მისი ძირფესვიანად შეცვლა, მაგრამ არა ისე, როგორც ამას სხვები მოითხოვდნენ ჩემგან. მე არ მოვანყობდი ჯანყს და არ ჩავუდგებოდი უპოვართა, გლახაკთა, უმწეოთა, განკიცხულთა და დამცირებულ ქალთა მღელვარებას, რათა პალესტინა იერიშით ამეღო და არსებული ხელისუფლება დამეხო, პატივი ამეყარა და სიმდიდრე წამერთმია. სხვებს ჩემი მაგალითით შთაგონებულებს თავისუფლად შეეძლოთ, მსგავსი ქმედება თავად ეტვირთათ. ერთადერთი რევოლუცია, რომლისკენაც მე მოვუწოდებდი, მხოლოდ შინაგანი, მხოლოდ სულიერი შეიძლება ყოფილიყო. გარე სამყაროს დამორჩილების სურვილი მე არც არასოდეს მქონია, იმ სამყაროს, კეისარს, პილატეს, ბანკირებსა და ვაჭრებს რომ ეკუთვნოდათ. მე მხოლოდ შინაგან სამყაროს ველტვოდი, მხოლოდ სულიერებას ვესწრაფვოდი.

– დედამიწა ადამიანებს გადაეცათ. და რად აქციეს ის? დავუბრუნოთ ღმერთს! გავაუქმოთ ერები და რასები, აღმოვფხვრათ სიძულვილი და ჩაგვრა, ნუ შევბლაღავთ სიმართლეს, ვთქვათ უარი პატივსა და პრივილეგიებზე. დავანგრეთ კიბე, რომელზეც ერთნი ზემოთ მიიწევენ, სხვანი კი ძირს ეშვებიან. რა საქმეა ფული, რომელიც მხოლოდ მდიდრებსა და ღარიბებს, მბრძანებლებსა და მორჩილთ თუ შობს; ფული, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა მუდმივი შიშის, სიხარბის,

სამშრომლის, არასტაბილურობის, ომების, ძალადობისა და სისასტიკის წყარო. ფული დღენიდაც ადამიანთა გამყოფ კედელს აშენებს. მოდი, ამას ყველაფერს საკუთარ სულში გავუწვდეთ, სასაკლავო მოვუწყოთ ბოროტ აზრებსა და ყალბ ფასეულობებს. ვერანაირი ტახტით, კვერთხით თუ შუბით ვერ განვიწმინდებით, თუ ქვეშეშარტ სიყვარულს არ გავუხსნი გულს. ჩემი სამფლობელოსკენ მიმავალ გზას ყოველი თავის თავში იპოვის. ეს სხვა არაფერია, თუ არა იდეალი, ოცნება და ნოსტალგია. ყველას უფეთქავს გული და ამ გულით დაატარებს სანუკვარ ოცნებას. ვინ ვერ გრძნობს თავს ღმერთის ძედ, რომელსაც თითქმის არ იცნობს? ვინ უარობს, ნებისმიერ ადამიანში საკუთარი ძმა შეიცნოს? ჩემი სამეფო უკვე არსებობს. ის თითოეული ადამიანის იმედებსა და ოცნებაშია. მარადი სიყვარულის კოცონი უკვე დაინთო, მაგრამ მისი ალი ჯერ კიდევ სუსტია, ხან კიდევ მიინავლება ხოლმე, ვინაიდან სულ მის ჩაქრობას ლამობენ. მე მხოლოდ იმიტომ ვლაპარაკობ, რომ სიმხნევე შეგმატოთ, რათა იყოთ ისეთები, როგორებიც ხართ, გაბედოთ შეყვარება. ღმერთი მაშინაც კი მუდმივ სრულყოფასა და დახვეწას საჭიროებს, როცა ჩვენს შორისაა. და კიდევ ერთი რამ იცოდეთ: ღმერთი სიმორცხვისგან არ იტანჯება.

გალილეის მცხოვრებლებს პირი დაელოთ. ისინი ხომ პირთი ისმენენ, ყურები კი დახული აქვთ, ყურებით არაფერი ესმით. ჩემი სიტყვები ერთ თავის ქალაზე ასხლტებოდნენ და მეორეს ეხეთქებოდნენ, შიგნით გზას ვერ იკვლევდნენ. გალილეის მობინადრენი მხოლოდ ჩემ მიერ ქმნილ სასწაულებს აფასებდნენ.

იძულებული გახვდით, უმკაცრესი ზომებისათვის მიმემართა. მოსწავლეებს ვუბრძანე, ჩემ სიახლოვეს არც ერთი სწული არ გაეკარებინათ. შეუძლოთა, სწულთა ნაკადის შეკავება შეუძლებელი აღმოჩნდა. მათ ფანჯრებიდან, მეტიც, ზოგჯერ სახურავებიდანაც შემოაპარებდნენ ხოლმე. ტიბერიადის ტბაზე წავს შევაფარე თავი, ნაპირს გავცდი და იქიდან ველაპარაკე სოფლის მცხოვრებლებს. არ ვისურვე, მომკარებოდნენ და მათი ხვეწნა-მუდარისათვის ყური მეგდო. ჩემი ცდა ფუჭი გამოდგა. ჩემს ქადაგებას მხოლოდ იმიტომ იტანდნენ, რომ ჩემ მიმართ კეთილგანწყობილნი იყვნენ. გეგონება, სადილზე მისატანებლები უკვე მიირთვეს და ახლა ხორციანი კერძისთვის – სასწაულისთვის – ილესავენ კბილებსო.

მე უფლის მოხელედ ვიქეცი. ჩემგან მხოლოდ მოქმედებას ელოდნენ. მზად იყვნენ, საათობით რიგში მდგარიყვნენ. მათ ჩემი ბეჭედი, ჩემი დამლა ანუ თუნდაც უმნიშვნელო სასწაულის აღსრულება სჭირდებოდათ. და მაშინ საღსალამათი მაყურებლები თუ განკურნებული სწულები იქაურობას თავის ქნევით ტოვებდნენ, კმაყოფილნი იმით, რომ ყველაფერი საკუთარი თვალით იხილეს.

– კი, კი, ნამდვილად ღმერთის ძეა!

ჩემს ნათქვამზე კი ყურსაც არ იბერტყავდნენ, მეხსიერებაში ერთი სიტყვაც კი არ რჩებოდათ. ჩემში მორჩილთა ქომაგი და მოსარჩლე იპოვეს, აქვე, შორიახლოს რომ დგას და ნებისმიერ მომენტში შეგიმსუბუქებს ცხოვრებას.

– რა ბედნიერებაა, ჩვენთან, გალილეაში რომ დამკვიდრდა!

ერთხელაც ერთ პატარა სოფელში, სადაც დროებით შევყოვნდით, ჩემ სანახავად ჩამოსულმა დედაჩემმა და ჩემმა ძმებმა უზარმაზარი ბრბოს შუაზე გახლენა მოახერხეს. ვიცოდი, რომ ჩემები დამცინოდნენ, პატივმოყვარედ და შეშლილად მიმიჩნევდნენ. რამდენჯერმე ხმაც მომაწვდინეს, მევედრებოდნენ, ღმერთის როლის შესრულებაზე ხელი ამეღო. რადგან არასოდეს ვპასუხობდი, ამჟამად თავად მეახლენ, რათა ოჯახურ თათბირზე მიღებული გადაწყვეტილება ძალით მოეხვიათ თავს. დუქანს, სადაც მე და ჩემმა მოწაფეებმა თავი შევაფარეთ, ზღვა ხალხი მოსწყდომოდა.

– გაგვატარეთ, გაგვატარეთ, – გაჰყვიროდნენ ჩემი ძმები, – ჩვენ მისი ნათესავები ვართ და გვაქვს უფლება, სხვებზე წინ მიგვიღოს. გაგვატარეთ! სალაპარაკო გვაქვს მასთან.

აღელვებულმა ბრბომ მათ გზა დაუთმო.

ოჯახის წევრებისათვის გზა რომ გადამეღობა, კარს მივაშურე. ვიცოდი, რომ მათ უზომო ტკივილს მივაყენებდი, მაგრამ სხვანიარად მოქცევა არ შემეძლო.

– ვინ არის ჩემი ნამდვილი ოჯახი? ჩემი ოჯახი არა სისხლით, არამედ სულიერებით განისაზღვრება. ვინ არიან ჩემი ძმები? ვინ არიან ჩემი დები? ვინ არის დედაჩემი? მხოლოდ ისინი, ვინც მაშინვემის ნებას ემორჩილებიან. ვხედავ, რომ ზიზღი და ბოღმა გახრობთ. მე თქვენ არ გალიარებთ.

დუქანში შევბრუნდი და გაშმაგებულმა ჩემს მოწაფეებს შევძახე:

– ვისაც სურს, გამომყვეს, მაგრამ არ ძალუქს დატოვოს საკუთარი მამა და დედა, საკუთარი ძმები და დები, საკუთარი მეუღლე და ბავშვები, ის ვერ გახდება ჩემი მოწაფე!

ყველაზე ახლოს მდგომი უცხო ადამიანები შემოვუშვი, დედაჩემსა და ძმებს კი კარი ცხვირწინ მივუკეტე.

არ მქონია ტკივილის განცდა. მიწოდდა, ჩემთვის გაეგოთ. მსურდა, მენვენებინა, რომ საყოველთაო სიყვარულს უფრო მაღლა ვაყენებდი, ვიდრე სიყვარულს ცალკეული ადამიანებისადმი.

გამძვინვარებულმა ძმებმა იქაურობა დატოვეს. დედაჩემი დარჩა. დართუნული იყო, მაგრამ მაინც მორჩილად მელოდა კართან. საღამოს დავრთე ნება, შემოსულიყო და ორივემ ცხარე ცრემლები ვღვარეთ.

იმ ღამიდან მოყოლებული დედაჩემი არ დამშორებია: დარჩა და დარჩა. მორიდებულად მოაბიჯებდა უკან, ქალთა ამაღლის შუაგულში მირიამ მაგდალელის გვერდით; ქალი – ქალთა შორის. ყველას დაავიწყა, მათ შორის მეც, რომ დედაჩემი იყო. დროდარო სხვებისგან მაღულად ვხვდებოდით და ნაჩქარევად ვკოცნიდით ერთმანეთს. ძმებთან ჩხუბის შემდეგ დედაჩემი თვალს არ მამორებდა და მზრუნველობას არ მაკლებდა. მან შეისმინა ჩემი. ჩემი ყველაზე დიდი სიხარული და სიამაყე ამქვეყნად ალბათ ის გახლავთ, რომ დედაჩემის დარწმუნება შევძელი.

\*\*\*

მხოლოდ იეჰუდას ვუცხადებდი ნდობას, მხოლოდ მას ვუზიარებდი ნააზრევს. ერთად ვკითხულობდით წინასწარმეტყველთა ტექსტებს. საკუთარ თავთან საიდუმლო გარიგების შემდეგ წარსულს განსხვავებული მზერა მივაპყარო.

– შენ იერუსალიმში უნდა დაბრუნდე, იეშუა. ქრისტე წარმატების მწვერვალს მხოლოდ იერუსალიმში მიაღწევს. ასე წერია

ტექსტებში. შენ ჯერ უნდა დაგამცირონ, შეურაცხგყონ, განაშონ, სიცოცხლეს გამოგასაღონ და მხოლოდ ამის შემდეგ აღდგები მკვდრეთით. ეს ყველაზე მძიმე პერიოდი იქნება შენთვის.

რწმენით გასხივოსნებული იეჰუდა მშვიდად და წყნარად საუბრობდა. მან მხოლოდ ერთმა შეიგნო, რას ნიშნავდა ჩემი სამეფო სამეფო დიდების, მატერიალური და პოლიტიკური წარმატებების გარეშე. იმედით შეპყრობილი იეჰუდა ნელ-ნელა მომავალ აგონიასთან მახიარებდა.

– შენ რამდენიმე დღით მოკვდები, იეჰუა, მხოლოდ სამი დღით. შემდეგ კი აღდგები.

– ამაში დარწმუნებული უნდა ვიყო.

– ყური მიგდე, იეჰუა. ძილი, იქნება ეს სამი დღის თუ მილიონი წლის ხანგრძლივობით, ერთსაბოლოოდ ძილს როდი აღემატება.

პასუხისგან თავი შევიკავე, დუმილი ვარჩიე. შემდეგ სიყვარულის ქაში ჩაღრმავების სურვილმა მძლია. ამ დრომდე საკუთარ სიკვდილზე სერიოზულად არ მიფიქრია. მსურდა გამეგო, რა შედეგს მომცემდა ფიქრი და ჭკრეტა.

საკუთარ თავში ჩავღრმავდი. ვეახლე მამას. არაფერი შიშის მომგვრელი იქ არ განმიცდია. „ყველაფერი გამართლებულია, – მარწმუნებდა მამა, – ყველაფერი რიგზეა. მხოლოდ სხეული იხრწნება, ის ჭია-მატლებისა და გაქრობისთვისაა განკუთვნილი. მთავარი შენარჩუნდება“.

სიტყვები არადაამაჯერებელი მეჩვენა, მაგრამ შვება მაინც ვიგრძენი. დროდადრო ფიქრების ორომტრიალში მეუფლებოდა განცდა, რომ განსხვავებულ აბრს ჩავწვდი. ჩვენ ვარსებობთ სიკვდილის შემდეგაც, მაგრამ ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რანი ვიყავით წინა ცხოვრებაში. უცოდველი ადამიანი გარდაცვალების შემდეგაც კარგ მოგონებას, კარგ სახელს ტოვებს, არამზადაბე კი კეთილი სიტყვა არავის დასცდება. ასე გრძელდება მარად. როგორც კი ამ აბრში ჩაღრმავება ვცადე, გამექცა, აორთქლდა, გაუჩინარდა. საკუთარ თავში ყოველმა მოგზაურობამ დამიდასტურა, რომ სიკვდილში საშუაში არაფერია. დავრწმუნდი, რომ სიკვდილი სხვა არაფერია, თუ არა სასიამოვნო მოულოდნელობა.

\*\*\*

ჩემს მთავარ საბრუნავსა და სადარდებელს იერუსალიმი ერქვა სახელად. იერუსალიმი ერქვა ჩემს ფატუმსაც. ჩემს ქადაგებას დასრულება ამ ქალაქში ეწერა.

იერუსალიმს სხვა ღვთისმოსავი ებრაელების მსგავსად ხანმოკლე პასექის დღესასწაულების დროს ადრეც რამდენჯერმე ვწვევივარ. ამჟამად იქ ხანგრძლივი დროით დარჩენა მომიხვედა. მე და ჩემი მოწაფეები გზას ვაგუდექით. არ შემეძლო საკუთარ თავს არ გამოვტყდომოდი: მე ვიცვლებოდი. ძალიან ხშირად გული სიმწრით, სინანულითა და საყვედურებით მევსებოდა. მე – ხორცშესხმული სიყვარული – უხეშ, მოუთმენელ და გაღიზიანებულ ადამიანად ვიქეცი. მე, კაცს, რომელიც სითბოსა და ტკბილ სიტყვაზე მეტად არაფერს ვაფასებ, შემეძლო სისტიკად და შეუბრალებლად გამომეგანძღა მოწინააღმდეგეები. როცა ხალხისთვის ჩემი სამეფოს დამკვიდრების შესახებ მსურდა მეუწყებინა და ორატორობით ენას ვიმტვრევდი, თითქოსდა საკუთარ თავს გვერდიდან ვხედავდი და ვუსმენდი: დუშმორეული ვიმუქრებოდი, ვგრგვინავდი, ვბობქრობდი, ღმერთის სახელით მოწინააღმდეგეთ ენით ალუწერელ სასჯელს ვპირდებოდი. ხანაც, ადამიანურობასა და კაცთმოყვარეობაზე ქადაგებისასაც, როცა ფარისევლებსა და პირმოთნეებს გვერდით ჩავუვლიდი, სანანილეს დღესასწაულზე რუდუნებით სანთლებს რომ ანთებდნენ, თავს ვერ ვიკავებდი და გამომწვევად გავყვიროდი: „ნათელი ერთია და ეს მე ვარ“. თუმცა მოგვიანებით საკუთარ თავს მკაცრად ვსაყვედურობდი. ღამით დედაჩემი გულში ჩამიკრავდა და ჩემს დამშვიდებას ცდილობდა, გონების ამღვრევასა და სიფიცხეს ქანცვამწყვეტ მოლოდინსა და უიმედობას აბრალებდა.

ამჯერად იერუსალიმთან ჩემი შეხვედრა გულგრილობის კედელთან შეჯახებით დაიწყო. რამდენიმე ბრძენ ადამიანს, ჩემი მოძღვრებით რომ დაინტერესდნენ, მათ შორის ნიკოდიმსა და იოსებ არიმათიელს, ფარისევლებმა და სინედრიონის წევრებმა ხმის ამოღების უფლებაც არ მისცეს. „ნუთუ გჯერათ, რომ წინასწარმეტყველი გალილეიდან მოგვეკვინებათ?“ – კითხულობდნენ ირონიულად.

მე დავასკვენი, რომ ჩემი გეგმა ჩაფლავდა.

ექვსი თვის თავზე საწადელს მაინც ვეწიე. პირმოთნეებმა შეწყვიტეს დაცინვა და ქირქილი. სამაგიეროდ, ახლა პირდაპირ სახეში მაფურთხებდნენ, მძვინვარებდნენ, ღვარძლს ანთხევდნენ. მე მაინც გადავრჩი, სიცოცხლე შევიწარჩუნე.

დღეს კი ისინი ჩემს მოსაკლავად მოვლენ.

იერუსალიმი...

იერუსალიმი, რომელიც ასე მწუსხავს და რომლის შეყვარება ასე მიძიმს... იერუსალიმი, წინასწარმეტყველებს რომ ხოცავ, შენთვის წარგზავნილებს ქვებით რომ ქოლავ! რამდენჯერ მიცდია, შენი შვილებისთვის ერთად მომეყარა თავი, როგორც კრუხს, თავის წინილებს ფრთებქვეშ რომ შეაყუებს ხოლმე. შენ უარი მტკიცე. იერუსალიმი, მინდა იცოდე, რასაც ფლობ, რითაც ყოველი ებრაელი ამაყობს, ჩემთვის უფასურია, ღირებულებას არ წარმოადგენს.

როცა მაიძულეს, შენი განახლებული ტაძრის წინ აღფრთოვანება გამომეხატა, მუხლი მომედრიკა მისი მძიმე, მოქრული კედრის კარის წინ, ბროწელებით, შროშანებითა და ფოთლებით რომ მოეჩუქურთმებინათ, დავმტკბარიყავი მუქნითელი ყვავილებითა და ყირმიზი სუბულებით, მოქარგული ქსოვილებით, ქერუბინებს რომ აეტაცათ ხელში, გავიფიქრე, ნუთუ შეიძლება გადაჭარბებულობა სილამაზედ აღვიქვათ? მსხვერპლშენიშვის ცერემონიალიც მიქეს. სინამდვილეში კი რა ვიხილე? მყრალ კვამლში გახვეული, შედედებულ სისხლში მოცურავე გაშავებული ნაწლავ-შიგნეულობა. უმაღ მივხვდი, რომ საქონლის ჯოგი და ცხვრის ფარა მდიდრებისათვის იყო განკუთვნილი, უპოვართა და გლახაკათათვის კი – მტრედები. ვნახე უკრებით გაძედილი ფარდულებიც და ფულის გადამცვლელებიც, სახეზე მლიქვნელური ღიმილი რომ გადაჰკვროდათ. ვერ მოვითმინე, მათრახს ვტაცე ხელი, ყვირილით ყველა დახლი ამოვაყირავე: „მოაშორეთ ეს ყველაფერი აქაურობას! მამაჩემის სახლი ქარვასლა არ გეგონოთ!“ გაცოფებულმა მათრახი იატაკს მთელი ძალით ვურტყი და ვურტყი. რამდენიმე წამში მხოლოდ საჯდომები თუ ჩანდა; დიახ, გაქცეულ ლაჩართა საჯდომები.

ქალაქი ბინძური, ხარბი, ჭირვეული და კაცთმოძულეა. კარიბჭეებსა და ფასადებს მიღმა დასამალი დიდი არაფერია. ირგვლივ მოჩვენებითობას დაუსადგურებია. ბევრი საკუთარი სიმდიდრის გამომხეურებას აღარც ერიდება, ტაძარში

ღვთისმსახურებაც კი გადაპრანჭული და გულწრფელობას მოკლებულია. ერთი მეორეს უთვალთვალეს, ძლიერებაში ან ქონების დაგროვებაში ეჯიბრება. აქ გული დუმს, მიამიტობა – სასაცილოდ, ხოლო თავმდაბლობა და მორჩილება მომაკვდინებლად ითვლება. იერუსალიმის ბინადართ აღარ სურდათ გალილეველი უთაურისა და უქნარასთვის ყური ეგდოთ, სიღარიბეს რომ ასხამდა ქება-დიდებას.

ჩემს ტიბერიადელ მოწაფეებს არაფერი ჰქონდათ დასაკარგი, გარდა ერთი უბადრუკი ნავისა და ამოკემსილი და დაღაბებული ბადებისა. ნუთუ მხოლოდ დღენიდაც მინდორში ოფლისმღვრელი გლეხის უბრალო ცხოვრება აძლევდა მათ საშუალებას, გულით რომ ესმინათ? იერუსალიმში ჩემი ჩასვლა სრულიად წარუმატებელი აღმოჩნდა. იქაურებს ჩემ მიმართ უბრალო ცნობისმოყვარეობაც კი ვერ აღვუძარი. ჩემი ერთადერთი გამარჯვება ის იყო, რომ ღვთისმსახურებს, სადუკველთა და ფარისეველთა კანონების პირუთვნელ დამცველებს სულით ხორცამდე შევაძულე თავი. ისინი ბევრად ოპტიმისტურად განწყობილნი აღმოჩნდნენ, ვიდრე მე. მიიხვედნენ, რომ ერთ მშვენიერ დღეს მეც შევძლებდი ხალხის გულის მოგებას და მათ დარაზმვას, მაგრამ არა ყბედობით, არამედ ღმრთისადმი უნაგარო სიყვარულის დადასტურებით. ვგრძობდი, რომ ღვთისმსახურნი ჩემში მომავალ საფრთხეს მოიარებდნენ. მათ ჩემ გასანადგურებლად დაიწყეს სამზადისი. მათი აზრით, მე უკვე დიდი ხნის განგმირული ვიყავი ბრძოლის ველზე. გონებაში მათ უკვე რამდენიმე თვეა, ჩამქოლეს.

მათ გადარწმუნებაში რამდენი დრო დავკარგე ფუჭად? ამოად ვიცავდი სულისა და გულის და არა ტექსტების რელიგიას. ვუმტკიცებდი, რომ ერთი მეორეს არ გამოირიცხავდა, რომ სულის რელიგიას შეეძლო, ტექსტების რელიგია შთაეგონებინა და მეტი ჭეშმარიტება შეეძინა მისთვის. ეს პედანტები, შარიანები, კანონის ჭიები მაიძულებდნენ, ერთი და იგივე უსასრულოდ შემეორებინა; იურისტად, ეგზეტიკოსად და თეოლოგად მაქციეს. ძალით მითრევდნენ კამათში, სადაც მჯაბნიდნენ, იმიტომ, რომ ჩემი ერთადერთი მეგობარი შინაგანი სინათლე გახლდათ. ერთსა და იმავე დისკუსიაში არა ერთგზის ჩართულს მეუფლებოდა განცდა, რომ ჩვენ განსხვავებულ თემებზე ვდაობდით, ყველაფერზე ღმრთის გარდა. ისინი წეს-ჩვეულებებს, ტრადიციებსა და საკუთარ ძალაუფლებას დუქმორეულები იცავდნენ, მე კი ცარიელი ხელებით – ღმერთს, მხოლოდ და მხოლოდ მალაღ ღმერთს. ვალიარებდი, რომ უფალი ესაუბრა ყველა ჩვენს წინასწარმეტყველს, ვამტკიცებდი, მისი სული გადმოიდინდა ყველა ჩვენს წიგნსა და კანონში, რომ ტაძარი, სინაგოგა და ბიბლიის სკოლა მოკვდავთა უმრავლესობისთვის ერთადერთი და აუცილებელი გზაა ჭეშმარიტებისკენ... თან დავძენდი, რომ სიყვარულის ქის წყალობით პირდაპირი კავშირი მქონდა ღმერთთან; ეს ხომ ბევრად სჯობდა სხვისი ხელით დანერვილი წიგნის კითხვას? მკრეხელობა! მკრეხელობა!

მალე იერუსალიმში ღამისთევაც აუტანელი გახდა. მე და ჩემი მოწაფეები დასაძინებლად ქალაქს ვტოვებდით და ბეთანიაში ჩვენს მეგობარს – ლაზარეს ვსტუმრობდით. ხოლო როცა იქ ჩასვლას ვერ ვასწრებდით, იერუსალიმის გალავნის მიღმა ზეთისხილის მთაზე ავდიოდით.

მზე უდაბნოში იღვიძებდა და მისი ნათება ნელ-ნელა მოიხვედა ქალაქისკენ. ეფინებოდა გალავნებისა და კედლების უანგმიწას, აღვიძებდა ტერასების სითეთრეს, ოქროსფრად მოელვარე ტაძარს, მუქმწვანე კვიპაროსებს, ოდესღაც გადაღებულ, ახლა კი მზის მცხუნვარებისგან გადახუნებულ ფასადებს. წამიერად ვირწმუნე, რომ ამ ქალაქზე ვბატონობდი, მორჩილად რომ განოლილიყო ჩემს ფეხთან, როგორც არქიტექტორის მაკეტი. მაგრამ ის მყისიერად კაშკაშა, ფერადოვანი და თვალისმომჭრელი ხდებოდა. ტანს აიყრიდა და ცისკენ აიზვირთებოდა, გამაოგნებელ წინასწარმეტყველებასავით იპყრობდა მთელ სივრცეს, ნუსხავდა ყველას როგორც კეკლუცი, მდიდრულად მოსილი ავხორცი ქალი.

მოედნები და ქუჩები ჯერჯერობით ღამის ძილქუშს ვერ დახსნოდნენ. ირგვლივ მდუმარება სუფევდა. შორს, გალავნისკენ მიმავალ კლავნილ გზებზე დამასკოელი მწყემსები უკვე მოეჩვენებოდა გასაყიდად აქლემებს, ქალებს თავზე ყურძნითა და იერიქონის ვარდებით პირსავსე კალათები შემოუდგამთ. ქალაქის კარიბჭესთან ტერეზინთოების ჩრდილში მუშტრები უკვე ელოდებიან მათ. ყველა გზა იერუსალიმში იყრის თავს. იერუსალიმი იყო სამყაროს ცენტრი, იერუსალიმი იწოვდა ყველას და ყველაფერს.

მე გავიქეცი.

გავქეცი ფარისეველთა ზიზლს და კაცთმოძულეობას.

გავქეცი მოახლოებულ დაპატიმრებას.

გავქეცი სიკვდილის ყნოსვას, რომელიც უკვე მადებდა სხეულზე თავის უზარმაზარ, შიშისმომგვრელ და სველ დრუნჩს.

სულზე გავასწარი პილატეს პონტოელის, რომის მიერ დანიშნული გუბერნატორის მრისხანებასა და მძვინვარებას. მან ხომ ჩემი განცხადება ძველი წყობის ნგრევისა და ახალი სამეფოს შენების შესახებ პირად მუქარად აღიქვა. ჯაშუშებმა ცხვირწინ დამიყარეს მონეტები. არ მახსოვს, მათზე პილატესა თუ კეისრის გამოსახულებები იყო აღბეჭდილი. ეს გაპარსული, თმაშეკრეჭილი რომაელები ხომ გაჭრილი ვაშლივით გვანან ერთმანეთს.

– გვითხარი, იეშუა, ვკეთ თუ არა პატივი რომაელ დამპყრობელს? სამართლიანია თუ არა, გადასახადებს მას რომ ვუხდით?

– კეისრისა – კეისარს, მღვდლისა – მღვდელს! მე არ ვარ მთავარსარდალი. ჩემს სამეფოს არაფერი აქვს საერთო მის იმპერიასთან.

ჩემმა პასუხმა პილატეს გული კი მოუღობო, სამაგიეროდ, ზელოტები, ბარაბას მომხრეები გამინაწყენა. უარს კი არ იტყოდნენ რომაელი მომხდურის წინააღმდეგ პალესტინის ასამხედროებლად ჩემს გამოყენებაზე. მე ვეწიე საწადელს: ყველანი ჩემს მტრებად ვაქციე.

შიშმა შემიპყრო. სრულიად ხელშიშველი აღმოვჩნდი. ერთადერთ იარაღად სიტყვა დამრჩენოდა.

დავტოვეთ იერუსალიმი და სოფელს შევაფარეთ თავი. საბოლოო ბრძოლისათვის ძალები მსურდა მომეკრიბა. სიყვარულის ქაში ხშირი შებრუნება და ხანგრძლივი ლოცვა მჭირდებოდა. ღამით კი უსასრულო ვახშამზე მეგობრობა უნდა გამეზიარებინა ჩემიანებისთვის. ყურადღება არ უნდა მომეკლო, როგორც მამაკაცებისთვის, ასევე ჩემი ერთგული ქალებისთვისაც. გვიან ღამით კი უძირო ქის ნათელში უნდა მებანავა. ნათელი ბინდზე, ნებისმიერ ბნელეთზე ძლიერია და უფრო კაშკაშაა, ვიდრე თავად მზე.

არა, მე არ გავტყდი, არც უკან დახევა მომსვლია აზრად, მაგრამ ვშიშობდი, რომ შიში დამრევდა ხელს. ვშიშობდი, თავად არ დავეძლიე იმედგაცრუებას, გული არ გამტკობდა. ვშიშობდი, უძლეულებას დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანაში არ დავებრკოლებინე. ვშიშობდი – ამ შიშს ვერც ამ საღამოს დავეხსენი, – რომ მე, ნაზარეველ იეშუას, დურგლის ძეს, სამყაროს



ერთ მივარდნილ, არაფრით გამორჩეულ სოფელში დაბადებულს, სიცოცხლის დაუოკებელი ჟინით შეპყრობილს, ისევ გამარჯვება არ მეზიდა. შევძლებ კი ისევ გადავვშა სიყვარულის ქაში, როცა ზურგზე მათრახის პირველ გადაკვრას ვიგრძნობ? როცა ჯვარს მაცვამენ, როცა სხვა აღარაფერი დამრჩება, გარდა უბადრუკი ადამიანური ხმისა, რათა ვიბღავლო, სხეულს გმინვისა და ტკივილების გამოხატვის საშუალება მივცე, აბუნად ავიგდო აგონია.

იეჰუდა მამშვიდებდა.

– მესამე დღეს დაბრუნდები. მე აქ დაგხვდები და გულში ჩაგიკრავ.

იეჰუდას არასოდეს ეპარებოდა ეჭვი. საათობით ვუგდებდი ყურს. ვენაფებოდი მის შვებისმომგვრელ საუბრებს, ჩემში გამყარებული ეჭვებისა და ურწმუნობის სქელ კედლებს ასე ადვილად რომ ანგრევდნენ.

– მესამე დღეს დაბრუნდები. მე აქ დაგხვდები და ძლიერ ჩაგიკრავ გულში.

\*\*\*

პასეკი ახლოვდებოდა. მაცას დღესასწაული, რომლის დროსაც მთელ ისრაელს ტაძარში სალოცავად უნდა მოეყარა თავი, ხელსაყრელ მომენტად მივიჩინე ჩანაფიქრის სისრულეში მოსაყვანად. მე და მონაფეები ისევ იერუსალიმისაკენ მიმავალ გზას დავადექით.

სნეულთა და ხეიბართა ბრბოში ვიკაფავდით გზას. სასწაულებზე კატეგორიული უარი განვაცხადე. სასწაულები მხოლოდ ურწმუნოებს სჭირდებათ. სასწაული მათ ყბედობის და უსაფუძვლო ჭორების და არა დაფიქრების საბაბს აძლევს.

ბეთანიში ჩასულს ლაზარეს დები მართა და მირიამი ცრემლმორეულნი ჩამივარდნენ მკლავებში.

– იეჰუა, ლაზარე მოკვდა. სამი დღის წინ გარდაიცვალა...

მთელი ჩემი ცხოვრების განმავლობაში არაერთი ახლობლის სიკვდილს შევსწრებივარ. ამის გამო მივეჩვიე ცრემლებს, მივეჩვიე გლოვასა და მწუხარებას, მაგრამ იქ, ბეთანის შადრევანთან, არ ვიცი, რა დამემართა, ორ ქალთან ერთად ავზლუქუნდი. ჩემი ძვირფასი ლაზარეს გარდაცვალებამ ჩემი მომავალი ბედ-ილბალი დამანახა. მაგრძნობინა, რომ არარაობის ძალები ყოველთვის გათელავენ მაცოცხლებელ ძალებს, რომ ბოროტება მარად იზიენებს გამარჯვებას. ლაზარემ დაამსწრო სიკვდილი და ამით მაუწყა, ჩემი დასასრულიც რომ ახლოვდებოდა.

როგორ მძიმე ტვირთად დაგვაწვა ეს მწუხარება მირიამს, მართასა და მე, სანამ ერთმანეთს გადახვეულნი ვიდექით და ცხარე ცრემლებად ვიღვრებოდით. ხელებით, მთელი არსებით ვგრძნობდი მათი ქალური სხეულების სიახლოვეს და შეძრწუნებული ვფიქრობდი, რომ ერთ დღესაც ეს მშვენიერი არსებანი ფერფლად იქცეოდნენ.

თვლებში ცრემლი დამიშრა, იმდენი ვიტირე. გულს კი სიმშვიდე ვერა და ვერ მოეფინა.

ვითხოვე, ჩემთვის ლაზარე ეჩვენებინათ.

უზარმაზარი ქვის ფილა, საფლავის შესასვლელს რომ გმანავდა, გვერდზე გადასწიეს და კლდეში გამოჭრილ აკლდამაში შევრგე თავი. ჰაერი ზმირინის მძიმე და დამთრგუნველი სურნელით იყო გაჟღენთილი. სუდარა გადავწიე. ჩემი მეგობრის, ლაზარეს გამხდარ, ლოყებჩაცვნილ ცვილისფერ სახეს სიმწვანე გადაჰკრავდა. მის გვერდით ფილაზე წამოვწექი. ლაზარეს ყოველთვის უფროს ძმად მივიჩნევდი, ცხოვრებაში ასე რომ მაკლდა. ახლაც ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს უფროსი ძმა მომიკვდა.

დავიწყე ლოცვა. გადავეშვი სიყვარულის ქაში. მინდოდა მენახა თვალისმომჭრელი სინათლე, რომელმაც არაფერი მაუწყა. „ყველაფერი რიგზეა, – დამამშვიდა მამაჩემმა, როგორც ეს მას სჩვეოდა, – ყველაფერი კარგად იქნება, ნუ ღელავ, დანყნარდი“.

ჭიდან რომ ამოვდები, ლაზარე უკვე ჩემ გვერდით მოკალათებულიყო. უკიდურესად განცვიფრებული შემომყურებდა.

– ლაზარე, შენ ცოცხალი ხარ! გესმის? ცოცხალი!

ჩანდა, რომ ჩემი სიტყვები ლაზარემდე გზას ვერ პოულობდნენ. გაოგნებულმა ხმის ამოღება სცადა, მაგრამ ენა არ ემორჩილებოდა.

– ლაზარე, შენ მკვდრებით აღდექი!

ლაზარეს სახის ნაკვეთი უმეტყველო ჩანდა. თვლებს უაზროდ ატრიალებდა. გეგონებოდათ, ძილი მოერიო.

ლაზარეს მკლავი მკლავში გავეყარე და მზის სინათლეზე გამოვიყვანე.

შეუძლებელია იმ სიხარულისა და ემოციების აღწერა, აკლდამიდან ჩვენი გამოსვლისას მონაფეებსა და ლაზარეს დებს რომ დაეუფლათ. ლაზარე ნათესავებს შევატოვე. ბედნიერები გაუჩერებლად კოცნიდნენ მას. თვითონ ლაზარე დაბნეული ჩანდა, სახეზე არანაირი ემოცია არ აღბეჭდოდა. ეტყობოდა, ვერ გაეგო, რა ხდებოდა მის თავს. ლაზარემ მეტყველების უნარი დაკარგა, დამუწკდა. იმასაც კი ვფიქრობდი, აზროვნების უნარსაც ხომ არ გამოემშვიდობა-მეთქი. მისგან საკუთარი სხეულის არდილილა დარჩა. ნუთუ ეს მკვდრებით აღდგომის შოკი იყო და სხვა არაფერი? გავიგე, რომ ლაზარეს მსგავსი მდგომარეობა სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრეც აღენიშნებოდა.

ჩემს შიგნით სატანის ირონიული ხმა არ ცხრებოდა, წამდაუნუნ მეკითხებოდა:

– დარწმუნებული ხარ, რომ ის ნამდვილად მკვდარი იყო.

ვცდილობდი, სატანისთვის ხმა ჩამეხშო, მაგრამ ამაოდ. ახლა ის უკვე არგუმენტებით შეიარაღებული განაგრძობდა:

– კეთილი, ლაზარე გაცოცხლდა, მაგრამ რისთვის? რა აქვს სათქმელი? რა ინტერესი ამოძრავებს? რა ნიშანი გადმოგცა? რა

გაგიმუღავნა?

სასოებაანართმეული იქაურობას განვერიდე. განვმართოვდი. ლოცვა დავიწყე.

მოულოდნელად იეჭუდამ ხელი მხარზე დამადო. შევკრთი. ის რწმენით იყო გასხვივოსნებული.

– მესამე დღეს შენ დაბრუნდები. მე აქ დაგხვდები და ჩაგიკრავ გულში.

ღმერთო, რატომ ვარ იეჭუდასნაირ რწმენას მოკლებული? ნუთუ მარად ეჭვებით ვიქნები შეპყრობილი? ღმერთო ჩემო, ვერც ერთმა შენმა პასუხმა ვერ მომგვარა შვება. შენმა ნიშნებმა შიში ვერ გამიქარწყლა.

ჩვენ შევეურთდით ნადიმს, რომელიც მკვდრეთით აღმდგარი, მაგრამ გაოგნებული ლაზარეს პატივსაცემად მოეწყო. ვეცადე, მართასა და მირიამის უსაზღვრო ბედნიერებაზე მეფიქრა, ასე რომ ეფერებოდნენ და თავს ევლებოდნენ დადუმებულ უფროს ძმას. სინდისის ქენჯნას ვერა და ვერ ვუმკლავდებოდი. მე ვიყავი პასუხისმგებელი მის მობრუნებაზე, მის სავალალო ფიზიკურ მდგომარეობაზე. მამაჩემმა ეს სასწაული მხოლოდ ჩემი სიყვარულით, მხოლოდ და მხოლოდ ჩემი გულისთვის მოახდინა, ჩემი დამშვიდება სურდა. სასწაულით ამიხსნა, რომ მეც აღვსდებოდი მკვდრეთით, მაგრამ ლაზარესგან განსხვავებით არა უტყვი, არამედ მეტყველი. სირცხვილის ცრემლები ლოყებზე დაბაღუპით ჩამომდიოდა.

ამ დროს სიყვარულის ქიდან ხმა მომესმა, რომელიც მაუწყებდა, რომ ხშირად სიყვარულს, დიად სიყვარულს არაფერი აქვს საზიარო სამართლიანობასთან. ხმამ მითხრა, რომ სიყვარული ხშირად სასტიკი და უმოწყალოა, რომ მამაჩემიც დაღვრის ცრემლებს, ჯვარცმულს რომ მიხილავს.

\*\*\*

და აი, ჩვენ უკვე ზეთისხილის მთაზე ვართ. მოგზაურობის ბოლო საათებში მხოლოდ იმაზე ვჭმუნავდი, თუ როგორ დამეცვა ჩემი მოწაფეები. დაპატიმრებით ხომ მხოლოდ მე უნდა დავეპატიმრებინე. ჩემთვის უნდა ჩავვლოთ ხელი მკრეხელობისა და ურწმუნობისთვის. ჩემი დანაშაული მეგობრებს არამც და არამც არ უნდა გაეზიარებინათ. მოწაფეები უნდა დამეხსნა. ეს ბედი მხოლოდ ჩემი წილი იყო, უფალმა ის მხოლოდ მე მარგუნა.

როგორ ავიცილო თავიდან საყოველთაო სასჯელი?

მიზნის მისაღწევად მხოლოდ ორი გამოსავალი მესახებოდა: ან უნდა ჩავბარებოდი, ან ვინმეს დავესმინე.

მე ვერ ჩავბარდებოდი: ჩემთვის ეს სინდერიონის ძალაუფლების აღიარების ტოლფასი იქნებოდა. საკუთარი ნებით ჩაბარება განვლილი გზის უარყოფას ნიშნავდა.

თორმეტ ყველაზე ძველ მოწაფეს ერთად მოვეყარე თავი. ტურები და ხელები მიკანკალებდა, რადგან მხოლოდ მე ვიცოდი, ეს ჩვენი ბოლო შეხვედრა რომ იყო. მოვიქეცი ისე, როგორც ნებისმიერი ქმშმარითი ებრაელი, მზრუნველი ოჯახის თავი მოიქცეოდა. ავიღე პური, ვაკურთხე ლოცვით და შეკრებილთ გაგუნაწილე. აღელვებულმა ღვინოც ვაკურთხე და ისიც გაგანაწილე.

– იფიქრეთ მარად ჩემზე, იფიქრეთ ჩვენზე, ჩვენს ისტორიაზე. გამიხსენეთ, როგორც კი გატეხთ პურს. მაშინაც კი, როცა თქვენ გვერდით აღარ ვიქნები. ჩემი ხორცი იქნება პური თქვენი, ჩემი სისხლი გახდება ღვინო თქვენი. ჩვენ ვიქნებით ერთნი და განუყოფელნი, სანამ ერთმანეთი გვიყვარს.

მოწაფეები შეკრთნენ, ჩემგან მსგავს სიტყვებს არ მოელოდნენ.

ვეყურებდი ამ უხეშ, მოწიფულ ადამიანებს და ერთი სურვილი მქონდა – მათთვის სითბო მეჩუქებინა. ჩემი გულიდან სიყვარული გადმოდინდა ნაკადულებად:

– ჩემო ბავშვებო, მე მხოლოდ სულ ცოტა ხნით ვერ ვიქნები თქვენ გვერდით. მალე ქვეყანა ველარ მიხილავს. მაგრამ თქვენ ყოველთვის დამინახავთ, იმიტომ, რომ მე ვიცხოვრებ თქვენში და თქვენ იცხოვრებთ ჩემით. შეიყვარეთ ერთმანეთი ისე, როგორც მე შეგიყვარეთ. გაწირო საკუთარი თავი მეგობრებისთვის, ამაზე დიდი სიყვარული არაფერია.

ზოგიერთები ასრუტუნდნენ, თვალები ცრემლებით ავესოთ. მე კი არ მსურდა, გული აჩუყებოდათ და მოშვებულიყვნენ.

– ჩემო ბავშვებო, თავიდან თქვენ იტირებთ, მაგრამ მალე თქვენი მჭვუნვარება სიხარულში გადაიბრდება. ორსული ქალი ბავშვს ტანჯვითა და წამებით მოავლენს ამქვეყნად, მაგრამ როგორც კი ახალი ადამიანი დაიბადება, დედა უმაღ ივიწყებს განცდილ ტკივილებს.

შემდეგ – და ეს იყო ყველაზე მძიმე – დადგა დრო, როცა მოწაფეებისთვის ჩემი გეგმა უნდა გამეცნო.

– გულწრფელად ვაღიარებ, რომ ერთ-ერთი თქვენგანი გამყიდის.

მოწაფეებს გაკვირვებისა და გაუგებრობის ჟრუანტელმა დაუარა. მალე პროტესტი ყვირილითა და ხმამაღალი შეძახილებით გამოხატეს.

მხოლოდ იეჭუდა დუმდა, მხოლოდ იეჭუდა მიხვდა ყველაფერს. იეჭუდას სახე ცვილისფერი გაუხდა. შავთვალემა იეჭუდამ გამჭოლი მხერა მომაპყრო.

იეჭუდამ შეიგნო იმ მსხვერპლის მასშტაბურობა, რომელსაც მისგან მოვითხოვდი: უნდა დავესმინე. თვალი თვალში გავეყარე და მივახვედრე, რომ მხოლოდ მისთვის, საყვარელი მოწაფისთვის შემეძლო მსგავსი მსხვერპლის გაღება მეთხოვა. მხოლოდ ამ გზით თუ შევძლებდი მეც საკუთარი თავის გაწირვას.

იეჭუდა მიმიხვდა სათხოვარს და თანხმობა დუმილით გამოხატა.

ორივემ თვალები დავხარეთ, ნადიმი კი გრძელდებოდა, არც მე და არც იეჭუდას ლაპარაკის ძალა აღარ გვექონდა. მოწაფეებს კი, ჩანდა, მომხდარი გადაავიწყდათ.

ბოლოს იეჰუდა წამოდგა და ჩამჩურჩულა:

– წავედი, ხალხი მყავს სანახავი.

თვალებში ჩახვედე, ღრმა სიყვარულისა და მადლიერების გრძობით მივუგე:

– მადლობა.

მღელვარებით შეპყრობილი მთელი ძალით გადამეხვია. ჩამებლაუჭა, თითქოსდა დაშორებას გვიპირებდნენ. კისერში იეჰუდას ცრემლები ჩამელვარა. უხმოდ ქვითინებდა.

მაღე გონს მოეგო, ემოციები მოთოკა და ისევ ჩამჩურჩულა:

– მესამე დღეს შენ დაბრუნდები, მაგრამ მე აქ უკვე აღარ ვიქნები. მე შენ გულში ვერ ჩაგიკრავ.

ამჯერად მე ვცადე მისი შეყოვნება და ვუთხარი:

– იეჰუდა, იეჰუდა! რას იზამ?

– დაგასმენ. ჯარისკაცებს ვუხმობ ზეთისხილის მთაზე. შენ დაგადებ ხელს. მერე წავალ და თავს ჩამოვიხრჩობ.

– არა, იეჰუდა, მე ეს არ მსურს!

– შენ ხომ ჯვარცმანზე ხარ ყაბულს. რა მოხდა მერე, მე თუ თავს ჩამოვიხრჩობ?!

– იეჰუდა, მომიტევებია შენთვის.

– მე ვერ მოგიტევებ.

იეჰუდამ მოწაფეები გასწი-გამოსწია და იქაურობას გაეცალა. დანარჩენი მოწაფეები – ამ თბილი, კეთილი და მიაშიტი ადამიანების ბრბო, ბოროტებას სულ ბოლონი რომ იეჭვებენ და ვერც ეშმაკობის აღმოჩენაში იქნებიან პირველნი – საერთოდ ვერ ჩასწვდნენ მომხდარ სცენას.

ბნელ კუთხეში მიყუწული დედაჩემი ყველაფერს მიხვდა. მღელვარებისგან თვალები გაფართოებოდა. მხერა ჩემთვის მოეჭინა. მომხდარის სასწრაფოდ შეცვლას მემუდარებოდა. მე არ ვუპასუხე. დედა მიხვდა, რაც მელოდა და გულის სიღრმიდან დაჭრილი ცხოველივით ხრიალი აღმოხდა.

მივუახლოვდი და გვერდით დავუჭექე. ჩემს დამშვიდებას ეცადა. მაგრძობინა, რომ ყველაფერზე დათანხმდებოდა, მეტიც – უკვე იყო თანახმა. გამიღიმა. მეც გავუღიმე. დიდხანს ვისხედით ერთმანეთის გვერდიგვერდ, ღიმილით გაერთიანებულნი.

ვუყურებდი სახეს, პირველს, რაც ჩემმა თვალებმა იხილეს. ხვალ თვალებს მის თვალწინ დავხუჭავ. ვუყურებდი ტუჩებს, იავნანას რომ მიმღეროდნენ. სხვა ტუჩებს მე ცხოვრებაში არ შევხებივარ. ვუყურებდი მოხუც დედაჩემს, ასე ძლიერ რომ მიყვარდა და თან ყურში ჩავჩურჩულებდი: „მომიტევე, მომიტევე...“

\*\*\*

ესეც ასე. მოსახდენი მოხდა. შევყურებ ღამის წყვდიადს, მოქუფრულ შავ ცას. ქარს ჩემამდე სიკვდილის სუნი მოაქვს, სუნი გალიაში გამომწყვდეული ღომებისა.

რამდენიმე საათში ყველაფერი დასრულდება. რამდენიმე საათში გაირკვევა, ვიყავი მე მამაჩემის წარგზავნილი, თუ ერთი უბრალო ქვიდან შემლილი ადამიანი... ერთით მეტი.

უზანავს მტკიცებულებას, ერთადერთ მტკიცებულებას მხოლოდ ჩემი სიკვდილის შემდეგ წარადგენენ. შეიძლება შევცდი კიდევ, მაგრამ მე ამას ვერასდროს მივხვდები. მე გადავჭვები არარაობაში. გავხდები გულგრილი, დავიცვლები გონიერებისგან. თუ სიმართლე ჩემს მხარესაა, ამ გამარჯვებას ტრიუმფის საბაბად არ გავიხიდი. ყველას ვახარებ კარგ ამბავს. აქვს კი მნიშვნელობა, ვიქნები მართალი თუ მტყუანი? მე ხომ მართლ საკუთარი თავისთვის არასოდეს მიცხოვრია და არც მოვკვდები მართლ ჩემთვის.

ამ საღამოს ჩემს სიმცდარეში რომც დამარწმუნონ, მე უკან არ დავიხევ, ისევ დავდებ სანაძლეოს. თუ წავაგე, არც არაფერს ვკარგავ.

და თუ მოვიგე, ვიგებ ყველაფერს. ჩემთან ერთად იხიერებს ყველა.

ღმერთო, მამაჩემო, მოახერხე ისე, რომ ბოლო წამშიც ჩემი ბედ-იღბლისთვის საკადრის სიმბაღეზე ვიდგე, დაე, ტკივილი ნუ გამიჩენს ეჭვებს.

არა, მედგრად ვიდგები, არ შევდრკები. ჩემს ბაგეთ ერთი შეყვრებაც კი არ მოსწყდება. ღმერთო, რა მერყევი რწმენის ვარ. ბუნება როგორ ჯაბნის მოწყალებას, როგორი უმწეოა მოწყალება ბუნების პირისპირ. იმეუა, მოეგე გონს, აიყვანე თავი ხელში. ის, რაც შიშს მისახავს, არაფერია იმასთან შედარებით, რასაც მოველი.

ხეებს შორის უკვე გამოჩნდა კოჰორტა. იეჰუდა ჩირაღდნით ხელში წინ მოუძღვის ჯარისკაცებს. იეჰუდა მიახლოვდება და ჩემსკენ იშვერს ხელს.

მეშინია.

ვორჭოფობ.

მსურს, გაქცევით ვუშველო თავს.

მამარემო, რატომ მიმატოვე?

სახარება პილატეს მიხედვით

პილატე ძვირფას ტიტუსს

მე მძულს იერუსალიმი. ჰაერი, რითაც აქ სუნთქავენ, ჰაერი კი არა, სანამლაგია, ადამიანები ქკვიდან რომ გადაჰყავს. ქუჩების ამ ლაბირინთში ყველაფერი გადაჭარბებული მეჩვენება. ფიქრობ, გზა აქ იმისთვის კი არ გაუყვანიათ, სწორ მიმართულებას რომ დაადგე, არამედ იმისთვის, რომ დაიბნე, დაიკარგო და გაქრე. ქუჩაში კი არ მოძრაობ, ვილაცს ეჭახები. ქალაქს მთელი აღმოსავლეთიდან ათასი ჯურის წარმომადგენელი აწყდება, ყველა ენა ერთმანეთშია აზელილი. კი არ საუბრობენ, გამაყრუებლად ხმაურობენ და ერთმანეთისა არაფერი გაეგებათ. ხან ნამეტანს ყვირიან და ხან ნამეტანს ჩურჩულებენ. არაფრად დაგიდევნ რომაულ წესრიგს – ვერ იტანენ მას. ქალაქი იხრჩობა ფარისევლობისა და ჩახშულ ვნებათა მორევში. მზეც კი, გალავნიდან რომ მოეპარება იერუსალიმს, მოღალატედ გეჩვენება. ვერ დაიჭერებ, რომ ერთი და იგივე მზე ანათებს რომშიც და იერუსალიმის თავზეც. რომაული მზე ნათელს აფრქვევს, აქაური კი – სიბნელეს. ეს ხელს აძლევს წკვარამს შეხიზნულ შეთქმულებს. ვერ დაიჭერ ქურდს, წყვილია თვალსა და ხელს შუა დაგვეცქვენება ხელიდან. იერუსალიმის ტაძრებში რომაელს ფეხის შედგმის უფლებაც არ აქვს. აქ მზე-მანათობელი მარად მზე-ჭოჭოხეთს ებრძვის. აი, რა მივიღე ძღვნად, იუდეას გუბერნატორობაზე რომ დავთანხმდ.

მე მძულს იერუსალიმი, მაგრამ იერუსალიმზე უფრო კიდე ერთი რამ მძულს: იერუსალიმი პასექის დღეებში.

სამი დღეა, შენთვის ერთი სტრიქონიც არ მომიწერია. ერთი წამითაც არ შემძლო სიფრთხილის მოდუნება. ხშიადი პურის დღესასწაულზე წერვები ერთთავად დაწყვეტაზე მაქვს, არც ჩემს ხალხს ადგას უკეთესი დღე: იარაღსხმულები წვებიან და იარაღსხმულები დგებიან. ერთიორად გავზარდე ჯარისკაცთა რიცხვი. შენაერთები მთელ ქალაქში დავქსაქსე, სადღელამისო პატრული დავაწესე, მსტორები დახვეწაზე დავგზავნე, დამსმენებს ლიმონივით ვწურავ, პირადად მეც მეტ სიფრთხილესა და ყურადღებას ვუხმე. თუ ისრაელი რომისთვის საფრთხის შექმნას გადაწყვეტს, ამას პასექის სამი დღის განმავლობაში თავისუფლად მოახერხებს. ამ დროს ქალაქი ხალხით ივსება და სქელდება. ებრაული დასახლება რიცხოვრებდა ხუთჯერ მატულობს. ყველა ტაძრისკენ მიიჩარის. ყველას სურს, ეთაყვანოს ერთადერთ ღმერთს. ღამით ისინი, ვისაც დუქნებსა და სახლებში თავშესაფარი ვერ უპოვია, ქალაქის ბჭესთან იყრიან თავს, ან მიმდებარე ბორცვებს მოეფინებიან და პირდაპირ ღია ცის ქვეშ სძინავთ. დღისით მათი რელიგია მსხვერპლშენივას მოითხოვს და იერუსალიმს მსხვილფეხა საქონლის უზარმაზარ ბაზრობად გარდაქმნის. დღისით ჩნდება სასაკლაოებიც. ათასობით ცხოველი ბღავის ჯერ დაკვლის მოლოდინში, შემდეგ კი აგონიაში. ქუჩებში სისხლი ნაკადულებად იღვრება და დედდება. აგროვებენ ტყავს, ბალანსა და ბუმბულს. ამ სიმდიდრეს იქვე ქუჩაში მცხუნვარე მზის ქვეშ აშრობენ. ასეთ დროს ყარს იქაურობა. ქუჩაშივე ანთებენ კოცონს. ხრჩოლავს არემარე, კვამლი ცაში ადის, მურავს ფსადავებსა და კედლებს. დამწვარი ზეთი სუნთქვას გიკრავს. გექმნება შთაბეჭდილება, რომ მთელი ქალაქი იბრანება და ღვინთავს ნალვერდლებზე, მთელი ქალაქი ეწირება მსხვერპლად ამ გულგრილ და გაუმადლარ ღმერთს.

ამ სამი დღის განმავლობაში ტერასიდან არ ჩამოვდივარ. გულისრევის შეგრძნებით ვუთვალთვალე ბრბოთი გადაძედილ მოთუხთუხე და მოზუზუნე იერუსალიმს. ჩემს ყურამდე აღწევს გადატენილ ქუჩებს მოფენილ მეგზურთა ხმამალალი შეძახილები. ისინი პილიგრიმებს წინსწარმეტყველთა საფლავების დათვალეერებისკენ მოუწოდებენ. მესმის დასაკლავად განწირული ცხვრების საცოდავი ბღავილიც, სადარბაზოებზე შეფარებულ მეძავთა სტვენაც. დროდადრო ბრბოს ვერცხლისფერი ელვა გააპობს ხოლმე: ზეთით გაპოხილი შიშველ-ტიტველი ქურდბაცაცა მდევართ ხელიდან უსხლტება, უკან კი ცარიელ ქისებსა და წყველა-კრულვის კორიანტელს ტოვებს.

როგორც ყოველ წელს, რას არ ვშიშობ ამ სამი დღის განმავლობაში. როგორც ყოველ წელს, ახლაც შევძელი სიტუაციის სრული კონტროლისადმი დაქვემდებარება. ყველაფერმა ჩინებულად ჩაიარა. სახიფათო ინციდენტები არ დაფიქსირებულა. წესრიგის შესანარჩუნებლად თხუთმეტი დაპატიმრებითა და სამი ჯვარცმით შემოვიფარგლეთ. ეს წინა წლებთან შედარებით არაფერია.

ასე რომ, ახლა შევძლებ დამშვიდებული გულით კესარიას გავემგზავრო, სადაც თავს კარგად ვგრძნობ. ეს ხომ კვადრატებად დაყოფილი, ტყავისა და ყაზარმების სუნით გაჟღერებული თანამედროვე სასიამოვნო რომაული ქალაქია. იქ ჩემს ციტადელში განმარტოებულს მაგნიწყდება ის მღელვარება და შფოთი, იერუსალიმში ჩემი ჩამოსვლის პირველი დღიდანვე რომ მახრჩობს და ამოსუნთქვის საშუალებას არ მძლევს.

ვამთავრებ წერილს და ვხედავ, რომ აისიც დადგა. კვირა დღე თენდება, ძმაო ჩემო. ვუბრძანებ, რომ ბარგი მომიშხადონ. როგორც ყოველთვის, ღამე შენდამი მიმოწერაში გაილია.

დიდი ხანია, რაც იუდეამ ძილი დამაკარგვინა. ამ ცხელმა ღამეებმა, ჩემო ძვირფასო ძმაო, შენთან მიმოწერა შემადლებინა.

გიწვდი ხელს პალესტინიდან რომში. მომიტევე სტილის სიუხეშე და სიმკაცრე. მოუარე თავს. მიხედე ჯანმრთელობას.

პილატე ძვირფას ტიტუსს

– სხეული გაქრა!

იმ დროს, როდესაც შენდამი მოწერილი უსტარი უნდა დამეგრაგნა, ცენტურიონი ბურუსი შემოვარდა და თავზარდამცემი ამბავი მაუწყა:

– სხეული გაქრა!

უმალ მივხვდი, იმ ნაბარეველ ჯადოქარზე რომ მელაპარაკებოდა. გავისიგრძეგანე, რა უსიამოვნებანი მელოდა, თუ სასწრაფოდ გვამს არ ვიპოვიდით.

ნება მიბოძე, ნაბარეველი ჯადოქრის საქმე მოკლედ გაგაცნო.

უკვე რამდენიმე წელია, რაც მთელ იუდეას ვინმე იეშუსს, განდევილი რაბინის სახელი აკერია პირზე. თავიდან სხვებისგან რამით კი არ გამოირჩეოდა?! იერსახე ისეთივე ჰქონდა, როგორიც ათასობით სხვას, მეტყველებდა გალოილეელი გლახაკისთვის ნიშნულ კილოკავზე, რაც თავისნაირებთან ურთიერთობაშიც კი უქმნიდა პრობლემებს. ყველაზე ამბარზენი

ის იყო, რომ იეშუა წარმოშობით ნაზარეთიდან იყო. იცი ეს ადგილი, რასაც წარმოადგენს? მივარდნილი და ყველასგან მივიწყებული სოფელია. წესით, ამ დეტალს მნიშვნელოვნად უნდა შეემალა ხელი მისი პოპულარობისთვის. არადა, შენ წარმოიდგინე, პირიქით კი მოხდა. მისმა არაამქვეყნიურმა, იდუმალებით მოსილიმა გამოსვლებმა, მოსწრებულმა, ორბაროვანმა სიტყვა-პასუხმა, მისმა ხანაც დაშქრულმა, ხანაც აგრესიულმა აღმოსავლურმა იგავ-არაკებმა, ქალებისადმი კეთილგანწყობამ, რაღა გავაგრძელო და, ყველაფერმა ამან არაერთი გულშემატკივარი და მიმდევარი გაუჩინა. მეც ფხიზლად ვიყავი და როგორც კი პალესტინაში გადაადგილება დაიწყო, არ დავაყოვნე და ჩემი ჯაშუშებიც ვაფრინე. მალევე მაუწყეს, რომ ეს ადამიანი მშვიდი და უწყინარი ეჩვენათ, რომელსაც მხოლოდ რელიგიური საკითხები აინტერესებდა, მისი მტრები კი, მისივე თქმით, თურმე უფრო იუდეველი ოფიციალური ღვთისმსახურნი ყოფილან, ვიდრე რომელიც დამპყრობლები. ჩემი მომხსენებლები ამ განცხადებით სახტად დარჩენილან.

იცი, რომ ვერავის ვუცხადებ სრულ ნდობას, ამიტომაც ჩემდა თავად იეშუას მონათეთა დღითი დღე მზარდ ჯგუფში – გეგონება, მისი სიტყვებით იკვებებიანო – ჩემი სრული ნდობით აღჭურვილი ხალხი შევგზავნე – უნდა დამედიანა, სად იყო ძალის თავი დამარხული.

აქ ნებისმიერი რელიგიური სექტა ჩუმად, შენიღბულად პოლიტიკაშიც ყოფს ცხვირს. მას შემდეგ, რაც რომმა აქ თავისი რეჟიმი დაამყარა, ჯარები განათავსა და მმართველობის რომაული ინსტიტუტები ჩამოაყალიბა, ხოლო ადგილობრივ მოსახლეობას საკუთარი რელიგიური კულტის თავისუფლება დაუტოვა, მინდა გითხრა, რომ რელიგიური ალტკინება ერთგვარ ნაციონალიზმში გადაიზარდა; წმინდა თავშესაფრად იქცა, სადაც კეისრის წინააღმდეგ მიმართული ამბოხი მზადდებოდა. ვეჭვობ, რომ ბევრი ებრაელად ასაღებდა თავს, რათა განეცხადებინა: მე რომის წინააღმდეგი ვარო. ფარისეველები და, შენ წარმოიდგინე, სადუკეველებიც კი, ასეთი წნეხის ქვეშ რომ მყავს, თავიანთ ერთადერთ ღმერთს მხოლოდ იმიტომ ეთაყვანებიან, ჩვენი რომ შეიზიზღონ სულით ხორცამდე. აშკარაა, რაც ჩვენგან მოდის, ეზიზღებათ. რაც შეეხება ზელოტებს, კეისრის აშკარა მტრებს – სხვათა შორის, ასევე ემტერებიან ყველას, ვინც მასთან თანამშრომლობას განიზრახავს – ჩვენი მოძულე საშუაში ფანატიკოსები არიან, ნამდვილი ავაზაკები, არც ერთ კანონს რომ არ ემორჩილებიან – არც სხვისას და არც საკუთარს, ურჯულად ნათლავენ ყველაფერს, რასაც გამოხე. სიფრთხილეს რომ არ ვინჩენდე, ჩვენს ხელისუფლებასაც გამოუთხრიდნენ ძირს, მეტიც, ბარბაროსული უნით შეპყრობილნი, საკუთარ ქვეყანასაც ნაცარტუტად აქცევდნენ. ერთი სიტყვით, განვიზრახე, ზუსტად დამედიანა, ვის შეუერთდებოდა იეშუა – ზელოტებს, ფარისეველებს თუ სადუკეველებს, თუ მართლა მიამიტი მორწმუნეა, როგორც ამას დუქორეულები მიმტკიცებდნენ. ხომ უნდა მცოდნოდა, რომელი ჯგუფი აპირებდა მისი პოპულარობით ხელის მოთბობას. ვინ აქცევდა მას ჩემს გასანადგურებელ იარაღად. ჩემდა გასაკვირად, არაფერი მსგავსი არ მომხდარა. თუმცა ჯადოქარმა ერთი რამ კი ნამდვილად მოახერხა – მთელი სამყარო მტრად გადაიკიდა. ზელოტებს მის დანახვაზე ბურძღავდათ, მაშ შემდეგ, რაც საჯაროდ გამოაცხადა, „კეისრისა კეისარსო“ და ამით ჩვენი ჯარების აქ ყოფნა და ჩვენ მიერ დაწესებული გადასახადები გაამართლა. ფარისეველებმა კი პირდაპირ დანაშაულის ადგილზე წაასწრეს: ჯადოქარმა მათი უზენაესი კანონი – შაბათი შეტალა. სადუკეველებმა, ამ პირუთვნელმა კონსერვატორებმა და ტაძრის ღვთისმშობიშმა მსახურებმა არა მარტო ამ გადასახკის სითავხედე ვერ აიტანეს, ერთი და იმავეს, მისი თქმით, აბსურდული წმინდა ტექსტების გამეორებას საღი გონებით აზროვნება რომ არჩია, არამედ ჯადოქარში მათი ძალაუფლებისთვის მომავალი საფრთხე დაინახეს. თავად შემოღობილეს და რამდენიმე დღის წინ ჩემგან მისი იკვდილის ნებართვა აიღეს.

– რა მნიშვნელობა აქვს ამას ყველაფერს? – იკითხავ შენ, – შენი მტრები თავადვე უსწორდებიან შენს პოტენციურ მონაწილედგეს. გიხაროდეს!

– ცხადია, უნდა მიხაროდეს.

– შემდეგ ის გარდაიცვალა, – დასძენ შენ, – ამიერიდან არაფრის არ უნდა გემიოდეს!

რასაკვირველია, არ უნდა მემიოდეს.

და მიუხედავად ყველაფრისა, მე მაინც არ მასვენებს განცდა, რომ ამ საქმეში რაღაც არადამაჭერებლად დაჩქარდა. მე ჩემი მართლმსაჯულება, რომის მართლმსაჯულება არ აღმისრულებია, მე მათი, ჩემი ოპოზიციონერების – სადუკეველთა, მაგრამ ფარისეველთათვისაც სასურველი მართლმსაჯულება ვაზიემე. ამ ებრაელებს სამუდამოდ მოვამორე ებრაელი, მათ რომ ასე მედგრად ეწინააღმდეგებოდა. განა მე ეს როლი უნდა შემესრულებინა?

სასამართლო პროცესის დროს ჩემს მეუღლეს, კლაუდია პროკოლას არც კი მორიდებია, საყვედური ჩემთვის პირდაპირ სახეში რომ მოეხალა. თავისი წაგრძელებული სერიოზული სახე მომაპყრო, რომელზეც არც ზიზღი და არც ვნება აღბეჭდოდა და დიდხანს, დიდხანს მანამა ამ მხერით.

– შენ ასე ვერ მოიქცევი!

– ეს ჯადოქარი სინედრიონის ღვთისმსახურებმა თავად გადმომცეს. როგორც იმპერატორის ნაცვალს, მისთვის სასაყვედურო არაფერი გამაჩნია, მაგრამ ჩემი თანამდებობა მავალდებულებს, ადგილობრივი ღვთისმსახურების მოთხოვნებიც ყურად ვიღო, თუ ტაძართან მშვიდობიანი ურთიერთობების შენარჩუნებაზე ვიზრუნებ. როგორ გინდა, კიდევ ირწმუნო, რომ გამგებელი მართავს?

არადა, გამგებელმა ყველა უნდა დაარწმუნოს, რომ რეალური მმართველი ისაა, რომ მისი გადანყვეტილება მხარეებს შორის წონასწორობის შენარჩუნების სურვილითაა ნაკარნახევი, რომ ყოველი მისი ნაბიჯი არსებულ გარემოებათა შესაფერისია.

– არა, შენ არ შეგიძლია, ასე მომექცე.

თვალები დავხარე. ვერ გავუძელი ამ ქალის მხერას. ქალისა, ასე რომ ვეთაყვანები და ჩემს დღევანდელ კარიერას უნდა ვუმაღლოდე. კლაუდიამ გადანყვიტა – და შენ ამის შესახებ მშვენივრად მოგეხსენება – არა მარტო გაუთლელ პროვინციალს მისთვისებოდა, რასაც მთელი ნათესაობა დღენიდაც აყვედრიდა, არამედ საკუთარი ოჯახისგან ჩემთვის შეტად მნიშვნელოვანი – იუდეის გუბერნატორის თანამდებობაზე დანიშვნის ნებართვა მოეპოვებინა. კლაუდიას მფარველობა, ქარიზმა და თანადგომა რომ არა, მე ამ თანამდებობას ცხოვრებაში ვერ ვეღირსებოდი. კლაუდია პროკოლას ვუყვარვარ და პატივსაც მცემს, მაგრამ როგორც ყოველი რომელიც კეთილშობილი ქალბატონი, ისიც ჩვეული საკუთარი აზრების გამოხატვას და მამაკაცთა კამათში ჩარევას. მსგავს ქმედებას ვერც ერთი სხვა ქალისგან ვერ ავიტანდი და სიმართლე გითხრა, ხანდახან მიჭირს კიდევაც მამაკაცური სიფიცის მოთოკვა. თუმცა მიჩვენია, კლაუდიას პირი კი არ მოვაკეტიწო, არამედ მისი არგუმენტები შევისმინო. გარშემო მყოფთა თვალში ჩემი პრესტიჟი რომ არ შელახულიყო, მივალწიე იმას, ჩვენი

დისკუსიები საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში არ წარმართულიყო. მაგრამ კლაუდია სარგებლობს ჩვენი განმარტებით და ყველაფერს აკეთებს, რომ აზრთა გაცვლა-გამოცვლა რაც შეიძლება დაძაბული გახადოს.

– შენ ვერ მომეცევი აგრერიგად. იეშუა რომ არა, მე ამქვეყნად უკვე აღარ ვიქნებოდი.

კლაუდია იმ ავადმყოფობაზე მიმანიშნებდა, რომელმაც რამდენიმე თვით სარეცელს მიაჭაჭვა. ნელ-ნელა სისხლისგან იცლებოდა. მე მთელი პალესტინის ექიმები ფეხზე დავაყენე, ვუხმე რომაელებს, ბერძნებს, ეგვიპტელებსა და ებრაელებსაც კი. სისხლდენას ვერც ერთმა ვერაფერი მოუხერხა. ჩვეულებისამებრ ქალებში ჰემორაგია მხოლოდ ოთხ დღეს თუ გრძელდება, მაგრამ კლაუდია პროკოლას რატომღაც არადა არ შეუწყდა.

საბრალო კლაუდიას სახეზე სიცოცხლის არანაირი ნიშანწყალი აღარ აღებეჭდებოდა, ფერი საერთოდ დაკარგა, ნებისმიერ მოძრაობაზე გულს გაშმაგებული ბაგაბუგი გაჰქონდა. ვგრძნობდი, რომ ახლოვდებოდა დღე, როცა კლაუდია საერთოდ შეწყვეტდა სუნთქვას.

ერთ-ერთი მოახლე კლაუდიას ნაზარეველ ჯადოქარზე ელაპარაკა. მთხოვა, მისი გამოძახების უფლება დამერთო. იმედი კი არ მქონდა, მაგრამ უარი არ მითქვამს. შეხვედრამე დასწრებისგან თავი შევიკავე.

ნაზარეველმა დღის მეორე ნახევარი ავადმყოფთან გაატარა. უკვე საღამოს კლაუდიას სხეულიდან სისხლი აღარ იღვრებოდა.

მომხდარს ველარ ვიჭერებდი. მეუღლის მყისიერი გამოჯანმრთელების გამო უსაზღვრო ბედნიერების გამოხატვისგან მაინც თავს ვიკავებდი.

– კი მაგრამ, რა გაკეთა?

– ჩვენ მხოლოდ ვსაუბრობდით. ეს იყო და ეს.

– არც კი შეგეხო? არ მოგისმინა? მაჭა არ გაგისინჯა? არაფერი დაგალევინა? არც მალამო წაუცხია? მაშ, როგორ მოახერხა სისხლდენის შეჩერება?

– არა, ჩვენ მხოლოდ ვსაუბრობდით. იმდენი რამ გავუზიარეთ ერთმანეთს...

კლაუდიას ჯერ კიდევ ვერ მოეკრიბა ძალა, ჩემს ყველა კითხვაზე პასუხი რომ გაეცა. მხოლოდ მიღიმოდა.

მეორე დღეს კლაუდიამ თვალში გამოიხედა. მაცოცხლებელი ენერგია დაუბრუნდა. თითქოსდა დილის ცვარი შეერგო. მომიბრუნდა და უბრალოდ მითხრა:

– მისი წყალობით შევეგუე იმას, რომ ბავშვები აღარ გვეყოლებოდა.

ჩემო ძვირფასო ტიტუს, შენ კარგად იცნობ რომაელ არისტოკრატ ქალბატონებს, თვალს თვალში რომ გაგიყრიან და სრულიად გაუგებარ იდუმალ ფრაზას პირდაპირ სახეში მოგახლიან. თუ გასურს, ხეპრეს რეპუტაცია არ დაიმკვიდრო, თავი უნდა მოიკატუნო, თითქოს ყველაფერს ზედმიწევნით ჩაწვდი. მეც გონიერი ადამიანის იერი მოვირგე, გამოხედვა აღფრთოვანების ზომიერი დოზით გავაზავე; როგორც მივხვდი, მეუღლეს ჩემგან გრძნობების მსგავს გამოხატვას მოელოდა. მას შემდეგ ამ თემას არასოდეს დავბრუნებია.

– იეშუამ გადამარჩინა. ახლა შენ გადაარჩინე იეშუა.

მეუღლე ღირსების კოდექსს მახსენებდა, რომელსაც არაფერი ჰქონდა საერთო კეისრის ნაცვლის მოვალეობებთან.

– ვბრძანებ, რომ საჭაროდ გაროზგონ. ერთი კარგი სისხლის გამოშვება და ბრბოც მოიკლავს წყურვილს. ასე უარეს სასჯელს ასცდება.

კლაუდია დუმილით დამეთანხმა. ჩვენ მივალწიეთ თანხმობას და მივიჩინეთ, რომ ამ გზით ჯადოქარი გადარჩებოდა.

საჭარო როზგებმა ნავარაუდევო შედეგი არ მოგვცა. მოვლენები კი წარმოუდგენელი სიჩქარით განვითარდა. ჩემმა ჯარისკაცებმა იეშუა ანტონიას ციხესიმაგრის წინამდებარე მოედანზე გაიყვანეს და მათრახები უმოწყალოდ უტყლაშუნეს. რარიგ უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოს, სიკვდილმისჯილი არ ყვიროდა, პროტესტის სურვილიც არ გასჩენია, დარტყმისას ერთიც არ დაუკვნესია. თითქოსდა ამ სანახაობის თანამოწილე არც ყოფილა. მშვიდი და უწყინარი ჩანდა. მისი საქციელი არ წააგავდა დამნაშავეს ან უცოდველი ადამიანის საქციელს. ის დაემორჩილა ბედ-იღბალს, რომელიც არ მოსწონდა, მაგრამ მაინც დათანხმდა, იმიტომ, რომ არსებულ რეალობას ვერაფრით ვერ შეეგუებოდა. მისი სხეულიც კი აღარ იყო წამებული ადამიანის სხეული. დახეთქილი კანიდან სისხლი მოჩქეფდა, მაგრამ მის ბაგეებს ერთი ჩივილიც არ მოსწყვეტია. იეშუამ აბუნად აიგდო მოსამართლეებიცა და ჯალათებიც. მან მართლმსაჯულება მართლმსაჯულების პაროდიად აქცია, წამება კი წამების იმიტაციად. ბრბო იმედგაცრუებული დარჩა. ახლა ის ტანჯულის წინააღმდეგ განეწყო. სანახაობის მთავარი მოქმედი გმირი უნიჭოდ შერაცხა, გულგრილობას საყვედურობდა. ბრბოს წარმოდგენა სჭირდებოდა, შთამბეჭდავ ფინალს ითხოვდა. ბრბოს სურდა, სიკვდილი საკუთარი თვალებით ეხილა.

კლაუდიას მივუახლოვდი, რომელსაც თავი ციხესიმაგრის ჩრდილისთვის შეეფარებინა. მინდოდა, მეცნობებინა, რომ ჩვენმა ხრიკმა არ გაჭრა. კლაუდია, მთელ სცენას გაფაფაცივებით რომ ადევნებდა თვალყურს, ყველაფერს მიხვდა. მკლავებში ჩამვივარდა და გულამოსკვნით აქვითინდა.

– რამე იღონე, გემუდარები, რამე იღონე...

იეშუას კლაუდიას ცრემლების მეოთხედი მაინც რომ დაეღვარა, დარწმუნებული ვარ, ბრბოს გულს მოულობოდა და შეწყალებისკენ განაწყობდა. უფრო ჩემი მეუღლის გულისთვის, ვიდრე ჯადოქრისთვის, უდანაშაულოდ რომ მივიჩნევდი, რამე უნდა მეღონა, გამოსავალი აუცილებლად უნდა მეპოვა.

– ჩვეულება! პასექის წინა ჩვეულება!

კლაუდია უმაღლეს მიხვდა, რასაც ვგულისხმობდი. კანკალმა გაუარა და დამასახუქრა ისეთი აღფრთოვანებული მზერით, რომელიც თავს მარად ახალგაზრდა და სიმპათიურ მამაკაცად მაგრძობინებს, მაშინაც კი, როცა ოთხმოცის გავხდები. დაცვას ვუბრძანე, სატუსალოდან ამ მიდამოებში სახელგანთქმული ავაზაკი გამოეყვანათ. კაცი არ დარჩენილა, მას რომ არ გაუქურდავს და ვინ მოთვლის, რამდენი ქალწულისთვის აუხდია ნამუსი. ის მამაძალი მშვენივრად ხმარობდა ხანჯალს და მის მიერ ბოლო დროს ჩადენილმა არაერთმა დანაშაულმა მისი დაპატიმრების საშუალება მოგვცა. დილეგში მისმა ჩაგდებას უდავოდ დიდი შვება მომგვარა. ვეჭვობდი, რომ ეს შფოთისთავი ზელოტთა არმიას მესვეურებდა და სულ მალე ჩემი ხელისუფლების წინააღმდეგ ჯანყის მოწყობას აპირებდა. იმ დღესაც მისი დაკავების ვადა იწურებოდა და ნაშუადღევს ორ სხვა ნაკლებ სახელოვან არამზადსთან ერთად ჯვარზე უნდა გაეკრათ.

მე მივმართე შეკრებილთ და შევხსენე ჩვეულება, რომლის თანახმადაც კეისრის ნაცვალის პასექის დღესასწაულთან დაკავშირებით ერთ-ერთ პატიმარს თავისუფლებას უბოძებდა. ბრბოს შვეთავაზე, ბარაბასა და იეშუას შორის არჩევანი გაეკეთებინა. ერთი წამითაც არ შემზარვია ეჭვი, რომ სწორ გადაწყვეტილებას მიიღებდა. იეშუა დიდი პოპულარობით სარგებლობდა, თანაც სრულიად უდანაშაულო იყო. ბარაბა კი ადამიანებს შიშის ზარს სცემდა.

ადამიანები სდუმდნენ. სახტად დარჩენილები ჩანდნენ. ხან თავჩაქინდრულ, ფეხზე ძლივს მდგარ, სისხლში ამოსვრილ იეშუას შეჰყურებდნენ, ხანაც მზერა მედიდურად გაჭიმულ, ჯანიან და დაკუნთულფეხება, გარუჯულ ბარაბაზე გადაჰქონდათ. ავაზაკი თავხედურად და გამომწვევად შესცქეროდა ბრბოს.

ბრბო აჩურჩულდა, ერთმანეთს აზრს ეკითხებოდნენ. მავანი და მავანი ჯგუფიდან ჯგუფში გადადიოდნენ: ვვარაუდობ, რომ ისინი ჯადოქრის მოწაფეები იყვნენ, რომლებიც ცდილობდნენ, სხვები იეშუას მხარდასაჭერად განეწყოთ. მე ციხესიმაგრისკენ ავიხედე, ფანჯარაში კლაუდიას მოკარი თვალი. მწველ მზერას არ მაცილებდა. ჩვენ ერთმანეთს გავუღიმიეთ.

ხალხმა განაჩენი გამოიტანა, რომელიც ქორის სისწრაფით გავრცელდა. ბრბომ განაჩენი ჯერ წაილულულა, შემდეგ კი გარკვევით წარმოთქვა, ცოტა ხანში ხმამაღლა განაცხადა და ბოლოს ბლავილს მოჰყვა: – „ბარაბა! ბარაბა!“

გავოგნდი, ვერაფერს მივხვდი. ადამიანები ქურდის, მოძალადისა და მკვლელის გათავისუფლებას ითხოვდნენ. იეშუას ხომ ისეთი მძიმე არაფერი ჩაუდენია, თუ არ მივიღებთ მხედველობაში მის რელიგიურ კანდიერებას, რომელიც უცილო დასჯას იმსახურებდა?! ბარაბა კი – ეს კახპას ნაშიერი, სასტიკი და უმოწყალო ბაყბაყდვი, ბარაბა – სისხლის მწოველი და ეგოსტი, რომლის მიმართ საჩინგარი, წესით, შეკრებილთა შორის არაერთს უნდა გამოეხატა, ბრბოს რისხვას გადაურჩა, მეტიც – მისგან ძღვნად შეწყალება მიიღო! იმედგაცრუებულსა და აღშფოთებულს ამბოხის განცდა დამეუფლა, მაგრამ ხელ-ფეხი მქონდა შებოროკილი – ბრბოს განაჩენს უნდა დავმორჩილებოდი.

მე ბრბოს წინაშე ვალდებულად ვცანი თავი. ამ ვალდებულებამ ხელები გადამიგრისა. ვცადე, აღებული ვალდებულება ჩამომეხსნა.

შევასრულე რიტუალური შესტი, რომელიც ნიშნავდა: „ეს მე უკვე აღარ მეხება!“ მორიალიე ბრბოს გადამყურემ ვბრძანე, ხელებზე სუფთა, თბილი წყალი დაესხათ. ხელისუფლები ერთმანეთს გავესვი, უეცრად წყლის ჭავლზე, სპილენძის თასზე ხმაურით რომ იღვრებოდა, გარკვევით გამოიკვეთა ცისარტყელა.

გავიფიქრე, მე არ წარმოვადგენ მართლმსაჯულებას იუდეველთა მიწაზე, მე წარმოვადგენ რომს... და თუ რომი თავის კუთვნილ მიწაზე მართლმსაჯულებას აღარ აღავლენს, საკითხავია, რატომ ავირჩიე ის ჩემს მბრძანებლად?

შევტრიალდი და ციხესიმაგრეში დაბრუნებამდე ბოლო მზერა შევაგლე ორ პატიმარს. უეცრად გონება გამინათდა, მივხვდი, რამ შეცვალა ამ ორი ტუსადის ბედ-იღბალი, ერთი რომ ჯვარს აცვა, მეორე კი სიკვდილს გადაარჩინა. გავაცნობიერე დაშვებული შეცდომა, დავინახე ის, რაც ბრბომ ჩემამდე დაინახა, მე კი ყურადღება ვერ მივაქციე – ბარაბა ლამაზი იყო, იეშუა კი მახინჯი.

კლაუდია საძინებელ ოთახში მყოფა. შევხედე ამ აშოლტილ, ღია ფერის ელეგანტურ სამოსში გამოპრანჭულ რომაელ ქალბატონს, მის ნატიფ, ამჯერად სამაჯურებით დამძიმებულ ხელებს, შევხედე მის აბრეშუმით კრიალა კანს. შევხედე მშვენიერებას, რომლის ფერხით რომის შვიდივე ბორცვი იყო გართხმული.

სასონარკვეთილი კლაუდია იმ გალილეელი ძუნძლიანის გამო ფრჩხილებს იკვნეტდა. საშინლად ეცოდებოდა. დროდადრო ფანჯრიდან ბრბოს ზიზღნარევ მზერას შეავლებდა. სახის ნაკვთები დაძაბულობისგან დაჭიმვოდა, ტუჩებზე ბრაზისგან სიმწვანე გადაჰკვროდა. კლაუდია ვერ ურიგდებოდა უსამართლობას.

– ჩვენ დავმარცხდით, კლაუდია.

თავის დაქნევით დამეთანხმა, მე კი მისგან პროტესტსა და საყვედურებს ველოდი. როგორც ჩანს, შეეგუა მოვლენებს.

– შენ უმწეო იყავი, პილატე, ვერაფერს გააწყობდი! ისიც არ დაგვეხმარა.

– ვინ?

– იეშუა. თავისი საქციელით მან სიკვდილს უხმო, მას სიკვდილი სურდა.

შესაძლოა, კლაუდია მართალს ამბობდა. არც მღვდელმსახურთა, არც ჩემ და არც ბრბოს წინაშე იეშუამ საკუთარ თავს არ მისცა ისეთი ქმედების უფლება, ადამიანს გულს რომ აუჩუყებდა და შეწყალებისთვის განაწყობდა. მისმა მოუდრეკაობამ და გამძლეობამ, მგზნებარე, ურყევმა უარმა, ნათელმა პასუხებმა მხოლოდ მისი აღსასრული დააჩქარა.

– ჩვენ ისლად დავგრჩენია, დაველოდოთ, – დაასკვნა კლაუდიამ.

მზერა კლაუდიაზე გადავიტანე. მივხვდი, რის თქმა სურდა ამ განცხადებით.

– რას დაველოდოთ, კლაუდია? რამდენიმე საათში ის უკვე ცოცხალი აღარ იქნება.

– ჩვენ უნდა გავიგოთ, რა გვაუნყა იეშუამ თავისი სიკვდილით.

ძალიან კი მიყვარს კლაუდია, მაგრამ ამჯერად ჩემი მოთმინების ფიალა პირამდე აივსო. ვფიქრობ, გონიერ მამაკაცს ასევე გონიერ ქალბატონთან ურთიერთობისას აქვს უფლება, საკუთარ თავს გაბრაზების ფუფუნება უბოძოს. კლაუდია იმ ადამიანთა რიცხვს განეკუთვნება, რომლისთვისაც ყველაფერი გარკვეული ნიშნისა და მინიშნების მატარებელია, ყველაფერი ბედისწერასთანაა დაკავშირებული. აი, თუნდაც ფოთლის ვარდნა, ჩიტის ჰაერში ნავარდი, ქარის მიმართულების უცაბედი ცვლა, ღრუბლის ფორმა, კატის თვალები, ბავშვის დუმილი, აზრთა თანხედება, ამა თუ იმ სიტყვის გამოყენება... გულთმისან ქალებს შეუძლიათ ყველაფერი გონებით, აზროვნებით აღჭურვონ, ცდილობენ, საგანთა და ნივთთა სამყარო პერგამენტივით წაიკითხონ. ისინი კი არ უყურებენ, კი არ აკვირდებიან, არამედ ამოიკითხავენ. მათი რწმენით, ყველაფერს გარკვეული აზრი აქვს. თუ გზავნილი გაუგებარია, ფიქრობენ, რომ ის დამალულია; არ არსებობს ხარვეზი, არ არსებობს უმნიშვნელობა, სამყარო სიტყვამრავალი ნაწარმოებია, მნიშვნელობებითაა გაძედილი... ერთი სული შეონდა, მიმეხალა, რომ სიკვდილი სიკვდილია და მორჩა! რომ საკუთარი სიკვდილით შეუძლებელია, ვინმეს რამეზე მიანიშნო; სიკვდილს ღებულობ მხოლოდ; რომ კლაუდია იმ თავისი ჯადოქრის სიკვდილში ვერასდროს ამოიკითხავდა სხვა აზრს, გარდა მისი სიცოცხლის შეწყვეტისა... მაგრამ ბოლო მომენტში თავი შევიკავე. იქნებ ზედმეტი ტანჯვის შემსუბუქების მიზნით, კლაუდია გონებაში ქმნიდა სამყაროს, სადაც ყველაფერი, ყველაზე უარესიც კი, მას რაღაცაზე მიანიშნებდა, რაღაცას ატყობინებდა.

როგორც მჩვეოდა, თავი მოვიკატუნე, საქმეში ჩახედული და გამგებიანი ადამიანის იერი მოვირგე, კლაუდიას მიერ წარმოთქმულ ოქროს სიტყვებს შესატყვის შეფასებას რომ მისცემს. შემდეგ ოთახი დავტოვე და ჩქარი ნაბიჯით ჩემს ცენტურიონებს შევეერთდი. ისინი დასჯასთან დაკავშირებით ჩემს ბოლო მითითებებს ელოდნენ.

რამდენიმე საათის შემდეგ იეშუა გარდაიცვალა, ბარაბა კი გაათავისუფლეს.

– სხეული გაქრა!

ვფიქრობ, ახლა უკეთესად მესმის ჩემი გაკვირვება, როცა ცენტურიონმა ბურუსმა ეს უცნაური ამბავი მიპატაკა. ჯადოქარი ფოკუსებს, ოინებს არ იშლიდა. კლაუდიას შეეძლო ტრიუმფალური სვლა განეგრძო.

სასწრაფოდ სასახლიდან შორიახლოს მდებარე სასაფლაოს მივამოხრე კოჰორტის თანხლებით, რათა ჩავნდომოდი ქმშარიტებს, რომელიც შესაძლოა ჯერ კიდევ პაერში ფარფატიბდა.

საფლავის ირგვლივ ათიოდე ებრაელს მოეყარა თავი. დაგინახეს თუ არა, თვალის დახამხამებაში აყვავილებულ ბუჩქებში გაუჩინარდნენ. პირლია გამოქვაბულთან მხოლოდ ორი მცველი დარჩა.

ჩაცმულობით დავადგინე, რომ ისინი კაიაფას, ტაძრის პირველი ღვთისმსახურის დაცვას ეკუთვნოდნენ; იმ კაიაფასი, გამძვინვარებული რომ ითხოვდა იეშუას გასამართლებასა და სიკვდილით დასჯას.

– ესენი აქ რას აკეთებენ?

ცენტურიონმა ამიხსნა, რომ ტაძრის პირველმსახურ კაიაფას დაცვა აქ ჯერ კიდევ გუშინ დაეყენებინა. თურმე შიშობდა, თაყვანისმცემლებს გვამი არ მოეპარათ და საკულტო ობიექტად არ გაეხადათ.

– და თქვენ რა დაინახეთ?

თვალდახუჭული მცველები არ მპასუხობდნენ. თავკომბალებს წააგავდნენ, უხეში ნაკვთები ჰქონდაყთ. გეგონება, უნიჭო მოქანდაკემ ნაჩქარევად თითის წვერებით გამოძერწა თიხისგანო. ტურები უკანკალებდათ, სიტყვის ამოღება ვერ გაეებდათ, მხრები ჩამოყროდათ.

– ორივე გავროზგე, პილატე, მაგრამ ირწმუნებიან, ღამით არაფერი დაგინახავსო.

– შეუძლებელია!

საფლავს მივუახლოვდი, უფრო სწორედ, აკლდამას. მსგავსს მხოლოდ აქ თუ ნახავ, შენთვის წარმოსადგენად ძნელია. პალესტინაში საფლავს მიწაში კი არ თხრიან, კლდეში ამოტეხავენ ხოლმე. შემდეგ გამოქვაბულს უზარმაზარი მრგვალი ქვით გმანავენ, რომელიც კარის ფუნქციას ასრულებს. ეს ლოდი ვილაცას გვერდზე გადაეწია და ქვეშ ბჭენი ამოედო. ნახევრად ღია აკლდამაში შეღწევა თავისუფლად შეიძლებოდა.

– რატომ გააღეს ისე?

– დილით ქალებს ძღვენის სახით აკლდამაში სურნელოვანი ბალახების: ზმირინისა და ალოეს შეტანა სურდათ.

– და ლოდი ვინ გადააგორა?

– ქალებმა და მცველებმა. შემოვლაზე ვიყავი. როცა დავინახე, ძალიან რომ უჭირდათ, მეც წავეშველე, – მიპასუხა ცენტურიონმა, – ასე აღმოვაჩინეთ, რომ საფლავი ცარიელი იყო.

კლდეში გამოჭრილ გამოქვაბულში შევიხედე. გამქრალი სხეულის ამბავს ვერა და ვერ ვიჭერებდი. თუ დილით ამ ვეება ქვის გადაწვევას ამხელა ძალისხმევა დასჭირდა, ღამით სრულიად მარტო მყოფი ჯადოქარი ამას როგორ მოახერხებდა? არა, ეს სრული სიგიჟე იყო.

მეტი აღარ დავიცადე და აკლდამაში შევედი. ნაბიჯები ისე გადავდგი, ვერც გავაცნობიერე. ცოტა არ იყოს, გამიკვირდა – რატომ შევიჭერი ასე მიცვალებულთა სამყაროში? ნუთუ სახიფათო ზღვარს გადავაბიჯე?

მოკლე დერეფანი პირდაპირ ოთახში გადიოდა. აქ კლდეში სამი სარეცელი გამოეჩორკნათ. სამივე ცარიელი იყო. ერთ-ერთზე ჯადოქრის ნაკვალევს მოვკარი თვალი. აქ ეყარა სიღბუნები, სახვევები და სუდარა, ერთგვარი არანგველებრივი ხარისხის ზენარი, რომელზეც ჭრილობებს მოყავისფრო ლაქები დაეტოვებინა. მზრუნველობით დაკეცილი სუდარა სარეცლის ძგიდეზე შემოედოთ. ნამდვილი სიგიჟე! სხეულის გაქრობა, ისევე როგორც ეს რუდუნებით დაკეცილი სუდარა ჯანსაღი აზრის გამოწვევად მივიჩნიე. ვინ გადახადა გვამს სუდარა, რომელიც, წესით, შედეგებული სისხლის წყალობით სხეულს უნდა მიკვროდა. ვინ გაისარჯა ასე ფუჭად და მას დაკეცვისას გარკვეული გეომეტრიული ფორმაც მოუძებნა. ვის



შეიძლება ადგილისათვის სრულიად შეუფერებელი მანიაკალური ქმედება ჩაედინა? ნუთუ ჯადოქარი იმდენად წესრიგისმოყვარე იყო, რომ როგორც კი გონს მოეგო, ინსტინქტურად...

ქსოვილი ხელში მეჭირა და თითებით ვსრესდი. თითქოს მსგავსი ქმედება გადაწყვეტლების პოვნაში უნდა წამშველებოდა. გონება ამეძვრა. ერთგვარი გარინდება დამეფლავა. სარეცელზე ჩამოვკეცი. წარმოვიდგინე, რომ მივიცვალე და გამოქვაბულში სამარადისოდ ჩავიკეტე, ამ უკუნეთში, სადაც დღის სინათლე ერთმანეთს მიჭრით მიწყობილ ქვებს შორის შემთხვევით დარჩენილი ხვრელიდან თუ აღწევდა; სამყაროში, სადაც ჩამიჩუმი არ ისმოდა, ერთი მცენარეც კი არ სუნთქავდა. წარმოვიდგინე, რომ იეშუა ვიყავი, მაღალი და გამხდარი, ჯვარცმისას გადატანილი ტანჯვა-წამების შემდეგ აქ რომ განისვენებდა.

ფილტვები გამდნარი ტყვიით გამევსო. მხრები და მკერდი წარმოდგენელ სიმძიმეს ვეღარ უძლებდა. დამეფლავა განცდა, რომ დავჩიავდი და დავძაბუნდი, ჩემი სხეული გაისრისა. წამოწოლა, ფეხების გაშლა და აქ დარჩენა მომინდა. ძალა საერთოდ გამომეცალა. ვერ გამერკვია, გაბრუება სიამოვნებას მანიჭებდა თუ მასწულებდა. ფეხები წამერთვა. ცოტაც და ყოველგვარ ნებასა და მგრძობილობას დავკარგავდი.

უეცრად მივხვდი, რაც ხდებოდა. ერთ-ერთ კუთხეში სურნელოვანი ბალახის – ზმირინისა და ალოეს მთელ გორას მოვკარი თვალი. ეს მცენარეები აქ იმიტომ დაეხვავებინათ, რომ აკლდამა გახრწნილი გვამების მყარალი სუნისგან გაეწმინდათ. მე კი, ცოცხალ ადამიანს, მგუდავდა, მწამლავდა და საიქიოსკენ მიმაქანებდა.

გამოქვაბულიდან შურდულივით გამოვვარდი. მწველი მზე მაცოცხლებელ და მხსნელ სილის განაღდ ალვიქვი.

შევხედე ბალს, ყვავილებით მორთულ-მოკაბმულ ალუბლის ხეებს, გაზაფხულის მუქმწვანე ფოთლებს და აი, აქ, ნაირ-ნაირი სურნელებით გასუღენთილ და ჩიტების შივილ-ხივილით გაცხებულ ფერადოვან სამყაროში უეცრად ეჭვი შემეპარა, რომ სიკვდილი საერთოდ არსებობს.

ცხენს მოვახტი და წასვლამდე ერთხელ კიდევ მივიხედე უკან. გამოყვყინებული მცველები საკუთარ ფეხებს მიშტერებოდნენ. გონება თვალის დახამხამებაში გამინათდა. ჩავწვდი ქვეშარიტებას: მცველთა გაფართოებულ გუგებზე მივხვდი, რომ დაბანჯულები იყვნენ. ბალახზე მიყრილი ორი ტიკიც შევამჩნიე. სამწუხაროდ, ორივე ბოლო წვეთამდე გამოეწრუპათ. რუმბის საცობის ყნოსვით ძველი აღმოჩნდა საძილე საშუალების ნაკვალავის გარეგნობა. პალესტინის ყოვლად უვარგისი ღვინის მძაფრი, მწკლარტე ოხშივარი ამის საშუალებას არ იძლეოდა. მიუხედავად ყველაფრისა, გონებაში ჩემი ვერსია მაინც გამოიკვეთა: დაცვა გამოატყვერეს და მიამძინეს. ცხადია, ღამით ვერც ვერაფერს ნახავდნენ და ვერც ვერაფერს მოისმენდნენ. ქურდების ხელფეხგახსნილობა ურდომ ლოდი თავისუფლად გადასწია გვერდზე, გვამი მოიპარა და წასვლისას შესასვლელი ისევ ამოქოლა. დადგმა შესანიშნავი კი გამოუვიდათ – ჯადოქრის ზებუნებრივი შესაძლებლობებისა ყველაზე უღმერთო პუბლიკასაც კი უნდა ერწმუნა.

ციხესიმაგრეში დავბრუნდი და მდგომარეობის შესაფერისი გადაწყვეტილება მივიღე: ქურდები მიწიდან უნდა ამოგვეთხარა და იეშუას გამქრალი გვამი გვეპოვა.

ბრძანება ჩემმა მდივნებმა ფრიად გაიკვირვეს:

– მბრძანებლო, ებრაული საფლავის შებლაღვის გამოძიებაზე ჩვენ წამდვილად არ უნდა მოვცდეთ. ამ საქმის მოკვლევა უფრო მღვდელმთავარსა და მის სინედრიონს მართებს. ჩვენი იურისდიქცია ამ შემთხვევაში უმწეოა.

– ჩემი მოვალეობა უსაფრთხოების უზრუნველყოფაა, – მივუგე მკაცრად.

– დიახ, ოღონდ მხოლოდ ცოცხლებისა და არა მიცვალებულთა, პილატე. ებრაელ მიცვალებულთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა კი კიდევ უფრო ნაკლებად გვესაქმება, მით უმეტეს, ბოროტმოქმედი მიცვალებულისა.

– იეშუას არაფერში მიუძღოდა ბრალი.

– მიუხედავად ამისა, ჯვარს კი აცვით.

– თქვენი მოვალეობა მორჩილებაა, შესაძლო შედეგებზე კი როგორმე უთქვენოდ ვიფიქრებ. თუმცა ახლავე შემიძლია ზოგი რამ განვცვიოთ: თუ ხალხს მივცემთ იმის საბაბს, დაიჭვროთ, იეშუა გაცოცხლდა და დამოუკიდებლად გადააგორა საფლავის ქვა, ჩვენ სულ მალე ამ დამბალ მიწაზე, სადაც ღვინომ და ლიმონმაც კი შეიძლება ციებ-ცხელების შეტევები გამოიწვიოს, აქამდე არნახული არეულობების მომსწრენი და არ გამოვრიცხავ, მსხვერპლნიც კი შეიძლება გავხდეთ. გვამის ქურდებმა შეიძლება მორწმუნეთა ძლიერი აღშფოთება და ამბოხი გააღვივონ; თანაც ისე მძლავრად, რომ მთელ ებრაელ ერს იეშუას სახელი ეკერება პირზე. ჰოდა, სწორედ ეს გამძვინვარებული ბრბო შეგვაფურთხებს პირდაპირ სახეში და პანჩურით გაგვყრის აქედან. ჩვენ, რომაელებს და არა სხვა ვინმეს, დაგვედება მის წამებაში ბრალი. შესაძლოა, მოვლენები სხვა მიმართულებითაც განვითარდეს და ძალთა თანაფრთობა საერთოდ დაირღვეს. თუ აკლდამის სტუმრებს თაღლითობა გამოუვიდათ, შესაძლოა ხალხი იეშუას მოძულე ფარისეველთა წინააღმდეგაც აამხედრონ. იგივე ბედი ეწვეათ სადუკეველებსაც, ჯერ სამსჯავრო რომ მოუწყვეს იმ ჯადოქარს და მერე კი დასასჯელად მე გადმომცეს. არც ზელოტებს დაბადებათ კარგი დღე. მათ ხომ იეშუას გათავისუფლებას თავისიანის – პირსისხლიანი ბარაბას შეწყალება ამჭობინეს. ერთი სიტყვით, თუ იმ ტაკიმასხარებს, ასე თავხედურად რომ დასცინეს მთელ სამყაროს, დღესვე სასწრაფოდ არ დაიჭერთ, ხვალ მთელი ისრაელი ცეცხლის ალში იგიზგიზებს და სისხლის ნაკადულები დაიღვრება. ჩვენ კი გემით რომს დაბრუნება მოგვინვეს, რა თქმა უნდა, თუ კესარიის პორტში მისვლამდე გზად არ ამოგვუშუს. გასაგებად აგისხენით ყველაფერი?

განკარგულების გაცემა და ბურუსის დამნაშავეთა საძებრად წასვლა ერთი იყო. პირადად მე ზუსტი წარმოდგენა მქონდა მათ ვინაობაზე და ასევე ზუსტად ვიცოდი მათი ამჟამინდელი ადგილსამყოფელიც. რამდენიმე საათში გამტაცებლებს ბოროკილებს დაადებენ და ყველაფერი წესრიგში ჩადგება.

კვანძის გახსნის მოლოდინში, ჩემო ძვირფასო ძმაო, გწერ წერილს და ვაღიარებ, ამას ორი მიზეზის გამო ვაკეთებ. ჯერ ერთი, მსურს საქმის კურსში ჩაგაყენო და მეორეც – მიწა, თავი შევიქციო და როგორმე მოუთმენლობას გავუმკლავდე. ჩემი მოსამსახურეები უკვე აგროვებენ ბარგი-ბარხანას და მალე ყაზარმაში გადავბარდებით. ეჭვი არ მეპარება, რომ ეს საქმე უახლოეს მომავალში ჩაითარცხება და იერუსალიმში შეყოვნების საბაბიც აღარ მექნება. შედეგებს კესარიიდან მოგწერ, როცა ყაზარმაში მშვიდად ვიგრძნობ თავს. მანამდე კი გემშვიდობები და ერთ რამეს გთხოვ, იბრუნე საკუთარ თავზე.

## პილატე ძვირფას ტიტუსს

ბოლო რამდენიმე საათმა თავგზა ამიზნია. რეალობა ჩემს ლოგიკას არ ემორჩილება. შენ კარგად მიცნობ და მშვენივრად უწყი, რომ მე არ განვეკუთვნები იმ აგზნებულ და აღფრთოვანებულ ადამიანთა რიცხვს, მარად სინამდვილის შელამაზებით რომ იქცევენ თავს. იმის ნაცვლად, რომ ფაქტებს თვალს გაუსწორონ, ბურგს აქცევენ მას, ან გონებაში ისე კაზმავენ, როგორც ლამაზმანს, სრულიად შემთხვევით, მხოლოდ ერთხელ ნაჩქარევად რომ შეავლეს თვალი. მიაწერენ ათასგვარ არსებულ თუ არარსებულ ღირსებას თუ თვისებას; გამოუთქმელ სიტყვებს, აულიარებელ განზრახვებს; საკუთარი ბედნიერების საწინდრად რომ მიიჩნევენ მრავლისმეტყველ, გონივრულ დუმისს. არა, მე ნამდვილად არ მოვიპოვე იმ მეოცნებე საყვარლებს შორის, სილამაზესა და ბედნიერებას საკუთარი ხელით რომ ძერწავენ, იდეალებს ოქროთი ავარაყებენ და ამით ბრწყინვალეობას სძენენ. არა, მე არ ვარ ნეტარი შემოქმედი. მე ზედმიწევნით ვიცნობ რეალობას, მეტიც, წინასწარ განვჭვრეტ მას, ვგრძნობ მის სუნთქვას. ყოველთვის მოველი, რომ ის ბევრად უფრო მახინჯი იქნება, ვიდრე სინამდვილეში შეიძლება გვეგონოს, უფრო სასტიკი, უმოწყალო და გაუკუღმართებელი, უფრო დახლართული, ორპროვანი და მათრობელი, უფრო გარყვნილი, რევანშისტული და ანგარებიანი, უფრო ეგოისტური, ხარბი, აგრესიული, უსამართლო, მერყევი, გულგრილი, ფუჭი... მოკლედ, ერთი სიტყვით რომ ვთქვათ, უფრო მაცდური. ამიტომაც არ ვცილდები რეალობას, ვნადირობ მასზე. თუ საჭიროა, შემძლია ქეჩოშიც წავავლო ხელი, ვუთვალთვალე, რათა სისუსტეებში გამოვიჭირო, შემძლია მისი სიმყრალით ვისუნთქო, ხელებში მოვიმწყვდიო და მისგან საზიზღარი და გულისამრევი სითხე გამოვწურო.

ეს სიცხადე და შორსმჭვრეტელობა ჩემს ცხოვრებას უცნაურ, მე ვიტყვოდი, მწარე გემოს სძენს, მაგრამ სწორედ ამ თვისების წყალობით გავხდი გერგილიანი გამგებელი. ვერანაირი მოხსენება – ყველაზე მლიქვნელიური, დათაფლული, ია-ვარდებით მორთული და დაპირებებით მორეპერტიტულიც კი თვალს ვერ ამიხვევს, რათა იდუმალ ძალთა თამაშში გავეკვ. იმიტომ, რომ ჩემი გონება ქირურგის დანას წააგავს, პირდაპირ ჭრილობას რომ შეუტევს ხოლმე. იშვიათად თუ ვცდები. შეგვივით სასიამოვნოდ და ოპტიმისტური პერსპექტივების მოგერიებას, გებს პირდაპირ მიზნისკენ ვიღებ და ვცდილობ, დრო არ დავკარგო, სწრაფად ვიარო.

ბოლო საათების განმავლობაში ისეთი განცდა დამეუფლა, რომ ადგილზე ვბუქნაობ, ან არენაზე წრეებს უაზროდ ვარტყამ.

გუშინ ნაშუადღევს ჩემმა მსტორებმა ჯადოქრის მოწაფეთა ასავალ-დასავალს მიაგნეს. იეშუას სექტანტებს იერუსალიმთან შორიახლოს მდებარე მითოვებული მამულისთვის შეეფარებინათ თავი. ოცქარისკაციან რაზმს წინ გავუძეხი და სასახლე დავტოვე. ქალაქის კარიბჭეებს მიღმა უამრავი პილიგრიმი ჩამოვიტოვე უკან, რომლებიც ყოველწლიური მოგზაურობის წარმატებით დასრულების შემდეგ საკუთარ პროვინციებს უბრუნდებოდნენ. ამ ადამიანებს, ფუნდუკების მფლობელებმა ცარიელ-ტარიელი რომ დატოვეს, ნოქრებმა ათმაგი ახდევინეს და არც სჯულსახურებმა დაინდეს, სახეზე მაინც კმაყოფილება და ნეტარება გადაჰყენოდათ. ზედმიწევნით შესრულებული მოვალეობის განცდისგან თვალეები უბრწყინავდათ.

ჩვენ უკან, დაბლობის სირღმეში იერუსალიმი აზვირთულიყო, გალავანშემორტყმულ ქალაქს ჰეროდე დიდების სასახლის მედიდური კოშკები ამშვენებდა. ტაძარი დიადი და შთაბეჭდავი ჩანდა, ქათქათა მარმარილოსგან ნაგები, ოქროთი მოვარაყებული პორტიკები მზებზე თვალისმომჭრელად ლივლივებდა. მხრები ავიჩეჩე. ცხადია, იერუსალიმი ნამდვილი დედაქალაქია, მაგრამ დედაქალაქი აღმოსავლური, გადაპრანჭული და მოჩვენებითი ფუფუნებით თავმოწონე, პრეტენზიული და ხმაურიანი; დედაქალაქი რელიგიური სიცრუისა, მიაშიტ სულთა მჩაგვრელი; დედაქალაქი, სადაც ადამიანთა ცნობიერების მანიპულირებას არ ერიდებიან, სადაც გონებას ცოდვებითა და მონანიებით ტანჯავენ, იერუსალიმი ციტადელია ამაოებათა ამაოებისა, ნაზარეველმა ჯადოქარმა ასე სასტიკად, ასე უმოწყალოდ რომ ამილა. უნდა ვაღიარო, ამაში სრულიად ვეთახები მას.

როგორც კი უღელტეხილს გავცდით, ბურუსმა ქვემოთ, ფარეხისკენ მიმითია. ალაგ-ალაგ ჩანგრეული სახურავი მიანიშნებდა, რომ ნაგებობაში საქონელს უკვე აღარ აყენებდნენ.

– ისინი იქ იმალებიან.

რაბში ნაწილებად დავყავი. ფარეხი ალყაში უნდა მოგვექცია და გაქცევის საშუალება არავისთვის მიგვეცა. ჩემს ნიშანზე რაზმმა ნაგებობისკენ გააჭენა.

კედლებს მიღმა ჩამიჩემი არ ისმოდა. საჭირო გახდა, შიგნით შესვლა და იეშუას მოწაფეთა სათითაოდ გამოყვანა; დამფრთხალნი ვერხვის ფოთოლივით თრთოდნენ.

მოწაფეები ჩემ წინ ჩამოამწყრივეს. მათი სხეულების ცხოველური სუნისგან ლამის სუნთქვა შემეკრა. ეს იყო ის ძძაფრი სუნი, პანიკური შიშით შეპყრობილი ადამიანის სხეული რომ გამოყოფს, შიში სასიკვდილოდ განწირულია. იფიქრეს, რომ მათ დასაპატიმრებლად გამოვცხადდი და სულ მალე თავიანთი მოძღვრის ბედს გაიზიარებდნენ. ჯვარცმის მოლოდინში ოფლად იღვრებოდნენ. ძარღვები დაებერათ, თვალეები გადმოეკარკლათ. მათი ინსტინქტური რეაქცია ცხადია, ბევრად ნორმალური და გასაგები მეჩვენა, რასაც იეშუას ქმედებაზე ვერ ვიტყვოდი.

მე არ შეგმცდარვარ. მათი რაოდენობა სრულიად საკმარისი იყო იმისათვის, რომ ის უზარმაზარი ქვა გვერდზე გადაეგორებინათ და მიცვალებული მოეპარათ. ჩემამდე ხმები მოვიდა, რომ ისინი იერუსალიმიდან იეშუას დაპატიმრების დღესვე გაიქცნენ და ჯვარცმას არ დასწრებიან. შეშინდნენ, რომ აღგზნებული ბრბო მოძღვართან ანგარიშის გასწორების შემდეგ, მოწაფეებზეც იყრიდა ჯავრს. მაგრამ ვის შეეძლო დაემტკიცებინა, რომ ეს ლარული სიფრთხილის გამოჩენა კი არა, არამედ წმინდა წყლის გათვლა იყო. ისინი თვალს მიეფარნენ, სანამ წამება გრძელდებოდა, შემდეგ დამით ჩუმად გამოძვრნენ და გვაში თვალსა და ხელს შუა გააქრეს. თანაც ეს ისე მარჯვედ და ოსტატურად მოახერხეს, რომ ძნელი იყო, არ ვერწმუნა, ჯადოქარმა თავისი ნიჭი სიკვდილის შემდეგაც რომ გამოიყენა და თავისით გაქრა. იდუმალეების ეს დეტალი მათთვის სრულიად საკმარისი შეიძლებოდა ყოფილიყო, კიდევ რამდენიმე წელს რომ ეცოცხლა. ცხადია, იეშუას კულტს დამჯერ მორწმუნეთა გასაბრუებლად თუ გამოიყენებდნენ.

– სად არის სხეული?

პასუხი ვერც ერთმა ვერ გამცა. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ჩემი შეკითხვა ვერც კი გაიგეს.

– სად არის სხეული?

ერთმანეთს უაზროდ შეჰყურებდნენ. მე თვალს მარიდებდნენ. უფრო ძლიერ დაიზაფრნენ. ისე ეშინოდათ ჩემი, რომ ცოტაც და

პასუხის გაცემასაც იკადრებდნენ.

ერთ-ერთი მათგანი ჩემ წინ მუხლებზე მოწყვეტილი დაეცა.

– შეგვიწყალე, მბრძანებლო, შეგვიწყალე.

სხვებმაც მის მაგალითს მიბადეს. მუხლებზე განერთხნენ და მოსაბოდიშებელ სიტყვებს ლულულულებდნენ.

– ჩვენ დავუჭერეთ იეშუს, გულბრყვილონი და დამჯერნი ვიყავით. ვირწმუნეთ მისი დაპირებებისა. დაგვაბრძანა თავისი თაფლმოსხმული ქადაგებით; გვაძულა, სხვა თვალთ შიგნით შეგვეხედა ყველაფრისთვის. იეშუმ აგვამალა, ქება-დიდება შეგვასხა და თავი განსხვავებულ ადამიანებად გვაგრძობინა, მაგრამ ბოროტება არასოდეს ჩაგვიდენია. არასოდეს! იეშუმ და მხოლოდ იეშუმ გადააყირავა ვაჭართა დახლები ტაძარში, მან და მხოლოდ მან დაამსხვრია და გააცამტვერა ყველაფერი, მათრახით ცემა გადამცველები და გარეკა ფარისევლები! ჩვენ ბრალი არაფერში მიგვიძღვის, ჩვენ მისგან საკმაოდ შორს, სიუზის კარიბჭესთან ვიდევით. მისმა გააფთრებამ და მძვინვარებამ ჩვენც გაგვაოცა. ეს იეშუა გმობდა შაბათს და არა ჩვენ. ჩვენ შაბათის სინშინდეს ყოველთვის ვიცავდით. იეშუა დასცინოდა და მასხრად იგდებდა ყველას და არა ჩვენ. ჩვენი დანაშაული იმაშია, რომ გადაჭარბებული ყურადღებით ვენაფებოდით მის სიტყვებს. დღეს ღრმად ვნანობთ ჩადენილს. მას შემდეგ, რაც ჯვარზე გაკრულმა განუთქვა სული, როგორც სამარცხვინო ქურდბაცაცამ, ჩვენ ჩავწვდით დაშვებული შეცდომის სიღრმეს. დღეს ჩვენ გულწრფელად ვაცხადებთ, რომ არ უნდა გავყოლოდით მას. პირიქით, უნდა გავქცეოდით იეშუს. როცა ვფიქრობთ, რომ მისი გულისთვის საკუთარი ოჯახიც დატოვებთ და საქმეც...

საცოდავები ჩემ თვალში რქებდადგმულ ქმრებს წააგავდნენ, სახეები აღმფოთებისაგან რომ მოღრეცოდით. იგრძნობოდა, რომ მათ სულში ჯავრი და წყენა დუღდა. მძვინვარებდა ქარბუქი, ძირფესვიანად რომ ამოძირკვა აუხდენელი ოცნების, ფუჭად დაკარგული დროის, აორთქლებული ილუზიების სავარგულები. ჩემი მსტროვრების ანგარიშების თანახმად, ბევრი მათგანი აგერ უკვე ოთხი წელია, ფეხდაფეხ დასდევდა იეშუს. ისინი დათანხმდნენ სიღარიბეს, აღიარეს მისი რწმენა და თავდადებული ბრძოლა, მისი ხედვა და აი, მათი ზმანება გაფურჩქნის ხანაში მყოფი ბელადის სიკვდილთან ერთად სრულიად მოულოდნელად, უხეშად დასრულდა. მათი ოცნება ჯვარზე გაეკრა და ნაკუნებად იქცა. დღეს მიხვდნენ, რომ მოამბები იყვნენ, ხვალ კი მათ უგუნურებად შერაცხავენ, სიცოცხლის ბოლო წუთებამდე დასცინებენ, მასხრად აიგდებენ. ყველაზე უარესი ის გახლავთ, რომ მათ აიძულებენ, თავად აიგდონ საკუთარი თავი აბუჩად.

ესენი იყვნენ გლახაკი ებრაელები, ხალხის შვილები, ჯერ კიდევ ახალგაზრდები, მაგრამ ქანცამწყვეტი ხეტილის, მცხუნვარე მხისა და მათხოვრობისგან ნაადრევად წელში გატეხილები და დაბერებულები. მათ ვერც კი შეადარებ იმავე ასაკის რომაელებს. და ეს ძონძებში მოსილი, შიშისგან ზურგსველი ადამიანები ახლა ჩემ ფერხითი იყვნენ გართხმულნი.

– რატომ ხართ მხოლოდ ათნი?

გამახსენდა, რომ მსტოვართა მოხსენებაში თორმეტ სექტანტზე იყო ლაპარაკი.

– ერთ-ერთმა თავი ჩამოიხრჩო.

– მეთორმეტე სადღაა?

– ჩემი ძმა იოჰანანი იერუსალიმში დარჩა, – მიპასუხა ყველაზე ყრმამ.

ბურუსი ჩემკენ გადმოიხარა და ჩამჩურჩულა, რომ იოჰანანი და იაკობი თურმე მეტად შეძლებული და გავლენიანი ოჯახის შვილები იყვნენ. მღვდელმთავარ კაიაფასთანაც ახლო ურთიერთობა ჰქონიათ.

– იოჰანანმა დღეს დილით დაგვტოვა და საფლავის მოსანახულებლად წავიდა.

– თქვენ აქ დარჩით, არა?

– ჩვენ სახლებში ვბრუნდებით. უკვე მიხვდით დაშვებულ შეცდომებს.

– ღამე სად გაატარებთ?

– აქ.

პასუხი გულწრფელი მეჩვენა. მატყუარებს შეუძლებელია, ასეთი იერსახე ჰქონოდათ, დუჰმორეულები აუცილებლად ალიბს მოიშველიებდნენ.

ჯარისკაცებს ვუბრძანე, ფარები და მიმდებარე ტერიტორია გაეჩხრიკათ. გვამს ვერსად მიაგნეს. მონაფეები ვერც მიმხვდარიყვნენ, რას ვეძებდი ასე გულმოდგინედ. თავის მართლებას განაგრძობდნენ და ბრალს ყველაფერში ჯადოქარს სდებდნენ.

ყველაზე უმოწყალო, ასეთი მრისხანებით რომ ესხმოდა ყოფილ მოძღვარს, სიმონი აღმოჩნდა: მხარბეჭიანი გოლიათი დაბერილი კუნთებით, დაღარული, დაძარღვული, ჯანიანი კისრით, გეგონება, მიწის ქიებმა მთელი ლაბირინთი გაიყვანეს. ისეთი გულანთებული თათხავდა იმას, რასაც ადრე ეთაყვანებოდა! არადა, წარმომიდგენია, როგორი მგზნებარებითა და ვნებით უყვარდა და აღმერთებდა ჯერ კიდევ გუშინ იეშუს.

აქეთ-იქით ჩემი ხშირი მოგზაურობის წყალობით დავადგინე, რომ რომაელს გრძნობათა სიფაქიზე ქმნის, ხოლო ებრაელს მათი სიჭარბე.

უცტრად დაღლილობა მომეჭარა. საუბარმაც თავი მომაბზრა. ცხადია, ამ უბედურებმა ყველაფერი დაკარგეს. დარწმუნებულები იყვნენ, რომ აქ მათ შესაპყრობად და ანტონიას ციხესიმაგრის ჯურღმულებში გამოსამწყვდევად გამოვცხადდი. იქ კი სავარაუდოდ შეუვალი სინედრიონის სასიკვდილო განაჩენს უნდა დალოდებოდნენ. თავდაცვის მიზნით რამე წონიანი არგუმენტი რომ მოფიქრებინათ, აუცილებლად მომახლიდნენ სახეში.

ამ დროს გზაზე თეთრი სილუეტი გამოჩნდა. იერუსალიმიდან ჩვენკენ კარგი აღნაგობის, დაახლოებით თვრამეტი წლის ლამაზი ახალგაზრდა მამაკაცი მოისწრაფოდა. ჩანდა, ძლიერი ემოციებით იყო დაძაბული. არც ჩემი კოჰორტისა და არც

ჩემი არსებობა არაფრად ჩააგდო. პირდაპირ მოწაფეებს მიეჭრა და მთელი ხმით შეჰყვირა:

– იეშუა საფლავეში აღარ ასვენია!

ებრაელები ისე იყვნენ დაბაფრულები, რომ ადგილზე გაშეშდნენ. ვეჭვობ, რომ ნათქვამს საერთოდ ვერაფერი გაუგეს. ჭაბუკმა ამბავი მხიარულად გაიმეორა, თუმცა გაკვირვებული კი ჩანდა, რომ არ გამოეხმაურნენ. მოწაფეებს მისთვის აღარ სცხელოდათ, ალმაცერად ჩემკენ აპარებდნენ თვალს, მზერით სურდათ, მისთვის ჩემი აქ ყოფნა მიენიშნებინათ.

ახალგაზრდა მამაკაცი ჩემკენ შემოტრიალდა, წამითაც არ დაბნეულა, გამიღიმა.

– გამარჯობა, პილატე, მე იოჰანანი ვარ, ზებედეს ვაჟი. ეს-ეს არის, მოწაფეებს ვაცნობე ის, რაც ამიერიდან მთელ იერუსალის ეკოდიწება: იეშუა აკლდამაში აღარ ასვენია.

მართლაც, იოჰანანს წამდვილად არ აკლდა შეძლებული ოჯახის ნაშეერთათვის დამახასიათებელი თავდაჯერებულობა და თავხედობა. ვერ ვიტან, სიტყვით როცა მომმართავენ, სანამ მე არ ვიტყვი საკუთარ აზრს. გაბრაზებულმა იოჰანანი პასუხის ღირსადაც არ ჩავაგდე. კოჰორტას კი ვუბრძანე წასასვლელად გამზადებულიყო.

მოწაფეებს ზიზღით სავსე მზერა შევაკლე.

– ამჯერად არ დაგაპატიმრებთ. დაუბრუნდით საკუთარ სახლებს. იერუსალიმში ფეხის შემოდგმა გულშიც არ გაივლოთ.

ამ სიტყვების გაგონებისთანავე მოწაფეებს მოწვლრეული სახის ნაკვეთები გაუსწორდათ, ისე, როგორც გადასწორდება ხოლმე გვალვისაგან დამსკდარი სინას მიწა პირველი მაცოცხლებელი წვიმის წამოსვლისას. სახტად დარჩენილები ერთმანეთს მიაჩერდნენ. ნუთუ წამებას გადაურჩნენ? ნუთუ გათავისუფლდნენ? იოჰანანის გარდა, ყველა პირქვე დაემხო. მდღლიერებით აღსავსე სიმონი ფეხებზეც კი მესამბორა, სიხარულის ასე მდაბიურად გამოხატვას არ მოერიდა. მე კი, ჩემდათავად ბოლოჯერ დავგარიგე ჭკუა:

– დაუბრუნდით სახლებს და საკუთარ საქმეს. დაივიწყეთ ჯადოქარი და ნუ გააფრცვლებთ ამბავს მისი საფლავიდან გაუჩინარების შესახებ. რამდენიმე საათში გვამს მივაგნებთ, გამტაცებლებს კი დილეგში ჩავყრით.

იოჰანანმა გადაიხარხარა, ქათქათა კბილები გამოაჩინა. ვიგრძენი, რომ ეს ბედნიერი ჭაბუკი კადნიერად დამცინოდა. მათრახს წავავლე ხელი, ერთი სული მქონდა, მისთვის გვარინადა გადამეჭირა, მაგრამ გეგონება, საწადადელს მიმიხვდაო, სხაპასხუპით წარმოთქმული სიტყვებით შემაყოვნა:

– ვიცი, ვინც მოიპარა იეშუას სხეული.

ამჯერად იოჰანანი აღარ იცინოდა. საკმაოდ გულწრფელი ჩანდა. ნუთუ მათრახმა ჩემდამი მეტი პატივისცემის გამოვლენა შთააგონა?

– ვიცი, ვინც არის ის!

მათრახი ქამარზე აუჩქარებლად ჩამოვიკიდე. ბოლოს და ბოლოს, ექსპედიცია სულაც არ აღმოჩნდა უსარგებლო.

– საიდან იცი?

– ასე იყო ჩაფიქრებული. არსებობდა გეგმა.

– საინტერესოა. მერე, მერე?

– ყველაფერი წესისამებრ განხორციელდა.

– საინტერესოა. მითხარი, ვინ მოიპარა ცხედარი?

– ანგელოზმა გაბრიელმა.

დიდხანს შევყურებდი ამ უბედურ ყმაწვილს, სულითა და ხორციტ, მთელი თავისი არსებით რომ სჯეროდა იმ სისულელისა, რაც ეს-ეს არის, მოროშა. აქ, ნება მიბოძე, ცოტათი გაგანათლო, ჩემო ძვირფასო ძმაო, რამეთუ საბედნიეროდ შენ ნაკლებად ჩახედული მეგულები ებრაულ სისულელებში. ამიერიდან იცოდე: ანგელოზები ადგილობრივ ღირსშესანიშნაობად როდი უნდა მოიხაზრო, ისევე, როგორც ფორთოხალი, ხურმა და მაცა. ანგელოზები ებრაელთა ერთადერთი ღმერთის შიკრიკებად მიიჩნევიან. ეს არსებანი ადამიანის ფორმას იღებენ და ერთგვარ არამატერიალურ უსქესო ჯარისკაცთა ლაშქარს ქმნიან. თურმე არაერთხელ ჩართულან ებრაელთა საქმეებში. უცდიათ მატთანის შეთხზვაც. წარმოიდგინე, მატთანე ერისა, თავს ღმერთის რჩეულად რომ აცხადებს. ცასა და დედამიწას შორის სამოგზაურად კიბით სარგებლობენ, რომელიც მე, სიმართლე გითხრა, არასოდეს მინახავს. ისინი საშინლად მტრულად არიან რომის მიმართ განწყობილნი. ასევე თავის დროზე არ ეხატებოდან გულზე ეგვიპტელებიც. შუღლისა და უთანხმოების დროს აუცილებლად ებრაელებს უცხადებენ სოლიდარობას. ებრაელებსაც ეს ანგელოზები მხოლოდ იმიტომ სჭირდებათ, რომ აუხსნელი ახსნან მამინ, როცა გონება ვერ უჭრით, ეს უბედურება კი სისტემატურად სჭირთ. ასე რომ, ის, რაც მის გონებრივ შესაძლებლობებს აღემატებოდა, ჭაბუკმა ღვთიური ჩარევით ახსნა და თავისი ახსნა-განმარტებისთვის მეტი დამატებლობის შეძენა სცადა. ანგელოზის სახელიც კი გაგვიმხილა – გაბრიელი. ამ უცნაური ქმნილებებისთვის თვალის ჯერ კაციშვილს არ მოუკრავს. თუმცა ის კი ცნობილია, რომ უწოდებენ „ელზე“ დამთავრებულ სახელებს, რაც მათ ღვთიურ წარმოშობაზე მიუთითებს. მიქაელი, რაფაელი, გაბრიელი. ეს უკანასკნელი, როგორც ჩანს, თავიდანვე იეშუას ბედ-იღბლით იყო დაინტერესებული. ჰყვებიან, რომ მისი დაბადება დედისათვის, არც მეტი, არც ნაკლები, ანგელოზ გაბრიელს უცნობებია! თუ ხვდები, რას ნიშნავს ამ აბდაუბდა აზრების ნიაღვარში კეისრის ნაცვლობა იუდეაში?... ყოველდღიური შეხება მაქვს არა მარტო ადამიანთა შორის არსებულ უნერგიობასთან – შუღლი, ქიშპი, ეროვნული ვნებანი, ჯანყი, ამბოხი – არამედ გონებით შობილ უკუღმართობებთანაც. იუდეა აგიუებს ადამიანს, აკარგვიანებს გონს. იმ ღვინოს ემსგავსება, რომლის დალევა და ტვინის ამღვრევა, ზომიერების გრძნობის დაკარგვა ერთია. ამ გამოშშრალ, უნაყოფო, გავერანებულ მიწაზე ნისლი არც არასოდეს ჩამოწოლილა და არც ღრუბლებს უცურიათ მის თავზე. პარადოქსი ისაა, რომ ეს ბეხერეკი მიწა მაინც ძალუმად შობს აზრთა სქელ ღრუბლებს, სულიერებისა და რწმენის ყველაზე ამღვრეულ და შავბნელ ოხშივარს.

რაზმს უკან დაბრუნება ვუბრძანე. პოლემიკაში მონაწილეობის სურვილი არ გამჩენია. ყრმა იოჰანანი და სხვა მოწაფეები თავიანთ ბოღვას შევატოვეთ. ამჯერად უკვე ზუსტად ვიცოდი, გვამის მოსაძებნად რა გზას უნდა დავდგომოდი.

როცა მივხვდი, რომ ლაჩარ და უკიდურესად იმედგაცრუებულ მოწაფეებს არანაირი ქმედების თავი არ ჰქონდათ, ვერანაირ თაღლითობას ვერ ჩაიდენდნენ, მეტიც, კამათლის თამაშის დროსაც ვერ იცრუებდნენ, უმაღლ მოვისაზრე, ვინ შეიძლება ამ ხრიკის ავტორი ყოფილიყო.

არჩევანი ისეთ ვინმეზე უნდა შემეჩერებინა, რომელიც ერთდროულად შეძლებულიცაა და საყოველთაო პატივისცემითაც სარგებლობს. ამ ადამიანს გაქნილი და უშიშარი ქურდების ბანდა უნდა ჩამოეყალიბებინა და შეენახა კიდევაც. ბანდა გაუხმაურებელი ავანაჰებისა, საჭიროების შემთხვევაში პირში წყლის ჩაგუბება რომ იციან, გვამს ისე მოიპარავდა, რომ ეჭვის ნატამალიც არავის გაუჩნდებოდა. გეზი მდიდარი და ფრიად დაფასებული იოსებ არიმათიელის მამულებისკენ ავიღე.

რატომ უფრო ადრე არ ვიფიქრე ამაზე? იოსები მართლაც ის ადამიანი იყო, ბოლო ორი დღის განმავლობაში ყველა სადაც ხელთ რომ ეპყრა...

იოსების მამულები იერუსალიმის აღმოსავლეთით, ზეთისხილის ბაღებს მიღმა იყო გადაჭიმული. მისი ვენახები შესაშურად ხარობდა. იოსები ღვინოს ყიდდა და უზარმაზარი ქონება დააგროვა. რეგიონში ერთ-ერთ მდიდარ ადამიანად მიიჩნეოდა. მატერიალური კეთილდღეობის წყალობით მან მალე სინედრიონის სხდომებში მონაწილეობის უფლებაც მიიღო. ეს თავყრილობა რელიგიურ საქმეებში სამართლის განჩინებას ისახავდა მიზნად. მანვე მოუწყო სასამართლო პროცესი ჯადოქარსაც. სინედრიონი სამი კლასის – მღვდელმსახურთა, თორას განმმართველთა და მდიდართა წარმომადგენლობითი ორგანოა. იოსები გადაწყვეტილებების მიღებისას თავის აზრს გამოთქვამს, მაგრამ მისი სიტყვა ყოველთვის მოზომილია, უაზრო ყბედობა არ სჩვევია. თუმცა იეშუას მიმართ საჭიროზე მეტი ინტერესი გამოიჩინა. ჯვარცმის ღამეს გამომეცხადა და მთხოვა, ჯადოქრის ჯვრიდან ჩამოხსნის, მისი სხეულის ნელსაცხებლებით გაპოხვისა და სახელდახელოდ მისთვის გამზადებულ ახალ აკლდამაში გადასვენების უფლება მიმეცა.

ოდნავ დარცხვნილი კი ჩანდა, მსგავსი თხოვნით რომ მომმართავდა. ვიცოდი, რომ წესრიგისა და დისციპლინის მორჩილმა იოსებმა სინედრიონის სხვა წევრებთან ერთად იეშუას სიკვდილით დასჯას მისცა ხმა. ახლა კი ერიდებოდა, კეისრის ნაცვალთან ელიარებინა, რომ უფრო მეტი რელიგიური ინტერესი გამოიჩინა, ვიდრე უწინ ახასიათებდა. ვფიქრობ, იოსები სულით ხორცამდე შეძრული იყო ჯადოქრის წინააღმდეგ ჩადენილი არაადამიანური ანგარიშსწორებით. ზედმეტი კითხვების დასმისგან თავი შევიკავე და იეშუას დასაფლავების უფლება მივეცი. დასაფლავება მზის ჩასვლამდე უნდა მოესწრო, წინააღმდეგ შემთხვევაში, კარს მომდგარი შაბათი და პასექი ხელ-ფეხს შეუბოროტავდა, გვამი კი ჯვარზე ჩამოლპებოდა და იქაურობას აამყარებდა. საერთოდ იოსების მიმართ ყოველთვის კეთილგანწყობილი ვიყავი. პატივს ვცემდი, როგორც გერგილიან და ბრძენ ვაჭარს, ოჯახის მოსიყვარულე მამას და სინედრიონის ზომიერ და განწონასწორებულ წევრს. სინედრიონის გაკონტროლებას კი მე შეძლებისდაგვარად ყოველთვის ვცდილობ. იმ მომენტის დაგვადაც არ მომსვლია, როგორ თავსამტვრევ და ჩახლართულ გეგმას მოვანერე ხელი.

ჩემი რაზმი იოსების მამულის ალაყაფის კარში შეიჭრა. ცოტა ხანში არემარე ყველას უცნაური გვეჩვენა. იფიქრებდი, მსახიობების მოლოდინში სცენა დეკორაციებით მორთესო. ერთი შეხედვით, ყველაფერი წესრიგში კი იყო, მაგრამ გარშემო არაფერი ინძრეოდა. ირგვლივ კაციშვილი არ ჭჭანებდა. კარები და ფანჯრები ღია კი იყო, მაგრამ ქალები არ ეხმაურებოდნენ ერთმანეთს. კალოც ღია დარჩენილია, საქათმეც ოდნავ შეღებული. ეზოში თვალი ვერ მოვკარით ვერც ერთ მწყემსს, ვერც ერთ მეჭინბეს. არც გოგო-ბიჭები ურიაშულობდნენ. გაშეშებულ სამყაროში მივიწვევდი წინ. სამარისებურმა სირუემე გაგვაოგნა. მიწაზე თივა მიეყარა-მოეყარათ, სამუშაო იარაღები მიმოფანტათ, ნეხვის გორაში ჯოხები ჩაერთო.

ცხენებიდან ჩამოვხტით და აღმოვჩინეთ, რომ ეს უცნაურობანი სახლის შიგნითაც გრძელდებოდა: ამოტრიალებული სკივრები, დაჭრილ-დაჩენილი ტომრები, მიმოყრილი თეთრეული, აყირავებული ავეჯი და საწოლები, დახეული ქვეშაგები, ჩამოგლეჯილი ფარდები... ცხადი იყო, მამული ქურდების ამაღამ გადააქოთა.

სად გაქრნენ მსახურები და სახლის ბინადარნი? უარესს ვშიშობდი. ღმერთო, აგვაცილე დახოცილთა გვამებს!

ჭარისკაცებს ვუბრძანე, ბელელი, საჭინიბო და შემოგარენი გაეჩხრა. მე და ბურუსი კი სახლის გადამოწმებას შევედექით.

იოსებისა და მისი მუღლის საძინებელ ოთახს მივადექი. ყველაფერი თავდაყირა იდგა, მაგრამ სისხლის ნაკვალევი არსად ჩანდა. საწოლს დავეხედე. თვალებს ვერ ვუჭერებდი: დაქმუქნილ თეთრეულზე ხარდახმის შიგთავსი ეყარა: სამაკალები, ბეჭდები, სამაჯურები, ოქროს მონეტები...

როგორ შეიძლება ეს აიხსნას? იოსების სახლში ქურდები შემოიჭრნენ და ხელცარიელები გაბრუნდნენ აქედან? მთელი ეს ქონება ხელშეუხებელი დატოვეს? ამხელა რისკზე წასვლა, მეპატრონეთა ცემა-ტყეპა არაფრის გულისთვის? მაშინ რაღას ეძებდნენ? ნუთუ სხვა რამეს, უფრო მნიშვნელოვანს?

– სარდაფი! სასწრაფოდ სარდაფში უნდა ჩავიდეთ!

ბურუსი ვერაფერს მიმხვდარიყო, მაგრამ უსიტყვოდ გამომყვა. როცა დაბლა, მძიმე კარს მივუახლოვდით, შიგნიდან კენესა მოგვესმა. მართალი აღმოვჩინდი: მამულის ყველა მობინადრე, დიდი თუ პატარა აქ იყო. მათთვის ხელ-ფეხი შეეკრათ, პირში ჭინჭები ჩაეჩურათ და უზარმაზარ ქვევრებს, დოქებსა და ხელადებს შორის დაეყარათ.

მე თვითონ შევუსხენი ბორკილები იოსებს, ხელკავი გავუკეთე და სარდაფიდან ამოვიყვანე. მისი მკვეთრი ნაოჭები, ღია ცისფერი თვალები მზის სხივებით რომ შემოურკალავს, პატიოსნად განვლილი ცხოვრების დასტური გახლდათ. ნაკვთები გასაოცრად ჰარმონიული ჰქონდა, მხოლოდ სქელი წარბები თუ მეტყველებდნენ ფანტაზიის სიმწირეზე. მივხვდი, რაც მოხდა, მაგრამ მსურდა, თავად მოეყოლა ჩემთვის ყველაფერი. ამიტომაც ვკითხე:

– რა მოხდა, იოსებ?

– ვილაც ადამიანები მოცივდნენ. გვამს ეძებდნენ.

იოსები ჩემკენ მოტრიალდა. სახეზე ირონიული ღიმილი დასთამაშებდა.

– მსჯელობდნენ ზუსტად ისევე, როგორც შენ.

– ვინ იყო?

– სახეზე ნიღბები ჰქონდათ აფარებული.

ამ ფრაზით დიპლომატი ამოიწურა. ვიცოდი, რომ ამაზე მეტს ვერაფერს დავციცლავდი. თუმცა მშვენივრად მივუხვდი იოსებს სათქმელს. თუ მომხდურებმა ნიღბები აიფარეს, ეს იმას ნიშნავდა, რომ ჩემს მასპინძელს შეეძლო მათი ამოცნობა. და თუ იოსებს მათი ამოცნობა შეეძლო, გამოდის, რომ ისინი იერუსალიმიდან ჩამოვიდნენ. იერუსალიმში სინედრიონის წევრების გარდა, ვინ შეიძლება იყოს ალდგომოდა იეშუას სიკვდილის მერმინდელ გაკერპებას, მის სათაყვანებელ კულტად გამოცხადებას?

ჩაფიქრებულს წამომცდა:

– კაიაფა?

იოსებ არიმათიელმა პირში წყალი ჩაიგუბა. მხოლოდ დუმილით თუ შეეძლო ღირსეულ ებრაელს, რომელიც სიადრულს საიდუმლო გადაეცა.

გამოდის, რომ კაიაფა, ისევე როგორც მე, გვამის გატაცებაში იოსებზე ეჭვობდა.

– და კაიაფა ხელმოცარული წავიდა?

იოსებ არიმათიელი დიდხანს არ მაცილებდა თვალს.

– კი. თუ ჩემი არ გჯერა, თავად შეგიძლია კაიაფას დაეკითხო. ორივემ ისეთი განზრახვები მომანერეთ, გულშიც კი რომ არ გამივლია; ჩემდა საბედნიეროდ, სხვათა შორის! ძალიან მიხარია მოვლენების ასეთი განვითარება, თუმცა გარწმუნებ, პირადად მე ნეკა თითქმის არ გამინდრევია. ახლა ისა დაგვრჩენია, რომ მოთმინება ვიქონიოთ და დაველოდოთ.

– და რაღას დაველოდოთ?

– იმის დადასტურებას, რომ სხეული ნამდვილად მოიპარეს. შენ და კაიაფამ ეს უნდა დაგვიმტკიცოთ.

– ჩვენ არ მოგვიწევს იმის დამტკიცება, რომ გამქრალი გვამი მოპარულია. ეს ისედაც ცხადზე უცხადესია.

– შენს ნათქვამში უფრო და უფრო ნაკლები სიცხადეა. ვშიშობ, რომ შენ გამო, ხვალ-ზეგ ამ სიცხადეს ანგელოზი გაბრიელი არ დაერქვას.

იმედგაცრუებული დავრჩი. იოსები, როგორც ჩანს, არც ისეთი გონიერი იყო, როგორც მეგონა. ბნელ სამზარეულოში ვიდექით. განვიკოჭებზე სურნელოვან ბალახთა კონები ჩამოეკონიანალებინათ, მაგიდაზე დაყრილი სამი დედალი გაპუტვას ელოდა. ქალები მძალა, გაძვალტყავებულ მსახურს დასტრიალებდნენ თავს, რომელიც ნიღბიანებისთვის წინააღმდეგობის განწვევის დროს დაჭრილიყო.

– იეშუა არ იყო ჩვეულებრივი მოკვდავი, – წამოიწყო ისევ იოსებმა, – მისი ცხოვრება უჩვეულო იყო. არც მისი სიკვდილი იქნება ჩვეულებრივი.

– იეშუას მიმართ ასეთი კეთილგანწყობილი რომ ხარ, რატომღა დაუჭირე მხარი მის სიკვდილით დასჯას?

იოსები ჩამოჯდა და შუბლი მოიფხანა. ეს კითხვა ჩემამდე მან, ალბათ, ათასჯერ მაინც დაუსვა საკუთარ თავს.

მასპინძელმა ღვინო მოგვართვა.

– მღვდელმთავარ კაიაფასთვის ყველაფერი ისეთი მარტივი და ადვილი გადასაწყვეტია! ბოროტებასაც ნათლად ხედავს და სიკეთესაც. არ უჭირს მათი ერთმანეთისგან გამოიჯვანა. იქ, სადაც ჩვეულებრივი ადამიანის გონებას ორჭოფობა იპყრობს, ის არ იბნევა და მდგომარეობისთვის უპირიან გადაწყვეტილებას იღებს. სწორედ ამ თვისების გამო იმსახურებს მესვეურისა და წინამძღოლის როლს. ჩემთვის ყოველთვის ყველაფერი ბევრად უფრო რთულია და მეტ ძალისხმევას მოითხოვს. იეშუას მიმართ გულგრილი არასოდეს ვყოფილვარ, ცხოველ ინტერესს აღძრავდა ჩემში. მეტიც – მან გონება ამომღვრია, განსხვავებული, ჩემთვის სრულიად უჩვეულო აზროვნება დამაწყებინა, ლამაზი იმედები ჩამისახა. მისი სასწაულები ჩემზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა, თუმცა თავად ძალიან კი სძულდა, როცა რაიმე სასწაულს ჩაიდენდა. კაიაფა თავიდანვე განურისხნა, დასანახად ვერ იტანდა, მკრეხელობაში სდებდა ბრალს. მისდამი ხალხის მხარდაჭერას კი მიუტევებელ ცოდვად – ყველაზე დიდ მკრეხელობად მიიჩნევდა. რასაც იეშუა ამბობდა, არ ეწინააღმდეგებოდა ჩვენს წმინდა წიგნებს, მაგრამ კაიაფა მასში ჩვენი ტაძრის კეთილდღეობისათვის საფრთხეს ხედავდა. კაიაფას არგუმენტების რაიმე ნიუანსებით განმტკიცება სულაც არ სჭირდებოდა, მისი გადაუდებელი დასჯა რომ მოეთხოვა.

– გამოდის, რომ სასამართლო პროცესზე კაიაფას ნებას დაემორჩილე?

– არა, მე იეშუას ნებას დავემორჩილე.

– უკაცრავად, ვერ გავიგე.

– ხმის მიცემის დროს, როცა მისი დანდობა განვიზრახე, იეშუა ჩემკენ შემოტრიალდა, გეგონება, ჩანაფიქრს მიმიხვდაო. მისი მხერა ამკარად მკარნახობდა: „იოსებ, ნუ ჩაიდენ ამას. მოიქეცი სხვებივით, დაუჭირე მხარი ჩემს სიკვდილს“. გაძალიანება ვცადე, მაგრამ ნურას უკაცრავად. თავში მიგუგუნებდა ის, რასაც იეშუა თვალებით მიყვიროდა. არ მეშვებოდა, გეგონება, მის ნადავლად ვიქეცი. სხვა გამოსავალი ვერ ვიპოვე. მოწოდებას დავნებდი: სიკვდილით დასჯას მივემხრე. გადაწყვეტილება ერთსულოვანი აღმოჩნდა.

– თქვენ არ გჭირდებოდათ მსგავსი ერთსულოვნება?

– არა, უმრავლესობა საკმარისი იქნებოდა.

– მაშინ, რატომ მოიტყეცი ასე?

– ასე ისურვა იეშუამ.

ასე და ამგვარად, გამოდის, რომ იოსები ჩემი მეუღლის, კლაუდია პროკოლას მოსაზრებას იზიარებდა: იეშუას სიკვდილი სწყურდა. თავყვანისცემა, როგორც ჩანს, სრულიად წარმოუდგენელ დასკვნებასა და გადაწყვეტილებებს შობს – ორივეს სურდა, იეშუასთვის თავყვანი ეცა და ცოცხალი თავით არ აღიარებდნენ მის სულელურ სიკვდილს, ამიტომ იოსებმა და კლაუდიამ დაირწმუნეს თავი იმაში, თითქოს იეშუა თავად ილტვოდა გარდაცვალებისკენ. მათ მიერ გმირად შერაცხული იეშუა ისევ გმირად დარჩა. ის თავად გახლდათ საკუთარი სიკვდილის გამგებელი, ბატონ-პატრონი. ალესრულა მაშინ, როცა ეს თავად ისურვა. ჩემი გაგებით, ამას ტვინის ღრძობა ჰქვია და სხვა არაფერი – არ ისურვო, სამყაროს კრიტიკული მხერვა მიაპყრო და აღიქვა ისეთი, როგორც სინამდვილეშია. ისე შემეცოდა ორივე, კინაღამ გულ-ღვიძლი ამომიტრიალდა. ამას, პირადად მე ვამჯობინებ, ნაკლებად გონიერი და შორსმჭვრეტელი ვიყო, ვერ დავინახო ადამიანური აზროვნების გამწვანებული მექანიზმები, გონის კბილანათა რთული მოწყობილობა. საკუთარი თავისადმი პატივისცემა რომ არ დაეკარგათ, კლაუდიასა და იოსებს ჯადოქარი მარად დაუღალავად უნდა განედიდებინათ.

გამოვემშვიდობე იოსებს. თუმცა კარში გასვლისას შემოვუტრიალდი:

– მე არ ვისურვებდი შენს ადგილას ყოფნას, იოსებ. იმ ჯადოქარს ზედადამიანური თვისებები მიაწერე, მასზე უაზრო იმედი დამამყარე და მწარედ შეცდი. ჩემი გაგებით, ახლა ეს ყველაფერი არც ისე მნიშვნელოვანია. ნათელმჭვრეტი იეშუა კი იყო უცნაური, მაგრამ ამავდროულად პატიოსანი და გაბედული ადამიანიც იყო; ჭიანჭველისთვისაც არ დაუდგამს ფეხი და რომელი ხელისუფლების წინააღმდეგ არც არასოდეს ამხედრებულა. მე ყველაფერი ვიღონე, მისთვის სიკვდილი რომ ამეცლიებინა. ვფიქრობდი, რომ ის ასეთ ბედს არ იმსახურებდა. ჯვარცმას მხოლოდ მაშინ დავყავს, როცა ბრბომ არჩევანი გააკეთა. ყველას თვალწინ დავიბანე ხელი და ყოველგვარი პასუხისმგებლობა მოვიხსენიე. მე საკუთარი სინდისის წინაშე მართალი ვარ, მაგრამ შენ, სინედრიონის სრულუფლებიანმა წევრმა, როგორ შეძელი მისი სიკვდილით დასჯისათვის მიგეცა ხმა? ვინ გაიძულა, უმრავლესობის განაჩენს მიმხრობოდი? როგორ დათანხმდი უცოდველი ადამიანის ჯვარცმას? შენ პატიოსანი ადამიანი მოკალი!

იოსებმა მთელი ჩემი გამოსვლა ისე მოისმინა, წარბიც არ შეუხრია. უბრალოდ მიპასუხა:

– იეშუა ადამიანი რომ ყოფილიყო, გეთანხმები, მე თვითონ დავსჯიდი, მაგრამ იეშუა არ იყო ადამიანი.

– რას ამბობ, იოსებ? მაშ ვინ იყო?

დისკუსიის გაგრძელება აღარ ვისურვე და იერუსალიმს დავბრუნდი. ხედავ, ჩემო ძვირფასო ძმაო, რა გაუგებრობაში ამოვყავი თავი? მე აღმოვჩნდი მიწაზე, სადაც ძენი ღმრთისა ქუჩაში საზამთროებისა და ნესცების რიგებს შორის დასვირთებენ, მეტიც, დროდადრო მათ დასჯასაც არ ერიდებიან. მცხუნვარე მზის ქვეშ ჯვრებზე აკრავენ. ექვგათემა, რომ ეს, ალბათ, საუკეთესო საშუალებაა მიჩნეული მამამღმრთის კეთილგანწყობისა და მფარველობის მოსაპოვებლად...

ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით ახალ კვალს ვერ მივაგენი. ამის გამო იერუსალიმში შეყოვნება და გამქრალი, ამჯერად, ალბათ, უკვე ნახევრად გახრწნილი გვამის ძიებაში წალმა-უკულმა წრიალი მომიწევს. შენ ვერც კი წარმოიდგენ, ისე მიწა, ეს მღელვარება ჩაიფარცხოს. იეშუა ყველას თვალწინ მიწას უნდა მივაბარო, მერე კი ჭიბება თავიანთი საქმისა თვითონ იციან. თანაც დროულად, სანამ პალესტინელებს ისედაც ამღვრეული გონება საბოლოოდ არ დაბნელებიათ. მე წარმატებები მისურვე, ძვირფასო ძმაო, შენ კი ჯანმრთელობას გაუფრთხილდი.

პილატე ძვირფას ტიტუსს

ჩემმა მეუღლემ, კლაუდიამ რომისთვის დამახასიათებელი მთელი სინატიფისა და დახვეწილობის შუაგულ პალესტინაში გადმოტანა შეძლო. სადილები, რომელთა მოწყობასაც ის ახერხებს, მხოლოდ ცხოვრების სიმეტრიულობას თუ გაგრძობობინებს. კიდევ ერთხელ, როცა დროის შეგრძნებას კარგავ, ღვინოც განსხვავებულ გემოს იძენს, ცოცხალი, ხალისიანი მრავალფეროვანი და ძალდაუტანებელი მასლაათისგან კი პირდაპირ თვრები. მოკლედ, გეუფლება სრული განცდა იმისა, რომ საღამოს რომში, ტიბრის სანაპიროზე ატარებ, ზემოდან კი ბრჭყვიალა ვარსკვლავებით მოჭედული ცა დაგცქერის. გრძობ, რომ სამყაროს ცენტრში მოხვდი, რომ მისი ჭიპი ხარ. სწორედ ეს შეგრძნება გვაყვარებს და გვაძულებს რომს. სწორედ ამ განცდის გამო ვნაობთ მასთან განშორებას, გამუდმებით გვენატრება, რომისგან შორს თავი გადასახლებაში გვკონია.

გუშინ საღამოს კლაუდიას, ცხადია, ჩემთვის გუნების გამოკეთების სურვილმა, ასევე შედარებით მეტმა თავისუფალმა დრომ და სასახლეში დარჩენამ მშვენიერი წვეულების მოწყობა შეაძლებინა. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მსგავსი ღონისძიებების საიდუმლოს მხოლოდ ჩემი მეუღლე თუ ფლობს. ამ დროს ყველა მოწვეული დარწმუნებულია, რომ საპატიო და გამორჩეული სტუმარია. ყოველი კერძი უცხო და სახელდახელოდ მოფიქრებული ჩანს. რაც შეეხება საუბრებს, სრული განცდა გეუფლება იმისა, რომ მსგავსი გონიერული სჯა-ბაასი ცხოვრებაში არ მოვისმენია. მინიშნებები და კვიმბი სიტყვები ოჯახის დიასახლისის გასაოცრად ადვილად მოსდის თავში, გეგონება, სათამაშო ბანქოს ჩამორიგებას შეუდგაო. კლაუდიამ იცის, როგორ ასიამოვნოს ადამიანს, ამ დროს არ არის გამორიცხული, პირფერობაც მოიშველიოს. აუცილებლად გათქმევენებს იმას, რაც სულითა და გულით გსურს სხვებსაც გაუზიარო, თუნდაც იმიტომ, რომ ეს თემა ამონურულად ჩაითვალოს და მასთან მიბრუნების სურვილი აღარ დაგებადოს. კლაუდიამ ასევე უწყის, როგორ ჩააბას დისკუსიაში ყველაზე მორიდებულს კი; შეუძლია, გულწრფელად გაიკვიროს, აღფრთოვანება გულწრფელად გამოხატოს. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი: სტუმრებს ისევე რუდუნებით არჩევს, როგორც კერძებს, რომელთა გემო პირში დიდხანს დაგრჩებათ. ცხადია, მრავალფეროვნება და ორიგინალურობა არ ავიწყდება. კერძში მისთვის მთავარია სურვილის აღმძვრელი ნიუანსი, სანელებლების ერთი შეხედვით უჩვეულო გამოყენება, შექმნილი კონტრასტი ალაგზნებს და ამძაფრებს კულინარიული სიახლის აღმოჩენის სურვილს. კლაუდიას ყველაფერი წინასწარ აქვს მოფიქრებული და გათვლილი. ვერ იტანს მიფრთხილებას. მის მორთმეულ კერძს მიმზიდველი, მსუბუქი და ჰაეროვანი იფერი უნდა დაკრავდეს. კერძების მონაცვლეობამ სასაუბრო თემების მონაცვლეობის რიტმი უნდა მოირგოს. სუფრის თავში დიასახლისის სავარძელში მოკალათებული კლაუდია მინიშნებებით, გამოხედვითა და შეუმჩნეველი ჟესტებით სუფრის შეუცდომელ და დახვეწილ მომსახურებას უზრუნველყოფს.

გესმის ალბათ კლაუდიას მსგავსი თავშემცვეის სრულ თავისუფლებას ვაძლევ. გარწმუნებ, როცა ვადარებ, ამ საღამოებს არაფერი აქვს საერთო ბავშვობისდროინდელ, სახლში მოწყობილ უხემ და ტლანქ მიღებებთან. ჩემო ძვირფასო ძმაო,

გახსოვს ის დრო? ერთი კერძი, ერთი სასაუბრო თემა და მორჩა! ძალიან მდაბიო და პროვინციული მეჩვენება ეს ყველაფერი დღევანდელი გადასახედიდან. როგორც კი ერთ კინკლა კერძს წირვას გამოვუყვანდით და სათქმელიც აღარაფერი გვრჩებოდა, მძიმე მონღლების უამრავი დგებოდა ხოლმე და რამე გონივრულზე ფიქრით თავს არ ვიცხებდით. ცხოვრება მოსაწყენ რიტუალს ემსგავსებოდა. მთავარი საზრუნავი მუცლის ამოყორვა იყო. ლაპარაკი კი მხოლოდ საკუთარი პრობლემების მოგვარებას ემსახურებოდა. კლაუდიას წყალობით საბედნიეროდ ბევრად უფრო უდარდელი გავხდი. უზომოდ ვემადლიერები კლაუდიას, ჩემი ცხოვრება ტრადიციული ადათ-წესების მონოტონურობისა და უღიმღამობისგან რომ დაციცა. მადლობა მას, ამდენი სიამოვნება რომ განმაცდევინა, ამდენ სინატიფეს რომ მაზიარა.

გუშინ საღამოს იერუსალიმში თუ ვინმე გონიერი, ხუმარა და ოხუნჯი მეგულებოდა, სასახლეში მოეყარა თავი. იყო ის მელოტი პოეტიც, მარსელუსს რომ ეძახიან. ყურმოკვრით მაინც გეძნება მის შესახებ რამე გაგონილი; ოფიციალურად ტიბერიუსისადმი მიძღვნილი ოდებიტაა ცნობილი, არაოფიციალურად კი ეროტიკული ორტაქედებით. მონვეულთა შორის იყვნენ ბერძენი ისტორიკოსი, კრეტელი ვაჭარი, მალტელი ბანკირი, კიდევ ერთი გემის მეპატრონე მარსელიდან და, რა თქმა უნდა, კლაუდიას მდიდარი და აღვირახსნილი ბიძაშვილი, სახელგანთქმული ფაბიენი. მასზეა ნათქვამი, ქალების დიდი მადევიარიაო. მაგრამ რომელ იდიოტს მოუვიდა თავში მსგავსი სიტყვები? ფაბიანი ქალებს კი არ დასდევს, თავად ეხვევიან ბუზბივით, ისეთი ლამაზია. ოთახში მასთან ერთად მართო დარჩენას მოერიდები. ქალები უხერხულობაში ვარდებიან... იმიტომ, რომ ლამაზია. კაცებიც უხერხულობაში ვარდებიან... იმიტომ, რომ ლამაზია. ერთნი, ქალები მყავს მხედველობაში, მასში იდეალურ საყვარელს ხედავენ, სხვანი, ამჭერად კაცებს ვგულისხმობ, დაუმარცხებელ მეტოქეს. ფაბიანი მისდაუნებურად ბრძოლის, დაპყრობის, გამარჯვების, შურისა და ინტრიგების ატმოსფეროს ქმნის, შხამავს ჰაერს. მიუხედავად ყველაფრისა, ეს ვაჭკაცი გუშინ საღამოს სრულიად შეცვლილი და განსხვავებული მეჩვენა. მის ხიბლს მოსალოდნელი შედეგი არ მოჰყოლია. ვერ ვიტყვი, რომ ჩვეულ სილამაზეს მიმზიდველობა აკლდა. არა, უფრო შეფერვიანებელი ჩანდა. თუ რატომ, მოგვიანებით თავად მიხვდები...

პასექის დღესასწაულზე ვმასალათობდით. პოეტი მარსელუსი ამტკიცებდა, რომ ყველა რელიგია რომშიც, ათენშიც, კართაგენსა თუ იერუსალიმშიც ყასბების მიერ იყო მოგონილი.

– მსხვერპლშენიერვა! ყველგან და ყოველთვის მსხვერპლშენიერვა! ვის აძლევს ხელს დანაშაული? ყასბებს. ვის ეძლევა წმინდა დღეებში მუშაობის უფლება? რა თქმა უნდა, ყასბებს! რელიგიური ცერემონია ჩვენი ზღვის ყველა სანაპიროზე ყასაბთა შეთქმულება და სხვა არაფერი. იქეძებიან შიგნულში და ღვრიან სისხლს, სხვას რას მიკეთებენ? ყასბებს ჭკუა არა ჰყოფნიდათ, ღმერთები რომ მოეგონათ, მაგრამ რიტუალების ავტორებად ნამდვილად ისინი უნდა მივიჩნიოთ.

– რომელ ცხოველებს კლავენ ებრაელები პასექზე? – დაინტერესდა ფაბიენი.

– ცხვრებს, – უპასუხე მე.

– არა, წელს ცხვარი აღარ ეყოთ, ადამიანიც მიაყოლეს.

ეს სიტყვები მალტელ ბანკირს ეკუთვნოდა. ყველამ გაკვირვებული მხერა მიგაპყარით მას. შეუხედავი კაცი კი იყო, როგორც ყველა მალტელი, შავგვრემანი, მკვეთრად გამოკვეთილი სახის ნაკვთებით, წყლის გველის მსგავსი, გაურკვეველი ფერის თვალებით. მან გასაოცარი გულგრილობით – ჭამას ვერ შეელია – განგვიმარტა, რომ ებრაელებს ამ ჯერზე ერთ-ერთი თავისიანის, გზას აცდენილი მუამბოხე რაბინის მსხვერპლად შეწირვა დასჭირდათო, რამაც ჯვარცმული ყმანვილის გარდა, შესაძლოა ყველასთვის მოიტანოს სარგებელიო. განტევების ვაცის სიკვდილით დასჯა ხალხს დიდი ხნით აწყნარებსო, ირწმუნებოდა. მოგზაური ვარ, ბევრი რამ მინახავს და ვიცი, რასაც ვამბობო.

კლაუდია ოდნავ შესამჩნევად გაფითრდა, მაგრამ ღირსეული დიასახლისის მოვალეობას ერთი წამითაც არ უღალატა. სასაუბროდ თავის ბიძაშვილს, ფაბიენს მიუბრუნდა.

– ფაბიენ, ერთი მითხარი, რა ქარამ გადმოგისროლა იერუსალიმში?

ფაბიენმა არ უპასუხა, ჰაეროვანი კოცნის გაგზავნით დაკმაყოფილდა, რის დროსაც თვალები მოჭუტა, როგორც ეს ხორციელ სიამოვნებათა მოყვარულ ვნებამოზღვავებულ მამაკაცებს სჩვევიათ ხოლმე, თვალები მუდამ რომ უციმციმებთ და უცინით. რატაც მომენტში ის უწინდელ ფაბიენად გარდაიქმნა, ატმოსფეროს ეროტიკული მუხტით რომ ავსებდა; ფაბიენად, ნაშუადღევსაც კი მოფერებისა და სიყვარულისთვის რომ განგაწყობდა... ვნებითა და წადილით სუნთქავდა მისი ლამაზად დახატული, ოდნავ გამობურცული ტუჩებიც, ავზორცობისკენ მოუწოდებდა მისი ზღვარგადასული უდარდელობაც, განსაკუთრებით მისი კანი; კანი – სქელი, ბრწყინვალე და ელასტიკური, კანი – მოფერებისა და ამბორისათვის შექმნილი.

ფაბიენს პასუხის გაცემა ვერა და ვერ გადაეწყვიტა. კლაუდია არ მოეშვა, გრძნობდა, რომ სტუმარი დაძალებას ელოდა.

– იქნებ შენს გულში შეიჭრა ვინმე?

– მშვენივრად მოგესხენება, გული საერთოდ რომ არ მაქვს, ჩემო ძვირფასო კლაუდია. უფრო სწორად, ჩემი გული წელს ქვემოთაა გადამაღული.

ყველამ გადაიხარხარა. არა, ფაბიენს ნამდვილად უყვარს, როცა ეხვეწებიან.

– ყოველ შემთხვევაში, თქვენ არ დამიჭერბთ.

– ჩვენ მზად ვართ, ყველაფერი დავიჭეროთ, დაუჭერებელიც კი, – უპასუხა კლაუდიამ.

– დარწმუნებული ვარ, რომ სისულელედ მიიჩნევთ..

ფაბიენი ახლა ნამდვილად თავს იფასებდა, ორჭოფობდა და შეუწყვეტლად თამაშობდა. მალე დამსწრე საზოგადოება მის ნაქებებასა და გამხნელებას შეეშვა.

– კეთილი, რაბან ასე ჩამაცივდით, მოგახსენებთ. აქ იმისთვის ჩამოვდი...

ფაბიენმა ფრახის დასრულება ვერ მოასწრო, დარბაზში ჩემი სამი მსახური შემოვარდა. გეგონება, ვიღაცამ ძალით, ხელის კვრით შემოყარაო. მალე მათ მალაღი და მხარბეტიანი გამძვინვარებული უცნობი კაცი მოჰყვა. თმა ყალყბ დასდგომოდა,



ხშირი ბალნით დაფარულ ნახევრად შიშველ სხეულს ძონძები ძლივს უფარავდა. ჯოხს ჩაფრენოდა, რომელსაც აქეთ-იქით უაზროდ იქნევდა.

– პილატე! უბრძანე შენს მსახურებს, ფილოსოფოსებს მეტი პატივისცემითა და მოწიწებით მოექცნენ, მეტი რიდი გამოიჩინონ მათ მიმართ!

სიხარულისგან ფეხზე წამოვხტი. ამ ველურ ადამიანში კრატერიოსი ამოვიცანი. ჩვენი ძვირფასი კრატერიოსი, რომში აღმზრდელად რომ გვყავდა. გაიხსენე, ძმაო ჩემო, დრო, ათი წლისანი რომ ვიყავით, უდარდელი და უბრუნველი ასაკისათვის ჩვეული რბილი და თბილი ჯავშნით საიმედოდ დაცულნი.

– კრატერიოს, დაუჭერებელია! შენ იერუსალიმში ხარ?

მე და კრატერიოსი ერთმანეთს ვეცით, უფრო სწორად, ერთმანეთზე დავეცით. ამ ადამიანმა ჩაკონებაც და გადახვევაც ხომ მოზღვავებული და გადაჭარბებული იცის. მსახურები სახტად დარჩნენ. გოცებისგან პირი დააფრინეს. მათი მარად პირწმინდად გაპარსული და გაკრიალებულ-გაბზილებული, ჰიგიენის მანიაკი, უდგილო ადგილას ამოსულ ერთ ღერ თმსაც კი სამკვდროდ გადამტერებელი, უღინღლო ნაცვალის მკლავებში ჩაუვარდა ამ ველურ, მოუთვინიერებელ მაიმუნს, რომლის ხორხოცზე კედლებსა და სვეტებს სულ ზანზარი გაჰქონდათ.

– დროა, მსახურთა აღზრდაზეც იზრუნო, პილატე. აუხსენი ამ აკადემიურ მატლებს, რომ მამაკაცი მამაკაცური ღირსებებით შეიცნობა და არა თერძისგან აღებული ვალებით. აბა, ახლა მოუსვით აქედან, ცხრაფეხებო, აღარ დაგინახოთ ჩემმა თვალებმა!

მსახურები ისე გაუჩინარდნენ, ჩემს ბრძანებასა და დასტურს აღარც დაელოდნენ.

ბედნიერმა კრატერიოსი სტუმრებს წარვუდგინე. როცა გამოვაცხადე, რომ ჩემი სტუმარი კინიკოსი ფილოსოფოსი და დიოგენეს მოძღვრების მიმდევარი იყო, დამსწრე საზოგადოებას გულზე მოეშვა და სახეზე სიმშვიდე გადაეფინა. ისიც დაეძინე, რომ მამაჩვენმა, წარმოდგენა რომ არ ჰქონდა, თუ რას ნიშნავდა კინიკოსი ფილოსოფოსი და უფრო კრატერიოსის მიერ შემოთავაზებული ტარიფებით იყო მოხიბლული (სხვათა შორის, იმ საზღაურით, რასაც ჩვენი აღზრდისთვის იღებდა, მხოლოდ კუჭის ჩივილს თუ დააშოშმინებდა), ჩვენი აღზრდა-განათლება, სანამ ლანძღვა-გინებითა და კინისკვრით სასახლიდან გააგდებდა, სულ რაღაც რამდენიმე თვით მას ანდო.

წარსულის გახსენებაზე კრატერიოსმა სიამოვნებისგან წაიღრუტუნა.

– ძალიან ვამაყობ იმით, რომ უკლებლივ ყველა მშობელმა, ჩემი სამსახურში აყვანა რომ გარისკა, გამომაპანდურა. ეს ნათელი დასტურია იმისა, რომ ჩემი აღზრდის მეთოდი წარმატებულია. ამ უგუნურ მშობელთა ნაშვირები თავისუფლად მოაზროვნე ადამიანებად ვაქციე. ჩემი აღზრდილები გათავისუფლდნენ ცრურწმენათა მარწმუნებისგან.

– გშია?

– რომ არ მშიოდეს, აქ რა მომიყვანდა?!

კლაუდიას ამ ძუნძვლიანი და ავცია სოკრატეს დანახვამ მეტი სიხალისე შეესძინა. ის კრატერიოსის ეკლიანი და ქუჭყიანი ჯავშნის ქვეშ მხოლოდ სიკეთესა და გულუხვობას ხედავდა.

– სწრაფად მოართვით საქმელი, – ბრძანა კლაუდიამ, – არაფერი მოხარშული, მხოლოდ უმი ხორცი და ბოსტნეული.

ათენელი ისტორიკოსი ფილოკაიროსი ბევრი მისი თანამოქალაქის მსგავსად, ვერ იტანდა სოკრატეს მოძღვრების ასე თავხედურად საჯაროდ აბურად აგდებასა და დიოგენეს აღზევებას. მსახურებს ხელით ანიშნა, ადგილიდან არ დაძრულიყვნენ, კრატერიოსს კი ნარჩენებით სავსე ჯამზე მიუთითა.

– ვინაიდან კინიკოსები ძაღლებს იდეალურ არსებებად მოიაზრებენ, ვფიქრობ, ეს რამდენიმე ძვალი შენთვის დასანაყრებლად სრულიად საკმარისი იქნება.

როგორც კი ფრაზა დაასრულა, ფილოკაიროსმა ჯამი კრატერიოსს პირდაპირ ფეხებთან მიუგდო თავხედურად.

ფილოსოფოსმა ისტორიკოსი თავით ფეხებამდე ყურადღებით შეათვალიერა.

გავიფიქრე, რომ კრატერიოსი შხამის გადმონთხევას არ დაახანებდა, მაგრამ შენ წარმოიდგინე, მწარედ შეცვდი – მშვიდი იერით ისტორიკოსს მიუახლოვდა და ყურში ჩასჩურჩულა:

– ის მართალია!

კრატერიოსი მუხლებზე დაეცა, ჯამი დაყნოსა და კმაყოფილების ნიშნად უკანალი გააქიცინ-გამოაქიცინა. შემდეგ კი წელში გაიმართა, ფეხებს შორის ძონძებში დიდხანს იქექა და ბოლოს ფალოსი ამოაძვრინა.

– აქამდე როგორ ვერ მოვიფიქრე?

კრატერიოსმა ისტორიკოსს მშვიდად და აუღელვებლად შადრევანი მიუშვირა.

თითქოს ყველაფერი გაიყინა. დრო შეჩერდა.

ყველა გამოშტერებული სახით უსმენდა შარდის ჩხრიალს, ისტორიკოსს ტუნიკაზე, მუცელსა და ფეხებზე რომ ეღვრებოდა. უწყვეტ ძლიერ ნაკადს დასასრული არ უჩანდა. შარდის ბუშტის დაცლასთან ერთად კრატერიოსს სახეზე სიამოვნების განცდა აღებქედებოდა.

როგორც იქნა, კრატერიოსი ზედმეტი სითხისგან გათავისუფლდა, ბოლო წვეთებიც გადმოფერთხა და ფალოსი ისევ ძონძებში ჩაჩურთა. შემდეგ ვითომც არაფერი, ბერძენ სტუმარს ზურგი შეაქცია.

– შენ მეპყრობი როგორც ძალღს. შესაბამისად, მეც ძალღვიტ ვიქცევი.

შემდეგ კრატერიოსი იქვე, შორიასლო ტახტზე წამოგორდა და ორივე ხელიტ ჩააფრინდა კერძს, აკანკალებულმა მსახურებმა რომ მორთვეს.

კლაუდია ძლივს იკავებდა თავს, ხარხარი რომ არ მოერთო. დიდი ძალისხმევის საზღაურად მინც მოახერხა, თავი ხელში აეყვანა. ხელიტ მანიშნა, რომ ათენელს საკუთარ აპარატამენტებში გაიყვანდა. ფერნასულ სტუმარს მეტყველების უნარი წართმეოდა.

ამ დროს შენ გამახსენდი, ჩემო ძვირფასო ძმაო, გახსოვს, ჩვენც როგორ გვიკვირდა, სანამ მისი ექსცენტრიკული გამოხტომების აზრს ჩავწვდებოდიტ, სანამ საკუთარ აგრესიულ და იმპლიციტურ პედაგოგიურ მეთოდს გვაზიარებდა?

კრატერიოსი ნთქავდა და თან წამდაუნუმ აბოყინებდა. მალე თავისი ბოლო თავგადასავლის თხრობის ხასიათზეც მოვიდა.

– იმ ჩერჩებმა და უკუნურმა სულპიცისუმა გამომაგდო, როგორც უკანასკნელი ალექსანდრიელი ფეთხუმი. უნდა ვალიარო, რომ ჩვენი პირველი შეხვედრა წამდვილად ვერ იყო წარმატებული. ჩვენს ურთიერთობებს თავიდანვე შეუდგა წყალი. როცა მთავარ ქუჩაზე ფერუმარლიტ უთავმოყვარეო მეძავივით გათხიპნილი და ოქროთი მოვარაყებულ ტახტრეგანზე წამოგორებული დავინახე, ცხრა მონა რომ ძლივს მიათრევედა, ვერ მოვითმინე და ხმამალლა შევყვირე: ეს ის გალია არ არის, ამ ცხოველს რომ მოუხდებოდა-მეთქი! მაშინვე სასახლეში გამომიძახა. დარწმუნებული ვიყავი, რომ დილეგში გამომამწყვდევდა და დღის სინათლეს მომანატრებდა, მაგრამ ჩემი ვარაუდი არ გამართლდა. როგორც ჩანს, მანამდე მოუყვნიე ჩემზე, გაართეს ჩემზე შეთხზული ზღაპრებით, არც სხვა ტირანების წინააღმდეგ მიმართული ჩემი გამომწვევი გამოხტომები დავიწყნიტ. როგორც კი დამინახა, თავი მოიკატუნა, ვითომ არ იყო გაბრაზებული. ერთი სიტყვით, სპექტაკლი გამომართა, სადაც უკიდურესად თავაზიანი და გულისხმიერი ლიბერალის როლი მოირგო, ყველაფერი რომ გავგება და ყველაფერს რომ პატიობს. ჰოდა, ხელკავი გამომდო, იისფერი ტუჩები მოპრუნა – ხაზს ვუსვამ იისფერი, იმიტომ, რომ კილიებიან ბუასილს მიუგავს და იისფრად იღებავს – და ახალი სასახლის დასათვლიერებლად წამართია. ალბათ უნდოდა, ეთქვა: „გლახაკო, დატკბი ამ აუზების, მარმარილოსა და ოქრო-ვერცხლის ცქერით“. პირი არ გაუჩერებია – მოჰყვა ტყუილ-მართალი და იქო და იქო თავი. მორჩილად მივყვებოდი ფეხდაფეხ. იმდენი მოვახერხე, რომ კრინტი არ დამცდენია. ამას სულაც არ შეუშლია ხელი, ორის ნაცვლად ეყბედა და აღფრთოვანებულიყო. ეს რა მოვროზე: ორის კი არა, ათის! უცბად რა ხდება – ჩერდება და იისფერი კერამიკით მოპირკეთებულ იატაკს მიქებს. მეც ამ დროს ამიტყდა ხველა და ყელის ჩაწმენდა მომინდა. იმ ხეპრემ კი მორთო ყვირილი, არ გაბედო ძირს გადაფურთხება, ვერ ხედავ, სისუფთავისგან როგორ კრიალებს აქაურობაო. სხვა რა გზა მქონდა, ავდექი და პირდაპირ სიფათში შევაფურთხე. თან დავძინე: მაპატიეთ, ეს ერთადერთი ბინძური ადგილია, რომელიც ამ გაკრიალებულ ალაგას მოვიძიე-მეთქი. იმ უკუნურმა და დუნახავმა სასწრაფოდ ამაკრევიწა გუდა-ნაბადი ალექსანდრიდან.

ამ ამბავზე ყველამ გულიანად ვიხარხარეთ.

– კიდევ კარგად გადარჩენილხარ, კრატერიოს, – მივუგე მე, – შენ ადგილას ნებისმიერ სხვას იქვე გამოუყვანდა წირვას.

– ვერც ერთი ძლიერი ამა ქვეყნისა ჩემს მოკვლას და ამით თავის გაბიბრუებას ვერ გარისკავს. საკუთარ სინდისს არ კლავე! ბუზანკალი გიკბენს და ფრენას აგრძელებს, არც კი გიტოვებს დროს, ერთი რომ ჩასცხო. მაგრამ მოდი, შევეშვატ ჩემზე ლაპარაკს. თქვენ რაზე შეჩერდით?

კლაუდია მობრუნდა და გამოგვიცხადა, რომ ისტორიკოსმა სახლში დაბრუნება არჩია. შემდეგ სიმპათიურ ფაბიენს მიუტრიალდა.

– ფაბიენი, ჩემი ბიძაშვილი, თავს რომში ასე უსაზღვროდ ბედნიერად რომ გრძნობს და გარყვნილის დამკვიდრებულ რეპუტაციას თავის სასარგებლოდ მშვენივრად იყენებს, დაწვრილებით მოგვიყვება, რა მიზეზით ეწვია ჩვენს მხარეს. აბა, ფაბიენ, მიდი, მოლოდინისგან ლამის გული შეგვიღონდა. ნუ გეტანჯავ.

ფაბიენმა ირგვლივ მიმოიხედა, თავი ისევ მოიკატუნა, ვითომ ორჭოფობდა. სინამდვილეში კი სურდა, გაერკვია, ყველა თუ იყო მზად მის მოსასმენად.

– კეთილი, ბატონებო, ახლავე მოგახსენებტ მიზეზს. მოგეხსენებატ, ეგვიპტე ახლახანს დავტოვე და ამჟამად იუდეას ვსტუმრობ. სულ მალე ბაბილონში გადავინაცვლებ. ჩემი ხეტილის მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ ორაკულები გახლავტ.

– ორაკულები?

ირგვლივ უცნაურად დაძაბულმა სინუმემ დაისადგურა.

– წამდვილად, – განაგრძო ფაბიენმა, – წინასწარმეტყველები, პითიები, გულთმისნები, გრძნეულები, მკითხავები და მოგვები ჩემში ყოველთვის დიდ ცნობისმოყვარეობას აღძრავდნენ. მოკლედ რომ მოგახსენოტ, ძალიან მაინტერესებს მომავალი და მომავლის მეცნიერებანი.

– რა სულელური აზრია! – შეჰყვირა კრატერიოსმა, – ხვალინდელ დღეზე ქმუნვას, ვფიქრობ, ბევრად აჭობებდა, საკუთარ თავს ვკითხოტ, დღეს რას ვსაქმიანობტ.

– ცხადია, შენ მართალი ხარ, კრატერიოს, მაგრამ ადამიანი ასეა მოწყობილი: ქუჩაში როცა მიაბიჭებს, მხოლოდ წინ იყურება. დიას, წინ კი მიიწევს, მაგრამ საკუთარ ფეხებს ერთხელაც არ დახედავს. მოკლედ, ათასი ჯურის წინასწარმეტყველისთვის მიმიმართავს და ჩემდა გასაკვირად, მათი წინასწარმეტყველებანი პირველად დამმთხვა ერთმანეთს. სამყარო ახალი ერისკენ მიექანება. ჩვენ ახლა საქნელაზე შევდექით. სამყარო ცვლილებებს განიცდის.

ფაბიენმა მისი სიტყვებით გაოგნებული სტუმრები მოათვალერა.

– ამჟამად ერთი ხანა მეორეთი იცვლება. ნებისმიერი ასტროლოგი დაგიდასტურებტ ამას, იქნება ის ალექსანდრიდან, ქალდეადან თუ რომიდან.

– რისი თქმა გასურს?

– გამოჩნდება ახალი მეფე. ახალი მესია, ახალგაზრდა მამაკაცი, რომელიც მსოფლიოს მბრძანებელი გახდება. მისი სამეფო მთელ დედამიწაზე გადაიჭიმება.

– სად გამოეცხადება ის სამყაროს?

– აქ. ამ საკითხშიც ყველა წინასწარმეტყველება ერთხვევად ერთმანეთს. იმ ადამიანს პირველად აზიში იხილავენ. ზოგიერთი ორაკული პალესტინას ასახელებს, ზოგიც ასირიას ვარაუდობს. ყოველ შემთხვევაში, ის ჩვენი ზღვის აღმოსავლეთით გამოჩნდება.

შთაბეჭდილების ქვეშ მყოფმა სტუმრებმა ერთმანეთს გადახედეს.

– სხვა ნიშნები თუ არსებობს? – დავინტერესდი მე.

– დიახ, ეს ადამიანი თევზის ზოდიას ნიშნის ქვეშაა დაბადებული.

დავინახე, რომ კლაუდიუს სახეზე კანკალმა გადაურბინა, ალაგ-ალაგ კანი ამოებურცა, გეგონება, პატარ-პატარა ხვლიკები კანქვეშ დაურბინაო. თვალები გაუფართოვდა და სინათლე ჩაუქრა. ვიცი, რომ ჩემი მეუღლე ერთობ მგრძობიარე ადამიანია და აქედან გამომდინარე, ღია ირაციონალურისათვის. ვგრძობდი, რომ ფაბიანმა მასში დიდი ინტერესი და მღელვარება გააღვიძა. უკვე ვშიშობდი მოვლენების შემდგომ განვითარებას, ამიტომ საუბრის დასრულება ვინჯარე.

– დედამიწაზე ერთადერთი იმპერია არსებობს! ეს რომის იმპერია გახლავთ. სამყაროს მხოლოდ ერთი მბრძანებელი ჰყავს და ეს ტიბერიუსია.

ფაბიანმა ამპარტავნულად ჩაიქირქილა:

– შეგახსენებთ, რომ ტიბერიუსი თევზის ზოდიას ნიშნის ქვეშ არ დაბადებულა. ამას გარდა, სამყაროს მბრძანებლობს მხოლოდ იმითომ, რომ ეს ხვედრი მემკვიდრეობით ერგო. დღეს ჭკუასუსტობა და ალვირახსნილობა სამხედრო სტრატეგისა და პოლიტიკოსის სამშვენიის თვისებებად ნამდვილად არ მოიხარება. რაღა გაგაგრძელო, ტიბერიუსი ძალიან დაგვიჩანანაკდა.

– უკაცრავად?

– დიახ, მე თავი მოვუყარე ყველა სანდო ასტროლოგის წინასწარმეტყველებებს და შემდეგი დასკვნა გამოვიტანე: განგებისგან ზეგარდმოვლენილი ადამიანი იმ დროს დაიბადა, როცა სატურნი და იუპიტერი თევზის თანავარსკვლავედის ზეგავლენის ქვეშ იყვნენ მოქცეულნი. მე შევძელი მომავალი მეფის დაბადების ზუსტი თარიღი დამედგინა.

– ანუ?

– მეფე 750 წელს დაიბადა.

– როგორც მე! – შევყვირე ხმამაღლა, ვეცადე თავყრილობა გამეხალისებინა.

– დიახ, როგორც შენ პილატე. და ისიც შენსავით დღეს 33 წლის უნდა იყოს.

მოულოდნელი ხმაურისგან ყველანი შევკრით: კლაუდიუს თასი გაუვარდა ხელიდან. რაღაცა ნაიბუტბუტა გაურკვეველად.

– ჩემს მეუღლეს შეეშინდა, – ვთქვი მის გასამართლებლად, – ალბათ, წარმოიდგინა, რომ ის ადამიანი შეიძლებოდა მე ცყოფილიყავი.

– ო, არა, პილატე, მე ბევრად უფრო საშინელ რამეზე ვიფიქრე...

კლაუდიამ ფრაზის დასრულებისგან თავი შეიკავა. მსახურებს კი უბრძანა, ხალიჩაზე დაღვრილი ღვინო მოეწმინდათ.

ფაბიანი სტუმრებისკენ შეტრიალდა და მათი სახეები სათითაოდ შეათვალიერა.

– თუ ეს ადამიანი ოცდაათზე მეტისაა, ცხადია, რომ საკუთარ თავზე არაერთს აალაპარაკებდა. ალბათ, უკვე შეუდგა თავის საქმეს. მსგავს ვინმეზე საუბრისთვის ხომ არ მოგიკრავთ ყური?

კრატერიუსმა პასუხში ყველას დაასწრო.

– სულელებსა და ტუტუცებს რა გამოლევს! ბევრს ვიცნობ, მსოფლიოს მართვანზე რომ ოცნებობს. მაგანი და მაგანი უკვე ფლობს ქალაქსა თუ მთელ რეგიონს, მაგრამ აქვე მინდა განვაცხადო, რომ იმ ბუნძიათა შორის არც ერთი მეგულება, ასეთი ჩანაფიქრის ბოლომდე მიყვანის უნარი რომ შესწევდეს. მიმანია, რომ მათი ოცნება იდიოტურია და ყოველგვარ საფუძველს მოკლებული.

მელოტი მგოსანი, კრეტელი ვაჭარი, მალტელი ბანკირი და მარსელელი გემთმფლობელი შეფიქრიანებულები ჩანდნენ. ყოველი მათგანი შეხვედრით ღირსეულ და ამბიციურ ადამიანებს, მაგრამ არც ერთს არ მოიხარებდნენ წინასწარმეტყველების შემსრულებლად.

– და შენ, პილატე? – მკითხა ფაბიანმა, – თუ გინახავს ისეთი ადამიანები, მსოფლიოს დაპყრობა რომ შეუძლიათ.

კლაუდიამ დაჟინებული მხერა მომაპყრო, თითქოს, კითხვანზე კონკრეტული პასუხი მქონდა. მე მხოლოდ მხრები ავიჩინე.

– იუდეა ნამდვილად არ მესახება ისეთ ადგილად, სადაც მსგავსი ადამიანი უნდა ვეძებოთ, – ვთქვი მშვიდად, – აქ ზელოტებს ჩვენი თავიდან მოცილება აქვთ განზრახული. ეს გასაგებია. ისინი ებრაელები არიან, თანაც ჭეშმარიტი, და თავს ღმერთის რჩეულ ერს მიაკუთვნებენ. მათ არაფრად ანაღვლებთ სამყაროს დაპყრობა. მათ სძულთ ყველა სხვა ერი და მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობენ. ებრაელები, ეს ის ხალხია, ყოველგვარ იმპერიულ ამბიციებს რომაა მოკლებული. უბრალოდ უცნაური, თავის თავში ჩაკეტილი და თვითკმაყოფილებით შეპყრობილი ერია. აქ არ არის გამორიცხული, რეგიონული

მასშტაბის გმირებს გადააწყვედ, მაგრამ მათ მსოფლიო მმართველის გაქანება და ამბიციები აკლიათ. ახლა რასაც გეტყვი, ვშიშობ, იმედებს გაგიცრუებს: თუ ჩემ წინაშე ახალი ალექსანდრე წარდგება, მე სასტიკ ომს გამოვუცხადებ მას. არ დაგავიწყდეს, რომ მე რომის ინტერესებს ვიცავ.

– რომი მარადიული არ არის.

– რას ამბობ, ფაბიენ? ნამდვილად განებივრებული ბავშვივით იქცევი.

– შესაძლოა. მიმიფურთხები საკუთარი რომაელობისთვის. ჩემთვის ნამდვილად არაფერს ნიშნავს, რომ ნამდვილი რომაელი ვარ რომიდან და უძლეველ, ყოვლისშემძლე ერს განვეკუთვნები. პირადად მე ცხოვრებისგან სულ სხვა რამეს მოველი, თუმცა ახლა კონკრეტულად ვერ გეტყვი, რას. მე ველოდები იმ ადამიანს. ცხოვრებაში აქამდე ფუჭი და ამაო რამეები თუ მიკეთებია. ვიყავი მაცდური, ვეძებდი ხორციელ სიამოვნებას, ვხარჯავდი ფულს... დავიღალე ამ ყველაფრისგან. ახლა მგონია, რომ ჩემი ცხოვრება ნაკლებად უსარგებლო იქნება, თუ ერთ დღეს იმ ადამიანს არ გადავეყრები.

ფაბიენმა ჩემს მეუღლეს გადახედა, რომელსაც მკვდრისფერი დასდებოდა, გეგონება, მისი ტუჩები და ქუთუთოები საერთოდ დაიწრიტა სისხლისგანო.

– ვფიქრობ, ჩემმა მონათხრობმა ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა შენზე. აღელვებული ჩანხარ, კლაუდია.

– უფრო მეტად, ვიდრე გგონია, ფაბიენ... უფრო მეტად, ვიდრე გგონია.

კრეტელმა ვაჭარმა საუბარი დელფოსელ პითიასთან დაკავშირებულ სკანდალზე გადაიტანა. ეს ახალგაზრდა ქალი შეუდარებელ წინასწარმეტყველად იყო მიჩნეული. ერთ მშვენიერ დღესაც გაირკვა, რომ მისი შთაგონების წყარო გენერალი ტრიმარკოსი ყოფილა, რომელიც თავისი პოლიტიკის წარმატებით დაგვირგვინების მიზნით პითიას მზამზარეულ პასუხებს კარნახობდა. დისკუსია ახალი ძალით განახლდა. ცალი თვალი კლაუდიამე მეჭირა. მდუმარე ფიქრებს მისცემოდა. მისმა გაფითრებულმა სახემ ცისფერი მთვარე გამახსენდა. მან პირველად თქვა უარი ყურადღებიანი და მოალერსე დიასახლისის როლის შესრულებაზე. ცხოველი დისკუსიის ტალღები მის გონებამდე კი აღწევდა, მაგრამ კლაუდიას მიერ აგებულ ინდიფერენტულობის კედელს ვერ ანგრევდა.

როცა სტუმრები დაიშალნენ, შენუხებული მივუახლოვდი.

– რა ხდება, კლაუდია? შეუძლოდ ხომ არ გრძნობ თავს?

– გესმოდა, რასაც ფაბიენი ჰყვებოდა? ორაკულთა წინასწარმეტყველებანი ერთმანეთს ემთხვევა. ისინი ისეთ ვინმეზე ლაპარაკობენ, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ; ისეთ ვინმეზე, შენ რომ გაშინებს. ძალიან გამიკვირდა, მის შესახებ ერთი სიტყვაც რომ არ დაგცდა.

– ვისზე? ბარაბაზე? ბარაბა შორს ვერ წავა. ჩემი მსტორების ქსელს ის ვერ დაუძვრება. ამას გარდა, ბარაბა მხოლოდ ისრაელზე თუ ფიქრობს.

პირველად ცხოვრებაში ვიგრძენი, რომ კლაუდიას ვალიზიანები. ტუჩების კვნეტას მოჰყვა, ჩემი შეურაცხყოფისგან თავს იკავებდა, თავით ფეხებამდე გულცივად მათვალეირებდა.

– პილატე, ორაკულები იეშუაზე ლაპარაკობენ.

– იეშუაზე? იმ ჯადოქარზე? კი მაგრამ, ის ხომ გარდაიცვალა?

– ის 33 წლისაა. ორაკულებიც ასე აცხადებენ.

– ის გარდაიცვალა.

– ის ყველას გაიყოლებს. მართალია, შეუიარაღებელია, მაგრამ თავისი ლაშქარი უკვე ჩამოაყალიბა, ერთგულთა ლაშქარი!

– ის აღარ არის ცოცხალი! გარდაიცვალა ჯვარზე გაკრული, სადაც წავაწერი: „იეშუა, მეფე ებრაელთა“. აი, აქ წყდება მისი ამბავი.

– ის მხოლოდ ებრაელებს როდი მიმართავს, არამედ სამართელებსაც და ეგვიპტელებსაც, სირიელებსაც და ასირიელებსაც, ბერძნებსაც და რომაელებსაც, იეშუა მიმართავს ყველას.

– ის გარდაიცვალა!

– როცა ის სამეფოზე ლაპარაკობს, ის გულისხმობს საყოველთაო სამეფოს, რომლის კარები ყველასთვის ღია იქნება. იქ მიიღებენ ყველას, იქ მიიწვევენ ყველას.

– ის გარდაიცვალა, კლაუდია, გესმის ჩემი? ის გარდაიცვალა!

ჩემმა ყვირილმა სასახლე შეაზანზარა. ჩემი ხმა დარბაზიდან დარბაზს, სვეტიდან სვეტს მოედო. ბრაზი ნელ-ნელა ჩამიცხრა.

კლაუდიამ ჩემკენ გამოიხედა. როგორც იქნა, ჩემი ხმა გაიგონა. ტუჩები უკანკალებდა.

– ჩვენ ის მოვკალით, პილატე. წარმოგიდგენია, რა ჩავიდინეთ? იქნებ იეშუა იყო მესია და ჩვენ ის მოვკალით!

– არა, ეს ის არ იყო, რადგან ჩვენ ის მოვკალით.

კლაუდია ფიქრებს მიეცა. მისი აზრები ისრებს დაემსგავსნენ, თავის ქალიდან გამოსავალს რომ ეძებდნენ. თავი ასტკივდა, ცრემლები მოაწვა, მკლავებში ჩამივარდა და ხმამალა აქვითინდა. დიდხანს იღვრებოდა ცრემლებად.

ამწუთას კლაუდიას ჩემგან რამდენიმე წყრთის დაშორებით მშვიდად სძინავს, მე წერილს ვწერ. სუსტი აღნაგობა და შმაგი

ხასიათი მას ერთი უკიდურესობიდან მეორისკენ უბიძგებს. შეუძლია, მძვინვარებას მიეცეს, იბობოქროს, შემდეგ კი ღრმა ძილით ჩაეძინოს. გრძობათა მოულოდნელი მოზღვავება და ასევე მყისიერი დაშოშინება ჩემთვის უცხოა. მე მოზომილი, უფრო ნელი ტემპერამენტის ადამიანი ვარ. უკიდურესობათა მსგავსი ელვისებური მონაცვლეობა ნამდვილად არ მახასიათებს. ნაკლებად გამოვხატავ აღშფოთებას, მაგრამ ნაკლებსაც ვისვენებ. შეუკავებელი, მოუთვინიერებელი მრისხანება და გულისწყრომა, ისევე, როგორც მშვიდობისა და სიწყნარის მომგვრელი დასვენება ჩემგან შორსაა, მე ვიტყოდი, მიუწვდომელია. მე შემიძლია ვიწრო და სახიფათო ფიცარზე გავიარო და ხსენებულ უკიდურესობებს შორის თავი ერთზე კომფორტულად ვიგრძნო. იცი, ზოგჯერ მსურს, ფეხი ამიცდეს...

ახლა კი დაგემშვიდობები, გკოცნი მხურვალედ. ვფიქრობ, კრატერიოსს იერუსალიმში შეეყვანება აქვს განზრახული და მის ამბებს უახლოეს მომავალში შეგატყობინებ. სანამ გვამის გაქრობასთან დაკავშირებულ გამოცანას არ ამოვხსნი, ფილოსოფოსთან შეხვედრის არაერთი შესაძლებლობა მომეცემა. შემდეგ კი დაწვრილებით მოგიყვები მისი გამოხდომების შესახებ. იფიქრე ჯანმრთელობაზე.

პილატე ძვირფას ტიტუსს

ვისურვებდი, იმ დღის მოვლენები, რომელთა შესახებ თხრობას ახლა ვაპირებ, თავიდან არ გადამეტანა. პირველად ჩვენს მიმონწერაში გამიჩნდა სურვილი, ეს გვერდი თეთრად დავტოვო, ვინაიდან ძალიან მიმიძმს მომხდარის გახსენება. მაგრამ ამავე დროს, იმ დღის მოვლენებს თუ მივაჩუმათებ, ხვალ წერის სურვილი საერთოდ გამიქრება. არა მგონია, ზეგ რამე შეიცვალოს. ჩემს კალამს მეღანი შეაშრება, მე ხმა ჩამვივარდება, შენ კი დაკარგავ ძმას. ვეცდები, როგორმე დავთრგუნო ეს მახრჩობელა ზიზღი და ის დღე აღვიწერო, არ გავწყვიტო თხრობის ძაფი. იმითომ, რომ ძაფი, რომა და იერუსალიმს შორის რომ გაჭიმულა, სხვა არაფერია, თუ არა ჩვენი მეგობრობის შემაკავშირებელი ძაფი.

გარიჟრაჟზე ცენტურიონმა ბურუსმა მიღება მოხოვა. დიდი იმედი მქონდა, კარგ ამბავს მომიტანდა, რომ ჯადოქრის გვამს მიაგნეს. არ მახსოვს, მოგწერე თუ არა, მაგრამ ნაბრძანები მქონდა, ღამით იერუსალიმში სახლები გაეჩხრიკათ. განხრეკის მიზეზი არავითარ შემთხვევაში არ უნდა დასცდენოდეთ – ხომ გესმის, მოსალოდნელი ქორები და საიდუმლოს განხილვა. მოკლედ, ჯარისკაცებს ყველა ჩარაბული კარი უნდა გაეხსნათ, ჩაეხედათ სკივრებსა და სანახებში. ცხვირი ყველგან უნდა ჩაეყოთ, სადაც კი სხეულის გადამალვა იყო შესაძლებელი.

ბურუსი ჩემ წინაშე წარსდგა და ადგილზე გაშეშდა. მის ნიკაპს მწვანე ფერი გადაჰკვროდა, თვალები უძილობისა და დაღლილობისგან ჩასისხლიანებოდა, თმები კი სქელ მტვერს შეევერცხლა. ცხადია, მთელი ღამე ქალაქში დაძრწოდა. აბანოში გავლას და ჩემთან შესახვედრად თავის მოწესრიგებას საიდან მოასწრებდა?!

გვამზე ახალი არაფერი მოუხსენებია, სამაგიეროდ, მაუწყა, კვალს მივაგენო. დუქანში სრულიად შემთხვევით გადაჰყრია იმ ჯარისკაცებს, ღამით საფლავს რომ სდარაჯობდნენ. თურმე ღვინოს სვამდნენ და არა მგონია, ბურუსის ყურადღება მიექციათ, ამ უკანასკნელს თითოეული მათგანის წინ მაგიდაზე დაყრილი ოცდაათიოდე პერპერასთვის რომ არ მოეკრა თვალი. ოცდაათი პერპერა კი მოგეხსენება, რამხელა თანხაა – რამდენიმე თვის ჯამაგირს უდრის. სწორედ ფულმა აღუძრა ეჭვი ბურუსს. ცხადია, ამ ჯარისკაცებს გადაუხადეს, მაგრამ საკითხავია, ვინ და რისთვის? საზღაური მიიღეს იმისთვის, რომ ბრძანება თუ დავალება პირწმინდად შეასრულეს თუ არ შეასრულეს; იქნებ რაღაცის თქმა ებრძანათ? ან პირიქით, აეკრძალათ? აუცილებელი იყო მათი დაკითხვა.

ბურუსის თანხლებით ყაზარმას მივაშურე. ჯერ კიდევ ბნელოდა, ამიტომ დაცვას ჩირაღდების ანთება ვუბრძანე. ცოტა ხანში ორი ებრაელიც შემოიყვანეს, უფრო სწორად – შემოათრევს.. ისეთი გაღმეილები იყვნენ, ვერც კი მიხვდნენ, რომელი გამგებლის წინაშე რომ აღმოჩნდნენ.

- საიდან გაქვთ ეს ფული?
- და შენ ვინ ხარ?
- მეგობარი.
- რამე დასალევი ხომ არ გაქვს, მეგობარო?
- ვინ მოგცათ ფული?
- ...
- რისთვის?
- ...
- მიპასუხებთ თუ არა? ვფიცავ იუპიტერს...
- მართლა არ გაქვს დასალევი?

მე და ბურუსმა გაოგნებულებმა გადავხედეთ ერთმანეთს: ღვინოთი გამომტყვრალ ადამიანებს აზროვნების უნარი ჰქონდათ დაკარგული. წარმოიდგინე, ღვინოთი პირამდე სავსე ორი ამფორა. მათ ვერაფერს დავაცდენინებდი. უფრო მეტი შანსი მქონდა, ოფლისა და აძმარებული სასმლის ოხშივარისგან გავგუდულიყავი.

ვბრძანე, დოქით ღვინო მოეტანათ. წამში დაცალეს. უდაბნოში ხანგრძლივი გადაადგილების შემდეგ მწყურვალე აქლემი გინახავს, ალბათ...

ფულით სავსე ქისებს ხელით ვწონიდი და ამ დროს უეცრად გონება გამინათდა: ოცდაათი პერპერა! ეს ციფრი აშკარად რაღაცაზე მიმანიშნებდა... აბა, რა? ყველაფერი გასაგებია! ეს ხომ ნებისმიერი ფლიდობის, ნებისმიერი დასმენისა და ღალატის საზღაური იყო; ეს ტარიფი არეგულირებდა იერუსალიმის ყოველდღიურ ყოფას. ოცდაათი პერპერა აღმოუღეს ჯიბიდან იმ ჩამოხრთობილსაც რამდენიმე დღის წინ ჩემმა ჯარისკაცებმა, როცა მარყუჟიდან ჩამოხსნეს. იეჰუდა მყავს მხედველობაში, იეშუას ხაზინადარი, თავისი მოძღვარი კაიაფას ამ თანხად რომ მიჰყიდა.

– კაიაფამ გადაგიხადათ, არა? კიდევ ხომ არ ჩამოგისხათ ღვინო? კაიაფამ, არა?

თანხმობის ნიშნად თავები დააკანტურეს. მეც ქისებს დავავლე ხელი და სათითაოდ ჩამოვურიგე.

მცველები სიხარულისგან ბარბაცებდნენ. ვერც კი მოისაზრეს, რომ საკუთარი ფული დავუბრუნე.

– აბა, გისმენთ, მომიყვით.

– საქმე ისაა, რომ ჩვენ არაფერი არ ვიცით.

– დამცინით?

– არა, ბატონო, ჩვენ არაფერი გვინახავს. გვეძინა. დილით ქალებმა გამოგვაღვიძეს და გვთხოვეს, საფლავის კარი გაგვეღო. როცა დაინახე, რომ ცარიელი იყო, ყვირილი მორთეს. სასწაული მოხდაო, გაჰყვიროდნენ. საფლავი თვითონ გაიღო და თვითონვე დაიხურა, ხოლო გალილეელი ანგელოზმა გაბრიელმა წაიყვანაო. ღრმად სჯეროდათ, რასაც გაიძახოდნენ. გაღვიძებისას ამის გაგონება ჩვენთვის ნამდვილი შოკი იყო. როცა კაიაფა მობრძანდა, რომაელებზე ბევრად უფრო ადრე, მბრძანებელი, ვიმეორებთ, ბევრად უფრო ადრე – ჩვენ ვამჯობინეთ, ქალების ნათქვამი სიტყვასიტყვით გაგვემეორებინა. თან დავიფიცეთ, საკუთარი თვალებით ვიხილეთ იეშუა გაბრიელ ანგელოზთან ერთად. აბა, იმის თქმა, რომ მთელი ღამე ვხვრინავდით და სადარბაჯოდ სად გვცხელოდაო, ნამდვილი უგნურება იქნებოდა. მაგრამ ჩვენ, ალბათ, გამოუსწორებელი შეცდომა დავუშვით. კაიაფა ისე გამხეცდა, ისე გაცოფდა, კისრის ძარღვები ღამის დაუსკდა. ვიცი, რასაც ჰყვებიან და გვიბრძანა, პირი მომუწეთ და გაბრიელ ანგელოზი არავისთან ახსენოთო. წინააღმდეგ შემთხვევაში, დაგვეშურა, ქვებით სულს ამოგხდითო. ისე დავიზნაფრეთ, მუხლები აგვიკანკალდა. ყველამ ვიცით, მღვდელმთავარი სიტყვის კაცია, დანაპირების შესრულება არასოდეს ავიწყდება. შემდეგ კაიაფა უცბად დაწყნარდა, მოლბა და გაგვიღიმა. ფულიც კი გვაჩუქა, მერე გავამეორებინა და თავში ჩაგვიტენა, მომავალში რაც უნდა გვეთქვა, უფრო სწორად, რაც არ უნდა გვეთქვა.

– გამოდის, რომ კაიაფამ თავისდაუნებურად, სრულიად გაუზრებლად ფული გადაგიხადათ მხოლოდ იმისთვის, რომ სიმართლე გეთქვათ.

– ნამდვილად ასე გამოდის.

– და სიმართლე კი ისაა, რომ თქვენ არაფერი გინახავთ?

– არაფერი, მბრძანებელი.

ქისები დავუბრუნე. ეს რეკვენები სულ სიმღერ-სიმღერით გაეცალნენ იქაურობას. დარწმუნებულები იყვნენ, რომ თითოეულმა კიდევ ოცდაათი პერპერათი გაისქელა ჯიბე...

სასამართლოს სხდომათა დარბაზში განვმარტოვდი და ფიქრებში გადავეშვი. ჯერ კიდევ კვირა დღიდან მოყოლებული, ერთი ადამიანის გაუჩინარება მოსვენებას არ მაძლევდა. ამ შემთხვევაში მიცვალებულს კი არა, კაიაფას ვგულისხმობ. მღვდელმთავარი ჩემს სანახავად რატომ არ გამოცხადდა დაუყოვნებლივ? თუ ჩემსავით გვამს ეძებდა, თუ ჩემზე მეტად იყო დაინტერესებული, რომ ამ გაქრობას რელიგიური მღვდელმთავრები და ქაოსი არ მოჰყოლოდა, მაშინ რატომ არ მეახლა თავად და ძალების გაერთიანება და ერთობლივი ძიება არ შემომთავაზა? კაიაფასგან მსგავს თავშეკავებულობას მე ნამდვილად არ ვიყავი ჩვეული. ისე, სინედრიონის თავკაცად არჩევას მე უნდა მიმადლოდეს და სხვას არავის. ისიც მართალია, რომ ძალიან მანებირებს ათასგვარი ძღვენი, რათა ჩემი მუდმივი კეთილგანწყობა შეინარჩუნოს. ამაში თავის სიამარს, ანასს ასი თავით სჯობია. ანასი, ყოფილი მღვდელმთავარია, იძულებული რომ გავხდით სინედრიონისთვის ჩამოგვეშორებინა. კაიაფას შესანიშნავად აქვს თავისი მდგომარეობა გასიგრძეგანებული და აქედან გამომდინარე, აქტიურად თანამშრომლობს რომთან. როგორც გამოცდილ და გონიერ პოლიტიკოსს, იეშუას საქმეში ეთნაირად ეშინია ჩემიც და ჯადოქრისაც. შიშობდა, რომ იეშუას პოპულარობას ჩემი რისხვა და რომაული პოლიტიკის გამკაცრება არ გამოეწვია. თავისთვის რელიგიურ განხეთქილებას შიშობდა, ჩემთვის კი – მოსალეოდნელ ბუნთან შეტაკებას. სასამართლო პროცესზე ნათლად და ყველასთვის გასაგებად განაცხადა, რომ მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნება იყო: „ჯობია, ერთი ადამიანი მოკვდეს ხალხისთვის, ვიდრე მთელი ერი ამოწყდეს“.

რატომ ჩაიკეტა კაიაფა ტაძარში? რატომ შეაქცია ზურგი ჩემს დახმარებას, რატომ არ მთავაზობს თავისას? განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც აკლდამა შეიბილნა?

კაიაფა პარალელურ ძიებას აწარმოებდა და სწრაფად მოქმედებდა. ყველგან დამასწრო: საფლავთან ჩემზე უწინ გაჩნდა. იოსებ არიმათიელსაც პირველი მიეჭრა. რატომ მოქმედებდა მართლ? დავიჯერო, ჩემზე მეტად იყო განრისხებული? რატომ არ გამოვბრუნე ჩემკენ? კაიაფა, რომელიც ასეთი ლოგიკური და ფრთხილი ყოველი მოქმედებისას! კაიაფა, ყველაფრის წინასწარ განჭვრეტა რომ ძალუქს; კაიაფა, იეშუას სიკვდილში მომავალი სახიფათო კულტის დაბადება რომ შეიცნო. ასეთ სერიოზულ შაშვს კაიაფა ერთადერთ ღირსეულ მოკავშირესთან გაერთიანებაზე უარს ამბობს! ნეტა რა იმალება მსგავსი პოზიციის უკან?

ფანჯარას მივუახლოვდი და იერუსალიმს გადავხედე. შორს ღია ცის ქვეშ გაშენებული თეატრის იარუსები მოჩანდა. ღრმა ნოსტალგიით მოშხამული ისარი პირდაპირ გულში შემერჭო. ვუყურებდი ამ უკაცრიელ ოდენს, ასე იშვიათად რომ იყენებდნენ და ებრაელებს ღამის რომ სძულდათ, მიუხედავად ჩემი არაერთგზის ძალისხმევისა, იმ არაჩვეულებრივი დასებისა და დადგმებისა, აქ რომ მოვიწვიე. გულისტკივილი რომ გვიქრობდი და მწარედ ვნაობდი, აქ ჩამოსვლაზე რომ დავთანხმდი.

თვალები მოვჭკუტე და სცენაზე მოფრიალე თეთრი ტოგა გავარჩიე, მარსელუსი, ჩემი გუშინდელი სტუმარი ამოვიცანი. ქვის სკამების წინ იდგა და ჰაერში ხელებს იქნევდა. შესაძლოა, ერთ-ერთ თავის პოემას ხმამაღლა კითხულობდა. შესაძლოა, სიტყვების სიძლიერესა და ფრაზების დინამიკას სცდიდა. შესაძლოა, სულაც ახალ ტრაგედიას თხზავდა.

უეცრად გონება გამინათდა. კაიაფა თავს იკატუნებდა. მის მიერ გამოცხადებული ძებნა წმინდა წყლის სპექტაკლი იყო. მშვენივრად უწყობდა, სად ესვენა გვამი, იმიტომ, რომ თავად გადაამალა ის! უფრო ადრე რატომ არ მომივიდა ეს აზრი თავში? კაიაფამ ყველაფერი წინასწარ მოისაზრა. გეგმა მარტივი იყო. ჯადოქრის საფლავთან მცველები კი დააყენა, მაგრამ ამჟღავნებდა ღვინოში ბანჯი გაურია. ჯარისკაცებს საღათას ძილით ჩაეძინათ. ამ დროს გამოჩნდნენ სხვა მცველებიც. მათ დოლაბი გადააგორეს და გვამი მოიპარეს. წასვლისას კი აკლდამა გამოკეტეს. ორჯერადი სიფრთხილე სჯობდა ერთჯერადს.

კაიაფას ბრძანებით, მიცვალებული სხვაგან გადამალეს. ამგვარად, მან ჯადოქრის სიკვდილის შემდგომი კულტის დაბადება ჩანასახშივე ჩაკლა, მაგრამ შემდგომი მოვლენები ისე არ განვითარდა, როგორც გეგმით ჰქონდა ჩაფიქრებული. იეშუასთან დაახლოებული ქალები საფლავის გახსნას ითხოვენ. გვამის გაქრობით შეძრწუნებულები იწყებენ ნამდვილ ბოდვას და მომხდარს გაბრიელ ანგელოზს მიაწერენ. დარცხვენელი მცველებიც ქალების მოროშოლ სისულელეს იმეორებენ. გამძვინვარებული კაიაფა ყველას ჩააგდებინებს ხმას, ვისაც საჭიროა, გადაუხდის. მიუხედავად ყველაფრისა, მღვდელმთავრის მეცადინეობა წარუმატებელი აღმოჩნდება – ჭორი მაინც ვრცელდება და აღწევს ჩემ ყურამდეც. ვინცებ ძებნას, რასაც კაიაფა უმაღვე შეიტყობს, რა თქმა უნდა, არავითარი სურვილი არა აქვს თავად გახდეს ეჭვების ობიექტი, თავს იკატუნებს და სასწრაფოდ თვითონაც გვამის ძებნას შეუდგება. იოსებ არიმათიელის სახლში ჩატარებული ჩხრეკა სხვა არაფერია, თუ არა ჩემთვის თვალის ასახვევად გათამაშებული წარმოდგენა. წმინდა წყლის ბოლის ფარდა.

ამოვისუნთქე. ცოტაც და საქმე დასრულდებოდა. დარწმუნებული ვიყავი, რომ კაიაფა ცოტა ხანში გვამს გამოაჩენდა. მეტიც, დამაჯერებლობისთვის შესაძლოა, ისე მოეგვარებინა ყველაფერი, რომ იეშუას სხეულს მისი კი არა, ჩემი ჯარისკაცები გადააწყდებოდნენ. ამით კვანძი გაიხსნებოდა და ნელ-ნელა ყველაფერი წესრიგში ჩადგებოდა. ვიცოდი, რომ კაიაფა შესანიშნავი სტრატეგი იყო და აუცილებელ ვადას არ გადაააცილებდა.

თითქმის სიცოცხლის ხასიათზე დავდექი. კმაყოფილი ვიყავი, რომ აქ ასეთი ღირსეული პარტნიორი მეგულებოდა – ცბიერი, მზაკვარი, ეშმაკი, გაქეჩილი და ეფექტური კაიაფა, ასე რომ ზრუნავდა ორივესთვის აუცილებელ მშვიდობასა და საზოგადოებრივ წესრიგზე. გულს მომეფონა. დაღევაც კი მომინდა. ჭიქა ღვინით გავავსე, მარჯვენა ხელი მაღლა ავწიე და ღიმილიანმა წარმოსახვით მღვდელმთავარს ყურში ჩაგურჩულე:

– მსურს, შენი ჯანმრთელობისა დავლიო, კაიაფა. ნება უბოძე ლომს, მელას დღეგრძელობა უსურვოს.

ამ დროს კარს მიღმა ხმამალალი ლაპარაკი გაისმა. ცოტა ხანში ძლიერი დარტყმისგან კარადებიც ფართოდ გაიღო.

ჩემკენ ჩქარი ნაბიჯებით მღვდელმთავარი მოემართებოდა, მცველებს შუბები მისკენ მიეშვირათ.

როგორც კი დამინახა, განრისხებული კაიაფა ადგილზე გაქვავდა და სასონარკვეთილი ხმით შეჰყვირა:

– იეშუა! ის ისევ გამოჩნდა!

სიცოცხლე ვერ შევიკავე. არც მეგონა, რომ ებრაელს სამსახიობო ოსტატობაში ასეთი შესაშური ნიჭი აღმოაჩნდებოდა.

– რასაკვირველია, ისევ გამოცხადდა. დარწმუნებული ვიყავი, რომ ასეც მოხდებოდა. მე კიდევ ვფიქრობდი, რომ გამოჩნდნი საკმარის დელიკატურობას და ჩემს ხალხს მისცემდი საშუალებას, იეშუა ეპოვათ იქ, სადაც რუდუნებით გადამალე.

კაიაფამ ისე შემომხედა, გეგონება, მისთვის გაუგებარ ენაზე ვლაპარაკობდი.

– პილატე, ეტყობა, ვერ გაიგე, რაც გითხარი, იეშუა ისევ გამოგვეცხადა. ის ცოცხალია!

– ცოცხალი?

– დიახ, ცოცხალი!

შეხვედე ამ მაღალ და ტანსრულ ადამიანს, რომელიც ახლა ისეთი გასაცოცხლებელი და ძალღონგამოლეული მეჩვენა. მსგავსი კაიაფა მე არასოდეს მენახა – ფერმკრთალი ნაცრისფერი თვალები ჩვეულებრივზე მეტად გადმოკარკლოდა. გულწრფელი ჩანდა, უარესი – გაკვირვებული. საკუთარ სიმართლეში დასარწმუნებლად მღვდელმთავარს არასოდეს სჭირდებოდა ხელების ქნევა და ათასგვარი მანქვა-გრეხა, როგორც ეს ცრუპენტელებს სჩვევიათ ხოლმე. ამჟამად ის ნამდვილად წააგავდა სწულ ადამიანს.

– გეფიცები, პილატე, ვფიცავარ უსახელოს სახელით, რომ იეშუა საფლავიდან მობრუნდა. ის ლაპარაკობს, ცოცხალია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის მკვდრეთით აღდგა.

– ვიყოთ სერიოზულები, კაიაფა. ეს მხოლოდ ჭორია.

– რასაკვირველია.

– და ვინ ავრცელებს ამ ჭორებს?

– ერთი ქალბატონი, ჩვენდა საბედნიეროდ.

– რა თქმა უნდა, ჩვენდა საბედნიეროდ, ქალებს ნაკლებად დაეჭვრებათ.

იცოდე, ძვირფასო ძმაო, რომ აქ ჩვენ ძალიან შორს ვართ თანამედროვე რომიდან. ჩემი მეუღლის, კლაუდია პროკოლას გარდა, აქ ქალებს არც ძალაუფლება გააჩნიათ და არც ხმის უფლება. ისინი აქ მხოლოდ თავიანთი საშოს გამო სჭირდებოდათ, ცხადია, თუ ეს საშო ნაყოფიერია. საშოს კი, მოგესხენება, შეუძლებელია ფიქრი და აზროვნება მოსთხოვო, ან საკუთარი შეხედულებების ქონა, ან გროძობების გამოხატვა. მათ ნათქვამს კაციშვილი არ უწევს ანგარიშს. მათი განცხადებები უგუნურ მონაროშად აღიქმება. გონებრივი შესაძლებლობანი კი არც მეტი, არც ნაკლები, მენსტრუალურ ციკლთანაა გაიგივებული.

– ჯერჯერობით ამისი არავის სჯერა, – თქვა კაიაფამ, მაგრამ უკვე ენას იქავებენ, ვილაც-ვილაცები დაინტერესდნენ. თუ ამას ახალი ჩვენებებიც დაემატა, ამბოხიც გამომცხვარია. გვამს უსიკვდილოდ უნდა მივაგნოთ, პილატე. მაგანმა ის წინასწარ განზრახვით მოიპარა და ახლა გადაუწყვეტია, სხვები მის მკვდრეთით აღდგომაში დაბრწუნოს.

კაიაფა ჭეშმარიტებას ბრძანებდა. ვილაცა რუდუნებით მოფიქრებულ გეგმას ახორციელებდა. გეგმა ადამიანებისათვის გონების ამღვრევას და ჩვენს გაუგებრობის კვამლში გახვევას ისახავდა მიზნად.

– და რომელი ქალბატონი ირწმუნება, რომ იეშუა საკუთარი თვალთ იხილა? თავს დავდებ, რომ მისი თანამოაზრე და თანამზრახველი იქნება. ის ქალბატონი აუცილებლად გაგვიყვანს წამქეზებელზე.

კაიაფას უნებლიეთ გააჟრჟოლა. სპაზმამ სახეზეც გაურბინა, დაწყებული ცხვირის კეხიდან, წვერის წვეტიტ დამთავრებული.

– ვინ არის ეს ქალბატონი? – არ შეევეში მე.

კაიაფა ორჭოფობდა სახელის გახმოვანებას, მერე კი თავი შეაბრუნა და ამოღერდა:

– სალომე!

გაკვირვებისგან ენა მუცელში ჩამივარდა. ვიფიქრე, ხომ არ მომესმა-მეთქი.

– სალომე? ქალი, რომელიც...

წარბეჭმუხულმა კაიაფამ მინავლებული ხმით გაიმეორა:

– დიახ, ქალი, რომელიც...

ჩემო ძვირფასო ძმაო, არ ვიცი, გახსოვს თუ არა ის წერილი, რამდენიმე წლის წინ რომ გამოგიგზავნე, სადაც ერთ, თავების მჭრელ ქალზე გიყვებოდი? ამ შავნელ ფარსს მერმეც არაერთხელ მივბრუნებოვარ.

ჰეროდე ანტიპასი, ტეტრარქი და გალიელის მმართველი, უნიკალურ და ჩვენთვის ფასდაუდებელ ადამიანად მესახება. ერთდროულად ღვთისმომში, მოსეს მოძღვრების თავგამოდებული დამცველი ებრაელია და ტიბერიუსის მორჩილი თაყვანისმცემელი, ასე რომ ანებივრებს საჩუქრებით. მის პატივსაცემად გენესარეთის ტბის სანაპიროზე გაშენებული ულამაზესი ქალაქიც კი ტიბერიადად მონათლა. გენესარეთის ტბისა და მდინარე იორდანის სანაპიროებზე რამდენიმე წლის წინ ერთი იეშუას მსგავსი წინასწარმეტყველი იჭაჭებოდა. საშინლად ბრაზიანი და ღვარძლიანი იყო, ნამდვილი ტირანი. ერთი უცნაური რიტუალის წყალობით უთვალავი ბრბო კი შემოკრიბა. წარმოიდგინე, ცოდვებისგან განწმენდის მიზნით ადამიანებს მდინარეში თავ-ფეხიანად აყურყუმელავებდა.

იოჰანან მყვინთველმა, ასე ეძახდნენ მას, თავიდანვე ცოტა არ იყო, შემაშფოთა, ისევე, როგორც მოგვიანებით იეშუამ. მარტო ებრაელებს, ანუ ასე ვთქვათ, რჩეულ ერს კი არ მიმართავდა, არამედ უკლებლივ ყველას მოუწოდებდა. არასოდეს უცდია მიმდევართა როლის წინააღმდეგ გაერთიანება. პაციფისტსა და თავგამოდებულ მორალისტს, არანაირი პოლიტიკური წრახვეტი არ ამოძრავებდა.

სამწუხაროდ, ლანძღვა-გინებაში იყო სულსწრაფი და თავშეუკავებელი. ეს მორალურად წმინდა ადამიანი მოურიდებლად და მკაცრად აკრიტიკებდა ნებისმიერ უმართებულო საქციელს. არ დაინდო ჰეროდეც და მისი ახალი დედოფალი ჰეროდიადაც. მრისხანება უშვერი სიტყვებით დაატეხა ორივეს თავს. სასტიკად დაგმო ჰეროდე, როცა მეუღლეს გაეყარა და ძმის ცოლზე იქორწინა. ჰეროდიადამ დიდხანს ვერ მოუთმინა რატრატი. ეს წარმოსადეგი, ქედმაღალი, ბასრბრჭყალეა, სამკაულებით დახუნძლული – გეგონება, ომის დროს მოპოვებული მთელი ნადავლი ზედ ასხიო – ლამაზი, თუმცა ზედმეტად გათხიზნილი ებრაელი ქალი, ცეცხლს რომ აფრქვევდა სხეულიდან და თვალებიდან განგმირავ ისრებს ტყორცნიდა, მზად იყო, ნებისმიერი გაენადგურებინა, ვინც გზაზე გადაუდგებოდა. ჰოდა, მაშინ არც აცია, არც აცხელა, იოჰანან მყვინთველი დააჭერინა და მახერთნის ციხესიმაგრის ჯურღმულში გამოამწყვდევინა. ღვთისმომში ჰეროდე ტყვის დასჯას უარობდა, მასში წინასწარმეტყველს ხედავდა. ხანგრძლივი და დამქანცველი ბრძოლის შემდეგ ჰეროდიადამ ტაქტიკა შეიცვალა; უფრო საშიში და ეფექტური იარაღი მოიმარჯვა: საკუთარი ქალიშვილი სალომე. სალომემ მამინაცვალს ისეთი სპექტაკლი გაუმართა, ისე გამომწვევად და ვნებით იცეკვა მის წინ, რომ ტეტრარქი ნებისმიერი სურვილის შესრულებას შეჰპირდა. ჰეროდიადამ ქალიშვილს ყურში ჩასჩურჩულა, ჰეროდესთვის იოჰანანის თავი ეთხოვა. ხაფანგში გაბმულმა მამინაცვალმა გასცა ბრძანება, ტუსათისთვის სასწრაფოდ თავი წაეცალათ. მოჭრილი თავი კი სალომეს ვერცხლის ლანგრით თავად მიაერთა. მას შემდეგ ჰეროდე ძალიან შეიცვალა. საკუთარ თავს ჩადენილს საყვედურობდა, ღრმად შეძრულს სინდისის ქენჭან აწუხებდა; ცბიერი და აგრესიული გახდა. საკუთარი უსუსურობისა და სულმოკლეობის აღიარება უმძიმდა. ციხესიმაგრეში გამოიკეტა, ღმერთის რისხვას ელოდა. ჰეროდიადამ მეუღლის შიშის საკუთარი მიზნებისთვის გამოყენება სცადა. ბებერ ტეტრარქს ძალაუფლება ნელ-ნელა გამოაცალა ხელიდან და თავის ჭკუაზე ატრიალებდა. ვერ გეტყვი, ეს ყველაფერი სადამდე მიიყვანს ამ ქალბატონს, მაგრამ პირადად მე ფატალურ დასასრულს ვშიშობ. ჰეროდიადას ძალაუფლება მხოლოდ ძალაუფლებისთვის უყვარს. ჰეროდიადა თვრება ძალაუფლებით. ძალაუფლება მისთვის ერთგვარი ბანგია. ძალაუფლება ჰეროდიადას უძლევებს ხდის. ერთ დღესაც შესაძლოა ძალაუფლებამ დაახრჩოს.

კაიაფამ სალომესთან შეხვედრა შემომთავაზა.

მჭიდრო ბრბოში მოგვინა გზის გაკაფვა, ჰეროდეს მცირე სასახლემდე რომ მიგვეღწია. აღგზნებული ცნობისმოყვარეებისა და ბუზიყლაპია უსაქმურებისგან ტევა აღარ იყო. ჰყვებოდნენ ათასგვარ სისულელეს. გუგუნებდა იქაურობა, ჭირდა გადაადგილება. დაცვასთან ერთად ბრბოში გავიჭედე. ჯარისკაცებმა ხმას აუწიეს, ამას შედეგი არ მოჰყოლია. შემდეგ იდაყვებზე გადავიდნენ. მიყარ-მოყარეს ებრაელები. ვიფიქრე, ცოტაც და ამბოხი დაიწყება-მეთქი. ჯარისკაცებს დაცდა ვუბრძანე. მე და კაიაფამ სრულიად დაუცველად მუჯღუგუნებით გზა განვაგრძეთ. ვის ფეხზე გადავუარეთ, ვის – თავზე, ზოგსაც სამოსი შემოვგაღიჯეთ.

როგორც იქნა, გაცვდიტ დეკორატიული ქანდაკებებით დამშვენებულ, რომაულ-აღმოსავლურ სტილში – გულს მირევს! – ნაგებ კარიბჭეს, რომელიც მხოლოდ ტიბერიუსის გულის მოსაგებად და მოსახუსხადაა მოფიქრებული, თუ, რა თქმა უნდა, ის ოდესმე ჰეროდეს მასპინძლობას დაყაბულდა. აი, იქიდან უკვე მთლიანად ადამიანთა ტალღას მივინდეთ. ცოტა ხანში შუა ეზოში ამოყავით თავი. ამაღლებულ ადგილას გადგივით გარშემორტყმულ გოგონას მოგკარი თვალი. ვეებერთელა თვალებით ბრბოს მიმტერებოდა. ვინ უწყის, რომელმა ბანგმა გაუფართოვა ასე გუგები... პითია გამახსენდა, ხალხს მწველი მზერით რომ ნუსხავს.

– ესაა პრინცესა სალომე? – ვიკითხე გაკვირვებულმა.

კაიაფამ თავი დამიქნია. იმედგაცრუების განცდა დამეუფლა. მაგრამ მაინც არ დავიხიე უკან:

– არ არის ისეთი ლამაზი, როგორც ამბობენ.

– თავიდან ყველას ასე ეჩვენება.



სალომე, ჩემი ვარაუდით, თქვესმეტი წლის თუ იქნებოდა. ეს ის ბუნდოვანი ასაკია, როცა ბუნება ნორჩი და მოქნილი, ჯერ კიდევ ბავშვობის კუთვნილი სხეულის ქალური ფორმებით შემოკობას იწყებს. სალომე ჯერ კიდევ არ იყო ქალი, არამედ ქალის წინასწარი მონახაზი. მასში ყველაფერი მინიატურული ჩანდა: წელიც, თეძოებიც, დუნდულებიც და მკერდიც. თუმცა სხეული უკვე ივსებოდა, სიმრგვალებას იძენდა. მის შემყურეს შეუძლებელია, გაზაფხულის პირველი გაელვების ეფემერული ხიბლი არ შეგვეგრძნო... ნორჩი და გაუბედავი სალომე, მგრძობიარე, ვნებიანი და უცოდველი; მომწუსხველი, სიფრიფანა სამოსით მოსილი ჰაეროვანი და მძიმე სალომე... გავიფიქრე, რომ შიშველი სალომე მხოლოდ მინიშნებალა თუ იქნებოდა სიმშველბე.

ამ მოზარდსა და მის შესახებ დამკვიდრებულ, ფატალური ქალის რეპუტაციას შორის კავშირის გავლენა გამიჭირდა. უეჭველია, სალომე, ალბათ, უფრო ებრაულ გემოვნებას შეესატყვისებოდა, ვიდრე რომაულს.

თავიდან მომჩვენა, რომ სალომე დუმდა, მაგრამ არა: ოდნავ გასაგონი ხმით გაუჩერებლად ლაპარაკობდა. ხალხი ძალიან ახლოს უნდა მისდგომოდა ამალღებულ ადგილს, მისი სიტყვები რომ გაერნია; სიტყვები, თითქმის უმოძრაო ბაგეებს რომ სწყდებოდა და უფრო ხმოვან, წალიღინებულ სუთნქვას წააგავდა.

კაიფამ წაიბურტყუნა, რომ სალომე ყოველთვის ასე იქცეოდა, მისი სიმორცხვე მოჩვენებითი თავისმოკატუნება იყო მხოლოდ. სალომე ჩუმად იმითომ ლაპარაკობს, რომ მამაკაცები მოაწყდნენო. მერე ფეხებთან მიკრულები მისი სურნელებით თვრებიან და დაგებულ მახეში ებმებიანო.

მართლაც, უცხრად მთელი სხეული დამბიუჟდა და გამომშდდა. მუშკის არომატიტა და ყვავილების სურნელიტ გაბრუებული სალომეს გრაციოზულ კოჭებს, რომლებზეც ზარ-ზანზალაკებიანი წვრილი ჯაჭვები შემოველო, თვალს ვერ ვაშორებდი... თავი ავწიე, რათა მისი ბაგეებიდან გადმოღვრილ ნექტარს დავწაფებოდი. გულისყურით ვუსმენდი, უფრო სწორად, ვხვდებოდი უცნაურ ამბავს, დაუსრულებლად რომ იმეორებდა. თხრობისას საკუთარ თავს მესამე პირში მოიხსენიებდა. გეგონება, საკუთარი ცხოვრების მოწუსხული მაცურებელი გახდაო.

– სალომე სასახლეში ბრუნდებოდა, რომელიც ღამით მთვარის შუქზე ვეებერთელა და პირქუში ჩანდა. სალომე სასაფლაოდან ბრუნდებოდა, სადაც რაბი ცხარე ცრემლებით დაიტირა. სალომე სევდიანი იყო, ღამე – ცივი, მიწა – შავი. თავიდან სალომემ ვერ შეამჩნია ჭიშკართან მდგარი მამაკაცი. სალომე მისმა ხმამ შეაჩერა: „რატომ ტირი, სალომე?“ უცხო მამაკაცი მალალი და გამბდარი იყო. თავზე კაპიუშონი ეხურა. სალომე არასოდეს არ პასუხობს უცხო მამაკაცებს, მაგრამ ის ხმა არ უშვებს სალომეს. „შენ დასტირი იეშუას, მე ეს ვიცი“. „შენ ვინ გეკითხება? ვისაც მინდა, იმას დავიტირებ“. უცხო მამაკაცი სალომეს უახლოვდება. სალომემ საშინელი უხერხულობა იგრძნო. „შენ არ უნდა დაიტირო იეშუა. თუ გუშინ მიცვალებული იყო, დღეს ის აღდგა“. მამაკაცი სულ ახლოს იდგა სალომესთან, ძლიერი და გრძელი ხელები ჩამოემვა. მისი ხმა, ისევე როგორც მისი თვალეები, სალომეს ვილაცას აგონებდა; მალალი და პირქუში სასახლის ჩრდილმა სალომეს თვალთ დაუბნელა. მან ვერაფერი გაარჩია: „ვინ ხარ?“ მაშინ უცნობმა კაპიუშონი გადაიწია და სალომემ იცნო იგი. სალომე მუხლებზე დაეცა. „სალომე, ადექი ფეხზე, მე შენ ამოგარჩიე. მინდა პირველი იყო. შენ ბევრჯერ შესცოდე, სალომე, მაგრამ მე მაინც მიყვარხარ, მე მოგიტევე. წადი და კარგი ამბავი ხალხს ახარე. წადი“. სალომე ისე ტიროდა, ადგომაც კი აღარ შეეძლო. როცა ცრემლები დაეშრა, უცხო მამაკაცი იქ უკვე აღარ იყო. მაგრამ სალომემ შეიტყო კარგი ამბავი: იეშუას უყვარს სალომე. ის დაბრუნდა. იეშუა აღდგა. სალომე კარგ ამბავს იტყვის, სალომე კარგს ამბავს ყველას გააგებინებს...

ისეთი განცდა დამეფლა, რომ სალომე მხოლოდ ჩემთვის მოძრაობდა, მხოლოდ ჩემს გასაგონად ლაპარაკობდა. რაც შორიდან წარმოდგენად აღვიქვი, ახლა უკვე აღსარებას დაემსგავსა. სალომეს თვალეებიდან შავი ცრემლების ნაკადულები იღვრებოდა. სალომეს შიშველი მკლავები ცოტაც და გულში ჩამიკრავდნენ. აბრეშუმის ქსოვილიდან დროდადრო სალომეს ჩამოქნილი ფეხები ელვარებდა. ჯერ კიდევ არასრულქმნილი, მაგრამ უკვე ვნებიანი და აღმგზნები, გამჭვირვალე ქსოვილს ამოფარებული სხეული ბინიერად უთრთოდა. ხოლო ხმა იღვრებოდა, მნიფე და წყლიანი ატმის წვენივით იღვრებოდა, რომლიტაც გასურს, ზაფხულში პირი ჩაიტიკბარუნო.

სალომეს თხრობას მეორეჯერაც, მეტიც, მესამეჯერაც სიამოვნებით დავუგდებდი ყურს, მაგრამ მაცურებელთა ახალმა ტალღამ გვერდზე გადაგვისროლა.

უკვე ქუჩაში გასულები იძულებულები გავხდით, ცოტა ფეხით გავგველო, რათა ორგანიზმისთვის ძალღონე დაგვებრუნებინა. ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. გონებაში ეზოდან ფეხი არ მოგვიცვლია. ჩვენი ფიქრები ისევ სალომეს გარშემო ტრიალებდა.

– მართალია, სალომე არც ისე ურიგოა, – დავარღვიე უხერხული სინუმი.

კაიფამ გადააფურთხა.

– ჯობდა, უბრალოდ ლამაზი ყოფილიყო. უარესია, არ ვიცი, რა დავარქვა ამას.

კარგა ხანს უსიტყვოდ მივაბიჭებდით. სალომემ ორივე მოგვიბილა, მოგვაკადოვა. ისიც კი დაგავიწყდა, რატომ მოვედით მის მოსასმენად.

შადრევანთან შევეყვინდით. ჭადრის სიგრილემ და წყლის რაკრაკმა შვება მოგვეგვარა, აფორიაქებული გონება დაგვიწყნარა, აზრები დაგვილაგა.

– და რას ჰყვებოდა? – ვიკითხე მე.

– აბა, რა ვიცი, უთავბოლოდ კი ჟღურტულებდა. იეშუა ცოცხალი ვნახეო, თავიდან ვერ ვიცანიო. კარგი ამბავი მომიტანო, მითხრა, მიყვარხარო.

– ვინ შეიძლება ამ ბოღვით დაინტერესდეს?

– არც არავინ, მაგრამ სასახლეს მაინც მთელი სამყარო მოაწყდება. ყველა მიადევნებს თვალყურს სალომეს ფათერაკებს, მაგრამ განსაკუთრებულად კაციშვილი არ დაინტერესდება. ადამიანები აქ მის სანახავად და მოსასმენად მოდიან და არა ნათქვამიდან აზრის გამოსატანად. სალომე უწყინარი და უვნებელია, არავისთვის არ წარმოადგენს საშიშროებას. დიდი-დიდი, მამაკაცებმა თვალს წყალი დაალევიწონ, ქალებმა კი ღვარძლიანად იჭორაონ. სხვა რა?

– იქნებ სალომე მხოლოდ ბრმა იარალია ვილაცის ხელში? – ვიკითხე კაიფას.

– არავითარ შემთხვევაში! და ეს მამშვიდებს. არ გამოვრიცხავ, რომ ამ მოვლენებს უკან არანაირი გეგმა არ იმალება. შესაძლოა, გვამს არც აქვს პირდაპირი კავშირი გოგონას ბოდვასთან. სალომე უბრალოდ გიჟია. ერთი ქკუიდან გადამდგარი გოგონაა ჰეროდეს სახლიდან. ერთი შეშლილი ყოველ ოჯახს ჰყავს. სოფელი რა სოფელია ერთი გადარეულის გარეშე? ჭორი იეშუას მკვდრებით აღდგომის შესახებ შორს ვერ გავრცელებდა. აქვე მოკვდება.

ორივეს ცოტა გულზე მოგვეშვა. სახელისუფლებო ფუნქციების შესრულებას მუდამ თან სდევს შფოთი და მღელვარება. მმართველს მართებს, წინასწარ განჭვრიტოს მოსალოდნელი კატასტროფები და თავიდან აიცილოს ისინი. ხელისუფლების სათავეში რამდენიმე წელიწადს ყოფნა სრულიად საკმარისია, მუდამ უარესის მოლოდინში რომ იყო. დილით ვშიშობდით, რომ სიტუაცია ჩვენს კონტროლს არ გაჰყვებოდა. მას შემდეგ, რაც სალომე საკუთარი თვალით ვიხილეთ, ორივეს გულზე მოგვეფონა. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავდა, რომ საბოლოოდ დაგმვდიდით – მიცვალებული აუცილებლად უნდა გვეპოვა. მე და კაიაფამ ძალების გაერთიანება და ერთობლივი მოქმედება გადავწყვიტეთ.

– როცა იეშუას გვამს მივაგნებთ, – შევყვირე მე, – მე მას ქალაქის გალავანთან დავასვენებ, ზუსტად ისე, როგორც ბერძნებს სჩვევიათ და მცველებად ჩემს ლეგიონერებს დავუყენებ. დაე, გაიხრწნას იქ ერთი კვირა, სანამ მღვლევალება არ ჩაცხრება და წესრიგი არ აღდგება.

ის-ის იყო, უნდა დავშორებოდით ერთმანეთს, როდესაც კაიაფამ ფამილარულად ხელზე გამომქაჩა და ქუჩის კუთხეში თავმოყრილ ბრბოზე მიმითითა.

ვირზე შემომჭდარი ქალი ჩვენკენ მოიწვედა. მონიფული თხელტუჩება ქალბატონი ლამაზი და მომხიბვლელი ჩანდა. სწორი სახის ნაკვთები და თლილი ცხვირი მეტად მიმზიდველს ხდიდა. მსგავსი ნატიფი სახე ყოველი კუთხიდან სასიამოვნო საცქეროა, გნებავს გვერდიდან, გნებავს პირისპირ. ისეთი განცდა დამეუფლა, რომ მისი ნათელი თვალები ხედავდა იმას, რასაც ჩვენ ვერ ვამჩნევდით.

კაიაფამ მისი სახელი წაილულულა: „მირიამ მაგდალელი“.

ქალს აღფრთოვანებული ვათვალიერებდი. მასში უდავოდ კეთილშობილება იგრძნობოდა. მაღალი, სწორი შუბლი ჰქონდა, უბრალო, მაგრამ ელევანტური ვარცხნილობა. მუგუზალივით შავი სქელი თმა, მარტვენა მხარეზე გადმოეყარა. ვირზე შემომჭდარი ნამდვილი მეფურობის განსახიერება გახლდათ.

კაიაფამ მსგავსი ყურადღებით თვალიერება არ მომიწონა. მითხრა, ჩრდილოეთის უბნის მეძავი ამ პატივს არ იმსახურებსო. ქალები ყოველი მხრიდან მასთან შესახვედრად გამოიბოდნენ. თითქოს მათ ის უხილავი ძალა იზიდავდა, მირიამის სხეული ასე ძალუმად რომ აფრქვევდა.

– მე ის საკუთარი თვალებით ვნახე! მე ის საკუთარი თვალებით ვიხილე! ის აღდგა!

შავგვრემანი ლამაზმანი ამ სიტყვებს თბილი ბოხი ხმით მთელი გრძნობით წარმოთქვამდა. ამ დროს შავი თვალები და გრძელი წამწამები გაკვირვებული ადამიანის იერს სძენდა.

მირიამი ვირიდან ჩამოვიდა და შემხვედრ ქალებს გადაეხვია.

– გიხაროდენ, ის მკვდრებით აღდგა. სად არის დედამისი? მსურს, ეს ამბავი თავად ვახარო.

ბრბო შუაზე გაიხლიჩა.

თიხატკეპნილი ღარიბული ქოხიდან გლეხი ქალი გამოვიდა. დაბერებულ სახეზე განვლილ ჯაფასა და ოფლის ღვრაში გატარებული წლების დაღლა და სიდუხჭირე აღბეჭდოდა. ახლახანს გადატანილ სიმწარესა და დაღვრილ ცრემლებს მისთვის სახე დაესივებინა. მიუხედავად ყველაფრისა, ბებერი, ჩამომხმარი და დაძარღვული მკლავეები ფართოდ გაშალა და მირიამ მაგდალელს მხურვალედ გადაეხვია. ამ მოხუცმა სულ ცოტა ხნის წინ ერთ-ერთი ვაჟიშვილი დაკარგა – ვაჟიშვილი, რომელიც ადამიანებმა დამამცირებელი წამებისა და სიკვდილისთვის გაიმეტეს. მიუხედავად გამოუთქმელი ტკივილისა, ის ხელგაშლილი ღებულობდა ყველას, ვისაც მისი ნახვა სურდა.

მეძავი მოხუცის ფერხითი განერთხო.

– მირიამ, შენი ვაჟიშვილი ცოცხალია. თავიდან ვერ ვიცანი, მაგრამ მისი ხმა და თვალები მეცნო. თავზე კაპიუშონი ეხურა. რასაც უცხო მამაკაცი ამბობდა, გულზე პირდაპირ მაღამოსავით მედებოდა. გაგებდე და მივუახვლოდი. აი, სწორედ მაშინ მივხვდი, ვინც იყო. გადამეხვია და მითხრა: „წადი და კარგი ამბავი ყველას ახარე. იეშუა თქვენი გულისთვის მოკვდა და თქვენი გულისთვის აღდგა“. შენი ვაჟი ცოცხლობს, მირიამ! ის ცოცხალია.

მოხუცი ქალი გაშეშებული იდგა. ჩუმად ისმენდა მირიამ მაგდალელის სიტყვებს. ვერ ვიტყვი, რომ მეძავის სიტყვებმა შვება მოჰგვარა, პირიქით, უფრო დათრგუნული, ახალი ტვირთით დამძიმებული მეჩვენა. ვიფიქრე, ცოტაც და ძირს გაიშხლართება-მეთქი.

შემდეგ ჩაწითლებული ქუთუთებიდან ორად-ორი ცრემლი გადმოუგორდა. ასე დაიცალა იგი მწუხარებისა და ვარამისგან. გულამოსკვნილი ქვითინი ვეღარც შეძლო. მხოლოდ სინათლემ იცვალა მის თვალებში ფერი, სიცოცხლე ჩაუდგა, გაუნათდა და გაუბრწყინდა მხერვა, ნაოჭებით დაღარული სახე გაუსხივოსნდა. მირიამი თითქოსდა შვილის ნაზმა და ამაღლებულმა სიყვარულმა დააბრმავა, ისე ანათებდა, როგორც ზღვის სიღრმიდან ამოფრქვეული აისი.

კაიაფამ ისე ძლიერ მომიჭირა ხელი, ვიფიქრე, ხომ არ მიკბინა-მეთქი.

– დავილუპეთ!

საპასუხოდ ძალა არ მეყო. კაიაფა ბრბოს შევატოვე და სახლში სირბილით დავბრუნდი. ერთმა რამემ ძლიერ ამაღლევა მოედანზე. მიხვს, ცხადია, კაიაფას ვერ გავუზიარებდი, მხოლოდ შენ თუ შემიძლია გაგანდო. იმ მსცოვანი ებრაელი ქალის თვალებში სულ რაღაც რამდენიმე წამით დედაჩვენის მხერვა შევიცანი.

ხედავ, ისევ მოგონებების ტყვეობაში მოვექეცი. თხრობას მოგვიანებით გავაგრძელებ. იუდეამ თავგზა ამიბნია. მიიღე

ძმისგან გამოგზავნილი სიტბო და სიყვარული. ერთდემ მოგონებებს, ასევე მოერიდემ ებრაულ უკუნურებასა და შემლილობას. ამგვარად ჯანმრთელობაზეც იზრუნებ. გაუფრთხილდი თავს.

პილატე ძვირფას ტიტუსს

იუდეაში რომის ნაცვლის თანამდებობაზე დანიშვნა ჩემთვის გადასახლების ტოლფასია. ძალ-ღონეს არ ვიშურებ და დღენიდაც ვიბრძვი იმისთვის, რომ ადამიანები რომის მიმართ პატივისცემით განვანყო. სიმართლემ გითხრა, ჩემს ძალებს მეტწილად ნოსტალგია წარმართავს, ვიდრე მოვალეობის შეგრძნება. ვერ წარმოიდგენ, როგორ მენატრება რომი. ეს მონატრება კი არა, ნამდვილი ტანჯვაა. ვოცნებობ იმ დღეზე, როცა შევძლებ სამშობლოში დაბრუნებასა და გალაღებას. ხანდახან ეს სურვილი არაქათს მაცლის და მაძაბუნებს. უცხო და განსხვავებული მაკვირვებს და წინააღმდეგობებს შობს ჩემში. ყველაფერი ბატაროსული მეჩვენება. ზოგჯერ მიჩნდება სურვილი, ორად მოვიკეცო, თავი მუხლებში ჩავრგო, ცერა თითი პირში ჩავიდო და მგელქალაქის საშოში შევბრუნდე. როგორც კი ეს ტალღა ჩამითრევს და დროში უკან გადამისვრის, თხრობის გაგრძელებას ველარ ვახერხებ. ვითრგუნები. მენატრება ჩემი ქალაქი, დედაჩემი. ქალაქი განაგრძობს სიცოცხლეს, დედაჩემი გარდაიცვალა. მე კი ძალა არ შემწევს, ან ერთი ან მეორე ვიგლოვო.

დასამშვიდებლად ვბრძანე, ჩემი ექიმი სერტორიუსი გაეღვიძებინათ. დიდხანს მიზილა სხეული. ილიებიდან თივის სუნი სდიოდა. შენ წარმოიდგინე, ამ მუავე სურნელმა სიმშვიდემ მომგვარა. მაიძულა, ჩემი წუხილისა და მოუსვენრობის მიზეზები დანვრილებით მომეყოლა. მშვიდი და აუღელვებელი იერით მისმენდა, როგორც ეს გამოცდილ და მცოდნე ადამიანს შეჰფერის: თვალები ოდნავ მოეჭურბა, ტუჩები მოეკუმბა, თავს ხან თანხმობის, ხანაც თანადგომის ნიშნად აკანტურებდა. სერტორიუსი უდავოდ ჩემი უსიამოვნებების აღქმისა და გათავისების შეუდარებელი ნიჭითაა დაჯილდოებული. გამორიცხულია, მონათხრობიდან ერთი სიტყვა მაინც გამოეპაროს. მისთვის პატარა დეტალიც კი მნიშვნელოვანი და ყურადსაღებია. შეუძლია ერთი შეხედვით უაზრო საზრიანი გახადოს. სარტორიუსმა გონებას სიმშვიდემ მოჰფინა, დამძიმებული სხეული ნელსაცხებლებით ისე დამიზილა, სიმჩატე და ჰაეროვნება ვიგრძენი...

უკან მიმავალ სერტორიუსს თვალი გავაყოლე. კეთილ თახვისთვალემა დასტაქარს თავზე თმა აღარ შერჩენოდა, მხრები ჩამოცვენოდა. მივხვდი, რომ ჩემი ექიმიც დროის კანონსა და სხეულის დაბერებას იყო დაქვემდებარებული. ამის გაფიქრებაზე ნამდვილად დავმშვიდდი.

ისევ კალამს ვიღებ ხელში და ვეცდები, იმ ქანცგამწყვეტი დღის შესახებ თხრობა დავასრულო.

კაიაფას იმ მომენტში დავმორდი, როცა მირიამ მაგდალელი იერუსალიმში შევიდა და ხალხს იეშუას აღდგომა ახარა. მე ილუზიებისგან გავთავისუფლდი. თუ სალომეს მონაყოლი შეიძლებოდა ყურად არ გველო, იმავეს თქმა მაგდალელზე ყოვლად დაუშვებელი იყო. მირიამის ხარებას მხოლოდ ჭორების გაღვივება უნდა მოჰყოლოდა. მართლაც ახალი ამბავი ქალმა ქალს, მეორემ მესამეს მოუთხრო და ცოტა ხანში მთელ ქალაქს მოედო. ჭორის გავრცელებას არც კაცებმა დააკლეს არაფერი. მაგრამ ძირითადად მაინც ქალებმა გამოიდეს თავი, რაც ამბავს ნაკლებად დამაჯერებელს ხდიდა.

როცა ნაშუადღევს იერუსალიმში ორი მამაკაცი შემოიჭრა და დარწმუნებით განაცხადეს, ცოცხალი იეშუა საკუთარი თვალით ვნახეთო, მივხვდი, რომ სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა. პროცესი შეუქცევადი გახდა. დღის წესრიგში მთელი ჩემი ძალების თავმოყრისა და მტრის ამ დაუჯერებელი მაქინაციის ავტორის განადგურების აუცილებლობა დადგა.

ანტონიას კოშკში განვმარტოვდი. იმ ორი მამაკაცის მონაჩმახი ჩემმა მსტოვრებმა ჩამომიკაკლეს.

გონებაში საქმის ყოველ დეტალს მივბრუნდი. ყოველი მოვლენა ნიშნად მესახებოდა და საჭირო იყო, ამ ნიშნებს უკან აზრისთვის ჩამველო ხელი; დიახ, იმ აზრისთვის, მიმდინარე მოვლენებს საფუძვლად რომ ედო და მე კიდევ ხაფანგში მომამწყვდია.

ორივე პილიგრიმი იმასვე იმეორებდნენ, რასაც სალომე და მირიამ მაგდალელი: მათ პასექის დღესასწაულების შემდეგ იერუსალიმში დატოვეს და საკუთარ სახლებში ბრუნდებოდნენ. უკვე ემაუსს უახლოვდებოდნენ, როცა ბინდიც ჩამოწვა. გზის პირას ჩამოტყდარ, თავზე კაპიუონოხურულ მამაკაცს მოჰკრათ თვალი. უცნობი მათ შეუერთდა. არ იცნობდნენ მას, ადრე არასოდეს ენახათ, მაგრამ მის იერში რაღაცა ნაცნობი ეჩვენათ. გამოემცნაურნენ ერთმანეთს. პილიგრიმებმა გაანდეს, რომ რაბინ იეშუას დიდი იმედი ჰქონდათ და წუხილი და იმედგაცრუება გამოთქვეს მისი ჯვარცმის გამო. შემდეგ სამივენი ემაუსის ფუნდუკში შევიდნენ. უცნობმა მგზავრმა პილიგრიმებს აუწყა, რომ იეშუას ჯვარცმის გამო დარდასა და ქმუნვას არ მისცემოდნენ, არც ის გაველოთ გულში, რომ იეშუამ მათ უღალატა. ბოლოს დასძინა, რომ იეშუა მათ შორის იყო. მართლაც ზეთის ჭრაქის შუქზე პილიგრიმებმა უცნობ მამაკაცში იეშუა ამოიცნეს. იეშუამ მათ იერუსალიმში დაბრუნება და კარგი ამბის ხარება სთხოვა. ამის თქმა და მისი გაქრობა ერთი იყო. პილიგრიმები ვერც მიხვდნენ, როგორ მოხდა ეს.

პირველი, რაც ძალიან საეჭვო მეჩვენა, მონათხრობთა თითქმის დაუჯერებელი თანხვედრა იყო. შენ, ძვირფასო ძმაო, ჩემსავით ზედმიწევნით უწყი ადამიანის ბუნებისათვის ნიშნული მერყეობა და არამდგრადობა: ყოველი მოწმე თავისებურად ხედავს და აღიქვამს და ცხადია, თავისებურად გადმოსცემს. მე მივიჩნევ, რომ სწორედ შეუსაბამობანი, აცდენები, უცნაურობანი და წინაუკუღობაა ჩვენებათა დამაჯერებლობისა და სანდოობის ნათელი დასტური. ამ შემთხვევაში კი თხრობათა სრულ თანხვედრას სიცრუის მყრალი სუნი ასდიოდა. მაგანმა და მაგანმა ცრუმონმეებს ამბავი ზედმიწევნით გააზვირებინა და ამით რეალობის ილუზიის შექმნა სცადა.

ისლა დამრჩენოდა, გამერკვია, თუ ვისი ხელი ერია ამ საქმეში. აი, სწორედ აქ აღმოჩნდა, ჩემო ძვირფასო ტიტუს, შენი ძმა უბადლო. მინიშნება-შედარებისას გავარჩიე ხელი, რომელიც სიბნელეს ამოფარებული მოქმედებდა. მოვლენები ერთმანეთთან ასე დავაკავშირე: სალომემ ვითომ დაინახა იეშუა, რომელიც ჰეროდეს მცირე სასახლეში შედიოდა. მირიამ მაგდალელი კი მას იასმეთის ბალებში შეხვდა, პლანტაციებში, ჰეროდეს ოჯახს რომ ეკუთვნის და სადაც თავადაც უყვარს ნადირობა, როცა იერუსალიმს სტუმრობს. და ბოლოს, ემაუსთან შორიახლო მდებარეობს საბაფხულო რეზიდენცია, რომელიც მეფეს გამორჩეულად უყვარს. ოღო, ჰეროდე, ჰეროდე, ჰეროდე! სწორედ ის თავობდა შეთქმულებას.

ზედმეტი ორჭოფობის გარეშე მანიპულას წინ გაძლოა ვებრძანე და სულ მალე ჰეროდეს მცირე სასახლეს მივაღდექი.

ხუბას, ჰეროდეს ინტენდანტს, ჩემ დანახვაზე არც გაკვირვებისა და არც შიშის დამალვა არ უცდია. ტუნზე ისე იკბინა, რომ გამომშრალი კანიდან სისხლიც კი გამოიდინა. ჩემი სასახლეში შეშვების დიდი სურვილი არ გამოუმჟღავნებია და ამიტომ მიზეზების შეთითხვნას ეცადა:

– მისი უბრწყინვალესობა ისვენებს. ახლახანს დაბრუნდა. მთელი ღამე ქეიფობდა და სვამდა...

– ეჭვიც არ მეპარება, რომ ქეშმარიტებას ამბობ, ჩემო კეთილო ხუზა. ცხადია, ჰეროდე ახლა მთვრალია. გააღვიძე, თუ საჭირო გახდება, სახეზე წყლის შესხმასაც არ მოერიდო. ვიცი, რომ წყლის ატანა მხოლოდ ქუჩაში შეუძლია. ახლა კი დროზე მოახსენე ჩემი ვიზიტის შესახებ.

ხუზა გაუჩინარდა. ცოტა ხანში სასახლის სიღრმიდან ჯერ ბუზლუნი, შემდეგ კი ყვირილი მომესმა. ბოლოს აპილპილებული მმართველიც გამოჩნდა, როცა ხუზამ წვეულებათა დარბაზში გამავალი ბრინჯაოს კარი ფართოდ შეაღო.

– პილატე! ჩემო ძვირფასო მეგობარო! რომის მთელ იმპერიაში ყველაზე ლამაზი ბალთების მფლობელი!

დარბაზის სიღრმეში ფერმკრთალი, თითქმის გამწვანებული ჰეროდე ბალიშების ხროვანზე წამოგორებულიყო და ხელს მიქნევდა. ნიჟარიდან თავამოყოფილი ლოკოკინა მომაგონდა.

– პილატე, პილატე! შენ ბევრად უკეთეს სურნელებას აფრქვევ, ვიდრე ქალი. შენი კანი ბევრად უფრო ნაზია, ვიდრე ნებისმიერი მძავის. ოო, წარმომიდგენია, როგორ უყვარხარ ტიბერიუს!

მე ჩვეული ვიყავი ჰეროდეს ფარისევლობას, მის ხმაურიან და გადაჭარბებულ ქება-დიდებას, უტაქტო და ზღვარგადასულ მინიშნებებს სექსუალურ გატაცებებზე, დაუფარავ პირფერობასა და მლიქვნელობას, აღმოსავლეთისათვის დამახასიათებელ გამაბრუებელ ენატარტალობას. ფარისევლობაში მდგომარეობდა ჰეროდეს არსიც. ფარისევლობა იყო მისი გულწრფელობის გამოხატულება: მიმანიშნებდა, რომ ჩემი დანახვა ეამა და სულითა და გულით მღებულობდა.

– რა მიზნიდევლები და სანდომიანები ხართ მაინც ეს რომელი მოხელები! ერთი ამ გულების ჯალათს დამიხედეთ! შეხედე, რა სუფთად გაპარსულა, თმა შეუჭრია, შემდეგ კი გახურებული რკინით დაუხვევია, ხელ-ფეხზე ერთი ღერი თმაც არ დაუტოვებია. ტანი ნელსაცხებლებით დაუხველია და ზედ სუნამოები უჭკურებია. პილატე, შენზე გავიგე, ყოველდღე ბანაობსო, მართალია? არა, ნუთუ შესაძლებელია ყოველდღე ბანაობა? აი, შესაშური სიფაქიზეც ამას ჰქვია. დარწმუნებული ვარ, რომ შენი მეუღლე, პირმშენიერი კლაუდია პროკოლა ბედნიერია, ასეთი კენჭით კრიალა და პრიალა ქმარი რომ ჰყავს. რა ბედნიერებაა, რომელიმე ჩვენიანს რომ არ მისთხოვდა. საწყალი დაიხრჩობოდა, ისე ვყარვართ... მე განსაკუთრებით, წყალთან მეგობრული ურთიერთობა ვერა და ვერ დავამყარე. ჰკითხე ჰეროდიადას, ჩემს გადაღძუებულ, ქვაზე დახატულ ეშმაკს!

ამ გამოსვლას ჰეროდემ გამაყრუებელი ხორხოცი მოაყოლა. ისე, პირადად მე ვისწავლე, ყური არ შემებერტყა ჰეროდეს ბილწსიტყვაობაზე, რომლითაც თავის ყოველ განცხადებას კმაზავდა. ეს თვისება მხოლოდ მისი კეთილი ბუნებისთვის უნდა მიგნერათ.

ირგვლივ მიმოვიხედე და დავინახე, რომ ტახტზე მიწოლილ ახალგაზრდა, სრულიად დედიშობილა მონა ქალებს ღრმა ძილით ეძინათ. ჰეროდემ არ დაახანა და ჩემს წრიულ მზერას კომენტარი დაურთო.

– მაშ, მაშ, ჩემ ირგვლივ ნორჩი, სისხლმჩქეფარე სხეული რომ არ სუნთქავდეს, თავი უკვე სამარეში მეგონებოდა. იცი, უკვე სამოცის გავხდი, თავზე თმა აღარ დამრჩა და პირში – კბილები. ეშვები კი დავკარგე, ჩემო პილატე, მაგრამ უმაღლობას ჯერჯერობით არ ვუჩივი.

– მე კი მეგონა, რომ ღვთისმოშიში იყავი.

ჰეროდე მოიქუფრა. ხუზას და სხვა მონშეებს ანიშნა, მომწყდით თავიდანო. კარები დაიხურა და დარბაზში მხოლოდ ჩვენ და მძინარე ქალიშვილები დავრჩით.

– თითსაც კი არ ვაკარებ მათ. ყოველ შემთხვევაში, სურვილი რომც მქონდეს, ვერ შევძლებდი. ახალგაზრდობისას ჩემი შუბით კაკალს წამში ვაპობდი. კი, კი, დამიჭერე. ზეთისხილის ტოტი გინახავს? მასავით მაგარი იყო, ვერ გადალუნავდი. დღეს კი გადამწიფებულ პამიდორსაც ვერ გავხლენ. შენ?

პასუხის ნიშნად სიცილით დავკმაყოფილდი. ვიცოდი, რომ საუბარი ჰეროდესთან როგორც ყოველთვის უხამსობებით უნდა დაწყებულიყო.

– და შენ? – არ შემეშვა.

– ჰეროდე, მე აქ ჩემი შუბის საგმირო საქმეებზე სალაპარაკოდ არ მოვსულვარ.

– საგმირო საქმეები? გამოდის, რომ ამ მხრივ სადარდებელი არაფერი მაქვს. თუ იცი, რატომ გეკითხები? ჩემს სისუსტეს ასაკს ნაკლებად ვაბრალებ, უფრო ჩემი ძალაუფლების ბრალია. მაგრამ შენ თუ ამბობ, რომ... და ტიბერიუსი? ის ხომ ჩემზე ბებერია და მეტ ძალაუფლებას ფლობს. შენი ცნობების თანახმად, ნუთუ კიდევ შესწევს უნარი, რომ...

– მაგის შესახებ არაფერი არ ვიცი, ჰეროდე.

რა თქმა უნდა, ვიცრუე. მშვენივრად ვიცი, რომ ტიბერიუსს უკვე კარგა ხანია, არაფრის თავი არა აქვს. ქვეყანამ იცის, ენით აღუწერელ ორგიებს რომ აწყობს, რათა საკუთარ სხეულში ოდნავი სურვილი მაინც აღძრას. ჰეროდეს ყურადღება სხვა თემზე რომ გადაამეტანა, ვამჯობინე, სიმართლისთვის ზურგი შემექცია.

– თუმცა, კი, როგორ არ ვიცი, ჰეროდე.

– მერე, მერე? რაო? – დამეკითხა გატაცებული ადამიანის ხმით.

– ტიბერიუსი ჯერ კიდევ მშვენივრად აპობს.

ჰეროდეს თავი მკერდზე ჩამოუვარდა. დაღლილი და იმედგაცრუებული ჩანდა: გეგონება, უკანასკნელი იმედი წაართვესო.

– მართალი ხარ, პილატე. ტიბერიუსს ჯერ კიდევ უდგება. ამიტომაცაა ტიბერიუსი ტიბერიუსი, მე კი მხოლოდ ჰეროდე ვარ.

ჰეროდე ასრუტუნდა. ვიფიქრე, ახლა ამ ლოთმა წუწუნი და საკუთარი თავის გამოტირება არ დაიწყოს-მეთქი. მყისიერად სხვა თემზე გადავერთე, მივიჩნიე, რომ შესავლისათვის განკუთვნილი დრო ამოიწურა.

– ჰეროდე, შენთან იმშუაზე სალაპარაკოდ მოვედი.

– რა სალაპარაკო ეგაა?! ჩემთვის ეს დახურული თემაა. მოდი, რამე დალიე მაინც. შემიძლია, შალასის ღვინო შემოგოთავაზო. ლასუმის ღვინოზე უფრო ტკბილი კია, მაგრამ თეთრ კალხარზე სასიამოვნო და ადვილად მოსანელებელია.

– ჰეროდე, შენც კარგი მელა ხარ და მეც. მელიები, მოგესხენება, დიდხანს ვერ მოატყუებენ ერთმანეთს. მე შენ მოხარშულს გიცნობ. მამაშენის სიკვდილის შემდეგ პალესტინა ოთხად გაიყო. ოთხი ძმიდან მხოლოდ შენ ერთს შეიძლება ადამიანმა ანგარიში გაუწიოს. მხოლოდ შენ აღმოჩნდი ხერხეულიანი. მშვენიერად მართავ შენს წილ პალესტინას. მხოლოდ შენ ემსახურები ტეტრარქის ტიტულს. მგონი, ფუჭია იმის შესხენება, თუ რა აზრის ვარ შენს უფროს ძმაზე. ერთს გეტყვი მხოლოდ – მისი უუნარობისა და უგერგილობის წყალობით მერგო იუდეა და ცხადია, ჩემი თანამდებობაც. რაც შეეხება შენს დანარჩენ ორ ძმას, მიხვდებოდი შენც, მარად მეფუნიები დარჩებიან. მართო შენ ერთს გეკუთვნის, ჩემო ჰეროდე, ტახტზე ჯდომა. ამის ლეგიტიმურ უფლებას სისხლიც განიჭებს და ნიჭიც.

ჰეროდემ დამცინავი ღიმილით გამაწყვეტინა:

– რაღაც საშინელი და მოუშუშებელი უნდა მაუწყო, ალბათ, რახან ასე მეპირფერები. მე უარესის მოლოდინში ვარ.

– მოთმინება იქონიე, ჰეროდე, მოთმინება. თქვენ, ებრაელებმა სხვებს თქვენი დაპყრობის, გავრანებისა და დამონების საშუალება მიეცით. და ასე გრძელდებოდა არა ერთი საუკუნე. თქვენი ისტორია უსასრულო მორჩილების ისტორიაა და სხვა არაფერი. თუ იცი, რატომ? არა იმიტომ, რომ სუსტები და უღონონი ხართ. პირიქით. არც ძლიერება გაკლიათ და არც გამბედაობა. ეს იმიტომ, რომ თქვენ მეტისმეტად დაქუცმაცებულები ხართ. თქვენს ერთადერთ და უსახელო ღმერთსაც ყოველი თქვენგანი არაერთგვაროვნად აღიქვამს და რწმენასაც განსხვავებულად გამოხატავს. მეტსაც გეტყვი, რწმენა ერთმანეთთან დაპირისპირების იარაღად აქციეთ. შენ დიდი ჰეროდეს ძე ხარ, მისი ბადალი და ღირსეული მემკვიდრე. ვიცი, რაზეც ოცნებობ: შენი ერის გამრთლება გასურს. ოცნებობ, ერთადერთი მეფე მართავდეს ქვეყანას და ერთმა რელიგიამ გაიბრწყინოს. ვიცი, რომ მევედ საკუთარ თავს მოიპოვებ. რაც შეეხება რწმენას, არჩევანი იმშუაზე, უფრო სწორად, იმშუას კულტზე შეაჩერე. ახლა კი ყველას შენ გარშემო შემოკრება გადაგიწყვეტია, მათ შორის იმშუასიც. მხად ხარ, ნებისმიერი გადაბითიელი შენი ქვეყნიდან განდევნო, პირველ რიგში კი მე.

ჰეროდე ღიმილიანი სახით მიყურებდა.

– დაამთავრე, პილატე?

– არა!

– მაშინ მოგვიანებით გაგცემ პასუხს. როგორც კი შენი მოხსენება დასრულდება. დამრთავ ნებას, აღარაფერი ჩავინიშნო და მხოლოდ დავლიო?

– შენ ყოველთვის გაინტერესებდა რელიგიური ადამიანები, „გაბრწყინებულები“, ქვეყანაში ძალუმად რომ დაბორილობენ. ბევრი ამას შენი ღვთისმოსავლობით ხსნის. მე კი ვეჭვობ, რომ პოლიტიკური ზრახვები გამოძრავებს. წმინდა ტექსტები წინასწარმეტყველებენ, რომ გამოცხადდება დავითის მოდგმის ადამიანი, თქვენ რომ მესიას ეძახით და მთელ ისრაელს გააერთიანებს. და აი, შენს კუთვნილ ტერიტორიაზე, მდინარე იორდანეს სანაპიროზე ერთ დღესაც იოჰანანი გამოჩნდა, მეტსახელად მყვინთავი რომ შეარქვეს. შენში წინასწარმეტყველმა ცხოველი ინტერესი აღძრა და მისი გამოყენება განიზრახე. მაღვეე დაწმუნდი, რომ იოჰანანი კერკეტი კაკალი იყო და მის დაყოლიებას ადვილად ვერ შეძლებდი. ისიც იცოდი, რომ სძულდი შენც და ჰეროდიადაც. გაცოფებულმა იოჰანანს თავი მოჰკვეთე. და ამ დროს ჩნდება იმშუა. ჩემმა მსტოვრებმა მომახსენეს, რომ თავიდან მასთან შეხვედრებსა და ბჭობას არ თაკილობდი. იოჰანანს არ სწყალობდი, მაგრამ საბაგეროდ, იმშუასთვის ქადაგება და მიმდევართა შემოკრება არ დაგიშლია. ვიმეორებ – „არ დაგიშლია“. იმიტომ, რომ ეს შენს მიწაზე – გალილეაში ხდებოდა. რომ გესურვა, ერთი შენი სიტყვაც საკმარისი იქნებოდა, იმშუა საპნის ბუშტივით რომ გამქრალიყო. პირიქით, შენ მის თავისუფალ გადაადგილებას არ აბრკოლებ, არც გამოსვლებში უშლი ხელს. მის გარშემო ერთგულთა თავმოყრა კი საერთოდ არ გადარდებს. შენ შეამჩნიე, რომ იმშუა განსხვავებული ადამიანია, უფრო რადიკალური და პოპულარული, ვიდრე ნებისმიერი სხვა წინასწარმეტყველი. მისი სიტყვა გარდაქმნის ადამიანებს, მას ჩოქვით მიჰყვებიან. მონიჭული მამები თავს ანებებენ თავიანთ ხელობას, ტოვებენ სახლ-კარს, ფეხდაფეხ დაჰყვებიან მოძღვარს და შემოწირულობით ცხოვრობენ. შენ მიხვდი, რომ ამ ადამიანზე დაყრდნობით ყველა ებრაელს ფეხზე დააყენებდი.

– მხურვალე გამოსვლაა, პილატე, ვერაფერს იტყვი. შენი წარმოსახვა უშრეტია. ძალიან მაინტერესებს, როგორ დაასრულებ.

– იმშუა შენს მიწაზე, გალილეაში ერთგულ მორწმუნეთა ზღვა რაოდენობას შემოიკრებს. დაწყებული საქმის დასაგვირგვინებლად იერუსალიმში აპირებს ჩასვლას. სამწუხაროდ, სინედრიონის მღვდელმსახურები, განსაკუთრებით კი კაიაფა, მას შენგან განსხვავებით, თავიდანვე ავი თვალით უყურებენ. ისინი იმშუას წინააღმდეგ კრავენ პირს. შენ უკვე გრძნობ საფრთხის მოახლოებას და იერუსალიმში გამოცხადდები.

– მე იერუსალიმში ყოველ წელს ჩავდივარ.

– მაგრამ არა მაინცდამაინც პასექის დღესასწაულებზე. და არც მაშინ, როცა შენი საქმეების საკეთილდღეოდ გალილეაში დარჩენა უფრო უპირანი იქნებოდა. წელს ტიბერიადის ხანძრებს, წესით, შენს სამფლობელოში უნდა შეეყოვნებინე. მაგრამ, არა! შენ მაინც ჩამოდიხარ. შენ გასურს, იმშუას გასაქირში დახმარების ხელი გაუწოდო. ხვდები ქალაქის კარიბჭესთან, სთხოვ უკან დაბრუნებას და თან უხსნი, რომ ეკლესიის მსახურნი მის წინააღმდეგ შეთქმულებას აწყობდნენ. ჯიუტი იმშუა თავისას არ იშლის და არ გემორჩილება. შენ ჯეროვნად აფასებ მის შესაძლებლობებს და ხვდები, რომ ის არ არის შენი ობიექტური მოკავშირე, მაგრამ განზრახვამ მაინც არ იღებ ხელს. შენ მისი გადაჩინვა გასურს, რადგან მოგვიანებით მის გამოყენებას იფიქრობ. ხაზინადარ იეჰუდას ლაღატის წყალობით მღვდლები იმშუას აპატიმრებენ და იმ ლამესვე სასამართლოს მოუწყობენ. შენც გაულებლადაკრეფილი არ ზიხარ, ფორიაქობ, გინდა, პროცესში ჩაერიო. სინედრიონის წევრებს შეაგნებინებ, რომ სასიკვდილო განაჩენის გამოტანის უფლება მათ არ აქვთ. და თუ მაინც მიიღებენ მსგავს გადაწყვეტილებას, განაჩენს სისრულეში მაინც ვერ მოიყვანენ. ხელფეხშებორკილი სინედრიონი იმშუას მე გადმომცემს. მე კი მაინცდამაინც კარგად არც მაქვს გააზრებული, რა უნდა მოვიმოქმედო. კაიაფასთან საკმაოდ გონივრული ურთიერთობა მაკავშირებს, ამიტომ უფრო სინედრიონის მხარეს ვიხრები, რაც მათი ნების აღსრულებას, ანუ განაჩენის სისრულეში მოყვანას ნიშნავს. ამ დროს შენ ჩემთან მმართველ ხუზას აგზავნი და მისი პირით მახსენებ, რომ იმშუა წარმოშობით გალილეელია და კანონის თანახმად, იგი შენ – ჰეროდეს – გალილეის ტეტრარქს უნდა გადმოგცეთ. ჩემი სიხარული უსაზღვრო და პატიმარს დაუყოვნებლივ

გიგზავნი. ერთი სიტყვით, თუ იეშუას დაიბრუნებ, ის უთუოდ გადარჩება და სამომავლოდ შენს ჩანაფიქრსაც ფრთები შეესხმება. შენ თავს იკატუნებ და მას საჯაროდ დასცინი, ვითომ ამცირებ. სინამდვილეში კი ებრაელთა მეფედ აკურთხებ. შემდეგ იეშუას ისევ მე მიგზავნი და მარნმუნებ, უცოდველი და უწყინარი. სამწუხაროდ, ვერც შენ და ვერც მე, ჭეშოვნად ვერ შევავსებთ კაიაფას სიჭიუტე – როგორც კი იეშუა დამიბრუნეს, არ დაახანა და კაიაფამ ჩემზე ზეწოლა განაახლა. დაჟინებით ითხოვს სინედრიონის განაჩენის აღსრულებას. გაგრძელება ყველამ შესანიშნავად იცის – იეშუა ჯვარზე აღესრულა.

– დიახ, იეშუა ჯვარზე აღესრულა. შენს ოსტატურად მოფიქრებულ ამბავს სევდიანი დასასრული კი აქვს, მაგრამ ის ერთხელ და სამუდამოდ დამთავრდა.

– სრულიადაც არა. შენ არ აღიარებ დამარცხებას. ღამით გვამს იპარავ და ალბათ აქ, სასახლეში სადმე მალავ. ეს მეორე ადგილია, ტაძრის შემდეგ, მთელ იერუსალიმში, რომელთა განხრეკა ჩემმა ცენტურიონებმა ვერ მოახერხეს. შემდეგ კი ცდილობ იეშუაზე ლეგენდის შეთითხვნას.

ჰეროდე უცებ გაცეცხლდა და წამოხტა. მთელი მისი ამპარტავნება და ირონია წამში გაქრა.

– რა თქვი? რა ლეგენდაზე საუბრობ?

– კმარა უცოდველად თავის წარმოჩენა, ჰეროდე! ტყუილად ხარჯავ ძალასა და ენერჯის. მეც ქანცი გამწყდა. უკვე უამრავი ფაქტი გადავამოწმე და ბევრი ვიჭყლიტე ტვინი. საბოლოოდ დავასკვინი, რომ ჭორებს შენ მეტი ვერავინ შეთხზავდა.

– რა ჭორები, რის ჭორები?!

– ჭორი, სალომეს, მირიამ მაგდალელსა და ორ ემასელ პილიგრიმს ყურში რომ უჩურჩულე. ალბათ დიდძალი ოქროც დაგეხარჯა.

– რა ჭორები-მეთქი?

– ჭორები იეშუას მკვდრეთით აღდგომის შესახებ.

– ამის შესახებ ჰყვებიან? ამის შესახებ ჰყვებიან??? მართლა?

ჰეროდე შესაშური ოსტატობით განასახიერებდა განცვიფრებას. შენ, ჩემო ძვირფასო ძმაო, რომში უამრავ სპექტაკლს კი ესწრები, რასაც მე, სამწუხაროდ, მოკლებული ვარ, მაგრამ ჰეროდე-მსახიობი, მერწმუნე, ჭეშმარიტ სიამოვნებას მოგგვრიდა: ფერი დაკარგა, უფრო სწორად, უფრო გამწვანდა, თვალები გადმოკარკლა, ხელები დაბაბქვეშ ამოიღო, აქაოდა, ვიხრჩობო; სუნთქვა გაუხშირდა, ტუჩები აუკანკალდა.

– იეშუა მკვდრეთით აღდგა... მე მოვკალი იოჰანანი, რომელიც ამის შესახებ წინასწარმეტყველებდა... შემდეგ იეშუას, ღმრთის ძესაც ამოვხადე სული...

ჰეროდე ტახტზე მოწყვეტით გაიშლართა და დუჰმორეულმა ხროტინი იწყო.

– მთელი ჩემი ცხოვრება უნდა ვიტანჯო... მე განწირული ვარ...

ჰეროდეს კიდურები ძლიერი კრუნჩხვებისგან უტოკავდა, როგორც მწვევარს, ნადირობა რომ ესიზმრება. ამ მასკარადის შემყურეს სირცხვილისა და უხერხულობის გრძნობა დამეფულა. ჰეროდეს ეს წარმოდგენა მბრძანებლური ტონით გაგანწყვეტინე.

– ჰეროდე, კმარა მაიმუნობა! მე არც შენი მაყურებელი ვარ და არც ვინმე ჩერჩეტი. ახლა დავბრუნდები ანტონიას ციხესიმაგრეში, ტიბერიუსთან პატაკი უნდა ვაფრინო. იმედს ვიტოვებ, რომ ხვალამდე მდგომარეობის გამოსწორებას მოახერხებ და ამ იგავ-არაკს საბოლოო წერტილს დაუსვამ. ტიბერიუსი თავად გადაწყვეტს, იმის მიხედვით, თუ როგორ მოიქცევი, შენს ამბოხის მცდელობას რა სასჯელი შეუფარდოს. ნახვამდის.

ჰეროდე განაგრძობდა თავის მოკატუნებას, თითქოს ჩემი სიტყვები არც ესმოდა. იკრუნჩხებოდა და იგრინებოდა ბალიშებს შორის. თავიდან კი მოვიხიბლე მისი ცბიერებითა და ეშმაკობით, მაგრამ ახლა ჩემი მოწინააღმდეგე შესაბრალისი მეჩვენებოდა.

ანტონიას ციხე-კოშკში დავბრუნდი. პატაკის დაწერას კი თავი ვერა და ვერ მოვები. ვფიქრობ, ჰეროდე ჩადენილს მოინანიებს, გვამს დამიბრუნებს და მდგომარეობაც მოწესრიგდება. იმედი მაქვს, იმპერატორის შეუწუხებლად ჩემი საქმეც დასრულდება.

მხოლოდ შენ იცი, ჩემო ძმაო, რა ვულკანზე ვზივარ, რა გაუსაძლის პირობებში მიწევს სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულება. მხოლოდ შენ თუ მიხვდები იმ ადამიანების ფარისევლობასა და ორპირობას, რომლებთანაც ურთიერთობა მაქვს, ეშმაკობათა ლაბირინთს, სადაც ჩემ შეტყუებას ცდილობენ. რომი რომად რომ დარჩეს, ბრძოლაში რომაულ იარაღს ვერ გამოიყენებს. ჩვენ მახვილგონიერები ვართ და ხელში იარაღი გვიჭირავს. ყველაფერი ძალა და გონიერება. აქ ადამიანებს მოხერხებულობა როდი აკლიათ, ჭორები კი შუბზე ბასრია. აქ ყველაფერი იმედი და ბურუსია. მიუხედავად იმ დიდი კმაყოფილებისა, ამ საღამოს საქმე ასე წარმატებულად რომ დავასრულე, თავს მაინც ლაფში ამოსვრილად ვგრძნობ. დიახ, დიახ, ლაფში. როცა მახსენდება ის საშუალებები, მიზნის მისაღწევად რომ მივმართავ. ხვალ საღამოს მოგწერ, რათა ჰეროდეს რეაქცია მოგახსენო და თანაც გაუწყო, იმედი მაქვს, კესარიას ვბრუნდები-მეთქი.

მოუარე თავს.

პილატე თავის ძვირფას ტიტულს

დღე, რომლის შესახებ მსურს მოგითხრო, ერთობ უჩვეულო იყო. არაერთი საბრუნავი და სადარდებელი გამიჩინა, თუმცა ჩემთვის სრულიად მოულოდნელად დასრულდა. ერთი სული მაქვს, ყველაფერი თავიდან ბოლომდე ჩამოგიკაკლო, თუმცა არ გამოვრიცხავ, მოვლენათა ასე განვითარება ალოგიკური მოგეჩვენოს.

იცოცხლე, გუშინ საღამოს რა გუნებაზეც ვიყავი. ვფიქრობდი, რომ ამ უთვალავ კვანძიან ბადეში ჰეროდეს ფანდებს ჩაგწვდი. დავემუქრე კიდევაც, ტიბერიუსთან პატაკს ვაფრენ-მეთქი. რადგან ეს ადამიანი უფრო გაქეცილი და გაიძვრა, ვიდრე გაბედული, რატომღაც დარწმუნებული ვიყავი, რომ დღეს შეახლებოდა და ჩადენილს მოინანიებდა.

პირველი ადამიანი, ვინც აუდიენცია ითხოვა, ჰეროდე კი არა, ჩემი ცენტურიონი ბურუსი აღმოჩნდა. სახემონტრეულმა დათრგუნული ხმით მკითხა:

– ის ველური, ეზოში რომაა, მართლა შენი სტუმარია?

ფანჯრიდან ეზოში თივის ზვინზე წამოგორებულ, მხარზე ტყავმოკდებულ ნახევრად შიშველ კრატერიოსზე მიმითითა.

– მართალია, კრატერიოსი ჩემი სტუმარია. ჩემი მასწავლებელი იყო, სანამ მოწიფული მამაკაცის ტოგას მოვისხამდი. იცი, ჩვენი დროის ერთ-ერთი უდიდესი კინიკოსი ფილოსოფოსია.

ბურუსს სახე წამოუჭარხლდა.

– ოო, რაც შეეხება სიდიდესა და მასშტაბურობას, ეჭვიც არ მეპარება. გადაიხედეთ ფანჯრიდან და თავად დარწმუნდებით.

– ვერ ვხვდები, რისი თქმა გასურს.

ფანჯრიდან ფრთხილად გადავიხედე, ნანახისგან თავი ვერ შევიკავე და შევყვირე. მერე ორივემ კიბე კისრისტეხით ჩავიბრინეთ და კრატერიოსის წინ დავვრჩვეთ.

– გამარტობა, პილატე, დღეს ამინდს კარგი პირი უჩანს!

მარად ბუზღუნა კრატერიოსი ამჯერად გაბადრული სახით შემოგვცქეროდა. ტყავი მოეხსნა, ხურჯინიც გვერდზე მოესროლა და დედამიწიდან დილის მოყვითალო-ჩაღისფერ მზებზე ნებივრობდა.

არა, ნამდვილად არ მომჩვენებია: კრატერიოსი აბრეშვილებულ გიგანტურ ფალოსს ჩაფრენოდა და დღისით, მზისით ანტონიას ციხე-კოშკის ეზოში ნეტარებით ხელცქეცილობდა. ჩვენი შეცბუნებული სახეების დანახვაზე წარბიც არ შესტოკებია. მისი ხორკლიანი მარჯვენა ხელი განაგრძობდა ზემოთ-ქვემოთ თავბრუდამხვევ ნავარდს.

– ვფიქრობ, რომ გარკვეული დროით იერუსალიმში შევყოვნდები, – განაგრძო სრულიად აუღელვებელი და ბუნებრივი ხმით კრატერიოსმა. გუშინ შენს მეუღლეს, კლაუდია პროკოლას გავესაუბრე. ეს ქალი ბევრად უფრო ღირებულია, ვიდრე მთელი მისი ძვირფასეულობა, ზედ რომ აუჩონჩხლავს. მან ამისხსნა ეს ებრაული რელიგია და ჩემდა გასაკვირად, ძალიან დავინტერესდი, მეთქი, გაცხებულები კი დავრჩი. ჩემთვის ცნობილი ყველა რელიგიიდან მხოლოდ ებრაული თუ უახლოვდება ფილოსოფიას! როგორც ჩვენს ბერძენ მასწავლებელთა მოძღვრებებში, აქაც მხოლოდ ერთ ღმერთზეა ლაპარაკი, ერთადერთზე და უნიკალურზე.

კრატერიოსი მსჯელობდა დინჯად და აუჩქარებლად, მაგრამ მისი მარჯვენა ხელი ვერ ისვენებდა. პირადად მე მიჭირდა, მისი ნათქვამისთვის გონება დამეტანებინა, არაფერი მესმოდა. ჩემთვის თავსა და გენიტალიებს შორის მსგავსი გამიჭნულობა თითქმის წარმოუდგენელია. კრატერიოსის მსჯელობას ვერც თავი გავუგე და ვერც ბოლო.

თითი მონავარდე ხელისკენ გავიშვირე და მიკნავებული ხმით შევბედე:

– ერთი ეს მითხარი, კრატერიოს, ეს შენი გამწარებული მეცადინეობა ფილოსოფიურ ვარჯიშად უნდა მივიჩნიოთ?

– მე უფრო თერაპიულად მოვნათლავდი. დიახ, ეს არც მეთქი, არც ნაკლები, თერაპიული და მორალური ვარჯიშია. თერაპიული იმიტომ, რომ როცა სხეული სათესლე სითხით პირამდეა სავსე, როგორც ამას დიდი ჰიპოკრატე გვიჩვენებდა, ბუნებას ქარბსითხიანობის განსაკურნად მარჯვენა ხელის მტევანი უნდა შევაშველო. მორალური კი იმიტომ, რომ დიდად ვაფასებ აზროვნებისა და მოქმედების თავისუფლებას და სულაც არ მსურს, საკუთარი ფალოსის ქკუა-გონებაზე ვიარო. თუ ეს ველური ყოველ ცისმარე დღეს არ დავცალე, სითხე პირდაპირ ტვინში მირტყამს, გვიუდები და ენით აღუწერელ სისულელეებს ჩავდივარ.

– რა საინტერესოა, სისულელედ რას მიიჩნევ?

– გრძობები მეძალევა. მაგალითად, პირველივე გამვლელი ქალიშვილი შეიძლება გულში ჩამივარდეს, ბარაქიანი თქოებითა და ჯანიანი კანჭებით. შემოძლია, წყლით სავსე დოქი ვუთრიო კარგა მანძილზე, სურსათ-სანოვავით გაძეგვილი კალათა მხრებზე შემოვივადო. დავადო პირი და ათასგვარი სისულელე მოვროშო. ქათინაურებად დავიღვარო, გავიბლინძო და გავიჭირო. წარმოგიდგენიათ, შესაძლოა დაპირებებზეც მოვანერო ხელი... სამაგიეროდ, მსგავსი არაფერი მოხდება, თუ დილაუთენია გაღვიძებისთანავე თავს დავიწყნარებ. შენც გირჩევ ჩემი მეთოდის გამოყენებას, პილატე. თუ მესხიერება არ მღალატობს, ადრე მგონი, გელაპარაკე კიდევ ამის შესახებ, არა?

კრატერიოსის კითხვა უპასუხოდ დავტოვე. ნუთუ მოახლეს მახსენებდა? განაფული ხელი ცოტაც და გარჯას დაასრულებდა.

– ადამიანებმა კი ავხორცად და სექსუალურ მანიაკად მომნათლეს, – თქვა მან და მარჯვენა ხელი სხვა სიჩქარეზე გადართო, – წარმოგიდგენია? არადა, მე მძულს სხეული, მძულს ხორციელი განცხრომანი, უბრალოდ მსურს... მმმმ... ამ საძაგლობისგან... განვიტვირთო... აააააააააა!

დილის გამამხნელებელი ვარჯიში კრატერიოსმა, როგორც იქნა, ვნებიანი კრუნხვებით დაასრულა. მერე ტყავს დასტაცა ხელი და ნელის ქვედა არე მიიწინდ-მოიწინდა.

– შემახსენე, რაზე ვბაასობდი? ჰო, მოვედი აზრზე. პილატე, იცი, ეს ებრაელების რელიგია სრულიადაც არ მესახება უინტერესოდ. როგორც უკვე მოგახსენე, ისინი ერთი ღმერთისადმი რწმენას ეადაგებენ. ჩემთვის ეს გონიერების ნამდვილი დასტურია. ყველა ბრძენმა, დაწყებული ანაქსაგორით და პლატონით დამთავრებულმა, აზროვნების ეს გზა გამოიარა. თუ ღმერთი არსებობს, ის ერთია. ერთადერთი დასაშვები ღმერთი მხოლოდითშია, აბსოლუტია, წყაროა, ერთიანობის კერაა, მიხვება მრავლობითობის დაბადებისა. განა, გასაოცარი არ არის, რომ ებრაული მითები სპონტანურად გადმოსცემს იმავე თეორიას, რასაც საბერძენეთის ყველაზე დიდი ფილოსოფოსები? რა საოცარი დამთხვევაა! ლოგიკურ აზროვნებაზე

დაყრდნობით ბერძნებმა მონოთეიზმი აღმოაჩინეს, ებრაელებს კი გონება თავიანთი ისტორიის დასაწყისშივე გაუბრწყინდათ. ამას გარდა, როგორც კლაუდია პროკოლა ბრძანებს – გამორჩეული ქალბატონია, პილატე, და იმედი მაქვს, ეს ჯეროვნად გაქვს გასიგრძელებული – ებრაელები ამტკიცებენ, რომ ოქროს ხანა ჯერ კიდევ არ დამდგარა, რომ ჯერჯერობით ყველაფერი წინაა. წარმოგიდგენია? იმ დროს, როდესაც ყველა რელიგია, ფილოსოფოსებიც კი ნოსტალგიას მისცემია, მზერა დიადი წარსულისკენ მიუპყრიათ, ებრაელები წინ მიიწევენ, ვითარდებიან! ბედნიერებას მომავალში ხედავენ, მისი მოლოდინითა და იმედით ცოცხლობენ. თითქოსდა ისტორია მათთვის წრიული, ციკლური კი არ იყოს, არამედ მოძრავი, მიზნისკენ, ანუ მომავლისკენ გატყორცნილი ისარი... როცა მათ წიგნებს იხსენებდა, კლაუდიამ ეს მოსაზრება კიდევ ერთხელ დამიდასტურა. სხვათა შორის, გასაოცარი ვინმეა. მიმართა, რომ კლაუდია ბევრად უფრო მაღლა დგას, ვიდრე ამას მისი, როგორც არისტოკრატის სტატუსი გულისხმობს. არც ვარ დარწმუნებული, რომ მსგავსი შეუღლის ღირსი ხარ.

ამ საკითხში კრატერიოსს სავსებით ვეთანხმებოდი. არც არასოდეს მესმოდა, კლაუდიამ ოც ბევრად შეძლებულ, განათლებულ, სახელგაგარდნილ და დიდებით მოსილ პრედენტივს შორის არჩევანი მაინცდამაინც ჩემზე რატომ შეაჩერა.

– შენი მეუღლე ქალთა მოდგმისათვის უიშვიათესი დამოუკიდებლობის ნიჭითაა დაჯილდოებული. მას აქვს საკუთარი გემოვნება, საკუთარი შეხედულებები, განსჯის მხოლოდ მისთვის ნიშნული მანერა; თავისუფლად მოძრაობს, თავისუფალია მოქმედებებშიც. ვერც კი წარმოუდგენია, რომ გათხოვილი ქალის სტატუსმა შეიძლება მისი თავისუფლება რომელიმე კუთხით თუნდაც ოდნავ შეზღუდოს. პილატე, კლაუდია მიგატოვებს, თუ იმედს გაუწილებ. დღეს ის გვერდს გიმშვენებს, იმიტომ, რომ უყვარხარ, თუმცა ამ სიყვარულის გულწრფელობას ის ყოველ დილით ამოწმებს. კლაუდია იმდენად თავისუფალია, რომ მამაკაცები ებრაელება კიდევაც. დიახ, დიახ, მამრი, რომელიც სამსახურებრივი მოვალეობების გამო, ხშირად იძულებულია, სოციალურ და პოლიტიკურ ხლართებში მონაწილეობა მიიღოს, მასში მხოლოდ თანაგრძობისა და შეცოდების გრძობას თუ აღძრავს. სხვათა შორის, კლაუდია ერთ ადგილობრივ ფილოსოფოსზე მელაპარაკა. ვინმე იეშუა ახსენა. დოქტრინა, რომელსაც ის ქადაგებს, ჩემი ხედვით, არც ისე შორსაა დიდი დიოგენეს მოძღვრებისგან: უბრალო და მოკრძალებული, ხშირ შემთხვევაში, დუხჭირი ცხოვრება, ზიზღი ამა ქვეყნის ძლიერთა და ყოვლისშემძლეთა მიმართ, ქალის უფლებების აღიარება, მამაკაცის პატივისცემა, თუ ეს უკანასკნელი ღირსი არიან, ასეთებად იწოდებოდნენ... ერთი, უნდა გავიკითხო-გამოვიკითხო იმ თქვენი ბრძენის თაობაზე.

– კი, ბატონო, გაიკითხო-გამოვიკითხო, მაგრამ მანამდე ნუ მეტყვი ერთ თხოვნაზე უარს: მოერიდე თერაპიულ და მორალურ მკურნალობას დღისით, მზისით, ყველას თვალწინ. ხოლო იმის საწინააღმდეგოდ, რისაც, როგორც ჩანს, ასე გწამს, ერთს გეტყვი: ებრაელები ბერძნების ფილოსოფიისადმი მსგავს მოწინებებსა და პატივისცემას არ იზიარებენ, არც უჩვეულოსადმი ირინენ ინტერესს, როგორც ეს ცნობისმოყვარე რომაელებს ახასიათებთ. ესენი მხოლოდ საკუთარი კანონის წინაშე თუ მოიდრეკენ მუხლს. ძალიან ღვთისმოშიში არიან და სასტიკად სჯიან ავხორციობის, ვნების ნებისმიერ საჭარო გამოვლინებას. ისე ჩაგქოლავენ, საშველად ჩარევასაც ვერ მოვასწრებ.

გაკვირვებულმა კრატერიოსმა მხრები აიჩინა და სამზარეულოსკენ აიღო გეზი, რათა ნარჩენებისთვის გამოეკრა კბილი.

ამასობაში ჰეროდიადას შიკრიკიც გამოგვეცხადა და გვაუწყა, ჰეროდე შეუძლოდააო.

მოლოდიშება ერთდროულად უხეშიც მეჩვენა და დაუშვებელიც. გამოდის, რომ ჰეროდე დროის მოსაგებად ნებისმიერ საშუალებას მიმართავს. დაუჩინებლად განაგრძობს ადამიანთა გონების მოშხამვას და მთელი პალესტინის ჩემ წინააღმდეგ ახხედრებას. მდგომარეობა სასწრაფო ჩარევას და შესატყვისი ზომების მიღებას მოითხოვდა.

ორი კოჰორტის თანხლებით ჰეროდეს მცირე სასახლისკენ გავქანდი. ჯარისკაცები ნაგებობის გარშემო დავაყენე და პატრონს კარიბჭის გახსნა ვუბრძანე.

მმართველი ხუზა სირობილით შემომგება და ჩემ წინ მუხლებზე მოწყვეტით დაცვა.

– მბრძანებელი, ჰეროდე ძალიან ცუდად გრძნობს თავს.

ხუზას აღმოსავლური ვიშვიითა და გოდებით გაბავებული წკმუტუნი ზიზღით მოვისმინე. ზედ გადავაბიჭე და წვეულებათა დარბაზის კარი თავად შევადღე.

ჰეროდე უზარმაზარ სარეცელზე მიცვალებულივით ესვენა. მიგუხლოვდი მელას, რომელსაც ვითომ ღრმა ძილით ეძინა. ეჭვგარეშეა, ჩემთან ყოველგვარი საუბრისგან თავის დაძვრენა სურდა. გასივებულ, ცხიმიან სიფათს ახლოდან შევხედე. ოფლს ბებერ, დანაოჭებულ კანზე სქლად წასმული ფერუმარილი ალაგ-ალაგ დაეხეთქა და კოშტებად ეკიდა.

ჩემი პირადი ექიმი, სერტორიუსი ვიხმე. დაიხარა და მშვიდად მსუნთქავ ჰეროდეს მიაყურადა.

– სძინავს, – დაასკვნა მან.

– გააღვიძე!

სერტორიუსმა ჰეროდეს მარჯვენა მკლავში ნემსი უხეშად უჩხვილიტა. სხეული არც კი შენძრეულა, ნესტოებიც კი არ შერხვივა.

დარბაზის სიღრმიდან მჭახე ხმა გაისმა.

– არ სძინავს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ხვრინვა გაგვაცურებდა.

დედოფალი ჰეროდიადა ორ მონუმენტალურ ლამპარს შორის იდგა. გამოსასვლელი კაბა ტანზე ასკდებოდა. სახეზე ფერუმარილი ძალუმად მიმოფერქვია. დროის უგულვებელყოფას მისთვის უამთასვლა მხოლოდ დაეჩქარებინა. პარიკსა და ფერუმარილს ორმოცი წლის ლამაზი ქალის სახე უასაკო ნიღბად გარდაექმნა: თეძოების რხევა-რხევით ჩემსკენ გამოემართა. სიარულის მანერა უსირცხვილოდ და გამომწვევად მივიჩნიე.

– მკვდარი არ არის, მაგრამ როგორც ჩანს, ძილში გული წაუვიდა. ვერანაირად ვერ გამოვიყვანეთ ამ მდგომარეობიდან. ვერაფერი გამიგია...

– ეს საშიშია?



– იმედი მაქვს! ამ მყარ ბეზრეკს მხოლოდ სწრაფი დაქვრივების იმედი ფრთაშესხმული გავყვი ცოლად. თვითონაც მშვენივრად იცის ამის შესახებ. ჰეროდე, ხომ მართალია, რომ მძულხარ? გესმის? ხომ იცი, შენი ბებერი ტყავის დაღობობასა და გახრწას რომ ველოდები?

ლოკოკინასავით გამოტილ ჰეროდეს ქუთუთობიც არ შერხვია.

ჰეროდიადას მანჭვა-გრეხაზე ღიმილი ვერ შევიკავე.

– ისევ ისეთივე შეყვარებული ხარ, როგორც გხედავ.

– მაშ! ისევ ისე, აბა, როგორ? – მშვიდად მიპასუხა ჰეროდიადამ.

ჩემმა ექიმმა გასინჯა ჰეროდე და დაასკვნა, რომ ტეტრარქის სიცოცხლისათვის აუცილებელი ორგანოები ჩვეული რიტმით ფუნქციონირებს. გადატანილი ძლიერი ემოციების შედეგად მხოლოდ თვითონ განდგომა საკუთარ თავსო. დასტაქრის ვარაუდით, ჰეროდეს მსგავსი განდგომა შესაძლოა დროებითი ან სულაც სამუდამო აღმოჩენილიყო.

– დროებითია! – მოკლედ მოჭრა ჰეროდიადამ. პირველად კი არ დაიმართა მსგავსი რამ. გამოძვრება როგორმე! ერთხელ უკვე მომიწყო ასეთივე კომედია, როცა იოჰანანის თავი ვერცხლის ლანგრით მოართვეს. სამი დღის შემდეგ მობრუნდა ამ ქვეყანას და ცხადია, თავისი გულისამრევი ჩვევებიც უშალ გაიხსენა. შენმა გუშინდელმა ვიზიტმა მასზე ზუსტად ისე იმოქმედა, როგორც იმ ნეხვით პირსავსე განდგეილისთვის თავის წაცლამ. რა უთხარი ამისთანა?

ჰეროდიადამ დიდი ინტერესით მომისმინა. თვალებში ცეცხლის შავი ენები უკიბივებდა, სახეზე კი ერთი ნაკვთიც კი არ შესტოკებია. დიდხანს დუმდა, სანამ სიცოცხლის ნიშანწყალი ისევ დაუბრუნდებოდა და მიპასუხებდა:

– შენ ცდები, პილატე, შენი მსჯელობა, ჰეროდეს დადანაშაულებას რომ ისახავს მიზნად, ბრწყინვალეა, მაგრამ წარმოდგენილად მანკიერი და მცდარი. ეს ღორი ცბიერია და ლაბირინთივით ვერაგი, მაგრამ ერთი რამ ვერ შეაფასე ჯეროვანად: ჰეროდე ერთგულია წინაპართა რწმენისა და არასოდეს განუდგება კანონს. ის ღრმად რელიგიური ადამიანია. კი, გეტანხმები, მარად წინასწარმეტყველებს იყო ჩასაფრებულა, შესაძლოა, პალესტინის ოთხივე ნაწილის გეროთიანებისათვის ბრძოლაში მთავარ დასაყრდენს მათში ჰპოვებდა. მერწმუნე, ამ ნაბიჯს მხოლოდ მაშინ გადადგამდა, თუ ირწმუნებდა, რომ გამოცხადებული მესია ქვეშარითი მესია იქნებოდა. ძალიან მძიმედ გადაიტანა, როცა მისი სურვილის საწინააღმდეგოდ იოჰანან მყვინთველის თავის მოკვებაზე დავითანხმე. ეს ხომ მას ქვეშარით წინასწარმეტყველად მოიხრებდა. დღემდე შიშისგან ძრწის იმის გახსენებაზე, რომ ღმერთის წარგზავნილი სიცოცხლეს გამოასალმა. მას მერე ჩემს სიხლოვეს გაუბრუნდა. რა ხანია, თითქმის არ დაუკარებია. იოჰანანის სიკვდილის შემდეგ ხმასაც არ მცემდა. როცა იეშუა გამოჩნდა, რომელიც იოჰანანმა ქვეშარით მესიად გამოაცხადა, ჰეროდემ მთელი თავისი იმედი მას დაუკავშირა. სურდა, დახმარებოდა, ფულიც კი შესთავაზა, ქადაგება რომ გაეთქვამებინა. ჰეროდეს შემოთავაზებას იეშუამ დასცინა და ზიზღით უარყო. იეშუას წინასწარმეტყველებანი ერთი მეორის მიყოლებით ხდებოდა, რაც მის ქვეშარით ვინაობას უფრო და უფრო ადასტურებდა. როცა ნაზარეველმა გამოაცხადა, საქმის დასასრულებლად პასექს იერუსალიმში უნდა ჩავიდეთ, ჰეროდემ სასწრაფოდ ბარგი-ბარხანის შეკვრა ბრძანა, სურდა, მისი ტრიუმფის თანამონაწილე და თვითმხილველი გამხდარიყო. როცა იეშუა დააპატიმრეს, ჰეროდე სულაც არ შეშინებულა. ისე იყო დარწმუნებული იეშუას ღვთიურ წარმოშობაში, წამითაც არ შეპარვია ეჭვი, მოწინააღმდეგეებს რომ გააცამტვერებდა. ცეცხლის ბარიერს ააგებებდა მასა და მის მსაჯულებს შორის, ან ნებისმიერი სხვა სასწაულით თავს დაიცავდა. უნდა ითქვას ისიც, რომ იეშუამ ამას თავისი სასწაულებრივი განკურნებებით შეგაცანჯია. როცა მსტოვრებმა აუწყეს, იეშუამ სინედრიონი კი არ გააუვნებელყო, არამედ პირიქით, თავისი მორჩილი და ჯიუტი ხასიათით უბიძგა, მისთვის ერთსულოვნად სასიკვდილო განაჩენი გამოეტანა, ჰეროდე ჩაერია. ყველა შესაძლო იურიდიული არგუმენტი გამოიყენა, რათა ნაზარეველი შენთვის გადმოეცათ, მოგვიანებით კი აქ გადმოეყვანა და იმ ღამეს... იმ ღამეს...

ჰეროდიადა წამიერად შეყვონდა. ჩანდა, რომ იმის გაფიქრებამაც კი, რომ იძულებული იყო, ამბავი ჩემთვის თავიდან ბოლომდე მოეყოლა, უკვე საშინლად დაღალა. თავი უკან გადააგდო, ღრმად ჩაისუნთქა, რათა ძალა მოეკრიბა. შემდეგ ხელის სწრაფი მოძრაობით ერთ-ერთ ბეჭედს თვალი ახადა, იქიდან ერთი მწიკვი ფხვნილი ამოიღო და ენაზე დაიყარა. ასე იდგა თვალდახუჭული, სანამ მაცოცხლებული ენერგიით არ დაიტივროდა.

– არაფერი ისე არ მოხდა, როგორც წინასწარ იყო ჩაფიქრებული. ჰეროდემ თავაზიანად მიიღო იეშუა და შეჰპირდა, რომ დაიხსნიდა. იეშუამ უპასუხა, რომ არავის, მით უმეტეს, მას – ჰეროდეს მისი ხსნა არ შეეძლო. მას თავისი მისიისთვის არ უნდა ელაღებოდა, ბედ-იღბალს უნდა დამორჩილებოდა. ადამიანები უნდა ეხსნა და არა საკუთარი თავი. ჩვენ დავიბენით, ვერაფერს მივხვდით. იეშუას სიკვდილი სურდა და ამბობდა, რომ არაფერიც არ მოხდებოდა, თუ სიკვდილის ამ აუცილებელ გზას გვერდს აუქცევდა. დათრგუნული გვეჩვენა, დაკნინდა და დაბერავდა, იმ ადამიანს დაემსგავსა, წინ ნაბიჯის გადადგმას რომ უარობს. შევწუხდით, მღელვარებამ შეგვიპყრო. ვემუდარებოდით, თავი ხელში აეყვანა, გონება მოეკრიბა და სასწაულების მოხდენა განეგრძო. პასუხად ერთსა და იმავეს იმეორებდა. უნდა მოვკვდე და ეს სიკვდილი რაც შეიძლება მტანჯველი უნდა იყოსო. პირადად მე ყოველთვის ვფიქრობდი და სადღაც დარწმუნებულიც კი ვიყავი, რომ იეშუა მორიგი ცრუპეტელა იყო. იმ ღამეს ჰეროდეს მსგავსმა აზრმა პირველად გაუქვია თავში. საშინლად განრისხდა და ნაზარეველი ჯერ უშვერი სიტყვებით ლანძღა და თათხა, შემდეგ კი უბრძანა, ჩვენ თვალწინ სასწაული მოეხდინა. ის კი დუმდა, თვალსა და ხელს შუა დაუძღურდა, მხრები ჩამოყარა. ხანგრძლივი დევნის მიწურულს ქანცგანწყვეტილ თაღლითს დაემსგავსა. გამძვინვარებულმა ჰეროდემ მთელი სასახლე ფეხზე დააყენა. მოყარა დაცვა, მსახურები, მონები... ერთი სიტყვით, ყველა. რიგ-რიგობით ყოველმა დასცინა, შეურაცხყო, ქალის სამოსშიც კი გამოპრანყეს. ველოდით საპასუხო ქმედებას. პასუხის მოსაპოვებლად პროვოცირების ყველა მეთოდს მივმართეთ. ეს ჭინჭების თოჯინა კი დუმდა, აბუხად აგდებდა, გაქირდვას დათანხმდა. რა არ აკადრეს, ფეხებით შესდგნენ, უკანასკნელი სიტყვებით ლანძღეს, სახე ფერუმარლით უთიხვნეს, ჩემიტეს და უთათუნეს, არც ამბორი დააკლეს. იეშუას კი თვალები უსასრულო სევდით ეცხებოდა. ამან გამჭირდავთა ჟინი კიდევ უფრო გაამძაფრა. მოკლედ, ჩვენმა ზიზღმა კულმინაციურ წერტილს მიაღწია. იმედის ნატამალიც აღარ შეგვრჩა და აი, სწორედ ამ მომენტში გადავწყვიტეთ, იეშუა ისევ შენთვის გადმოგვგზავნა, პილატე, და იმ მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიც თავად იხილე: დასვრილ და დაფლეთილ მენამულ სამეფო მანტიაში მოკაზმული. ჩვენ ამით იეშუას სამეფოს შექმნის განზრახვას გულიანად დავცინეთ. შენ კი მიგანიშნეთ, რომ საქმე გვექონდა ერთ უწყინარ და უბედრუკ ქოსატყუილასთან. ისიც უნდა გითხრა, ჩვენსა და შენს შორის მისი დაბრუნების შესახებ წინასწარი შეთანხმება რომ არა, იეშუას იმ ღამესვე მოკვლავდით და აკუნავდით.

ჰეროდიადამ ღრმად ამოისუნთქა. ამკარად ჩანდა, რომ გადადებულ სიკვდილით დასკას ნანობდა. ამ უცნაურ ქალს მოკვლის დაუკვებელი ჟინი მოსვენებას არ აძლევდა.

– ვფიქრობ, ახლა შენთვის ყველაფერი ნათელი გახდა, პილატე. გუშინ საღამოს იეშუას მკვდრეთით აღდგომის შესახებ ჭორები რომ ჩაუკაკლე, ჰეროდეს მიძინებული შიში გააღვიძე. იფიქრა, ღმერთის მეორე წარგზავნილიც გამოვასალმე სიცოცხლეს და დაიზაფრა: ძილში იმ უცნობ, უდაბურ და მდუმარე მიწებზე გადაინაცვლა, სადაც მოგზაურობა სჩვევია, როცა გამბედაობა არ ჰყოფნის, ცხოვრება განაგრძოს.

ჰეროდიადამ სასტიკი და უმოწყალო მზერა მომაპყრო.

– გჯერა ამ მკვდრეთით აღდგომის?

– რა თქმა უნდა, არა.

– არც მე.

ზურგი შემაქცია და ოქროსა და სპილოს ძვლისაგან ნაკეთი ქანდაკებისკენ გაემართა. დიდხანს ეფერა თავისი ნატიფი გრძელბრწყალუბა თითებით. ჰეროდიადა ფიქრებში გადაეშვა. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ დარბაზში მარტოდმარტო დავრჩი, მან კი სხვა სამყაროში გადაინაცვლა. კი იდგა ჩემ წინ გარინდებული, მაგრამ ამქვეყნიურისა არაფერი ეტყობოდა. ცოტა ხანში წარბები შეიქმუნა, ქანდაკებასაც შეეშვა და ნახევრად მოჭუტული თვალებით მომაშტერდა, თითქოს უკუნეთ ღამეში სინათლის კიაფი დალანდა.

– ორეულზე არ გიფიქრია?

– უკაცრავად?

– იცი, რა არის გასათვარი შენ მიერ მოყოლილ ჩვენებებში? იეშუას მნახველები თავდაპირველად ვერ ცნობენ. თავზე კაპიუშონი აქვს მორგებული, წამიერად მოიხდის და მერე ქრება. ასე მხოლოდ ორეული თუ მოიქცეოდა, რომელიც მიცვალებულთან სუსტი მსგავსებით სარგებლობს.

– რამდენადაც ვხვდები, იმის თქმა გასურს, ჩვენებები უტყუარია და მოწმეები არ ცრუობენ, ისინი მხოლოდ იეშუას ორეულმა შეიყვანა შეცდომაში?

– რასაკვირველია. ცრუმონის ამოცნობა ადვილზე ადვილია. სხვა საქმეა მონზე, საკუთარი სიტყვების სიმართლისა რომ სწამს; ასევე მონზე, უბადლოდ დადგმულმა სპექტაკლმა შეცდომაში რომ შეიყვანა. რომც აწამო, ერთიც და მეორეც დუქმორეული იკივლებენ და იწივლებენ, რომ საკუთარი თვალებით იხილეს მკვდრეთით აღმდგარი იეშუა.

ამ ჰიპოთეზის ძალა უცბად ვიყნოსე. საჭირო იყო შესატყვისი ზომების მიღება. სასწრაფოდ დავემშვიდობე ჰეროდიადას, მაგრამ კარის ზღურბლზე შევყოვნდი. თავი ვალდებულად ჩავთვალე, სერტორიუსის სამსახური შემეთავაზებინა.

– თუ სურვილი გაქვს, შემიძლია ჩემი პირადი ექიმი დაგიტოვო, რათა ჰეროდეს ჯანმრთელობაზე იზრუნოს.

ჰეროდიადას ზიზღისგან სახე დაემანჭა.

– დარდი ნუ გაქვს. ჰეროდეს ის გამძლე სარეველია, ღრმად რომ გაუდგამს მიწაში ფესვები და ვერაფრით ამოძირკვავ. სულაც არ სჭირდება გაბაფხულის ამინდი, რათა გაიფურჩქნოს.

ამ სიტყვების წარმოთქმისას ტუჩები ისე მიეგრის-მოეგრისა, ვიფიქრე, ცოტაც და გული აერევა-მეთქი. არა, ცხადია, სულით ხორცამდე სძულდა ჰეროდეს!

იერუსალიმი სწრაფად გადავჭერი. ჰეროდიადას მინიშნებანი თავიდან არ ამომდიოდა. ვცდილობდი, დამაჯერებლობისა და სანდოობის მარცვლი მივოვებ. საიდუმლოების შარავანდედში გახვეული იეშუას უცაბედი და ხანმოკლე გამოჩენები თაღლითობასა და თვითმარქვობას სულაც არ გამოირიცხავდა. მკვდრეთით აღმდგარი ჯვარცმულის როლის შემსრულებელი ფრთხილობდა, კაპიუშონი მხოლოდ ღამის წვევარაში ბედავდა. მომაველ მსხვერპლთან საუბარს ფრთხილად აბამდა, უყვებოდა საკუთარ ჭირ-ვარამსა და სიმართლევზე. ამით გრძნობდა, რამდენად იყო ადამიანი მზად, იეშუას შესაძლო დაბრუნება ერწმუნა. თუ თევზი სატყუარას კბილს გამოჰკრავდა, ზურჯინს თავს მოხსნიდა და თავის სადარდებელსა და საზრუნავს ჩამოყაჭავდა, ჯვარცმული კაპიუშონს გადაიხდიდა და სახესაც გამოაჩენდა. შესაძლოა, მონმეთა მომრავლებაც ჰქონდა განზრახული, მაგრამ ცოცხალი იეშუას ნახვის მსურველთა სიმცირემ გაუცრუა იმედები, გეგმაზე ხელი ააღებინა და სხვაგან გადაიხვეწა. ერთი სული მქონდა, ეს თეორია კაიაფასთვის გამეზიარებინა. ტაძარში შიკრიკი ვაფრინე და მღვდელმთავარმაც მოსვლა არ დაახანა. ხმის ამოღების საშუალებაც კი არ მომცა, რადგან მძვინვარება წამითაც არ უცხრებოდა.

– გადი ბაზარში და ერთი ყური მიუგდე, რას ჰყვებიან, პილატე. ქალებს მხოლოდ იეშუას სახელი აკერიათ პირზე. გეტყვი, რაც მოგველის, თუ მივუშვით: ქალებს თურმე ფიქრი და საკუთარი შეხედულებების გამოთქმა დაუწყიათ. შორს არ არის ის დღე, როცა ქალები მმართველობის სადავეებს ჩაიგდებენ ხელში. ჯერჯერობით კი აურება ქალს მოედანზე მოუყრია თავი და გაჰყვირიან, ახალი ურა იწყებაო. ნეტავი მოსეს დაენახა ეს ყველაფერი ცალი თვალით მაინც. მერე არ იკითხავთ, რომელ ქალბატონებს გამოეცხადა იეშუა? სალომესა და მირიამ მაგდალელს – ნიმფომანსა და მეძავს! ორ საწოლის ვირტუბს! ორ აღგზნებულ დედაკაცს, მოულოდნელად რწმენით რომ აღივსნენ და გარყვნილებიდან – მისტიციზმში, ერთი ტრანსიდან მეორეში გადავარდნენ.

– ეს მირიამ მაგდალელი ისევ თავისი ხელობის ერთგულია?

– არა, შეეშვა. იძახის, იეშუამ ჩამომაშორა ბიწიერებასო. რა ადვილი სათქმელია, არა? მგონი, მიხვდა, რომ ყავლი გაუვიდა. არა, არა, ნამდვილი ძუკნები არიან ყველანი, კახპები და თახსირები!

კაიაფას ღვარძლის გადმონთხვის საშუალება მივეცი, შემდეგ ვისარგებლე პატარა სულის მოთქმით და ჩემი ახალი თეორია გადმოვუღავე. თავიდან გაღიზიანებული მისმენდა, შემდეგ დაინტერესდა და ბოლოს, უკვე დამშვიდებული, თვალებს არ მაშორებდა.

– რასაკვირველია, მართალი ხარ, პილატე. იეშუას გვამი ახლა სადღაც ლპება, ორეულმა კი მისი როლი მოირგო და

სცენიდან არ ჩამოდის. მაგრამ საკითხავია, ვინ არის?

ორივენი ფიქრებში გადავეშვით. ფანტარაში ვიყურებოდი. მზე ჩასასვლელად ემზადებოდა. ცას იისფერი შეპარვოდა. მოკირწყლულ ქუჩებზე ადამიანთა სხეულები ჩრდილს აღარ ტოვებდნენ. ეს ის ბუნდოვანი დრო იყო, როცა დღე და ღამე ერთმანეთს ძლიერებაში ეტოლებიან და ჯერჯერობით გამარჯვებული ფალავანი არ გარკვეულა. დღის ამ მონაკვეთისთვის ნიშნულმა გარინდებამ მომიცვა.

ტყუილად ვიქექებოდი მოგონებებში. ვერც მე და ვერც კაიაფა იეშუას ორეულს ვერ გავიხსენებდით, იმიტომ, რომ გალილეელი განსაკუთრებული და თვალში საცემი ფიზიკური მონაცემებით არ გამოირჩეოდა. შეუძლებელი იყო, მისი რომელიმე ნაკვთის მახსოვრობაში აღდგენა. პირადად მე მხოლოდ მისი მზერა მომაგონდა – წარმოუდგენელი სიძლიერის მზერა, თვალებს დიდხანს რომ ვერ გაუსწორებ, გუგების სიღრმეში მოგზავნივ ცეცხლი, გასაოცარი ნათება.

კაიაფა დამემშვიდობა და თან შემპირდა, მეც და სინედრონიც შენს თეორიაზე აუცილებლად ვიფიქრებთო. მისი მეთოდი ეფექტური მაინც არ მეჩვენა. ორეული შეიძლება ნებისმიერი კუთხე-კუნჭულიდან ჩამოსულიყო, აი, თუნდაც – გალილეიდან, და მის შესახებ დიდი არაფერი გვცოდნოდა. არა, მე მისთვის დანაშაულის ადგილებზე უნდა წამესწრო და ქეჩოში ვწვდომოდი სწორედ იმ მომენტში, როცა ვინმე მიაშიტსა და უგუნუს ბურუსში ხვევდა. მაგრამ როგორ გინდა, მისი გადაადგილების მარშრუტი წინასწარ განჭვრიტო? შეუძლებელია მიხვედ, სად და რა დროს ამოყოფს თავს.

თავიდან გადავამოწმე მეხსიერებაში ორეულის გამოჩენის განრიგი და ადგილები, ვინიცობა, იქნებ სადმე ხელჩასაჭიდი კვალისთვის მიმეგნო. ჩემი მცდელობა ფუჭი აღმოჩნდა. ვერაფერსაც ვერ მივაკვლიე მოსალოდნელი მნიშვნელოვანი საფრთხისა და რისკის გარდა. თაღლითმა თავისი ფარსი ჯერ სალომეს თვალწინ გაითამაშა, რომელიც თითქმის არ იცნობდა იეშუას. შემდეგ ემაუსელ ყარობებს გამოეცხადა, რომლებიც იეშუას რამდენიმე კვირის განმავლობაში ფეხდაფეხ დაჰყვებოდნენ. წარმატებით გამხნევებულმა მირიამთან მიახლოებაც კი გაბედა, რომელიც ნაზარეველს აგერ უკვე რამდენიმე წელია, გვერდიდან არ მოსცილებია... სავარაუდოდ ამჯერად ის შარლატანი მთავარ ბირთვს – იეშუას მიმდევრებს უნდა გამოეცხადებოდა.

ნეტაც ვის ამოიღებდა ამჯერად მიზანში? ნუთუ მოწაფეებს ან ოჯახის წევრებს? ვინაიდან მოწაფეებს იერუსალიმში გამოჩენა სასტიკად აეკრძალათ, ის ცხადია, არჩევანს ოჯახზე შეაჩერებს. თუ ახლო ნათესავების დარწმუნება მოახერხა, შეუძლია ჩათვალოს, რომ თავი ქუდში აქვს.

ოთხ ადამიანს ვუხმე, მათ შორის, ბურუსსაც. ვუბრძანე, ვაჭართა სამოსში გადაცმულიყვნენ, რათა თავიანთი რომელი წარმოშობა დაემალოთ. ღამე მათი თანხლებით შადრევნის მოედანს მივაშურე, სადაც მირიამ მაგდალელმა ჯადოქრის დედას სასიამოვნო ამბავი ახარა.

ჩემი ცენტურიონები გაიყვნენ და ლურჯ წკვარაში გაუჩინარდნენ. მეგზურობას დამნაშავის ლოგიკა მიწევდა: თაღლითი იეშუა დედასთან უნდა გამოეცხადებულყო და მისი გაცურება ეცადა. თიხით ნაშენ სახლზე თვალთვალი დავანესეთ.

დიდხანს ლოდინი არ მოგიწია, ჩემო ძვირფასო ძმაო. ნაშუაღამევს მოედანზე კაპიუშონიანი ანრდილი გამოიკვეთა. ფრთხილად მოახიჯებდა. ნამდაუნუმ უკან იხედებოდა, ქურდით ფრთხილობდა.

ჩვენ ისე გავიჭრუნეთ, თითქმის აღარ ვსუნთქავდით. უცნობს ეტყობოდა, ორჭოფობდა. იქნებ მიხვდა კიდევ, რომ ჩავუსაფრდით? რალაც მომენტში თითქოსდა ადგილებზე გაიყინა კარგა ხნით. სინყნართი დამშვიდებული ბოლოს მირიამის სახლს მიუახლოვდა. ცენტურიონებს ჯერჯერობით ისევ თავშეკავებისკენ მოვეუწოდე. ანრდილი ისევ შეყოვნდა, მოედანს მზერა კიდევ ერთხელ მიმოავლო და ბოლოს როგორც იქნა, მირიამის კარზე დააკაკუნა.

დაცვა ელვის სისწრაფით გავარდა წინ. წამში გაიგდეს ფეხქვეშ, ხელ-ფეხი გაუკავეს, თავი კი ნაგვით სავსე თხრილში ჩააყოფინეს. მიგუახლოვდი და კაპიუშონი გადავხსენი – და ვინ შემრჩა ხელში? იეშუას ყველაზე ყრმა მოწაფე იოჰანანი. შევნიშნე, რომ ოსტატურად წასმულ გრიმს თითქმის ამოუცნობი გაეხადა.

დიახ, იოჰანანი ზებედეუს ვაჟიშვილი. აი, ის, ამას წინათ თავქედმოგლეჯილი რომ მოვარდა და მეგობრებს აუნყა, იეშუას გვამი გაქრაო. ის იოჰანანი, დუჟმორეული რომ გვარწმუნებდა, ამაში გაბრიელ ანგელოზის ხელი ურევიაო. ჰოდა, იმ ვაჟბატონს წვერი შეეკრიჭა, წამწამებზე ნახშირი წაესვა. ისე, ცოტათი კი წააგავდა თავის მასწავლებელს...

იოჰანანს წინააღმდეგობის განევა არც უცდია. უფრო გაკვირვებული ჩანდა, ვიდრე შეშინებული.

მე კიდევ ურთიერთსაწინააღმდეგო აზრები მომეჭარა. ხმაც ვერ დავძარი, დაძაბულობა ცოტა კი მომეშვა, ეს გაიძვერა რომ გამოვიჭირე. ის კია, რომ მის მზაკვრობაზე გული კინაღამ ამერია.

იოჰანანი ანტონიას ციხესიმაგრეში გადავიყვანეთ და მიწისქვეშა ჯურღმულებში ვუკარით თავი. მთელი გზა კრინტი არ დაუძრავს. ამწუთას ჩემს ფეხებთან აგდია და ლოცულობს. მოგვიანებით დავკითხავ, როცა მისი ფლიდი საქციელისა და ბოროტი განზრახვისადმი ზიზღი ცოტათი მაინც ჩამიციხრება.

ახლა, როცა მდგომარეობის სადავეები მთლიანად ჩემს ხელშია, შემიძლია საკუთარ თავს რამდენიმესაათიანი დასვენება ვუბოძო. განვიბანო ადამიანთა მოდგმისათვის ნიშნული სიგიჟეებისგან, აღვიდგინო მაცოცხლებელი ძალები. გახსოვს, პატარაობისას სახლის სახურავზე რომ ვთამაშობდით? ერთხელ კრამიტს რომ გამოვკარი ფეხი და ძირს რომ დავენარცხე. რამდენის ვიქნებოდი მაშინ? რვის, ალბათ. დაუჯერებელია, მაგრამ ტკივილი საერთოდ არ მიგრძნია. სისულელეა ამის თქმა, მაგრამ ვარდნილს არც კი შეშინებია. შიში შენ წარმოიდგინე, მოგვიანებით დამეუფლა. საათობით ვცახცახებდი, როცა მახსენდებოდა, სიკვდილს რა სასწაულებრივად გადავურჩი. ამ საღამოს ზუსტად მსგავს განწყობაზე ვარ. წესით, უნდა მიხაროდეს, ამ დავიდარბას წერტილი რომ დავუსვი, მაგრამ არა, ვფიქრობ იმ საშინოოებებზე, გვერდი რომ ავუარე და ვერხვის ფოთლივით ვცახცახებ.

ხვალ დაკითხვის შესახებ მოგწერ. აბა, დროებით გაუფრთხილდი თავს.

პილატე თავის ძვირფას ტიტუსს

რა არის სიურპრიზი? მოულოდნელი მოვლენა, თქვენში გულისტკივილს ან სიხარულს რომ აღძრავს. ხანმოკლეა სიურპრიზი: იქნება ის სასიამოვნო თუ პირიქით – უსიამოვნო. უმაღლ მოვებები ხოლმე გონს, მაგრამ როგორ მოვნათლო სიურპრიზად

მოულოდნელობების ჯაჭვი, დასასრული რომ არ უჩანს და ამოსუნთქვის საშუალებას არ მძლევს? ნორმალური ცხოვრებისკენ დასაბრუნებელ გზას რომ მოჭრის? რა დავარქვათ სიურპრიზს, თუ მას ჩვენთვის არც ვარამი და არც სიამოვნება არ მოაქვს? თუ სიურპრიზი მხოლოდ სიურპრიზია და სხვა არაფერი? ნუთუ სიურპრიზი ის გასროლილი ისარია, მიზანს რომ ხვდება, გვაძრუნებს და სამუდამოდ თავგზას გვიბნევს?

გუშინ საღამოს დილეგში ჩავედი.

მე და იოჰანანმა მთელი ღამე მოწმეების გარეშე გავატარეთ.

ახალგაზრდა მამაკაცი მუცელზე იწვა, ხელები ჯვრისებურად გაეშალა. სახით პირდაპირ ფილაქანს ეხებოდა. გულგრილი მთვარე გისოსებს შორის შემოჭრას იზარებდა, ძუნწი ნათებაც კი არ ემეტებოდა ჩვენთვის.

ახალგაზრდა იეშუასავით მაღალი იყო. თეთრი ტუნიკა მჭიდროდ შემოკვროდა მხრებზე, ვიწრო წელზე, დუნდულეებზე, გრძელ ფეხებზე...

დიდხანს ვუცქირე. ჩემი არსებობა არც შეუმჩნევია. მანამდე დიდხანს ვიბოდილა ჩაძინებულ ციხესიმაგრეში და სიცივისგან გავითოშე. მძულს გაზაფხულის გამყინავი ღამეები. მხერა იოჰანანის მკლავებზე გადავიტანე. ხელისგულებით იატაკს მიკრობობდა, ფერმკრთალი მტევნები უკანკალებდა, მათი სიქათქათის ქალსაც კი შეშურდებოდა, სინაზემ კი ქალიშვილის სახეზე თითქმის შეუმჩნეველი ბუსუსები გამახსენა.

– მომიახლოვდი, პილატე, ვიცი, რომ ერთი სული გაქვს, სანამ დამელაპარაკები.

შეგცბი. თვითონ არც შერხეულა. ძლიერმა ხმამ თაღებქვეშ გაიჟღერა.

– მომიახლოვდი!

გავუღიმიე. იოჰანანს მიმიკა ისე დაეხვნა, რომ ვიფიქრე, იეშუა ხომ არ გამომელაპარაკა-მეთქი. მას მოძღვრისგან თბილი ხმის ტემბრიც ზედმიწევნით გადმოედო, ჯადოქრისთვის ნიშნული უბრალოებას, რომელიც იეშუას იმპერატორის მწყემსისგან გამორჩევის უფლებას არ აძლევდა.

გისოსებს მივუახლოვდი და წავილულულე:

– რა უცნაური პოზაა ლოცვისთვის...

– ის ზუსტად მსგავს პოზაში გარდაიცვალა, ჯვარზე ბოროტმოქმედივით გაკრული. ამიერიდან მხოლოდ ასე ვილოცებ. წამების წინ თითქმის ვიგრძენი კიდევ ლურსმნები ხელისგულეებზე.

მოულოდნელად იოჰანანი წელში გაიმართა, შემოტრიალდა და პირისპირ ჩამომიჭდა. ხელები მუხლებზე შემოიწყო, მუგუზალივით შავი თვალები სიბნელეში აუელვარდა. მთვარის მკვდრისფერმა შექმა თმა ნაცრისფრად, თითქმის ცისფრად შეუღება.

– მიწა, მას დავემსგავსო. მიწა მას მივბაძო, მისი საქმე განვაგრძო, სანამ პირში სული მიდგას.

გულწრფელობით გაჟღენთილმა მთრთოლვარე ხმამ გამოაცა, მეტიც, ისიც კი მაფიქრებინა, იოჰანანი ქკუიდან ხომ არ გადადგა-მეთქი. ის არა თუ უარყოფდა, რომ ბაძავდა იეშუას, არამედ ამის შესახებ თამამად აცხადებდა. იქნებ თავი მართლა საკუთარი მოძღვარი ეგონა? იქნებ მოწმეები მისდაუნებურად, ყოველგვარი ბოროტი განზრახვების გარეშე შეჰყავდა შეცდომაში? იქნებ ვერც კი გაესიგრძელებინა, რომ ისინი ცრუ გზას დააყენა?

არა, მე იოჰანანი აუცილებლად უნდა დამეკითხა.

– რასაც უნდა იჩემებდეს სინდერიონი, იეშუას მე ყოველთვის პირდაპირ, სამართლიან და გულწრფელ ადამიანად მივიჩნევდი. მას ვინმეს მოტყუება არასოდეს განზრახავს, მაშინაც კი, როცა თვითონ ცდებოდა. და შენ რატომ...

– პილატე, გამოდის, რომ მისი სიტყვების ნათელი შენც მოგეფინა?

მზარავს მსგავსი ებრაული რიტორიკა: მათი გადაპრანჭული, ბურუსით მოცული და ხატებებით გადატენილი აზროვნება.

– არა, მე უბრალოდ ბერძნული განათლება მაქვს მიღებული და ბრძენთა მიმართ ინტერესი დღემდე არ გამწვანებია.

– იეშუა არ იყო ბრძენი!

– იყო, მაგრამ მოუხერხებელი იეშუა ჭიუტი ბრძენი იყო, სოკრატესავით, რომელიც მხოლოდ იმიტომ მოკვდა, რომ არ სურდა, საკუთარ თავს დასტაკებოდა.

– იეშუა არ იყო ბრძენი!

ახალგაზრდა მამაკაცი თავის თავში ჩაიკეტა. მე ჩემი ქკუით მეტად გადაჭარბებული, თითქმის დაუჭერებელი ქათინაურით შევამკე: მისი მოძღვარი სოკრატეს გავუტოლე. ვიფიქრე, ცოტა თავს მოვუქონავ-მეთქი, მაგრამ არაფერი გამომივიდა. ვერ დავუახლოვდი ერთმანეთს, პირიქით, ჩვენ შორის დუმილის გადაუღალახავი კედელი აღიმართა.

– რატომ ასაღებ თავს იეშუად?

ჩანდა, რომ ჩემი შეკითხვის არსს იოჰანანი მაინცდამაინც ვერ ჩანვდა. გულწრფელად გაიოცა. მე კი თითქმის საბოლოოდ დავიჭერე, რომ ადამიანებმა ის იეშუად მიიღეს, ხოლო თვითონ ამას ვერც ხვდებოდა.

– იოჰანან, ყური მიგდე. როგორ შემიძლია არ ვიფიქრო, რომ იეშუათი იმედგაცრუებული მომხრეების შეცდომაში შეყვანას ეცადე? რაც შეეხება ფიზიკურ მსგავსებას, აქ მხოლოდ შორეულ მსგავსებაზე თუ შეიძლება ლაპარაკი. მეტი დამაჯერებლობისთვის შენც ამდგარხარ და წვერი შეგიკრეჭია. შესანიშნავია, ვერაფერს იტყვი. შენი უფრო ღია და

ნაკლებად სქელი იყო, ვიდრე იეშუასი. ამგვარად მას გაჭრილი ვაშლივით ვერ დაემსგავსე, მაგრამ შეიძლება დაგვეშვა, რომ წვერგაპარსული წინასწარმეტყველი ალბათ ასეთი იქნებოდა... შემდეგ წამწამებსა და ქუთუთოებზე მური წაისვი. იფიქრე, ასე უფრო დაიბერები თავს და თანაც დალოილ-დაქანცული ადამიანის იერს დაიდები. თავზე კაპიუშონი მოირგე და იეშუას ხმით ალაპარაკდი. მინდა გითხრა, რომ ეს შესანიშნავად გამოგდის. როცა გრძნობდი, რომ შენი თანამოსაუბრე მზად იყო, შენში იეშუა ამოეცნო, სიბნელეში კაპიუშონს წამიერად იძრობდი. ეს ასე რომ არ იყო, რატომ ჩაიდენდი შენ, მართლმორწმუნე და ღვთისმოშიში ებრაელი მსგავს საქციელს? – მართლმორწმუნე ებრაელი არასოდეს იპარსავს წვერს.

იოჰანანმა იმდენი იხარხარა, ლამის ჩაბჭირდა.

– წვერი იმიტომ კი არ მომიპარსავს, რომ მსურდა, იეშუას დავმსგავსებოდი, უბრალოდ, მინდოდა, შენი მსტოვრების თვალთვალისთვის თავი დამეღწია. შენ ხომ ჩვენ, იეშუას მოწაფეებს იერუსალიმში ფეხის შემობიჯებას კი აგვიკრძალე. მე კი დარწმუნებული ვიყავი, რომ აქ უამრავი საინტერესო რამ დატრიალდებოდა. ამიტომ გადავედი შენს ბრძანებას და იერუსალის შეცვლა გადავწყვიტე. კაპიუშონიც სწორედ ამ მიზნით დავიხურე. დიახ, მე ვიმალები, მაგრამ მერწმუნე, იეშუად თავს ნამდვილად არ ვასაღებ.

– აბა, დედამისთან რაღას მიდიოდი?

– იეშუას ძალიან უყვარდა დედა. დარწმუნებული ვარ, რომ მალე გამოჩნდება და კარგ ამბავს ახარებს. ერთი სურვილი მაქვს, ამ დროს იქ ვიყო და მის გამოცხადებას კუთხეში მიყუჟულმა ვაძვენო თავაყური.

ამ ბიჭმა მართლა ამიბნია თავგზა. ღრმად სწამდა საკუთარი სიტყვების. აშკარად ეტყობოდა, რომ არ ცრუობდა.

– გემუდარები, პილატე, დამრთე ნება, მირიამს ვესტუმრო. მსურს, იეშუას დაბრუნებას საკუთარი თვალით ვუცქირო.

იოჰანანი ხელებში ჩამებლაუჭა. თვალებით მევედრებოდა.

– მე არ დავემორჩილე შენს ბრძანებას და მალულად ჩამოვედი იერუსალიმში. შენ შეგიძლია ამისთვის დამსაჯო, მაგრამ გთხოვ, პილატე, ახლა ნუ იხამ ამას. მოგვიანებით იმდენხანს გავატარებ დილეგში, რამდენსაც ისურვებ. გნებავს, ჯვარსაც მასცი, ჩემთვის სულერთია, ოღონდ იეშუა ვნახო. მომეცი უფლება, მის გამოცხადებას მირიამთან დაველოდო.

გვერდზე გავდექი, მისგან თავი რომ დამეხსნა. თვითონ სასოწარკვეთილი იატაკზე გაიშხლართა. ხვეწნა-მუდარას განაგრძობდა.

თუ ეს ყმაწვილი ნამდვილად არ იკატუნებდა თავს, აუცილებელი იყო, ჩემი ჰიპოთეზის სიზუსტე და მართებულობა გადაემოწმებინა. გამოდიოდა, რომ იოჰანანი შეგნებული მისტიფიკატორი კი არ იყო, არამედ უნებლიე.

– ესე იგი, უარყოფ, რომ თავს იეშუად ასაღებდი?

– რა თქმა უნდა.

– შეხვდი თუ არა სალომეს, ჰეროდეს ქალიშვილს?

– კი შეხვდები.

– მირიამ მაგდალელს?

– მასაც.

– იმ ორ ემაუსელ პილიგრიმს?

– რა თქმა უნდა.

იოჰანანმა ყველაფერი აღიარა. ამ შეხვედრებში ცუდ განზრახვას ვერ ხედავდა. წარმოდგენაც არ ჰქონდა იმ შთაბეჭდილებებზე, ამ ადამიანებზე რომ მოახდინა.

– რა აზრის ხარ მათ მონათხრობზე?

– მშურს მათი, პილატე! ო, პილატე! გემუდარები, მომეცი უფლება, იეშუას დედამისთან დაველოდო. მე არ მჭირდება მასთან პირისპირ შეხვედრა, რათა ვირწმუნო, მაგრამ ბედნიერი ვიქნებოდი, თუ ისე ვნახავდი. გამიშვი, გთხოვ. პატრიოსან სიტყვას გაძლე, რომ ისე დავბრუნდები, ჩაგბარდები, როცა ლოდინს აზრი არ ექნება. გამიშვი, პილატე.

მე პირში წყალი დავიგუბე, იოჰანანი კი განაგრძობდა მოთქმას.

ბოლოს, როგორც იქნა, დადუმდა. მშვენივრად მიხვდა, რომ არსადაც არ გავუშვებდი. იოჰანი ისე განვა ფილაქანზე, ჯვრის პოზა მიიღო და ლოცვა განაგრძო. ვგრძნობდი, რომ ნელ-ნელა მშვიდდებოდა, სუნთქვა დაუნწყნარდა. ხელებიც ნაკლებად უკანკალებდა. მისი სიწყნარე მეც გადმომედო.

დიდხანს ვუცქირე იოჰანანს.

ხავსმოკიდებული სასულედან ფერმკრთალი აისი მოიპარებოდა. ვიფიქრე, სანამ ახალ დღეს შევერკინები, ცოტა თვალის მოტყუება ხომ არ აჯობებს-მეთქი. გასასვლელისკენ გავემართე.

– მიყვარხარ, პილატე.

იოჰანანმა ეს სიტყვები მაშინ წარმოთქვა, როცა დარწმუნდა, დილეგს რომ ვტოვებდი. ძარღვებში სისხლი გამყვინა.

– მიყვარხარ, პილატე.

შემოვუტრიალდი. ერთი სული მქონდა, უკანასკნელი სიტყვებით გამომეთათხა და დამედუმებინა.

– შეწყვიტე მასავით ლაპარაკი.

– ასე საუბარი თავად მასწავლა.

– როგორ შეგიძლია დამარწმუნო, რომ გიყვარვარ? მე, რომელმაც ციხეში გიკარი თავი და ცოტა ხანში სინედრონს გადაგცემ. იცი, შესაძლოა დღის სინათლე ვერც ვერასდროს იხილო. კიდევ იტყვი, მიყვარხარ-მიყვარხარო? დავიჯერო, გიყვარს ადამიანი, რომელმაც შენი მასწავლებლის ჯვარცმის ბრძანება გასცა?

– იეშუა ითხოვდა, რომ შენთვის მიეტყვიებინათ.

– ჩემთვის?

– შენთვის და სხვებისთვისაც. ჯვარცმულმა წაილულულა: „მამაჩემო, მიუტევე მათ, რამეთუ არა იციან, რასა იქმან“.

გონება ამემღვრა. გაუაზრებლად გისოსებს ვეცი, იოჰანანს ჩავაფრინდი. მთელი ძალითა და ღონით დიდხანს ვანჭრევდი.

– ოღონდ მე არა, გესმის ჩემი? მე არ მჭირდება შენი სიყვარული, არც შენ შეგიძლია გიყვარდე. მე არ მჭირდება შენგან მიტევენა, არც შენ შეგიძლია მომიტევე. მე შენ არ მჭირდება.

– ნუ იქნები ასეთი ამაყი, იეშუას შენც უყვარდი.

არა, ეს უკვე მეთისმეტი იყო! იოჰანანი ციხეში იჯდა და მემუქრებოდა. იოჰანანი მონადირე იყო, მე კიდევ დაუცველი მწყერი. მე უკან დავიხიე, მისი სიკეთისგან თავი რომ დამეცვა, სიბნელეს შევაფარე თავი.

– თქვენ გიჟები ხართ! უკლებლივ ყველანი გიჟები ხართ! მართალს ამბობდა კაიაფა. თქვენ აბროვნებაც უნდა აგეკრძალოთ და ლაპარაკიც! ყველანი ჯვარს უნდა გაცვათ ადამიანმა!

– ნუთუ ასეთი სასირცხოა სურვილი სიყვარულისა?

– დიახაც. და მე არ მჭირდება შენი სიყვარული. ვამჯობინებ, სიყვარული იმ ადამიანისგან მივიღო, რომელსაც თავად ავირჩევ. თავადვე გადავწყვიტე, ვის ვაჩუქო ის. სიყვარული კერძო საკუთრებაა!

– ჭეშმარიტებას ამბობ, პილატე. რანი ვიქნებოდით, თუ ყველა ერთმანეთს შევიყვარებდით? როგორნი ვიქნებოდით, ვის ან რას დავემსგავსებოდით, საყოველთაო სიყვარულის სამეუფოში? რა ბედი ეწოდა პილატეს, იმპერატორის ნაცვალს, რომელიც თავის ადგილს მხოლოდ დაპყრობებს, სიძულვილსა და სხვებისადმი ზიზღს უნდა უმადლოდეს? ან კაიაფას, ტაძრის მღვდელმთავარს, თანამდებობის შესაძენად საჩუქრებით რომ მოგიქონა პირი და ძალაუფლებას მხოლოდ შიშისა და ძრწოლის თესვით იმტკიცებს? ნუთუ ებრაელები, ბერძნები და რომაელები სიყვარულით გაღვივებულ სამყაროში კიდევ იარსებებენ? შემორჩებიან ძლიერი და უძლური, მდიდარი და უპოვარი? ნუთუ კიდევ ვიხილავთ თავისუფალ ადამიანებსა და მონებს? მართალი ხარ, პილატე, ასე რომ გემინია. სიყვარული გააცამტვერებს შენს სამყაროს. სიყვარულის სამფლობელო შენი სამეფოს ნანგრევებზე აშენდება.

შემიძლია, ჩემო ძვირფასო ძმაო, ერთ რამეში გამოგიტყდე? მსგავს ბოდვას ველარ გავუძელი და გაქცევით ვუშველე თავს.

სასწრაფოდ დავტოვე ანტონიას ციხესიმაგრე და სასახლეს მივაშურე. ელვის სისწრაფით ავირბინე კიბე და საძინებელ ოთახში შევრგე თავი. იმ მომთაბარეს დავემსგავსე, შუაგულ უდაბნოში შემთხვევით ჭას რომ გადააწყდა. და მეც დაუფიქრებლად კლაუდიას მივუგორდი. კლაუდია გვერდულად განოლილიყო. მის სხეულს მივეტმასნე. მინდოდა გამეღვიძებინა და ფრთხილად მივეფერე. კლაუდიამ მალევე გაახილა თვალები, გამიღიმა და სიხარულისგან ლამის შეჰყვირა:

– პილატე, იცი, რა მინდოდა, შენთვის მეთქვა...

ტუჩებზე დავეკონე და ხმის ამოღების საშუალება არ მივეცი. უცხად მთელი ჩემი სხეული ძლიერმა სითბომ და ველურმა ნეტარებამ მოიცვა. მინდოდა, უსასრულოდ მეკოცნა კლაუდია, მოვფერებოდი ნახად, ვნებით და ბოლოს დავუფლებოდი. დიდანს ვიტრიალეთ ლოგინში. კლაუდიას საუბარი სურდა, მაგრამ ჩემი ტუჩები ამის ნებას არ აძლევდა. ბოლოს კლაუდია დამნებდა. ვბორგავდით, ვკვნესოდით და ვღმუოდით ქანცგანწყვებამდე.

მსგავსი ციებ-ცხელება პირველად შეგვეყვარა. სიყვარულის პირველი ღამე გამახსენდა. იყო რაღაც უჩვეულო ჩვენს ხვევნა-კოცნაში. შესაძლოა, მეტი მძვინვარება და სიშმაგე, ცხოველური მოუთმენლობა და თავშეუკავებლობა. როცა უზენაესი განცხრომის მიწურულს ერთმანეთს მოვწყდით, კლაუდია ადგა, თავთან ჩამოიჭდა და მითხრა.

– პილატე, ძალიან მნიშვნელოვანი რამ უნდა გითხრა.

– რომ გიყვარვარ, კლაუდია?

– ეს ეს-ესაა, დაგიმტკიცე.

– ნამდვილად.

– შენც!

– ვალიარებ.

ისევ გადავტაკავეთ ერთმანეთს.

– პილატე, მე სხვა რამ მსურდა, შენთვის გამენდო... დაუჯერებელი, შემძვრელი და...

კლაუდია შეყოვნდა. კისერში კოცნით შევათამამე.

– გისმენ, კლაუდია.

– ამ ღამეს იეშუა ვნახე. გამომეცხადა... იეშუა მკვდრებით აღდგა.

პილატე ძვირფას ტიტუსს

როგორ დავასრულე ჩემი გუშინდელი წერილი?

უკვე აღარ მახსოვს.

ყოველ შემთხვევაში, ძალიან კი გამიჭირდა.

ფაქტები ყოველთვის ნებისმიერ დამატებელ ლოგიკაზე უფრო ძლიერია. ფაქტები ხშირად აინყვეტენ ხოლმე და დოლის ცხენივით წინ მიატევენ. არასოდეს იცი, სად შეუხვევნი და რომელ გზას დაადგებიან. არ არის გამორიცხული, უდაბნოშიც კი გაიჭრენ. კლაუდია მარწმუნებს, ფაქტებს ფეხდაფეხ უნდა მიჰყვე და მათზე დაყრდნობით საკუთარი აზრები ჩამოიყალიბო. ვალიარებ, რომ მე ამ უნარს მოკლებული ვარ. ნუთუ ეს ჩემს სისუსტეს უნდა მიეწეროს? მე სალად მოაზროვნე ადამიანად მივიჩნევ თავს და ცხადია, ნათელგონიერებას ვაფასებ. მე ორივე ხელით ჩავებლაუქე ალტერნატივას, რომლის თანახმადაც იეშუა ან ცოცხალია, ან მკვდარი და არა ორივე ერთად. ამ დღეებში, როგორც შენ ამას არაერთხელ წაიკითხავდი, მრავალგზის მივმართე უკვე ნაცად ხრიკებს, რათა რწმენა შემენარჩუნებინა... თუმცა ყოველ ჯერზე ჩემს ნაფიქრალს წყალი შეუდგა. ყოველ ჯერზე რეალობამ ძლიერი სილა გამაჩნა სახეში. დიახ, სილა მივიღე პასუხად ჯიუტი, აბსურდული, შეუძლებელი, წარმოუდგენელი, მიუღებელი, განმეორებადი, ჟინიანი, შემადრწმუნებელი და გაუგონარი რეალობისგან.

არა მხოლოდ კლაუდიამ იხილა იეშუა სწორედ იმ დროს, როცა მისი ორეული ანტონიას ციხესიმაგრის ცხრაკლიტულში მყავდა გამოკეტილი, არამედ იმ ღამესვე ჯადოქარი დედამისსაც გამოეცხადა და ჰეროდეს მმართველ ხუზასაც. თითოეულ მათგანს „კარგი ამბავი“ აუწყა.

ვერ გამოვიბა, რას უნდა ნიშნავდეს ეს „კარგი ამბავი“. თავიდან ვიფიქრე, რომ მის აღდგომაზე იყო საუბარი, რაც თავისთავად, ალბათ, სულაც არ უნდა იყო ურიგო. რა ჯობია, საიქიოს თავს რომ დააღწევ და სააქაოს დაუბრუნდები?! მაგრამ კლაუდია მიჩინებდა, აგრეთვე ეგოისტურ მსჯელობას წარმოუდგენელია მიემხრო. მისი მტკიცებით, იეშუა თავისთვის არ ცხოვრობდა და არც თავისთვის მოკვდა. შესაბამისად ის ისევ დაბრუნდება, მაგრამ არა თავისთვის.

იეშუას მოტანილი კარგი ამბავი ყველა ადამიანს ხეება. კლაუდია ამაში ღრმად და დარწმუნებული. მით უმეტეს, რომ იეშუა სწორედ მას – წარმოშობით რომაელს გამოეცხადა. მიუხედავად მის მიერ გაკეთებული არჩევანისა, ჩემი მეუღლე მიჩინებს, რომ იეშუას გამოცხადების ნამდვილ არსს ჯერჯერობით ვერ ჩასწვდა და მოუთმენლად ელოდება მისგან დამატებით ნიშნებს.

წარმოდგინე ჩემი მდგომარეობა... შემიძლია, ნებისმიერი მოწმის ჩვენება ექვეყნე დავაყენო, მაგრამ კლაუდიას ვერა. ასევე შემიძლია ნავსურუო ნებისმიერ თხრობას, ნებისმიერ ჩივილსა და მტკიცებას, ნებისმიერ ბრალდებასა და უარს, თუ, რა თქმა უნდა, მათ უკან კლაუდია არ მოიაზრება. წარმოდგინე, ზოგჯერ იმასაც კი ვეჭვობ, იეშუა ჩემს ცოლს განგებ ხომ არ გამოეცხადა-მეთქი. ამ ქმედებით ალბათ სურს, გადამარწმუნოს, მაგრამ საკითხავია, რაში? რატომ მიდის ამ რისკზე? და რა სურს, რომ გამაგებინოს?

ან ეს კუკუდამალობანა როგორ უნდა აიხსნას? არ მესმის, ერთდროულად რატომ უნდა ეჩვენო და დაემალო ადამიანს. რა მიზანს ემსახურება ყოფნა-არყოფნის მსგავსი მონაცვლოება? ისე, საინტერესო კია, როგორ მოვიქცეოდი პირადად მე მის ადგილას, უსამართლოდ რომ ჯვარს ვეცვი და შემდეგ სასწაულებრივად მკვდრებით მოვბრუნებულიყავი? ან უცხოეთში გავიხიზნებოდი და იქ დაგემალებოდი ჯალათებს და ამგვარად მათ ხელში ხელმეორედ ჩავარდნივარ თავს დავიზღვევდი ან კიდევ ამ სასწაულს ჩემ სასარგებლოდ გამოვიყენებდი: კი არ დავიზღვებოდი, პირიქით – საქვეყნოდ ყველგან გამოვჩნდებოდი და დამკვიდრებული უკვდავის რეპუტაციით თავს დავიცავდი. ჩემი პოზიცია ორბრუნვანი კი არ იქნებოდა, არამედ ნათელი, გასაგები და ერთმნიშვნელოვანი: ან საერთოდ გავქრებოდი ან ყველას გამოვცხადებოდი. როგორც ჩანს, იეშუა ჩემებური ლოგიკის საწინააღმდეგოდ მოქმედებს. თვალთმაქცობს, პირდაპირ ქმედებას შემოვლით გზებს ამჭობინებს, ერთი სიტყვით, თავგზას უბნებს მოწინააღმდეგეს. ეტყობა, იდუმალებათა ბურუსში გახვევა მეტად ხიბლავს.

სად ვდიო ან სად ვეძებო მოწინააღმდეგე, რომლის სტრატეგიას ვერც თავი გავუგე და ვერც ბოლო?

ვცადე კლაუდიას დაკითხვაც. ვიფიქრე, იქნებ რამე ახსნა-განმარტება დავციცნო-მეთქი, მაგრამ სრულიად უშედეგოდ. ის კია, რომ კლაუდია ჩემსავით ამღვრეული და არეულია, თუმცა სრულიად განსხვავებული მიზეზის გამო: გონებასახვილი კლაუდიაც კი ვერ ჩასწვდა ნაზარეველის ზრახვებს.

– უკეთესად უნდა გაერკვე ებრაული კანონის ტექსტებში, – მირჩია.

სხვა რა გზა მქონდა. გადავწყვიტე, დახმარებისთვის სინედრიონის ერთ-ერთ გავლენიან წევრს, ნიკოდემს მივდგომოდი. ნიკოდემი ცნობილია თავისი განსწავლულობით. თან მოსეს რელიგიის ექსპერტად და დეტალების საუკეთესო მცოდნედაც მოიაზრებენ.

კლაუდიამ დაიჟინა, შეხვედრას მეც დავესწრებო. მხრებზე პილიგრიმების გრძელი და ფართო წამოსასხამები უნდა მოვიგდოთ, ხალხმა რომ არ გვიცნოსო, თორემ რომის ნაცვლისა და მისი მეუღლის ნიკოდემთან ვიზიტს ფრიად გაიკვირებენო. კაიაფაც გავგინაწყენდება, იმიტომ, რომ მშვენივრად იცის, მნიშვნელოვანი ღირსებების გამო ნიკოდემი ერთ მშვენიერ დღესაც შესაძლოა მღვდელმთავრის პოსტზე კაიაფას ჩაუნაცვლო.

შეხვეულ-შეფუთულებამა მეთუნეთა უბანს მივაშურეთ, გადავჭერთ „უცოდველთა მოედანი“ და დაბალ კარზე დავაკაკუნეთ.

ნიკოდემმა კარგა ხანს გვაყურყურა, სანამ კარს გააღებდა. გისოსებს მიღმა სამერცხულიდან როცა გვათვალიერებდა, თავიც კი წამოვწიე, ამოცნობის პროცედურა რომ დამეჩქარებინა. ბოლოს საკეტები ააჟღარუნა, შიგნით შეგვიპატიჟა და ჩვენ უკან კარი რუდუნებით მიხურა.

ნამდვილად არ მეგონა, რომ ებრაული კანონის დოქტორის სახლი ასეთი იქნებოდა. რატომღაც წარმომედგინა, რომ ის

გრაგნილებით, პერგამენტებითა და ხელნაწერებით იქნებოდა გადაძეგვილი. არაფერი მსგავსი, მხოლოდ რამდენიმე ცარიელ თაროსა და გატეხილ დოქს მოვკარი თვალი.

ნიკოდემი გაკვირვების მიზეზს შესანიშნავად მიმიხვდა.

– მთელი ჩემი ქონება ჩამომერთვა. კაიაფა მსაყვედურობს, რომ ზედმეტი ყურადღებით ვუგდებდი ყურს იეშუას სიტყვებს; რომ მსურდა, მისთვის სასამართლო პროცესი ამეცდინა და უკანასკნელ გზაზეც გავაცილე. კაიაფა, მღვდლები და ფარისევლები ალბათ მომიტყუებდნენ, იეშუა ჯვარზე სიკვდილით რომ დაკაშიყოფილებულიყო. დღიდან ნაზარეტელის გამოჩენისა მთელი ღვარძლი და ბოლბა ჩემზე გადმონათხიეს. უმწობით განრისხებულმა მე გამომაცხადეს განტევების ვაცად.

ჩია ნიკოდემი ილიმბოდა.

– ჯერჯერობით მამაჩემის კუთვნილი ეს სახლი დამიტოვებს. ერთ კვირაში, ალბათ, ამასაც ჩამომართმევენ და უსახლკაროდ დავრჩები.

ნიკოდემი კაიაფას ქმედებით მაინცდამაინც შეძრული არ მეჩვენა. პირიქით, ბედნიერი და ენაწყლიანი ჩანდა. ვგრძნობდი, რომ დაკითხვაც კი არ დამჭირდებოდა, თავად მოჰყვებოდა ყველაფერს, რაც იცოდა.

დარჩენილი ორი თასი წყლით გაგვივსო.

– არაჩვეულებრივ დროში გვიწევს ცხოვრება. მოგვენიჭა საოცარი პრივილეგია, საკუთარი თვალით ვიხილოთ, თუ როგორ გარდაიქმნება „მარადი“ წარმატებად. ნამდვილად დიდი პატივი! და რაღა ჩვენ გვერგო ეს ბედნიერება? რატომ მაინცდამაინც აქ და რატომ მაინცდამაინც ახლა? მადლობა, უფალო! მოსემ პირველმა გვაუწყა, ერთ მშვენიერ დღეს წინასწარმეტყველი გამოცხადდებაო; წინასწარმეტყველი, რომელიც ახალ საძმოს ჩაუყრიდა საფუძველს. მოგვიანებით, გაბრწყინების უამს, დავითმაც, იეზუკიელმაც, ესაიამაც და განსაკუთრებით კი იერემიამ გვამცნეს მესიისა და მისი საქმის მთავლობა. და მართლაც გამოჩნდა იეშუა. ყველა წინასწარმეტყველისგან, ცრუსა თუ მართლისაგან განსხვავებით, იეშუამ, მხოლოდ მან ერთმა შეძლო ერთი მეორის მიყოლებით ყველა სასწაული მოეხდინა! მხოლოდ მან ერთმა აღასრულა, რაც წინასწარ გამოცხადდა. თავიდანვე გაცხადდა, რომ მესია ბეთლემში მოველინებოდა ქვეყანას. იეშუა სწორედ ბეთლემში დაიბადა! ასევე გაცხადდა, რომ მეტი წილი მისი წინასწარმეტყველებისა იერუსალიმში ახდებოდა. ჩავიდა იეშუა იერუსალიმში და მოჰყვა მღვლევარებანი მის ჩამოსვლას. როცა მოწიფულ ასაკს მიაღწია, იოჰანან მყვინთველმა, უკანასკნელმა წინასწარმეტყველმა, მესიას წინ რომ უძღოდა, ის უსახელო ბრბოში ამოიწყო, მის წინ მუხლებზე დაიჩოქა და განაცხადა, რომ დიდი ხნის ნანატრი მესია პალესტინის მიწაზე დაბიჭვებდა. მას მერე მოვლენები თავბრუდამხვევად დაჩქარდა. იეშუამ კი უთვალავი წინასწარმეტყველება აახდინა. „ნუ გეშინია, ასულო სიონისაო! აჰა, მოდის შენი მეუფე, მეფე სამართლიანი და ძლევამოსილი; მეფე თავმდაბალი, ჩოჩორზე შემჯდარი!“ – როგორც ეს იეზუკიელმა იწინასწარმეტყველა, იეშუა იერუსალიმში მართლა ჩოჩორზე შემჯდარი შევიდა. ჩოჩორზე, რომელზეც უნაგირი ჯერ არავის დაედგა და არც გაეხედნა. ადამიანებს ნიშანი ემცნოთ, შეეგებნენ და მოსახხამები და მიინდვრად მოჭრილი ბზის ტოტები დაუფინეს ფეხქვეშ. წინ მიმავალნიც და უკან მიმყოფნიც ლაღადებდნენ და ამბობდნენ: „ოსანა! კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა! კურთხეულ არს, მამისა ჩვენისა მომავალი სამეფო! ოსანა მალალთა შინა“. ზაქარიას თქმით, უამი რომ მოაწევდა, იეშუა, აი, იქ, ზეთისხილის მთაზე უნდა ეხილათ.

გამძვინვარებულმა ღვთისმსახურებმა ბავშვებს გაჩუმება უბრძანეს. იეშუამ მათ გასაგონად თქვა: „ნუთუ საღვთო წერილში არასოდეს წაგიკითხავთ: მხოლოდ ის ხობტაა გულწრფელი, ჩვილთა და ძუძუთა, ბავშვთა ბავშვთაგან რომ იღვრება“. მაშინ ბევრი ამტკიცებდა, რომ იეშუა პასუხის გასაცემად საღვთო წერილის ღრმა ცოდნას ხშირად იყენებდა.

აბა, წარმოიდგინეთ, თუ ის თაღლითი იყო, რატომ მიდიოდა მსგავს რისკზე? რატომ წინასწარმეტყველებდა? გაიხსენეთ მისი მძვინვარება: გადაამცვლელთა და მტრედებით მოვაჭრეთა ფარეზები და დახლები მიანგრ-მოანგრია და დასაწყიდ ხარებსა და ცხვრებს რომ აკავებდა, მათრახით რომ განდევნა ვაჭრები წმინდა ადგილიდან. თავისი საქციელი მაშინ საღვთო წერილით გაამართლა: „განა დაწერილი არ არის, რომ ჩემი სახლი სალოცავ სახლად იწოდება ყველასთვის? თქვენ კი ყაჩაღთა ბუნაგად გიქცევით იგი“.

შემდეგ კი გარისკა ეწინასწარმეტყველა: „დაანგრით ეს ხელთქმნილი ტაძარი და სამ დღეში ავაგებ ახალს, ხელთქმნილს“. მღვდელმსახურებმა ვერაფერი გაიგეს და დასცილნენ: „ამ ტაძრის აღმართვას ორმოცდაექვსი წელი დასჭირდა, შენ კი მის შენებას სამ დღეში აპირებ?“ მიუხედავად ყველაფრისა, იეშუამ რაც დაიქანდა, შეასრულა. თუ როგორ, ამას მხოლოდ დღეს ვხვდებით – ტაძარი, რომელსაც ის ახსენებდა, მისი სხეული იყო. თავისი სხეული კი მან მართლაც სამ დღეში აღადგინა – სამ დღეში!

ამ კატეგორიულ მტკიცებაზე შეჰასუხების სურვილი გამიჩნდა, მაგრამ კლაუდიამ ხელზე მოჭერით მაგრძნობინა, თავი შემიკავებინა და მეც დავნებდი.

– ნუთუ წინასწარმეტყველება ითხოვდა, – ჩაერია კლაუდია, – რომ თქვენი მესია ჯვარზე ავაზაკივით გავკრათ?

– რასაკვირველია, ესაიამ ამის შესახებ ჯერ კიდევ როდის გაგაფრთხილა. „ჩემი მსახური წარმატებული იქნება, – თქვა უფალმა, – ამალღდება, განმტკიცდება და დიდების შარავანდედით შეიმოსება“. „ბევრი შეძრუნდა მის დანახვაზე. ის იმდენად დამახინჯდა, რომ ადამიანის იერი უკვე აღარ ედო. მას დაიჭერენ, განსჯიან, სულს ამოართმევენ და ურჯულოთა გვერდით მიაბარებენ მიწას. მას უხეშად მოეპყრენ, საყვედურებით გაკიცხეს. თავდაცვ დაიმცირა თავი, დამდაბლდა მათ წინაშე, მაგრამ კრიტიკი არ დაუძრავს. როგორც ზვარაკს, სასაკლაოზე მიათრევენ, მაგრამ დუმდა; დუმდა როგორც ცხვარი გაკრეჭის წინ, მის ბავთს საყვედურიც არ დასცდენია...“

თქვენ – ბერძნებსა და რომაელებს ვერც კი წარმოგიდგენიათ, რომელიმე თქვენი სათავყვანებელი ღმერთი დამცირებული და დამდაბლებული აღსრულებისკენ ისწრაფოდეს. თქვენ წმინდანობა გმირობისაგან ვერ გაგირჩევიათ. ჩვენ შეგვჩვენა უნარი, ჩაგვწვდეთ ტანჯვა-წამების არსს. მესია თანხმდება სიკვდილს, რათა სხვები გადაარჩინოს. ჯვარზე ის საკუთარ ცოდვებს კი არ მიათრევს, არამედ თავისი ხალხისას. „მაღალმა ღმერთმა იწება, რომ მესიას ყოველი ჩვენგანის ცოდვები ეტვირთა, ყველას ცოდვებზე ეგო პასუხი. მესიამაც თავისი სიცოცხლე სამსხვერპლოზე მიიტანა და ამით ყველას ცოდვა მოიწინა. მესია არაერთ დამნაშავეს გამოესარჩლა“. მან ამდენი ტანჯვა იწვნია, ამდენი წამება უდრტივინველად მიიღო, ჩვენი ცოდვები საკუთარ ცოდვებად აღიქვა, სამაგიეროდ, თავის მხრივ ჩვენც გვთხოვს, ვალიაროთ ეს ცოდვები, მოვიწინოთ ისინი, რომ მოგვიანებით მასავით აღვდგეთ. იცით, საღვთო წერილის უმნიშვნელო დეტალებიც კი დადასტურდა. ნათქვამი იყო, „არც



ერთი ძვალი მისი არ დაიმსხვრევა“. და, პილატე, მართლაც შენ არ გიბრძანებია, მისთვის კიდურები მოეჭრათ ან ნაკუნებად ექციათ. ამას იოსებ არიმათიელთან ერთად თავად შევესწარი. საღვთო წერილში წერია: „და დაუწყებენ ყურებას იმას, ვინც განგმირებს“. აქ ლაპარაკია შენს ლეგიონერებზე, პილატე, ჯვრის ფუძესთან რომ მოეყარათ თავი. „ცოცხალი წყლის მდინარეები გადმოდინდებიან მისი მკერდიდან“. ამას მეც დაგიმონებთ. როცა შენმა ჯარისკაცმა მკერდში შუბი ჩასო, იქიდან სისხლნარევა წყალმა ამოხეთქა. განა ეს საოცრება არ არის? მიუხედავად ყველაფრისა, უნდა ვაღიარო, რომ იმ ნაშუადღევს მეც მომეჭარა ეჭვები. საძაგელმა სანახაობამ ბავშვობისდროინდელი ოცნებების სამყაროში გადამისროლა. მეც კაიფასავით, მღვდელმთავრებივით და ბევრი ჩვენგანისვით მოუთმენლად ველოდი ძლევაშოსილი მესიის გამოცხადებას. მე მასში ძლიერ, ყოვლისშემძლე და დაუმარცხებელ ადამიანს მოვიხიზრებდი, რომელიც მოგვევლინებოდა, როგორც ნამდვილი მხედართმთავარი ან კიდევ ბრწყინვალე მეფე. მჯეროდა, რომ ის ფიზიკური გამძლეობის და უდრეკობის არაერთ მაგალითს გვიჩვენებდა. ამას გარდა, ჩემი ძმებივით – შეიძლება ეს სულაც ჩემი განათლებით იყო განპირობებული, მოგეხსენებათ, კანონის მასწავლებელი გახლავართ – მეც პირდაპირი მნიშვნელობით ალექსანდრის წინასწარმეტყველთა სიტყვებს. და როცა დავითი ამბობდა, მესია თავის ხალხს მტრებისგან გაათავისუფლებსო, მეც არაერთი ებრაელივით ვირწმუნე, რომ რომელთა ბატონობას საბოლოო წერტილი დაესმებოდა. დაიხ, თავიდან ვერ გავისიგრძეებან, რომ მტრები, რომელთაგან იეშუა დავისინიდა, უწინარეს ყოვლისა ჩვენი ცოდვები იყო.

ნიკოდემი ისე აღგზნებული ბოდავდა, საუბრის გაგრძელება საჭიროდ აღარ მივიჩნიე. ებრაულ უგუნურებაში ისედაც უფრო შორს შევტოვებ, ვიდრე ამის უფლება მქონდა.

ნიკოდემის მსგავსი ნეტარება რომ დასუფლებოდა, ორი რამ მაინც უნდა მერწმუნა. ამისთვის კი ჯერჯერობით არ ვიყავი მზად. მხედველობაში მაქვს წინასწარმეტყველური ტექსტები, საუკუნეების მანძილზე გრძელწვერიანი შეშლილები რომ წერდნენ და ადამიანი-ბედისწერა – იეშუა, მისი მკვდრეთით აღდგომა, რომლის შესახებ ეს ბრწყინვალე ნაწერები წინასწარმეტყველებენ.

– რას აპირებთ ამიერიდან, ნიკოდემ?

– ნაბარეთის გზას დავადგები. სიკვდილამდე ერთი კვირით ადრე, როცა თავის მოწაფეებთან ბოლოჯერ ვახშობდა, მან გამოაცხადა: „აღდგომის შემდეგ გალილეაში თქვენზე ადრე ჩავალ“. ჩვენ ვიცით, რომ ის გამოჩნდება და გალილეისკენ მიმავალი იქადაგებს. ამჟამად ჩვენ კი არ ველოდებით მესიას, არამედ პირიქით, მესია გველოდება ჩვენ, მაგრამ გამგზავრებადმდე საკაცე უნდა მოვიძიო...

– რატომ?

ნიკოდემმა თქვამს მიმანიშნა.

– გამოიჭიქდა და აღარ მემორჩილება. ვერც სიარულს იტანს და ვერც საქონლის ზურგზე ჯდომას. დიდ მანძილზე მხოლოდ საკაცეზე გაშოთის თუ შემოდლია გადაადგილება. სინედრიონმა მთელი ჩემი ავლა-დიდება ამართვა, აქედან გამომდინარე, ჩემი შესაძლებლობებიც უკიდურესად შეზღუდულია. ერთ მეგობარს მაინც როგორმე ვიპოვი...

ნიკოდემის უძღურებამ ბოროტი სიამოვნება მომგვარა. ამ ბურუსით მოცული, თითქმის წარმოუდგენელი რელიგიური ქადაგების შემდეგ რადიკალირად მეამა, რომ კონკრეტულ დეტალებზე წაიბოროდიკა.

– რა უცნაურია, ნიკოდემ, როცა ერთმანეთს ხვდებოდით, იეშუამ რატომ არ იფიქრა თქვენს განკურნებაზე?

– იმიტომ, რომ მე არ მითხოვია.

ნიკოდემმა გულუბრყვილო ადამიანის უბრალოებითა და სიმშვიდით მიპასუხა. გაღიზიანებულმა კარი ცხვირწინ მივეჭახუნე და კლაუდიასთან ერთად სასწრაფოდ სასახლეში დავბრუნდი.

ჩამოწვა ბინდი.

ახლოვდება ღამე, მაგრამ ჩემს დამშვიდებას იზარებს. ჰორიზონტზე ნათება ნელ-ნელა მქრქალდება, მაგრამ მე სადარდებელი ისევ მძიმე ტვირთად მაწევს. ფანჯრიდან გაცქერი ბორცვებს, შავი მთების უსასრულო მასას, წყვილიადმი უფრო პირქუშ იერს რომ იძენს. მდუმარება არაქათს მაცლის, მდუმარება მთრგუნავს. მდუმარებას საკუთარ საიდუმლოზე სძინავს და გულს არ მიხსნის.

ვწერ წერილს და ისეთი განცდა მეუფლება, რომ ამ ფურცლების სიმკრთალე და უსიცოცხლობა ჩემს აზრებსაც გადაედო. უკვე აღარც ვფიქრობ, უბრალოდ, ველოდები. უარს ვამბობ ბრძნულ და გიჟმაშ სიტყვებს შორის არჩევანის გაკეთებაზე. მირჩევნია დავიცადო, სანამ ნათელგონიერება დამიბრუნდება და ჯანსაღი აზროვნება ფაქტებს მართებულ განრიგს დაუქვემდებარებს.

სანამ წერას დავიწყებდი, კლაუდიასთან ლაპარაკის მწველმა სურვილმა შემიპყრო. მომიწია, გრძნობით გადავხვეოდი. გულისცემაც ამჩიქარდა. საფეთქლებზე სისხლი მომანვა. ისეთი განცდა დამეუფლა, რომ ცოტაც და პაემანზე დამავგიანდებოდა. საძინებელი ოთახისკენ გავქანდი, შევალე კარი და უმაღლ მივხვდი, რატომ არ მიჩერდებოდა გული საგულეში.

კლაუდია წასულიყო. უცბად რომ შემემჩნია, წერილი საწოლზე დაეტოვებინა. მიმოხის ტოტი პაპირუსს გაფრენის საშუალებას არ აძლევდა.

„ნუ ღელავ, მალე დავბრუნდები“.

კარგად იცი, ჩვეული რომ ვარ კლაუდიას მსგავს გზავნილებს, ყოველთვის იძულებითი სიმართლის საათებს რომ მაუწყებენ. არც ეს გამარჯვებია უცხო, მაგრამ ისიც ვიცი, რომ კლაუდია სახლიდან მხოლოდ მოუთვინიერებელი შთაგონებისა და ლტოლვის გამო თუ შეიძლება გაიქცეს. მე არ ვიქნებოდი მისი მეუღლე, მის ამ უწყინარ ახირებებზე თვალს რომ არ ვხუჭავდე.

აბრეშუმის გადასაფარებელზე მივწექი.

მთელი საძინებელი ოთახი კლაუდიათი იყო სავსე, იქაურობა მის რჩეულ ამბრის სურნელებს გაეჟღინთა. იგრძნობოდა მისი

სიყვარული იშვიათი და უძვირფასესი ქსოვილებისადმი. ყველაფერს ეტყობოდა კლაუდიას დახვეწილი გემოვნება, მორჩუქრობებულ, ფერად-ფერადი ქვებით მოოჭვილ სკამებსაც და ჩვენი ურიცხვი მოგზაურობებიდან ჩამოტანილ უცნაურ ბიუსტებსაც. სად არ გადამისროლა სახელმწიფო მოვალეობებმა, სად არ მიმსახურია, მაგრამ საკუთარ სახლში ყოფნის განცდა მხოლოდ კლაუდიას სარეცელში მისი სურნელით მთვრალს თუ დამუფლებია. ამჯერად ვიცი, სად უნდა ვიგულო. ამჯერად ის ქარავანს არ გაჰყვია, არც უძღურ დედას შენაცვლებია ავადმყოფი შვილის სასთუმალთან, არც ზღვის სანაპიროსკენ გაუწევია რამდენიმე დღით, რათა ნიჟარას ყურმიდებული ფიქრებს მისცემოდა და დროებით ჭამა-სმაც დაევიწყებინა. ამჯერად კლაუდია ნაზარეთის გზას დაადაგა... კლაუდიაც შეიპყრო იმ უცნაურმა ციებ-ციხელებამ, რომელიც იერუსალიმის არაერთ მოაზროვნე თავს შეეყარა.

გადავწყვიტე, ხელი არ შევეშალო. დაე, ბოლომდე იჭეროს გული ილუზიებით. დავაცდი, სანამ მიწაზე დაეშვება. აზრი არა აქვს ჩემს შეგონებებს. გამოსავალი მე თავად უნდა ვიპოვო აქ.

უცნურია, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ ყველაფერი ჩვეულ დინებას დაუბრუნდა. თითქოს ჩემში ერთგვარი გაორება მოხდა. ჩემი ძალა, ჩემი კუნთები და ჩემი ჯანსაღი აზროვნების უნარი აქ, ანტონიას ციხესიმაგრეში დარჩა, ხოლო მეორე ნახევარი – მეორე ნახევარი მეოცნებე, მგრძობიარე წარმოსახვითი უნარით დაჯილდოებული ადამიანისა, რომელიც შესაძლოა ხანდახან მირაჟებსაც დანებდეს, კლაუდიას გალილეის ქვა-ღორღიან გზებზე აედევნა.

მიმოზას ტოტს ვაკოცე. დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემი მეუღლე, სადაც უნდა ყოფილიყო ის, აუცილებლად იგრძობდა ჩემი ტურების სითბოს.

და შენ თავად სად ხარ, ჩემო ძვირფასო ძმაო? სად წაიკითხავ ჩემს უსტარს? მე არაფერი ვიცი იმ ადამიანებზე, შენ გარშემო რომ ტრიალებენ, წარმოდგენა არა მაქვს იმ ხეებსა და სახლებზე, შენ რომ გიცავენ, არც იმ ცის ფერზე, რომლის ქვეშაც ჩემს გზავნილს წაიკითხავ. გნერ ჩემს მდუმარებაზე, რათა შენსას შემოუერთდეს, გნერ, რათა გავანადგურო მანძილი და ჩემი მდუმარებიდან შენსაში გადავინაცვლო. ასე ჩემი მდუმარება შენაც ხდება. მდუმარება ერთადერთი რამაა, სადაც ჩვენ თანასწორნი ვართ. მდუმარება ერთდროულად გვაშორებს და გვაკავშირებს ერთმანეთს. გაუფრთხილად ჯანმრთელობას.

პილატე ძვირფას ტიტუსს

ვიპოვე.

შენი ძმა ისევ შენი ძმა გახდა. ლოგიკამ გამიბარჯვა. ჩემი გონება წესრიგშია.

ყველაფერი ზებუნებრივი გაქრა. ფაქტები უკვე აღარ ეწინააღმდეგება გონებას. პირიქით, ფაქტები ძაფებად გადაეწვინნენ ერთმანეთს, ერთ გუნდად დაიგრაგნენ და ეშმაკურ და უმონწყალო მაქინაციად, ჭეშმარიტ აღმოსავლურ ინტრიგად გარდაიქმნენ; ინტრიგად, რომლის ხლართებში გარკვევა ნებისმიერ ისტორიკოსს ენით აღუწერელ სიამოვნებას განაცდევინებდა. ვერ ვიტყვი, რომ პალესტინა ყოველგვარი საფრთხისგან საიმედოდაა დაცული, მაგრამ ყოველ შემთხვევაში საყოველთაო შემშლილობას ის ნამდვილად გადაურჩა. როცა წერილის კითხვას დაასრულებ, მიხვდები, რომ იეშუსა საიდუმლო უკვე აღარ არსებობს, მხოლოდ იეშუსა საქმელა დარჩა. მის წარმატებით დაგვირგვინებას მხოლოდ რამდენიმე საათი სჭირდება...

გამოსავალი სრულიად შემთხვევით კრატერიოსმა მიკარნახა, თანაც ისე, რომ ამაზე საგანგებოდ არც უფიქრია. მეც დავიხსენი გასაჭირისგან, როცა ანტონიას ციხესიმაგრეში ჩემმა ლეგიონერებმა მასზე ლანძღვა-გინებით იერიში მიიტანეს. არმიის შინაგანაწესის სანიანაღმდეგოდ, ციხესიმაგრის შუაგულ ეზოში კრატერიოსს ფეხი მოერთხა და ვითომც არაფერი, მშვიდად ილუკმებოდა. წყობიდან გამოსული ჯარისკაცები უყვიროდნენ: „ძაღლო! ძაღლო! ბინძურო ძაღლო! წადი სასადაილოში და იქ ხეთქე! წადი სამზარეულოში, ძაღლო!“ კრატერიოსი არ შერხეულა, არც მან დაკარგვია, აუღელვებლად პასუხობდა: „თვითონ ხართ ძაღლები. დაბორილობით ჩემ გარშემო. ხურჯინიდან საქმელი ჩემ გემოზე ვერ ამომიღია“. მე იმ მომენტში გამოვჩნდი, როცა ცოტაც და ბურუსთან ხელჩართულ ბრძოლაში ჩაებმებოდა. კრატერიოსი სახლში შევიყვანე და მისი დილის ვარჯიშებით დავინტერესდი.

– აი, სწორედ ვარჯიშის დაწყებას ვაპირებდი, შენმა ცენტურიონმა კი ყფითა და ღრენით აიკლო იქაურობა.

ოთახის კუთხეში გამამხნევებელი ვარჯიშის შესრულების ნება დავრთე. ცოტა ხანში შვებით ამოიკვნესა, მუცელი მოისუფთავა და მწუხარება გამოთქვა იმის გამო, რომ მსგავსი წარმატებით შიმშლს ვერ იცხრობდა. შემდეგ ორივემ თერმებს მივაშურეთ.

...მარმარილოს ოხშივარი ასდიოდა.

– იცი, რატომ მიყვარს აბანოები? აქ სიშიშვლე ყველა ადამიანს თანასწორს ხდის. არც ტოგა გჭირდება და არც მენამული მანტია, რათა ერთნი აღაზვეო, სხვანი კი გასრიოს.

კრატერიოსმა აქაც წარმატებით მოახერხა რამდენიმე სკანდალის პროვოცირება. თავიდან ათლეთური აღნაგობის, დაკუნთულ და ზეთით ტანგაპოხილ რამდენიმე ახალგაზრდა მამაკაცს გადაეკიდა. ჩანდა, რომ ჭაბუკებს ფიზიკური ვარჯიშები უყვარდათ – ერთმანეთს ეჭიდავებოდნენ, სიმძიმეების აწევში ეჯიბრებოდნენ.

– ლამაზი მამაკაცი, განათლებასა და კულტურას არასოდეს რომ ზიარებია, ძმრით საცხე მარმარილოს ამფორას მაგონებს. მე თქვენ მეცოდებით! უფრო მეტ დროს ვარჯიშს სწირავთ, რათა უფრო სწრაფად ირბინოთ და ბადრო რაც შეიძლება შორს გასტყორცნოთ. არც კი ფიქრობთ იმაზე, რომ პატროსანი და მნივრობანი ადამიანები გახდეთ. რა ეპიტაფია ამოიტვიფრება თქვენი საფლავის ქვაზე? დაწერენ, დაკუნთული იყო?

შემდეგ კრატერიოსმა თავისი აგრესია იქვე მჯდომ განაზებულ ყმაწვილს დაატეხა თავს, ათლეთთა მიმართ მეტისმეტ დაინტერესებას რომ იჩენდა:

– ბუნებამ მამაკაცად შეგქმნა. შენ კი გინდა, ქალად იქცე და მდგომარეობა გაიუარესო?

ბოლოს, როგორც იქნა, კრატერიოსის იზოლირება მოვახერხე: ორთქლის ოთახში შევათრიე, თუმცა ვიცოდი, რომ მხოლოდ სიცხე უყვარდა და იქ დიდხანს ვიმასლაათეთ. გამომიტყდა, რომ იეშუათი სულ უფრო მეტად იყო დაინტერესებული, ის მაღალი კლასის ფილოსოფოსად, თავის დარად და დიოგენეს მოძღვრების მიმდევრად მონათლა, ვინაიდან ნაზარეველის იდეალს გზებზე ხეტიალი, ადამიანთა გამოწვევა და მათი დახვევა, დაფიქრება და განსხვავებული აზროვნებისკენ მოწოდება

წარმოადგენდა.

– როგორც დიოგენემ, მანაც უარი თქვა მატერიალურ კეთილდღეობაზე, შეეღობა მთელ თავის ავლა-დიდებას, ზურგი აქცია ოჯახს, მომთაბარე ცხოვრება ამჯობინა და დასჯერდა მოწყალებას. მისთვის მიუღებელი იყო ადამ-ჩვეულებანი და პირობითობა, არ ცნობდა არც ერთ წინასწარ დადგენილ კანონს. ერთადერთ სიმდიდრედ მხოლოდ სათნოებას მიიჩნევდა. გუებნები, პილატე, იმ ებრაელმა, ისევე როგორც მე დიოგენეს მიბაძვით, მოკლე, ძალღური გზა არჩია.

– როგორ გესმის მისი ჯვარზე სიკვდილი?

– აქ გასაგები არც არაფერია. ჭეშმარიტ ბრძენს სიკვდილის არ ეშინია. მან ბრწყინვალედ უწყის, რომ სიკვდილი არაფერია. ამ დროს ცნობიერება არ იტანჯება, უბრალოდ ქრება. სხეულის გახრწანასთან ერთად იხრწნება გონებაც, სურვილებიცა და შიშიც. სიკვდილი ტანჯვის ყოველგვარ შესაძლებლობას გვაცლის ხელიდან. მას ისე უნდა ველოდოდ, როგორც ნეტარებას. სხვათა შორის, ეს ერთადერთი გზაა, ბრძენი რომ გახდეს: მოიხზრო საკუთარი სიკვდილი, როგორც მომავალი დღესასწაული.

მე ჩემი მხრივ კრატერიოსის ისტორიის გაგრძელება მოვუთხრე: ცხედრის გაუჩინარება, მკვდრებით აღდგომა, მიყოლებითი გამოცხადებანი.

ფილოსოფოსმა მხრები აიჩინა.

– შეუძლებელია!

– ამას ვუჩინებ საკუთარ თავსაც, მაგრამ როგორ შეიძლება ეს აიხსნას?

– ამაზე ადვილი არაფერია. თუ ცოცხალია, ეს იმას ნიშნავს, რომ ის ჯვარზე არ აღსრულებულა.

კრატერიოსის მტკიცების არსს, სიმართლე გითხრა, უმაღლეს ვერ ჩავწვდი. მჭირდებოდა სულ რაღაც ერთი დეტალი, ერთი უცნაური დეტალი, მის ჰიპოთეზას ჩემში ინტერესი რომ აღედგა.

შუა დარბაზიდან ჩვენამდე აღშფოთებულ ადამიანთა ხმები აღწევდა. საორთქლავიდან გამოვედი და რას ვხედავ: ახალგაზრდები დგანან და ვიღაც მოხუცს უტიფრად ლანდლავენ, უფრო სწორად – მოჩვენაურ კანგადაკრულ ჩონჩხს, რომელსაც კრეტის ცისფერი ფილებით მოპირკეთებულ აუზში ჭყუმპალაობა განეზრახა. კაცს კანზე მკვდარი ქსოვილებისგან წარმოქმნილი ქერტი ეკიდა, აქა-იქ ჭრილობა გახსნოდა და ჩირქი სდიოდა.

ახალგაზრდები პროტესტს ყვირილით გამოხატავდნენ, მისგან აუზის სასწრაფოდ დატოვებას ითხოვდნენ. შენი ჩირქით აქაურობა მოსვარეო, არ ცხრებოდნენ. მოხუცი ცენტურიონი ცივი წყლის აუზში ცურავდა და მგონი, მათი კატეგორიული მონოტემა საერთოდ არ ესმოდა.

სწორედ ამ დროს მესხიერებაში ამომიტივტივდა სურათი, რომელმაც წინა დღეებში, ვერ ვიტყვი, თავით ფეხებამდე შემძრა-მეთქი, მაგრამ ახლა მუცელში დარტყმული მუშტივით გამახსენდა: როცა იოსებ არიმათიელის მამულში გადამაღულ გვამს ვეძებდი, ერთ მაღალ, ფერმკრთალ მამაკაცს მოვკარი თვალი. დაჭრილი იყო და შეწუხებული მსახურები თავს დასტრიალებდნენ... იქნებ ის მამაკაცი სულაც იეშუა იყო? გამოჯანმრთელების გზაზე დამდგარი იეშუა, რომელიც ვერც კაიფას მსტოვრებმა და ვერც მე ვერ ამოვიცანით? ბუნებრივია, ჩვენ ხომ მიცვალებულს ვეძებდით და არა ცოცხალ ადამიანს!

მაშინვე დავტოვე თერმები, რათა ამ ახალგამომცხვარ მოსაზრებაზე უფრო მეტი სერიოზულობით მეფიქრა. ძიება გაგრძელდება, ჩემო ძვირფასო ძმაო და მე უკვე ამ საღამოსვე შევძლებ შედეგებზე მოგწერო.

იეშუა ცოცხალია. ის ლაპარაკობს, დადის, ჩვენსავით სუნთქავს და ეს იმის გამო, რომ არ მომკვდარა.

დავებრუნდეთ მისი ჯვარცმის დღეს. დაახლოებით შუადღეს წამების ადგილზე სამ სიკვდილმისჯილ ვაგზავნი: ორ ავაზაკს და ნაზარეტელს. იეშუას რიგმა ბოლოს მოუწია – ჯვარზე დაახლოებით პირველის ნახევარზე გააკრეს. ხუთი საათის მიწურულს იოსებ არიმათიელი ჩემთან სასახლეში მობრძანდება და მაუწყებს, რომ იეშუა უკვე გარდაიცვალა და მის დასაფლავებას არაფერი უდგას წინ. მსგავსი გადამწყვეტილება ხელს მაძლევს, იმიტომ, რომ ებრაული პასექი მკვდრების სამი დღის განმავლობაში ღია ცის ქვეშ დატოვებას მიკრძალავს. ვაგზავნი ბურუსს, რათა იეშუას სიკვდილი გადაამოწმოს. ბურუსი გარდაცვალებას მიდასტურებს. ამის შემდეგ ორ დანარჩენ ავაზაკსაც ამოდიან სულს. მე ვბრძანებ, რომ სხეულები ჩამოხსნან და მიწას მიბარონ.

ჩემი პირადი ექიმი ფორმალურობის მომხრეა და კატეგორიულად აცხადებს: ასე სწრაფად არ კვდებიან!

რა თქმა უნდა, აჯობებდა სერტორიუსისთვის თავად დაგვედო ყური, როცა დღეს წამებებსა და აგონიაზე მთელი ლექცია წამიკითხა. ამისნა, რომ თურმე ჯვარცმული ჭრილობებისგან არ კვდება, რაგინდ მტკივნეულიც უნდა იყოს ის, არც სისხლისგან იცლება ფიცრებზე გაკვრისას. არა, ჯვარცმა სიკვდილით დასჯა არ არის, წამებაა. მსჯავრდადებული ნელ-ნელა აღესრულება. ჩვენ, კანონმდებლები სასჯელის ამ ფორმას როცა ვირჩევდით, ვგულისხმობდით, რომ ხანგრძლივი აგონია ბოროტმოქმედს საკმაოდ დროს აძლევს საიმისოდ, რომ ჩადენილ დანაშაულებათა მთელი საშინელება და სიმძიმე გაისიგარდგანოს. სერტორიუსის აზრით, რომელსაც უყვარს მედიკო-იურიდიული შედარებები, ჯვარცმას მნიშვნელოვანი უპირატესობები აქვს, ვიდრე ტრადიციულ ქვებით ჩაქოლვას, ებრაელები ასე ხშირად რომ მიმართავენ. ხალხი სიკვდილმისჯილებს ქვას ესვრის და ამით შურისძიების წყურვილსაც იკლავს და ძალადობისკენ სწრაფვასაც იკმაყოფილებს. მჩქეფარე ემოციებისგან გათავისუფლება თავისთავად სასარგებლო პროცესია, მაგრამ კვანძის გახსნა წარმოუდგენლად ჩქარდება: თავში მოხვედრილი ქვა საბედისწერო აღმოჩნდება – დასჯილი უცხად კვდება. ჯვარცმა სჯობა კოცონზე დაწვასაც, რომლითაც ისჯება მამაკაცი, რომელიც სიდედრთან სექსუალურ ურთიერთობაში ამხილეს. სჯობა გამდნარი ტყვიის ყელში ჩასხმასაც, თუმცა ეს მეთოდი გვამის შენარჩუნებისა და მისი დასაბრუნებლად დასვენების საშუალებას იძლევა. ჯვარცმა, ყველა ჩვენი ექსპერტის აზრით, მკაფიოდ გამოკვეთილი ორმაგი უპირატესობით ხასიათდება. ესაა ხანგრძლივი წამება, რომელიც ბოლოს და ბოლოს სიკვდილით გვირგვინდება და სანახაობა, რომელიც ხალხს შიშის ზარს სცემს. სერტორიუსი ქვად დაიღვარა ჯვარცმის სიმბოლური ღირსებების შესახებაც: როცა ქურდი ისჯება, ჯვარზე გაკვრისას ლურსნებს ხელებში ურჭობენ, რომელსაც ქურდობისას იყენებდა, ასევე ფეხებშიც, გაქცევაში რომ ეხმარებოდა. მოკლედ მოგვჩი, ჯვარცმა რომაული სასჯელია და არა ებრაული.

რისგან კვდება ჯვარცმული? ასფიქსიისგან, ანუ სული ეხუთება. სხეულის მთელი სიმძიმე ხელებს აწვება, თორაქსი – გულმკერდი უკიდურესად იჭიმება და კუნთების სრულ პარალიზებას იწვევს. ადამიანს კრუნჩხვები ეწყება, უჭირს სუნთქვა და ნელ-ნელა ჰაერის უკმარისობისგან იხრჩობა. სერტორიუსს დავაგაღლე, წიგნებში მოეძებნა და ზუსტად ეთქვა ჩემთვის ასფიქსიის ხანგრძლივობა. ფილოსოფოსი ორჭოფობდა.

– საშუალოდ... ძნელია თქმა... საჭიროა დამატებითი პარამეტრების გათვალისწინებაც. მხედველობაში მაქვს დაკარგული სისხლის რაოდენობა, ქრილობების ანთებითი პროცესი, მცხუნვარე მზის ზემოქმედება თავის ქალაზე... ისიც უნდა აღინიშნოს, ზოგიერთი ადამიანის ფილტვები და თავი უფრო მეტადაა მიდრეკილი სისხლის ჩაქცევებისადმი... მოკლედ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჯვარცმული დაახლოებით სამ დღეს ანდომებს სიკვდილს.

– სამ დღეს?

– ამბობენ, რომ განსაკუთრებული ფიზიკური მონაცემების ადამიანებს ათი დღის თავზე ამოსვლიათ სული. მაგრამ მსგავსი შემთხვევები იშვიათია.

– გამოდის, რომ ხუთსაათიანი ჯვარცმა სასაცილოდ მოკლე ვადაა.

– ყოველ შემთხვევაში, არასაკმარისი. ჩვენ გვინახავს ისეთი ჯვარცმულებიც, ჯვრიდან ჩამოხსნიდან ერთ დღეში რომ მოეგნენ გონს და მშვენივრად გრძნობდნენ თავს, თუ გამოვრიცხავთ, რა თქმა უნდა, ზოგიერთ არც ისე საგანგაშო გართულებებს. აი, სწორედ შემოწმების მიზნით დაიწყეს წვივის ძვლის მსხვრევაც.

ექიმმა თავის ინსტრუმენტებში დაიწყო ქექვა და ცოტა ხანში ჯვარზე გაკრული ცვილის ფიგურა ამოიღო. ეს იყო პატარა მაკეტი, რომელიც დაახლოებით საზარდულამდე მწვდებოდა. სენტორიუსმა ჯვარი კედელში გარჭობილ ლურსმანზე დაკიდა და ნაჯახს დაავლო ხელი.

– შეხედე ამ თვალსაჩინოებას, რომელიც საგანგებოდ ჩემი ლექციებისთვის ჩამოვასხი. ჯვარცმული ფეხებს ეყრდნობა, ამის გამო ხელებს შედარებით ნაკლები სიმძიმე აწვება. სანამ გამძლეობა ეყოფა, ჯვარცმული სუნთქავს. თუ სიკვდილის დანქარების აუცილებლობა დადგება, მას დიდი წვივის ძვლებს გადაუმსხვრევენ.

ნაჯახის მოქნევით მან ცვილის ფიგურას ფეხები გადაუჭრა. თოჯინა ჩაიკეცა და მთელი ძალით ხელებზე დაეკიდა.

– მსგავს შემთხვევაში, ჯვარცმული სწრაფად იგუდება. თავის დაზღვევის მიზნით, ჯვრიდან ჩამოხსნამდე სიკვდილმისტილი ასე მოწმდება.

გამოვიძახე ბურუსი, რომელსაც ჯვარცმულთა შემოწმება დაევალა. ცენტურიონმა მოგვახსენა, რომ იმ ორ ავაზაკს, ჯერ კიდევ რომ სუნთქავდნენ, წვივის ძვლები გადაუმსხვრია. და რომ იმეუსა კოჭებისთვის ხელი არ უხლია, იმიტომ, რომ ის უკვე გარდაცვლილი იყო.

– რატომ ხარ ასე დარწმუნებული, რომ მკვდარი იყო?

– მკერდში შუბი გაურჭვეს და არც განძრეულა.

– თუ გულწასული იყო, არც მაშინ გაინძრეოდა.

– რა თქმა უნდა. მაგრამ შუბი ნამდვილად გაურჭვეს მკერდში. გულწასულიც რომ ყოფილიყო, ნებისმიერ შემთხვევაში მოკვდებოდა.

სერტორიუსი ჩემსავით სკეპტიკურად განწყობილი ჩანდა. ყოველი დარტყმა არ არის მომაკვდინებელი, ჩვენ საკმაოდ ხშირად ვომობდით და ამაში არაერთხელ დავრწმუნდით.

ექიმთან გამოვიძახე ჯარისკაცი, რომელმაც სასიკვდილო შუბი სტყორცნა ჯვარცმულს: დაბალი და ჯმუხი მარსელელი, ერთ ზოლად გადაბმული დაბუჩქული წარბებით თვალებს ზემოთ.

– შეგიძლია ზუსტად გვიჩვენო, როგორ ისროლე?

ჩაფსკვნილმა ჯარისკაცმა შუბს ხელი დაავლო, მიუახლოვდა თვალსაჩინოებას და მკერდში გაუქანა. ცვილმა წინააღმდეგობა შეაგება, შუბის წვერი გვერდზე გასრიალდა. იმიტაციის სცენაში ჩარეული ჯარისკაცი შუბს მთელი სხეულით დააწვა.

ჯმუხმა სიამოვნებით ამოიხვნეშა.

– ახლა უფრო ადვილად შევიდა. მოკლედ, ასე იყო, რა. პირდაპირ გულში გავარჭვე.

ექიმს მივუბრუნდი.

– თქვენი აზრი მაინტერესებს.

– ვფიქრობ, რომ გული მეორე მხარესაა.

ორივე შეუკავებელმა ხორხოცმა აგვიტანა. ვგრძნობდი, რომ წინა დღეებში გადატანილი ტკივილების სიმძიმისგან ნელ-ნელა ვთავისუფლდებოდი. რაც უფრო მეტს ვიცინოდით, მით უფრო მსუბუქად ვსუნთქავდი.

ჯარისკაცმა წარბები შეიჭმუნა და ხელის მტევნები მუშტებად შეკრა. ბრახისგან სახე სულ გამოუყეყინდა. შუბლი ისე დაუვიწროვდა, მაიმუნისას დაემსგავსა.

– მკვდრისა და ცოცხლის გარჩევას როგორმე ვახერხებ!

– მართლა? – ზიზღით დაეკითხა ჩემი ექიმი, – საინტერესოა, როგორ არჩევ. წარმოიდგინე, მეც ვცდები ხოლმე. თუ, რა თქმა

უნდა, გვამი რუდუნებით დეტალურად არ შევამოწმე.

– გარწმუნებთ, რომ შუბი არ ამიცდენია, ღრმად გავარჩე. ზედაც დავაწევი. ამის დასტური მკერდიდან გადმოღვრილი სითხეა. იცით, როგორ ამოხეიქა?

– ამოხეიქა? – გაიმეორა ექიმმა, – წარმოუდგენელია, მკვდარი სხეულიდან შადრევანმა ამოხეიქოს. შეიძლება მხოლოდ ყავისფერმა, თითქმის შედედებულმა სისხლმა გამოჟონოს და ისიც დიდი გაჭირვებით. რა ამოხეიქვაზე მელაპარაკები? გამორიცხულია! ერთ რამეში ნამდვილად შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ: ჯვარცმული შემონძების მომენტში ჯერ კიდევ ცოცხალი იყო.

– ის ჩემმა შუბმა განგმირა!

– შუბით დარტყმა არ არის საკმარისი. ჯობია, გაიხსენო, როგორი იყო სხეული, როცა ჯვრიდან ჩამოხსენი, თბილი? ნელთბილი? ცხელი? ცივი? ჯერ კიდევ დრეკადი თუ უკვე გაყინული? მოგვიყვი ყველაფერი.

ჯარისკაცს სახეზე ალმური გადაეკრა. იატაკს მიაშტერდა. ექიმს ესტაფეტა წავართვი და ვუბრძანე, დაუყოვნებლივ გაეცა შეკითხვებზე პასუხი.

– რა გაეწყობა... რახან ასე გსურთ... დაკვირვება ჩვენთვის თითქმის შეუძლებელი იყო. ამ დროს ჩვენ იმ ორ ქურდს ვხსნიდით.

– რას ამბობ! განა, იეშუა ჯვრიდან ჩემმა ჯარისკაცებმა არ ჩამოხსენს?

– ჩვენები ხსნიდნენ იმათ, ვინც გვერდებზე ეკიდნენ. უპატრონოები იყვნენ, ოჯახი არც ერთს არ ჰყავდა. რაც შეეხება იმას, შუაში რომ ეკიდა, ანუ ნაზარეველს, ბევრმა გამოთქვა სურვილი, მისთვის მიეხედა, იქ უამრავი ადამიანი მოგროვდა. ერთ-ერთი აი, ის იყო... შენს სანახავად რომ მოვიდა...

– იოსებ არიმათიელი!

– ჰოდა, იმის გამო, რომ ძალიან ვჩქარობდით...

ჩემო ძვირფასო ძმაო, დანამდვილებით გამიჭირდება იმის თქმა, თუ რა განცდები დამეუფლა იმ მომენტში: განვრისხდი თუ შვება ვიგრძენი; მე მაინც მძვინვარება გავითამაშე და ჩემს ჯარისკაცებს ანტონიას ციხესიმაგრის სატუსალოში ვუკარი თავი. გამგებელმა სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას დაშვებული ნებისმიერი დაუდევრობა მკაცრად უნდა დასაჯოს. მე ალბათ გონების დაკარგვას ავტორიტეტის დაკარგვას ვამჯობინებდი. უდიდესი შვება ვიგრძენი, ყველაფერს ნათელი რომ მოეფინა. დილეგში შეყრილმა სხვა ლეგიონერებმაც დამიდასტურეს, რომ ნაზარეველისთვის თითი არ დაუკარებიათ. ერთ-ერთი, აქაოდა, ნამეტანი გამოცდილი ვარო, ბაქიბუქს მოჰყვა და ჩემთვის ფრიად სასარგებლოდ გამანათლა:

– ჩვენ ის ორი ავბაბი ჯვრიდან თვალის დახამხამებამი ჩამოვხსენით. იმ ებრაელებს კი იმ ერთისთვისაც ვერ მოებათ თავი. ჩანდა, რომ საქმისა არა გაეგებოდათ რა. ფეხიდან დიდი ლურსმნის ამოძრობა სამჯერ სცადეს. ჩვენ ვიცით, როგორ უნდა მოვექცეთ უსიციო ხორცს. ვის აქვს ცერემონიების თავი! ისინი კი ისე ელოლიაგებოდნენ, გეგონება, ის გაფშკინებული გვამი რამეს გრძნობდა.

ამ საღამოს მივხვდი, რომ პალესტინის მიწაზე ერთი დაუძინებელი მტერი მყავს; მტერი, რომლის არსებობა გულში ეჭვადაც არ გამოვილია; მტერი, თითქმის რომ დაგვიხვია მეც, კაიაფაც, სინედრიონიც, იეშუას მოწაფეებიც და არ გამოვრიცხვ, თავად იეშუაც. მხედველობაში მყავს იოსებ არიმათიელი. ხვდება და წინასწარ განჭვრეტს ყველაფერს. შესაბამისად უსწრებს კიდევ მოვლენებს. შეუძლია ნებისმიერს გზა-კვალი აუბნოს, თავის სასარგებლოდ ირგებს კანონებსა და კალენდარს. აი, ვინ არის იოსებ არიმათიელი. ერთი მიზანი ამომრავებს მხოლოდ – ყველანი გაგაცუროს! მან მშვენივრად უწყის, რომ სამდღიანი პასევი კრძალავს ჯვრცმულის ღია ცის ქვეშ დატოვებას. ამიტომაც ამ კოზირის თავიდანვე თავის სასარგებლოდ გამოყენებას ცდილობს. იეშუა, რომელიც პასევის დაწყების წინა ღამეს დაიჭირეს, გაასამართლეს და სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს, ჯვარზე სიკვდილს ნამდვილად ვერ მოასწრებდა; სასჯელის ადგილისკენ მიმავალი ჯვარს თვითონ კი არა, ისეგბის თანამზრახველი მიათრევს, რომელიც ცდილობს, სიკვდილმისჯილს ძალების დახრკვამში დაეხმაროს და თან მოქმედების გეგმა გააცნოს. ხუთი საათის მიწურულს იეშუა თავს მკვდრად მოიკატუნებს, არიმათიელი კი ჩემთან სასახლეში გამოვრბის, რათა ნაზარეველის სიკვდილი მაუწყოს. შემდეგ ებრაულ ადათ-ჩვეულებებს მახსენებს და ორი დანარჩენის დასჯას და ბოლოს სამივეს ერთად დასაფლავებას მთხოვს. იოსები თანამზრახველების ხელშეწყობით ცოცხალ-მკვდარს ათავისუფლებს და მისთვის უკვე წინასწარ გამზადებულ აკლამაში ფრთხილად გადაასვენებს. კაიაფას ჯარისკაცებს ბანგით გაჭყიპავს, მიადინებს, ხოლო ღამით დაჭრილს მშვიდად, დაუბრკოლებლად იპარავს. სამი დღით საიმედო ადგილას გადაამალავს და მის მკურნალობას მსახურებს მიანდობს. შემდეგ იწყებს მის დროდადრო ჩვენებას, ოღონდ მცირე დროით, უკიდურესი სიფრთხილით, ალბათ იმიტომ, რომ დაჭრილს ჯერჯერობით ძალები ვერ მოუკრებია.

იოსებს ნაზარეველის მოსალოდნელი სიკვდილი შიშის ზარს სცემს. ამ დღეებში საგრძნობლად ზრდის შეხვედრების რაოდენობას, თანაც ცდილობს, ყველაფერი იდუმალების ბურუსში გაახვიოს. საიდუმლოს შენარჩუნება გარკვეულ მოქმედებებს საჭიროებს. იოსები იეშუას გალილეაში გადაამალავს. თუ ნაზარეველის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდება და მოკვდება, არიმათიელი დაყრის ხმებს, რომ იეშუა მამამისის სამეუფოში ამალელებამდე აუცილებლად გამოეცხადება ხალხს.

თუ სისწრაფეში არ ვაჭობე, იეშუა ყველანაირად ეცდება, ხალხი დაარწმუნოს, რომ მესიაა. რამდენიმე ადამიანს დავავალე, ამ ორი თაღლითის, იეშუასა და იოსების ნაკვალევს გაჰყოლოდა. მათ თავისუფლად შეეძლოთ, მთელი ებრაელობა რომის წინააღმდეგ აემხედრებინათ. ასევე ძირფესვიანად შეეცვალათ ადამიანთა წარმოდგენა კაცობრიობის ჩამოყალიბებაზე. თუ რამდენიმე დღეში ქორებს მკვდრებით აღდგომის შესახებ დაადასტურებენ, გარწმუნებ, დედამიწა აღარ იქნება ისეთი, როგორიც წარმოგიდგენია, ძირფესვიანად შეიცვლება. ებრაული ფილოსოფიის ბურუსი გადაეფარება წყალსაც და ხმელეთსაც.

ამ საღამოს ჩემი ჯარისკაცები მთელ პალესტინაში დაძრწიან, რათა ქეჩოში სწვდენ იმ გაიძვრა იოსებს და მის თანამოაზრე იეშუას. წარმოგიდგენია, ის, რაც თავიდან ერთ პატარა გალილეურ საქმედ მივიჩნიე, შეიძლება სამყაროს წინააღმდეგ მიმართულ შეთქმულებაში გადაიზარდოს!

მაგრამ დამშვიდდი, შენი ძმა მოეგო გონს, სძლია სისუსტეს. როცა ამ უსტარს მიიღებ, ცხადია, ყველაფერი ჩამცხრალი იქნება. შენ უბრალოდ იზრუნე შენს ჯანმრთელობაზე.

პილატე საყვარელ ტიტუსს

– მესმის, რატომ მბრძანებლობს რომი სამყაროზე.

ასეთი აღფრთოვანებული დასკვნა მოაყოლა კაიაფამ ჩემს მოსაზრებებს. გამოცანის ამოხსნით ბედნიერებმა დაძაბულობისგან განტვირთულ გარემოში რამდენიმე ჭიქაც კი მივუჭახუნეთ ერთმანეთს. ლესბოსური ღვინით შეზარხოშებულებს იოსების მიერ არაერთგზის დადგმული ხაფანგი სასაცილოც კი გვეჩვენა. გაპარსული, ანუ ამოუცნობადი იეშუა, ქალები რუდუნებით რომ მკურნალობდნენ ჩვენ თვალწინ, როცა ჩვენ გამწარებულები ვეძებდით გვამს; იეშუა ხანმოკლე გამოცხადებებით, ბუნებრივია, ხანმოკლე, იმიტომ, რომ ის ჯერ კიდევ მკურნალობდა. თუმცა აშკარად ცდილობდნენ, ამ ხანმოკლეობისთვის სასწაულებრივი ხასიათი შეეძინათ. მინდა გითხრა, რომ განსაკუთრებით ვიხალისეთ ამ მაქინაციის ერთ დეტალზე, კერძოდ, საფლავზე დატოვებულ სუდარასა და გადასახვევებზე. როცა იოსები, ასე ვთქვათ, სამუდამო სარეცელზე დასვენებული დაჭრილის წასაყვანად ამობრუნდა, ცხადია, მან იეშუას მოსთხოვა, ტანსაცმელი გამოეცვალა, რათა პალესტინის ვიწრო ქუჩებში ვინმეს არ ეცნო. მან წინასწარ გათვალა, რომ მიაბიტი ადამიანები, როცა იეშუას კუთვნილ ჩვეულებრივ ყოფით და მიწიერ ნივთებს დაინახავდნენ, ადვილად დაასკვნიდნენ, რომ ჯადოქარი სასწაულებრივად ზეცაში გაუჩინარდა.

ჩემი პირველი კოჰორტა იოსების მამულებიდან უკვე მობრუნდა და მისი გაქცევა დამიდასტურა. სახლი დაეტოვებინა, ხოლო საქონელსა და ვენახზე ზრუნვა სამი უძლური ქალისთვის მიეზარებინა. როგორც კი ჩემმა ლეგიონერებმა შეაზღვრეს და ეშმაკები დაუფრთხეს, ქალბატონებმა აღიარეს, რომ იოსები ნათესავებთან ერთად ნაზარეთში იეშუასთან შესახვედრად გაემგზავრა. ჩემი დანარჩენი კოჰორტები კი მთელ გალილეას შეესივნენ.

ერთ რამეში მე და კაიაფა ვერა და ვერ შევთანხმდით. ის დარწმუნებულია, რომ იეშუასა და იოსებს პირი აქვთ შეკრული. მე მიჭირს ამ მოსაზრების გაზიარება.

კაიაფა იეშუაში ნათელგონიერ და შორსმჭვრეტელ თაღლითს ხედავს, ზედმიწევნით რომ იცნობს ხალხის სისუსტეებსა და სურვილებს, გრძობს მათ მაქისცემას. ყოველი მისი დემაგოგიური გამოსვლა მხოლოდ და მხოლოდ მომხრეთა თანდათანობით გადმოზიარებას ემსახურება. ზედმიწევნით აქვს შეგნებული კანონის სიმძიმე, რომლის წნეხქვეშ ებრაელობა გმინავს. მართლმსაჯულება ხომ მისგან კანონის უმკაცრესი მუხლების ყოველდღიურ და სკრუპულოზულ შესრულებას ითხოვს. იეშუა ადვილად დაეხსნება კანონისადმი მონურ მორჩილებას და გაბედულად ყველას გასაგონად განაცხადებს: „შაბათი ადამიანისთვის შეიქმნა და არა ადამიანი შაბათისთვის“. იეშუას ასევე შესანიშნავად ესმის ქალის არასახარბიელო როლი ებრაულ საზოგადოებაში. ქალის მთავარი ფუნქცია ხომ ებრაელთა გამრავლების უზრუნველყოფაა. იეშუა პირფერობს, დაუღალავად ქადაგებს სიყვარულზე და ამით ქალთა გულებში გრძობებისა და ვნებების აგიზგიზებას ცდილობს. ჯადოქარმა იცის, რომ მამაკაცების უმრავლესობა წელში წყდება, მაგრამ ოჯახისთვის საკმარის სარჩოს ვერა და ვერ შთაუღობს. ამიტომაც ქება-დიდებას ასხამს სიღარიბესა და სიდუხჭირეს, კიცხავს და გმობს მდიდრებს. იცის ისიც, რომ პალესტინის მოსახლეობა გათიშული და დანაწევრებულია, ხალხი ერთმანეთსაა გადაკიდებული. აქედან გამომდინარე, იეშუა ავითარებს ძმობის თემას და ქადაგებისას პირფერობასა და მლიქვნელობასაც არ თაკილობს. იეშუამ იცის, რომ ადამიანები გამუდმებით სცოდავენ. ამიტომაც გამოსავალს დიდხანს არ ეძებს და ცოდვების მიტევებაზე ლაპარაკობს.

იეშუამ იცის, რომ ებრაელები ღვთისმოშიშნი არიან და ტრადიციებისადმი განსაკუთრებული ერთგულებით გამოირჩევიან. ამიტომაც გაიძიხის, დასაზრვევად კი არა, ასაშენებლად მოვედით. იეშუა ზედმიწევნით იცნობს საღვთო წერილს, შესაბამისად ძალ-ღონეს არ იშურებს, წინასწარმეტყველებებს ფრთხილ შეახსნა, სასწაულები მოახდინოს და მესიის სახელი დაიმკვიდროს.

იეშუამ იცის, რომ სინდრიონი სასიკვდილო განაჩენის გამოტანას არ დაახანებს, ამიტომაც ცდილობს მოვლენებს ცრუ წინასწარმეტყველებით გაუსწროს.

იეშუამ იცის, რომ თუ სამდღიან პასექამდე გააკრავენ ჯვარს, მალევე ჩამოხსნიან, რადგან ებრაული კანონი კრძალავს სადღესასწაულო დღეებში მიცვალებულის საჯარო გამოვენას. აქედან გამომდინარე, აწყობს საკუთარ დაპატიმრებას და დუმილით აჩქარებს სასიკვდილო განაჩენის გამოტანას.

იეშუამ იცის, რომ ძალებს უნდა გაუფრთხილდეს, რათა ჯვარზე გაკვრას რამდენიმე საათი გაუძლოს: თამაშობს სისუსტეს და გამვლელს ჯვრის თრევას გადააბარებს.

იეშუამ იცის, რომ ჯვრიდან ბინდის ჩამოწოლამდე უნდა ჩამოხსნან: ეშვიდობება ყველას და თავს მოიმკვდარუნებს. მანამდე კი ხალხს უცხადებს, სამ დღეში გავცოცხლდებით. სამი დღე მართლაც მიეფარება თვალს, შემდეგ კი გამოცხადებებს დაიწყებს. კაიაფას ნაზარეტელის გულწრფელობისა არასოდეს სწამდა. მხოლოდ სუსტი და უნებისყოფო ადამიანების შემოსაკრებად გამიზნულ პოლიტიკას ხედავდა. კაიაფა შიშობდა, იეშუას მიმდევრებს ძლიერი ლაშქარი არ შეექმნათ, რომლით მანიპულირებას იეშუა ადვილად შეძლებდა. ლაშქარი, რომლის მთავარი იარაღი რწმენა და გადარჩენის იმედი იქნებოდა.

მე მას ვერაფერს ვუპირისპირებ შეგრძნებების, გაუგებარი შთაბეჭდილებებისა და აზრების გარდა, მე უფრო იმ აზრს ვემხრობი, რომ იოსები იყენებს იეშუას, ხოლო ამ უკანასკნელს სპექტაკლში საკუთარი როლი ჯეროვნად არც აქვს გააზრებული; რომ ჯადოქარმა მართლა დაიჭრა, მკვდრეთიდან რომ მობრუნდა და არ ესმის, თუ როგორ აღიქვამენ მის სიტყვებს ადამიანები. ახსოვს კი საერთოდ რაც მოხდა? იქნებ ჯვარზე ხანმოკლე გულის წასვლას და გონების დაკარგვას ერთგვარ სიკვდილად მიიჩნევს და ჰგონია, რომ მის მერე გაცოცხლდა? საინტერესოა, რამდენად არ არის თავად მკვდრეთით აღდგომაში დარწმუნებული?

კაიაფას ვერ გამოვუტყედი, რომ არსებობდა ადამიანი, რომელსაც ნამდვილად შეეძლო იეშუას უცოდველობაში დავერწმუნებინე. ეს იყო ჩემი მეუღლე კლაუდია პროკოლა. ჩემი ცოლი ყოველთვის ცხოველ ინტერესს ინერდა სხვადასხვა რელიგიისადმი და როგორც ჭეშმარიტ რომაელ არისტოკრატს, ვერავინ დაასწრებდა დემაგოგის ამოცნობას. იეშუამ უშიშრობით დატანჯული კლაუდია ერთგვარად დაამშვიდა და დააწყნარა. მისი წყალობით შეუშრა ცრემლები, შეუწყდა სისხლდენა. იეშუამ კლაუდიას დაკარგული სულიერი სიმშვიდე დაუბრუნა, რომლითაც ბოლო უამს მეც ძალუმად ვისარგებლე. ისიც ცხადია, რომ კლაუდიამ ადვილად ირწმუნა მკვდრეთით აღდგომის, მაგრამ ალბათ შეუძლებელიცაა, ასე

ბრწყინვალედ დადგმული სპექტაკლით არ მოიხიბლო და მონაწილეთა გარდასახვის უბადლო ოსტატობა არ აღიარო. ვის შეუძლია დამიმტკიცოს, რომ იეშუას მართლა სჯეროდა საკუთარი გარდაცვალება და შემდეგ კი მკვდრეთით აღდგომა?

ანტონიას კოშკის თავზე ავედი. განმარტობა მომინდა. სინამდვილეში კი ვერ გამებედა, მცველებთან მეღიარებინა, მათი ფუნქცია რომ ვიტვირთე და ჰორიზონტს მათ შიგნით ვუთვალთვალებდი. ცვდილობდი, იერუსალიმისკენ მომავალ გზაზე მტვრის ღრუბლები გამერჩია. ვერა და ვერ დავაცდენინე საკუთარ თავს, რომ იმ ბულში ჩემი კოჰორტისა და ხელფეხშებორკილი იოსების დანახვა მსურდა...

გაუფრთხილდი ჯანმრთელობას.

პილატე ძვირფას ტიტუსს

ისევ ველოდები.

ყოველ წამს ვპოულობ ახალ მიზნებს, რომლითაც ჩემი კოჰორტების დავგიანების გამართლებას ვცდილობ: ვითვლი მანძილს, სიარულისთვის დათმობილ საათებს, ვითვალისწინებ ცხენების დაღლილობას, სადილისა და დასვენებისთვის აუცილებელ დროს. ზოგჯერ ანტონიას ციხე-კოშკიდან გადმობხტომის, სიცარიელეში გადაშვებისა და გალიელის თავზე ნავარდის დაუოკებელი წყურვილი მიპყრობს. ზოგჯერაც ბრაზი მერევა და ნაპერწკლებს ვყრი, ჩემს ჯარისკაცებს სისუსტესა და მოდუნებას ვსაყვებდურბ. მათ ადგილას მე წამით არ შევყოვნდებოდი, გავაჭენებდი და გავაჭენებდი, არც ვიფიქრებდი და არც ვიყოყმანებდი, ცეცხლს შევუნთებდი ცხენს, უთუოდ მივადგებოდი ფუნდუკს ან ფარებს, სადაც იოსები და იეშუა იქნებოდნენ შეყუქულები.

მე ვერ ვიქნებოდი მეთაური, რომელმაც ბრძანებები გასცა და მათ შესრულებას გულშელონებული მთელი საუკუნე ელოდება. უფრო მეტი სიამოვნებით ჩემი თუნდაც ყველაზე სუსტი ჯარისკაცის ადგილს დავიკავებდი, წვეტიანი შუბით ბურქნარშიც კი შევრგავდი თავს, თივის ზვინებს ავაყირავებდი, გამოვფატრავდი ლეიბებს, გადმოვაპირქვავებდი სკივრებს...

ფაბიენი გამოსამშვიდობებლად მებალა. მისი მოგზაურობა გრძელდება. ამჯერად გეზი მასაც ნაზარეთისკენ აუღია. იეშუას ფენომენი მას მხოლოდ აინტრიგებს და მეტი არაფერი. არ სჯერა, რომ ასტროლოგები სწორედ მის შესახებ წინასწარმეტყველებდნენ. მისი თქმით, იეშუას ამისთვის რამდენიმე ნიშანი აკლია, უწინარეს ყოვლისა, სამეფოსა და თევზების.

– ჯერჯერობით, თუ არ ვცდები, საუბარია მაწანწალაზე, რომელმაც საკუთარ თავზე არაერთი ალაპარაკა. არ გამოვრჩიხავ, რომ შესაძლებელია, ათასობით მტრ-ნაკლებად ტილიანი ებრაელი აიყოლიოს და მიუხედავად ყველაფრისა, ის მაინც არ შეესატყვისება ჩემ მიერ წარმოსახულ ახალი სამყაროს მეუფეს.

მე ვდუმდი, დასავლეთის გზებს თვალს არ ვაცილებდი. ვერ გაგებდე, კლაუდიაზე ჩამომეგდო სიტყვა და მეთოვა, თუ ვინიცობაა, სადმე გადაეყრებოდა, ჩემი დიდი მონატრება გადაეცა.

ფაბიენმა მგონი, ჩემი აზრები წაიკითხა:

– შენ მგონი, ჩემს დეიდაშვილზე ფიქრობ, არა, პილატე?

– კი. სისულელეა ამის განცხადება, მაგრამ სიყვარული გვაუძლურებს.

– პირიქით, სიყვარული უძლეველს გვბდის.

გაკვირვებული შემოვტრიალდი და ფაბიენი ყურადღებით შევათვალეიერე. ჩემ წინ აღარ იდგა ის ყბადაღებული მაცდური მოციმციმე თვალებითა და თავხედური, ოდნავ მედიდური ტუჩებით, ჩაწიკნიკებული ქათქათა მსუნავი კბილებით, არამედ იდგა სევდით შეპყრობილი, მხრებჩამოყრილი ახალგაზრდა მამაკაცი, გამოუთქმელ კაემანს ასე რომ დაემძიმებინა. პირველად ცხოვრებაში ვერც მეტოქე დავინახე მასში, არც შურის გრძნობა აღუძრავს. ის კი არა, მის მიმართ ერთგვარი სიბრაულულით აღვივსე. ფაბიენმა გაიმეორა:

– სიყვარული აძლიერებს ადამიანს. თუ შენ, პილატე, მედგარი, ძლიერი და ურყევი ხარ, იმიტომ კი არა, რომ შესანიშნავი მოცურავე და ან შეუდარებელი მოჭირითე ხარ, არამედ იმიტომ, რომ კლაუდია გიყვარს და კლაუდიასაც უყვარხარ. ვფიქრობ, შენი ნამდვილი ხერხემალი სიყვარულია.

– მსგავსი რამ ჩემთვის არავის უთქვამს.

– ადამიანები არც არაფერს ეუბნებიან ერთმანეთს, ისინი მხოლოდ ყბედობენ.

ფაბიენის საუბრის ტონმა ჩემში დიდი გაკვირვება კი გამოიწვია, მაგრამ სხვა თემაზე გადასვლის სურვილი მაინც არ გამჩენია. ფაბიენს აზრის ბოლომდე გამოხატვის საშუალება მივეცი.

– და შენ, ფაბიენ, არავინ გიყვარს?

– მე? მე დავდევი ყველაფერს, რაც მოძრაობს, მაგრამ ვინმესთან შეყოვნება არც არასოდეს მიფიქრია. მე ერთი დაშლილი ადამიანი ვარ, მამაკაცი, საკუთარი თავის რწმენა რომ დაკარგა. ზოგჯერ, როცა ჩემი თავის მიმართ პატივისცემასაც ვკარგავ, ცვდილობ, ეს რწმენა სხვების მხერაში ამოვიკითხო. ჩემი ფიზიკური აღნაგობა და იერსახე ქალებს მაგნიტივით იზიდავს ლოგინისკენ. მეც მიზიდავენ ისინი. სიყვარულის წყურვილს მხოლოდ სასიყვარულო თამაშებით ვიკლავ. მე ღრმა გრძნობებში სრულიად უნიჭო ვარ, ვერც ვერანაირ ვალდებულებას ვიღებ საკუთარ თავზე. ორი-სამი გადახვევის შემდეგ ვგრძნობ, რომ შეყოვნება უაზრობა იქნებოდა და ამიტომ წინ მივიწვევ. მესმის, რომ უწინარეს ყოვლისა, საკუთარი თავი უნდა აღმოვაჩინო, მერე კი სხვები. უნდა შევძლო გულის გადაშლა, სულიერი სამყაროს გაშიშვლება. მე კი სულის გაშიშვლებას შიშველი უკანალით სეირნობას ვამჯობინებ. რომის თითქმის ყველა ორგიაში მიმიღია მონაწილეობა, მაგრამ ერთი წამითაც ვერ გავხსენი ვერავის. შენ კი, ჩემგან განსხვავებით, მარად შენ ხარ, არ იცვლები და ამის მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ კლაუდიაა.

გამელიმა. ფაბიენმა დაიმორცხვა და თვალები დახარა.

– თუმცა ახლა მაინც მგონია, რომ ცოტა გაშიშვლდი, – ვუთხარი გულწრფელად.

– სრულიადაც არა. ადვილია საკუთარ თავზე აუგის თქმა. ეს თავდაცვის საუკეთესო საშუალებაა. განსაკუთრებით მაშინ, თუ დამატებელ ფორმულებს მოიშველიებ. ისინი ერთგვარად გმოსავენ.

ფაბიენი დამემშვიდობა და წავიდა. ახლა გწერ და თან ვხედავ, თუ როგორ ეფარება ფაბიენი კვიპაროსების ხეივანში ჩემს მზერას. ცხენზე გაჭიმული ნელ-ნელა მიიწევს წინ, უკან სკივრებით დატვირთული ათიოდე მონა მიჰყვება. ვამჩნევ ოთხ ნემსივით გოლიათსაც, მის უსაფრთხოებას რომ უზრუნველყოფენ. ფაბიენი ახალი სამყაროს მეფეს დაეძებს, რომელიც ცხადია, არ არსებობს. სულ ტყუილად შემოუვლის ჩვენს ზღვას. ამაოდ მოელის ცხოვრებისგან რაღაც განსაკუთრებულსა და გამორჩეულს. ცხოვრება მას ვერანაირ ძღვენს ვერ მიართმევს. ეს იდიოტური მოლოდინი მისი მთავარი მიზანი და გატაცება გამხდარა. ეს იდიოტური მოლოდინი, სიცოცხლეს რომ უმწარებს, სხვა არაფერია, თუ არა მისი ნამდვილი ცხოვრება. რატომ აცარიელებენ ადამიანები იმას, რაც სავსეა?

ჩემო ძვირფასო ძმაო, ეს წუთია, ეზოდან ცხენების ფლოქების ხმაური მომესმა. კოჰორტა დაბრუნდა: ჩემი ჯარისკაცები სიხარულით ეხვევიან და ულოცავენ ერთმანეთს. მესმის, რომ იოსები და იეშუა ჩამოიყვანეს.

ვინქარებ შენთან დამშვიდობებას. მთავარი უკვე იცი. დეტალების შესახებ ხვალ მოგწერ.

გაუფრთხილდი ჯანმრთელობას.

პილატე ძვირფას ტიტუსს

ეს-ესაა, დავესწარი ერთ-ერთ ყველაზე უღირს კომედიას, რომელიც ოდესმე ჩემს თვალწინ გათამაშებულა; საშინლად შემეღაბა თავმოყვარეობა, ასე უტიფრად რომ დამცინეს და სრულ გონებაჩლუნგად გამომაცხადეს. ბრაზისგან პირზე დუჟი მომადგა და რაღაც მომენტში მზად ვიყავი, მკვლელობაც კი ჩამედინა. არ ვიცი, რა ეშმაკის მანქანით მოვახერხე ცოფის ჩახშობა. შეიძლება თავის გამასხარავებას მოვერიდე, შეიძლება ზიზღმა მიხსნა, რომელიც აბსურდულის, შეურაცხყოფელი სანახაობის ყურებისას გვეუფლება ხოლმე და ჩვენში ერთგვარ დამბლას, უმოქმედობას იწვევს.

ჩემმა ჯარისკაცებმა, შენ წარმოიდგინე, მხოლოდ იოსები არიმათიელი მომგვარეს, თავისუფალი იეშუა კი, ეშმაკმა უწყის, სად დაქრის. ფრთხილმა ცენტურიონმა ბურუსმა იოსების მამულიდან ყველანი დედაბუდიანად წამოასხა. კი შევათვალე, მაგრამ კადოქარი მსახურთა შორის ვერ დავინახე.

სხდომათა დარბაზი ჩირაღდნებით გაგაჩახახებინე და არიმათიელი დაკითხვაზე გამოვიძახე.

– სად არის იეშუა?

– არ ვიცი.

– სად გადამაღე?

– არ გადამიზღავს. არ ვიცი, სად არის. თავადაც ვეძებ.

დრო არ დავკარგე და მოხუც იოსებს სახეში ერთი გვარიანად ვთხლიშე. ხუთი ჩირაღდნისაგან შეკრული წრის შუაგულში იყო მოქცეული. მოყვითალო განათება ხრჩოლავდა და ტკაცუნებდა.

მე ეპიცენტრის გარშემო ვტრიალებდი და თან ამ უნიჭო მსახიობს მოვუწოდებდი, თამაში შეეწყვიტა. მისი სტრატეგიაც სიტყვასიტყვით გავეშიფრე.

იოსები სარივით გაჭიმული მისმენდა. მტვრიანი და ტალახში ამოგანგლული მოსასხამიდან გამხმარი და გაძვალტყავებული ფეხები უჩანდა. ხელები გაასავსავა და ყველაფერი კატეგორიულად უარყო.

– გეფიცები, პილატე, იეშუა ჯვარზე აღესრულა. აკლდამაში მე მკვდარი ადამიანი ჩავასვენე.

– რა თქმა უნდა, მე არც მოველოდი, რომ შენ უმაღ სიმართლეს დაფქვავდი. შენ, ცხადია, იმასაც დაიფიცებ, რომ იეშუა მკვდრებით აღდგა.

– არა, ამას ნამდვილად ვერასდროს დავიფიცებ, მე ის აკლდამაში დასვენების მერე არ მინახავს.

წითლად დაძარღვეული თვალებიდან ცრემლები ღრმა ნაოჭებით დაღარულ ლოყებზე გადმოეღვარა და ნაცრისფერ წვერში ჩაიკარგა.

– ის ბევრ ადამიანს გამოეცხადა, მაგრამ მე არა. მე მიმანია, რომ ეს უსამართლობაა. იმდენი რამ გავაკეთე მისთვის...

ამჯერად იოსებმა თავი ვერ შეიკავა და ხმამაღლა აბლუქუნდა, მხრები აუკანკალდა.

– ბოლო წამებამდე მე ვვლიდი, მას კი... ურჩევნია, სხვებს, სრულიად უცხო ადამიანებს გამოეცხადოს; ადამიანებს, მისი რომ ეშინოდათ და გაყიდეს.

იოსები ძირს გაიშხლართა, გაიჭიმა, ხელები ჯვრისებრად გაშალა, სახე ფილაქანს მიადო.

– ოო, ღმერთო, მომიტევე, მე მრცხვენია ჩემივე წარმოთქმული სიტყვების, მაგრამ ვერ ვძლიე ექვიანობას. დიახ, ექვიანობას! მე მახრჩობს ექვიანობა. მომიტევე, უფალო.

შეძრწუნებულმა უკან დავიხიე. მზად ვიყავი, იქვე მომეკლა იოსები, თუ ენას კბილს არ დააჭერდა. ნუთუ ვერ შეიგნო, რომ კრეტინი ნამდვილად არ ვარ? მორჩეს ამ მასკარადს და აღიაროს შეთქმულება, რომელიც საიდუმლოს უკვე არავისთვის წარმოადგენს. როცა დამნაშავე თავისი უცოდველობის დამტკიცებას ლამობს, გამყინავი ხმით იწყებს ყვირილს ან დაჭრილი საქონელივით ბლავის და ამით მსაჯულთ ღრმა შეურაცხყოფას აყენებს. აღარ ჩერდება, უკანასკნელი ძალებით ხარკით ღმუის და ყურებს უქედავს დამსწრე საზოგადოებას.



ჭარისკაცებს ვუბრძანე, ბებერი იატაკიდან წამოეგდოთ და დილეგში ჩაემწყვიდიათ. ჩემი დანარჩენი კოჭორტები ამ დროს განაგრძობდნენ მთელი ტერიტორიის ჩხრეკას. ჩემი აზრით, იოსების მფარველობას მოკლებული, ძალაუფლებისა და მორჩილ მსახურთა გარეშე დარჩენილი ნაზარეველი ერთობ უსუსური გახდა. თანამზრახველთა გარეშე ის დიდხანს ვერ დაიმალებოდა. ჩვენ მოთმინება გვმართებდა. მოთმინება! როდენ ადვილია ეს სიტყვა სათქმელად და როდენ ძნელია ამ თვისების გამოვლენა. ორჭოფობას ვერა და ვერ დავალწიე თავი. ტიბერიუსიც ჩემგან პატაკს მოელის, მაგრამ მე ჯერჯერობით მისი დაწერისაგან ჯიუტად ვიკავებ თავს. რა თქმა უნდა, როგორც კი პირველი ეჭვი დამებადა და ვიფიქრე, რომ იეშუა მოზავალი ამბოხის პირველწყარო შეიძლება გახდეს, უმაღლესი განგაში უნდა ამეტეხა. მე კი მთელი ამ დღეების განმავლობაში შემეძინა შთაბეჭდილება, რომ კვანძის გასწავლამდე დიდი არაფერი მრჩებოდა, რომ დღითი დღე უკეთ ვფლობდი სიტუაციას. დაწვრილებით ანგარიშს მხოლოდ მაშინ გავგზავნი, როცა საქმე დაიხურება. რომს მხოლოდ ნატარეხული სამუშაოს შედეგები უნდა გადავცე. ვის რაში აინტერესებს ჩემს ძალისხმევაზე, დარდასა და ორჭოფობაზე თხოვა? ჩემი გულის დარდი, მტანჯველი გრძნობები, ჩემო ძვირფასო ძმაო, მხოლოდ შენ შემიძლია განდო. შენ ხარ ჩემი ერთადერთი მესაიდუმლე. იმედი მაქვს, რომ მიუხედავად ჩემი ყოველდღიური ნაზრევის სიმძიმისა, არ ითრგუნები და თავს კარგად გრძნობ.

პილატე ძვირფასო ტიტუსს

ამჯერად დაჭრილი ადამიანის წერილს კითხულობ. მაგრამ ნუ მკითხავ, რა ადგილას დამჭრეს. ეს არ ეხება მარჯვენა ხელს, რომლითაც რუდუნებით გამოწყავს ასოები, არც მარცხენას – გაშლილ პერგამენტს რომ მიმაგრებს მაგიდაზე. გადარჩა ფეხებიც, რომლებსაც ვეყრდნობი, შენ ხომ იცი, მუდამ მდგომარე ვნერ. იქნებ ფიქრობ, რომ თავში ჩამართყვს? ან მუცელში ჩამცეს მახვილი? ისე, მე ამ ბოლო ვარიანტს ვამჯობინებდი. მერჩვენა, ღრმა ჭრილობა მოეყენებინათ, საიდანაც სისხლი თქემით იღვრება, მაგრამ რომელიც მალე თავს შეიკრავს, შეხორცდება და საბოლოოდ ქრება. არა. მაინც მგონია, რომ უპირანი იქნება, ფაქტები თანმიმდევრობით მოგიყვებ.

ასი შესანიშნავ დღეს გვპირდებოდა. ბოლო უამს პირველად მეძინა ასე დიდხანს. მამლის ყვილმა გამოძინებული და დასვენებული პილატე წამოაყენა ფეხზე. შევხედე ცას, კრილა, ქათამა ცას; რამდენი რამ შეიძლება ზეცაში დატრიალდეს, მის სისუფთავს კი ვერაფერი შებღალავს. ეზოში მეჭინბები უკვე შედგომიან ცხენების დარწყვლებას, კარები ხმაურით იხსნება და იხურება. ანტონის ციხესიმაგრეში ცხოვრება ჩვეულ რიტმს უბრუნდება.

მონამ მაცნობა, რომ ექიმს ჩემი ნახვა სურდა. ვუთხარი, თავად ვეახლებოდი ლაბორატორიაში.

აი, სწორედ იქ, წმინდად გაპარსულსა და სუნამონაპკურებს, მელოდა პირველი დარტყმა. სერტორიუსი ბატის შიგნეულობას სწავლობდა.

– ნაწლავებით წინასწარმეტყველებ? – შევეკითხე მხიარული ხმით.

– არა, მინდა, საქმლის მონელების პროცესს ჩავუღრმავდე.

სერტორიუსმა ხელები შეიმშრალა, მაგრამ ჩვარს აღარ ეშვებოდა და შეცბუნებული იერით განაგრძობდა უკვე შემშრალი ხელების წმენდას. ტაბურეტზე ჩამოვკეცი და ლაპარაკში მისი გამოწვევა ვცადე.

– პილატე, რადგან ვიცი, რომ ნაზარეველის ჯვარცმით იყავი დაინტერესებული, ამიტომ გადავწყვიტე, ეს შემთხვევა უფრო ღრმად შემესწავლა. ამ მიზნით ველაპარაკე მონეებს და მათი ჩვენებები საითათოდ დეტალურად განვიხილე. საუბედუროდ, დაკვირვებების შედეგები მაიძულებს, უარყო ჩემი წინა დიაგნოზი.

– ვერ ვხვდები, რის თქმა გსურს ამით?

– სავარაუდოდ, მეტიც – დასაჯერებელია, რომ ნაზარეველი ნამდვილად ჯვარზე გაკრული გარდაიცვალა.

სერტორიუსი გამწარებული იქექავდა თავს, გეგონება, ამ გაუსაძლისი ფხანის მიზეზი სინდისის ქენჯნა იყო.

– ამას წინათ ყველა საჭირო მონაცემი ხელთ არ მქონდა. ამიტომ ნაზარეველის ჯანმრთელობის შეფასებისას, ვფიქრობ, ცოტა ზედმეტი მომივიდა. ის ხომ წინა ორი დღის უქმელ-უსმელი იყო, რასაც საგრძნობლად უნდა დაესუსტებინა. ამას გარდა, ზეთისხილის მთაზე დაპატიმრების ღამეს შუბლიდან ოფლი კი არა, სისხლი სდიოდა. ეს დეტალი ყველა თვითმხილველმა ძალიან გაიკვირვა. მსგავსი მოვლენა ჩემს ბერძენ კოლეგას, თიმოკრატესაც აქვს თავის ნაშრომში აღწერილი და მიიჩნევს, რომ ეს სხვა არაფერია, თუ არა მეტად მძიმე ავადმყოფობის სიმპტომი. შემიძლია დავასკვნა, რომ ნაზარეველი უკვე ჯვარცმამდე იყო სნეული. იმ დღეს კიდევ ერთი ყურადსაღები დეტალი მომახსენეს: ნაზარეველი ჯერ სამიწილად აწამეს, უმონყალოდ სცემეს, განკეპლეს და მხოლოდ ამის შემდეგ გაუყენეს გოლგოთის გზას.

– განკეპვლას ჯერ არავინ მოუკლავს! – გავაპროტესტე მე.

– მოუკლავს, მოუკლავს, პილატე, ამის უამრავი მაგალითი არსებობს. დამნაშავე ამ დროს უამრავ სისხლს კარგავს, კუნთები უზიანდება. სხვათა შორის, შენმა ცენტურიონებმა ამისხნეს, რომ სიკვდილისჯალებს ტრადიციულად ჯერ წვეპლავენ, რათა ჯვარზე რაც შეიძლება სწრაფად განუტევეთ სული.

– მე განკეპვლა იმითომ კი არ ვბრძანე, რომ მისი სიკვდილი დამეჩქარებინა, არამედ პირიქით, სიკვდილი რომ ამეცილებინა. ვიფიქრე, ეს საკმარისი იქნებოდა ხალხის დასაშოშმინებლად.

– თუ საკითხს მედიცინის კუთხით შევხედავთ, შედეგი იდენტურია. აქედან გამომდინარე, ნაზარეველი ჯვრის ზედა ღერძის გოლგოთას მთაზე ათრევას ფიზიკურად ვერ შეძლებდა. საჭირო გახდა, რომ ეს მის მაგივრად ვიღაცას ეტვიროთ. სხვათა შორის, შენს ლეგიონერებს იმ ებრაელის შემთავაზებაზე უარი არ უქტავამთ, შიშობდნენ, რომ სიკვდილისჯილი ჯვარცმის ადგილამდე ცოცხალი ვერ ააღწევდა. ამ მდგომარეობაში, როცა მაჭებიდან და ფეხებიდან სისხლი თქრიალით სდიოდა, რამდენიმე საათი ჯვარზე გაკვრა სრულიად საკმარისი აღმოჩნდა, რომ ნაზარეველი ასფიქსიით გარდაცვლილიყო.

– მაშ, სისხლი? საიდან განჩნდა სისხლი, რომელმაც იჩქევა, როცა ჯარისკცმა მკერდში შუბი შეასო. შეუძლებელია შედეგებული სისხლი მკვდრის მკერდიდან თქემით გადმოიღვაროს.

– აი, სწორედ მაგის შესახებ მოვიპოვე დამატებით ინფორმაციას, რამაც საბოლოო ჯამში, განსხვავებული დიაგნოზის დასმა

მაფიქრებინა. იოჰანანს, იეშუას ყრმა მოწაფეს, ასევე ჯარისკაცებს თუ დავუჯერებთ, რომლებიც თითქმის ჯვრის ფუძესთან იმყოფებოდნენ, ის, რაც ჯვარცმულის მკერდიდან გადმოიღვარა, წყლისა და სისხლის ნარევეს წააგავდა. ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ შუბის წვერმა პლევრამდე ჩააღწია. გახვრეტისას მცირე რაოდენობით გაჟონილმა სისხლმა პლევრის სითხე შეღება. ასე მოხდებოდა მაშინაც, თუ სხეული უკვე უსულო იყო. დავუშვათ, რომ ნაზარეველი აგონიაში იყო, პლევრის გახეთქვა მაინც მოუღებდა ბოლოს. ვითვალისწინებ რა ყველა ამ დეტალს, თავს მოვალედ მივიჩნევ, განვაცხადო: ასიდან ოთხმოცდაცხრამეტი შანსი არსებობდა იმისთვის, რომ იეშუა ჯვრიდან მკვდარი ჩამოეხსნათ.

– შესანიშნავია, სერტორიუს. მაშინ როგორღა ავხსნათ ის, რომ ნაზარეველი დღეს ისევ ცოცხალია, დადის და ლაპარაკობს? მკვდრებით აღდგომით?

– მკვდრებით აღდგომას ჩემი სამედიცინო პრაქტიკა ნამდვილად არ მოიხზრებს.

– თუ აღდგომა როგორც შენთვის, ასევე ჩემთვის წარმოდგენილია, და 100 შანსიდან 99 სიკვდილის სასარგებლოდ შეტყვევებს, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ ის არ გარდაცვლილა – პირში სული ჯერ ისევ უდგას.

ისე დავტოვე ლაბორატორია, კრინტი არ დამიძრავს, არც ექიმისთვის შემეხედავს. საკუთარი აზრები გადმომილაგა და ამით თავი დაიმშვიდა, შეიძლება სინდისის ქენჯნაც ნაკლებად აწუხებდა. რაც შემეხება მე, შეძვრით კი ვერ შეძრა, მაგრამ ცუდ გუნებაზე ნამდვილად დამაყენა.

ამ დროს მომახსენეს, იოსებ არიმათიელი შეხვედრას და ჩვენების მიცემას აპირებდა. ამან ცოტა გამახალისა: ბოლოს და ბოლოს დადგა დრო, იეშუასთვის ქეროში ჩამეველო ხელი!

ნამდვილად ვერ წარმომედგინა, იოსები ასეთი მშვიდი თუ დამხვედებოდა. როგორც კი დამინახა, სახეზე ღიმილიც კი აღებქდა. განაცხადა, რომ მთელ სიმართლეს გამიზიარებდა, ოღონდ ერთი პირობით: ორივენი იეშუას საფლავთან უნდა მივსულიყავით.

იოსების პირობაში ვერც შესაძლო ხაფანგი და ვერც ეშმაკობა ვერ დავინახე. გამოხედვა მშვიდი ჰქონდა, სუნთქავდა რეგულარულად, როგორც ადამიანი, რომელიც ცოტაც და საიდუმლოს მთელი სიმძიმისგან გათავისუფლდება. იმ საიდუმლოსგან, რომელმაც ასე მოუშხამა და აუმღვრია ცხოვრება.

იოსების თხოვნა დავაკმაყოფილე. ჯარისკაცთა შეზღუდული რაოდენობის თანხლებით იეშუას საფლავს მივადექით.

– აბა, გისმენ, იოსებ, ილაპარაკე.

– შევიდეთ აკლდამაში. იქ ორი რამ უნდა გიჩვენო.

ჯარისკაცებს ვუბრძანე, ლოდი გადაეგორებინათ. რა საშიშროება იმალებოდა იოსების პირობაში? იქნებ აპირებდა, რამე ლუკი ან საიდუმლო გასასვლელი ეჩვენებინა, რომელმაც იეშუას გაქცევის ან დამალვის საშუალება მისცა? უსაზღვრო იყო ჩემი ცნობისმოყვარობა.

იოსებმა გამომშრალი ხელი ჩამავლო და აკლდამის კორიდორში შევრგეთ თავი. ჩემზე უფრო დამფრთხალი ჩანდა.

იოსებმა შესასვლელის დაკეტვა მოითხოვა. შემცბარი ჯარისკაცები შეყოყმანდნენ. იოსების თხოვნას ბრძანების ფორმა მივეცი. ჯარისკაცებმა ძალღონე მოიკრიბეს, ისმოდა ჭინთვა და გახშირებული ქშინვა. ერთი გინებასაც არ მოერიდა. ცოტა ხანში წკვარამი ჩამოწვა. აკლდამაში მე და იოსები სრულიად მარტონი აღმოვჩნდით.

იოსებმა ხელის ცეცხლ-ცეცხებით საფლავის სიღრმეში გამიყვანა და დამსვა. ისე ბნელოდა, ისე ბნელოდა, ვერაფერი გაგარჩიე. სამაგიეროდ, სუფთა და მძიმე სურნელით გაჟღერებული ჰაერით ვსუნთქავდი.

ქვის ცივ კედელს მივეყრდენი და იოსების აღსარების მოსასმენად მოვემზადე.

– რას ვიფიქრებდი, რომ საფლავში ასეთი სასიამოვნო სურნელება დამხვედებოდა.

– აქ ნიკოდემის მიერ მოტანილი აუარება ზმირინი და ალოეა. შენ კარგად იცნობ მნიგნობარ ნიკოდემს, კანონის დიდ მცოდნეს. სწორედ მან ამოატანინა ეს ყვავილები აქ ნაშუადღევს. იეშუა მაშინ ჯერ კიდევ ჯვარზე იყო გაკრული.

– კეთილი, იოსებ, განაგრძე. ყურადღებით გისმენ.

იოსებმა პასუხისგან თავი შეიკავა.

– რის თქმა ან ჩვენება გასურდა, იოსებ?

არიმათიელი ისევ დუმდა.

გრილა? თუ აკლდამა ძალიან ნესტიანია? ან იქნებ ეს ჩაკეტილი ჰაერის ბრაღია? გულისრევის შეგრძნება დამეუფლა.

– იოსებ, არ მეტყვი, რატომ გადაწყვიტე ჩემი აქ ამოყვანა?

– მინდა დაგარწმუნო იმაში, რომ იეშუა მკვდარი იყო.

იოსები ძლივს აბამდა სიტყვებს ერთმანეთს. სუნთქვა უჭირდა. მეც გამიხშირდა გულისცემა და ხარბად დავწაფე ჰაერს.

– იოსებ, დაუჩქარე, ილაპარაკე. ამ სუნის ატანა შეუძლებელია. დიდხანს ვერ გავუძლებ...

შუბლზე ხელი მოვისვი. ოფლი ხვითქით მდიოდა, თუმცა თან ძალიან მციოდა. კი მაგრამ, რა ხდებოდა აქ?

– იოსებ, კმარა! რა ჯანდაბას ვაკეთებთ აქ?

– თავად ვერ ხვდები?

იოსებს ამჯერად საერთოდ მიუნავლდა ხმა. ეს უფრო ხროტინს წააგავდა, რომელიც ცოტაც და საერთოდ შეწყდება. შემდეგ დაცემით გამოწვეული ყრუ ხმა ჩამესმა. ეს იყო ხმაური, მძიმე სხეულის ვარდნა რომ იწვევს.

წელში გავიმართე. ფეხი რალაც რბილსა და თბილს დავადგი. სხეულს გადავაბიჯე და ლოდისკენ გავქანდი, გასასვლელი რომ ჩაეხერგა. შეძლებისდაგვარად ღრმად ჩავისუნთქე და მთელი ძალით დავჭექე. სასწრაფოდ გზის გამოთავისუფლება მოვითხოვე.

ყურში თითქმის არაფერი მესმოდა, ვიფიქრე, დავყრუვდი-მეთქი. სინათლის ერთადერთ ჭავლს მივუახლოვდი და ვეცადე, სუფთა ჰაერი ჩამეყლაპა. ვგრძობდი, რომ კიდევ ცოტაც და გონებას დავკარგავდი. დიდი გაჭირვებით ძალღონე მოვიკრიბე და ისევ ყვირილი მოვრთე. სმენა ხომ დავკარგე, მაგრამ საოცარი ის იყო, რომ იმავე მდგომარეობაში აღმოჩნდა გარე სამყაროც: ჩემს შეძახილებს არავინ გამოხმაურებია. არა, მე ნამდვილად მაქინაცის მსხვერპლი აღმოვჩნდი. ისევ დავიწყე ყვირილი... ყვიროდი... ყვიროდი...

ბოლოს, როგორც იქნა, სინათლის ნაკადმა მრგვალი ფორმა შეიძინა, ლოდიც შეირყა, წელ-წელა ამოძრავდა. ჩემს სმენამდე მოაღწია ჩიტების უვიღ-ხვიღმა, ჯარისკაცების ბილწისტიყვაობამ. ცოტა ხანში მწვანედ მობიბინე ვენახის თავზე თეთრ-მწვანე მზეს მოვკარი თვალი. გამოქვაბულიდან გავვარდი და მდელოზე პირქვე დავემხე.

ჯარისკაცები აკლდამაში იოსების საშველად შეცვივდნენ, რომელიც გულწასული ძირს გაშლართულიყო. გამოასვენეს და გვერდზე მომიწვინეს. გვასხურეს წყალი მათარიდან, გვირტყეს ლოყებზე, რათა ცოტა ფერზე მოვსულიყავით, თან გამუდმებით გველაპარაკებოდნენ.

წელ-წელა ვიბრუნე სიცოცხლისკენ პირი, გონზეც მოვედი და გავიფიქრე, რომ ძალიან მომწონდა ჩემი ჯარისკაცების ფაციფუცი, მომწონდა ეს უხეში გლეხური სახეები, საიდანაც ღიმილს ყოველგვარი დარდისა და ჭმუნვის ნაკვალევი გაქრო.

იოსები ფერზე მოსვლას ჩემზე უფრო დიდხანს მოუნდა. ბოლოს, როგორც იქნა, დავინახე, თუ როგორ ახედა ცას ასაკობრივი კატარაქტის ფენებისგან თითქმის გათეთრებული ცისფერი თვალებით.

– ახლა მაინც ვერ მიხვდი?

რა თქმა უნდა, მიხვდი. სხეულის გახრწნის სუნის გასაქრობად და მიცვალებულის უკანასკნელ გზაზე გასაცილებლად შემოტანილ მძაფრ სანელებლებსა და სურნელოვან ბალახებს გამოქვაბულში ჰაერი მომაკვდინებელი გაეხადა. ზმირინისა და ალოეს არომატი კი სუნთქვას კრავდა და ასფიქსიას იწვევდა. იეშუა გნებავთ მომაკვდავი, გნებავთ ჯანმრთელი, აგრერიგად მონამულუ ჩაკეტილ სივრცეში დიდხანს ვერ გაძლებდა.

ჯარისკაცებმა წამოგვაცენეს და შადრევანამდე მიგაცილეს, სადაც ლეღვის ჩრდილს შევაფარეთ თავი.

მე მაინც ვერ ვიჯერებდი იოსების ახსნა-განმარტებით ჩვენებას. ვინ დამიმტკიცებდა, რომ ეს ბალახ-ბულახი აკლდამაში იეშუას იქიდან წასვლის შემდეგ არ შეყარეს? ან იქნებ იმ დროს, როცა ჯადოქარი იქიდან გაჰყავდათ?

იოსებმა, გეგონება, ჩემი აზრები შუბლზე წაიკითხაო:

– გარწმუნებ, ნიკოდემმა თავისი ძღვენი მიცვალებულის დასვენებამდე ამოიტანა.

იოსების ახსნამ ვერაფერშიც ვერ დამარწმუნა. აქ ისევ მორიგ ჩვენებაზე იყო ლაპარაკი. იეშუას საქმეში მოწმეთა ნამდვილი კორიანტელი იდგა. ჩვენებაზე სათუო და საეჭვო რა უნდა იყოს? როგორ უნდა ენდოს ადამიანი ამ ებრაელებს, რომლებსაც ნებისმიერ შემთხვევაში იეშუაში თავიდანვე მომავალი მესია სურდათ დაენახათ?

იოსებმა გამიღიმა და ლაბადის ნკეცებში ხელი მოაფათურა. მალე ჩემთვის კარგად ცნობილი ბაფთით შეკრულ და მიმოზას ტოტგარჭობილ პერგამენტს მიაგნო.

გამაურჯულა.

იოსებმა უსტარი მომანოდა. მიხვდა, რომ მიხვდი. კლაუდიამ მას ჩემთვის გადმოსაცემი წერილი ანდო.

– ვის დაუჯერო? ვის არ დაუჯერო? ჩემო კეთილო პილატე, – ამოიოხრა იოსებმა, – ვიცი, რომ მხოლოდ ერთი ადამიანისას შეისმენ. ნაიკითხე.

პერგამენტი გავშალე.

„პილატე,

ჯვრის ფუძესთან ოთხი პირბადეჩამოფარებული ქალბატონი იდგა: მირიამ ნაზარეველი – დედამისი, მირიამ მაგდალელი, ყოფილი მეძავი, იეშუას რომ ნაზად უყვარდა თავისი სიკეთისა და გონიერებისათვის, სალომე – იოჰანანისა და იაკობის დედა (ეს ის მოწაფეები არიან, უბედურ იეშუას დედას გვერდში რომ უდგნენ) და მეოთხე შენი მეუღლე, პილატე. ამის თქმა ვერც შენ და ვერც სხვას ვერავის შევბედე. აბრეშუმის რამდენიმე ფენა ჩამოვიფარე სახეზე, რათა ვერავის ამოვეცნე. ჩემს თანმხლებ ქალბატონებსაც კი. შემიძლია დაგარწმუნო, რომ ჩვენ გავახვიეთ იეშუას გაყინული სხეული სუდარაში. ის ნამდვილად მკვდარი იყო. სასოწარკვეთილმა იმდენი ცრემლი ვღვარე იმ საღამოს... მაშინ სულელი ვიყავი. ბოლომდე არ მჯეროდა მისი. ამჟამად კი ნათელი გადმომეფინა. სასწრაფოდ შემომიერთდი ნაზარეთისკენ მიმავალ გზაზე. მიყვარხარ.

შენი კლაუდია“.

პილატე ძვირფას ტიტუსს

ორი დღე ისე გავიდა, შენთვის ერთი სიტყვაც არ მომიწვია. ძალიან შორს ვიყავი ყველაფრისგან, საკუთარი ფიქრებისგანაც კი. თავში ბუნდოვან შთაბეჭდილებათა ქარბუქი მიტრიალებდა. ვერც ერთმა ვერ მოიკიდა ფეხი ჩემს მესხიერებაში, კვალის ნატამალიც კი არ დატოვა. ვერც ერთი ვერ გაიფურჩქნა და ვერ გადაიზარდა მოსაზრებაში, ვერ

შეიმოსა შესატყვისი ფორმულირებით. წარმოდგინე, მკვდარი ფოთლები, ქარი გაურკვეველი მიმართულებით რომ მიერეკება.

ერთდროულად ორი სენი შემეყარა – სიყრუე და სიმუნჯე. აღარაფერი მაინტერესებს. არც ის, რასაც მომახსენებენ, ან აღმიწერენ და არც ის, რასაც მთხოვენ. ორმა გულგრილობამ შემიპყრო. მენახა მოყირჭებულ ადამიანთა გულგრილობა, არაფერი რომ არ უკვირო, ვერაფრით რომ ვერ გააოცებ. მაგრამ არაფერი გამეგებოდა იმ უემოციოებისა, მე რომ დამრია ხელი. ინდიფერენტულობა შოკირებული ადამიანისა, რომელიც ერთხელ უკვე ძლიერ გააკვირვებს და აღარ სურს, მსგავსად ხელმეორედ შეძრან. სამყარო შიშისმომგვრელი, განახლებული და არაპროგნოზირებადი მეჩვენა. ვამჯობინებ, განვერიდო მას. წარმოდგინე ბავშვი, რომელმაც დატოვა დედის საშო, სადაც ისე მყუდროდ გრძნობდა თავს. და მორთო ყვირილი, იმიტომ, რომ შესცივდა, კინალამ დაიხრჩო, რადგან სუნთქვამ მოუწია; იხილა სისხლი, ნაფლეთებად ქცეული ხორცი. იგრძნო ტკივილი, შენიშნა მამის გაკვირვებული გამოხედვა, ქანცალეული და განამებული დედის მხერგ; ძმების შეშინებული თვალები, ბებიასთან არაფრისმთქმელი სახე და სტაცა ისევე ხელი ჭიპლარს და შეჰყვირა: „თავი დამანებეთ, მე ისევე უკან გბრუნდები“. აი, მე ვარ ის ახალშობილი, რომელსაც უკვე მიაყენეს ტრავმა. დიახ, მე ვარ მისთვის კარგად ცნობილი ძველი სამყაროს ნოსტალგიით შეპყრობილი ახალშობილი.

მე არ მიზიდავს იეშუას საიდუმლო. დღეს ვალიარებ, რომ იეშუას საქმე მართო გამოცანა კი არაა ჩემთვის, არამედ საიდუმლოც. გამოცანაზე დამამშვიდებელი რა უნდა იყოს? ეს არც მეტი, არც ნაკლები, გადაწყვეტის მომლოდინე პრობლემაა. ეს მოლოდინი კი, როგორც წესი, ხანმოკლეა. აი, საიდუმლოზე დამორგუწველი და დამანგრეველი კი, არა მგონია, რამე არსებობდეს: ეს მარად გადაწყვეტილების მომლოდინე პრობლემაა. დიახ, ეს მოლოდინი უსასრულობაში გადადის. საიდუმლო მოსვენებას არ გაძლევს. გაიძულებს, იფიქრო, გონება იჭყლიტო, წარმოიდგინო... აღარა მაქვს სურვილი, ვიფიქრო. მინდა მხოლოდ ვიცოდე და ვიცნობდე. დანარჩენი ჩემი ინტერესების ფარგლებს სცილდება. სწორედ ამის გამო გარდავიქმენი ბოლო ორ დღეს ხანგრძლივ, უსასრულო, შეუვალ და ღრმა მდუმარებად. მდუმარებად, დროდადრო ხანმოკლე და სრულიად უშედეგო ჩიფჩიფი რომ არღვევს. დიახ, ვიქეცი მძიმე და უძრავ დუმილად, როგორც მარმარილოს ურნა.

კრატერიოსმა გამომალვიდა. ჩემთან გადაენწყვიტა ესაუბმა. ისე ხარბად, ისე გაუმადლად ნთქავდა; პირში ხომ იტენიდა საჭმელს, მაგრამ არც სხეულზე დაყრა ავიწყდებოდა.

ისევე იეშუაზე ალაპარაკდა. მე უმორჩილესად ვთხოვე, სასაუბრო თემა შეეცვალა. დააბოყინა, მაგიდაზე შემოვტა, ფეხები გამშალა და მთელი თავისი მამაკაცური ღირსებები გამოამხეურა.

– არა, არა, მინდობა შეთქვა, რომ იეშუათი დავინტერესდი მას შემდეგ, როცა კლაუდიამ – რა დიდებული ქალია! რატომ არ ჩანს? აღიარე, რომ მისი ღირსი არ ხარ – თავისი მოსაზრებანი გამიზიარა. საბოლოო ჯამში, მინდა გამოგიტყდე, რომ იმედგაცრუებული ვარ. ჩვენ, კინიკოსი ფილოსოფოსები ვებრძვით ტანჯვას. მე კი ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ იეშუა პირიქით – ქება-დიდებას ასხამდა ტანჯვა-წამებას, მასში სიდიადესა და გამოსასყიდ, მოსანანიებელ საშუალებას ხედავდა. სინამდვილეში ის არაფრად დაგიდევდა ამქვეყნიურ ბედნიერებას, მხოლოდ მომავალ ბედნიერებაზე ქადაგებდა, ოღონდ მხოლოდ სიკვდილის შემდგომ ბედნიერებაზე სადავაც უსაზღვრო სამეფოში. ეს ყველაფერი ბურუსით მოკული მეჩვენება და პირადად მე მხოლოდ ღიმილს მგვრის. იმასაც კი ვეჭვობ, რომ დიდი სურვილი ჰქონდა, ადამიანები ანგელოზებად ექცია და არა ცხოველებად. დიოგენეს დარად ბუნებისადმი მორჩილება არ ისურვა. აბსურდულად ცდილობდა სულისადმი ჩვენს დაქვემდებარებას. საიდუმლოება თრობას განაცდევინებდა. უსასრულოდ ქადაგებდა ღრუბლებს ამოფარებულ ღმერთზე. არა, საბოლოოდ ის გასცდა ნორმალური ფილოსოფიის საზღვრებს. განსაკუთრებით მაშინ, როცა სიყვარულზე ლაპარაკობდა. მე შოკში ვარ. პირველად მესმის, რომ ფილოსოფოსი სიყვარულზე საუბრობდეს. აი, სად უშვებს იეშუა წარმოდგენილად უხეშ შეცდომას. სიყვარულზე ვერაფერს ააგებ. სიყვარული არ განეკუთვნება ფილოსოფიის სფეროს. სიყვარული არ მოიხარება კონცეფციად, ის მხოლოდ ცნებაა, მსჯელობისას ან ანალიზისას რომ იბადება. იეშუა მთელ თავის მორალს სიყვარულზე აფუძნებდა, მე ამას კატეგორიულად უარვყოფ.

პირველად გამიჩნდა სურვილი, კითხვა-პასუხში მიმელო მონაწილეობა, ვინაიდან კრატერიოსის გაბუქებულმა და მალაღფარდოვანმა განცხადებებმა საშინლად გამაღიზიანა:

– შესაძლოა, სწორედ ამ კუთხითაა საინტერესო იეშუას ქადაგება. შესაძლოა ის ამ თემით იზიდავდა ადამიანებს! როცა ვხედავ, საითკენ მიგაქანებს წმინდა წყლის გონება, ნამდვილად ვერ ხვდები შენი სიამაყის საფუძველს.

– პილატე, მეც ვერ ხვდები, რა ბუზმა გიკბინა.

– კრატერიოს, ძალიან დამქანცე, შენგან მხოლოდ სიცრუის არჩიდილია დარჩა. თავს ბრძენ ადამიანად მიიჩნევ, ცხოვრებაში კი დახმარების ხელი არავისთვის გაგიწვდია, ერთი გახვრეტილი მონეტაც კი არ გაგილია. არც არავისთვის გაგიღიმიო, არაფერს ვამბობ შევების მოგვრაზე. ყბედობ. ყბედობ გაუჩერებლად. მთელი შენი ქმედება ფუჭ, ყველასათვის გამოუსადეგარ ხმაურამდე დაიყვანება. შენ ის პარაზიტი ხარ, იმათ ხარჯზე რომ ცხოვრობს, ვინც სძულს. შენს მსჯელობებს, მიმართულს სხვებისადმი, ერთი მიზანი აქვს მხოლოდ – შოკის მოგვრა. როცა შენივე მსჯელობის ადრესატი შენ თვითონ ხარ, მათი მთავარი ფუნქცია შენი გონიერების გამოკვეთაა. შენ ხარ ამაოება! შენ ხარ ათენი! შენ ხარ რომელი მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობ, მხოლოდ საკუთარ თავზე ქადაგებ. და კიდევ იცი, ვინ ხარ? ერთი გაბლენილი და გაბერილი ეგოისტი.

კრატერიოსი მაგიდიდან ჩამოხტა და ზედმეტი გაზებისაგან ხმაურიანად გათავისუფლდა.

– როგორც იქნა! ო, რა კმაყოფილი ვარ, შენი თავშეკავებისა და მოთმინების მარაგი რომ ამოიწურა, პილატე! თორემ ვფიქრობდი, რომ ცოცხლებში აღარ ეწერე.

– კმარა თავის მოკატუნება. ნუ ცდილობ დამარწმუნო, რომ სიტუაციას აკონტროლებ. შენ ჩემი წყობიდან გამოყვანა გსურდა. თუ მაინცდამაინც იეშუაზე საუბარი გადაწყვიტე, ერთ მეტად მნიშვნელოვან კითხვაზე გამეცი პასუხი: აღდგა ის მკვდრეთით თუ არა?

კრატერიოსმა თავისი უშველებელი ხელის მტევანი შუბლზე მომადო.

– ჩემო საწყალო პილატე, საკმაოდ დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც პალესტინაში ცხოვრობ. როგორც ჩანს, აქაურმა მზემ საბოლოოდ მოგიღო ბოლო.

– აღდგა იეშუა? კი თუ არა? მხოლოდ ბრძენია თუ ღმერთის ძე – მესია?

ჩემდა გასაკვირად, ამ კითხვებს კი არ ვსვამდი, არამედ არაადამიანური ხმით გავყვიროდი. ცოტაც და ცრემლებად დავიღვრებოდი. თავს ველარ ვიკავებდი.

დაფიქრებულმა კრატერიოსმა მარცხენა კვერცხი იფხანა, იფხანა და ბოლოს თქვა:

– არასოდეს არავინ მკვდრეთით არ აღმდგარა.

თავი ველარ შევიკავე და პირდაპირ ყურებში ვუყვებ:

– საიდან შეგიძლია წინასწარ იცოდე, რა არის მართალი და რა არის წმინდა წყლის სიცრუე? რა არის შესაძლებელი და რა არა? ნუთუ მართლა გგონია, რომ ყველაფერი ზედმიწევნით იცი არსებულ სამყაროზე? სანამ დაიბადებოდი, ვინ იფიქრებდა, რომ ამ ქვეყანას მოველინებოდა ისეთი საძაგელი და ისეთი უსარგებლო ინდივიდუმი, როგორც კრატერიოსია?

სასწრაფოდ დავტოვე ოთახი. ჩვენი ბავშვობისდროინდელი ფილოსოფოსი საუბრის გაგრძელების ღირსად არ მივიჩნე.

ბრახის წყალობით ისევ დავუბრუნდი ცხოვრებას. უკვე გავამზადე სამგზავრო ბოხჩა. მოსახხამი ერთ პილიგრიმს ვთხოვე. როგორც კი მოვრჩები წერას, კლაუდიას საძებნელად ნაზარეთის გზას დავადგები.

ჭერჭერობით არ ვიცი, მოვახერხებ თუ არა წერილების მოწერას. ყოველ შემთხვევაში, ვეცდები, სადმე დუქანში ან ფუნდუკში როცა შევივლი. ვერ გეტყვი, რასთან შესახვედრად მივიჩქარი, მაგრამ ერთი რამ დანამდვილებით ვიცი: მივდივარ!

გაუფრთხილდი ჯანმრთელობას, ძვირფასო ძმაო.

პილატე ძვირფას ტიტუსს

ამერიიდან მე მხოლოდ ერთი უბრალო ყარობი ვარ უთვალავ ყარობთა შორის.

ჭერჭერობით კლაუდიას ასავალ-დასავალს ვერ მივაგენი, არც რამე ახალი მსმენია მის შესახებ.

ყოველდღიურად გზებზე ადამიანთა რაოდენობა საგრძნობლად მატულობს. ყველას სურს ნაზარეთელთან შეხვედრა.

პილიგრიმები სოფლიდან სოფელში, ქალაქიდან ქალაქში გადადიან, გროვებიან შადრევნებთან და ერთმანეთს ერთსა და იმავე ამბებს უზიარებენ. იმეუა გამოეცხადა თავის თერთმეტ მოწაფეს. ისინი ინახად ისხდნენ, როცა კარზე დააკაკუნა. თავიდან მანანაალა ეგონათ და მოწყალებისადმი ერთგულებმა სუფრასთან მიიპატიეს. გლახაკი მაგიდას მიუჭდა, პური გამოართვა და ღმერთს მადლი შესწირა. შემდეგ პური გატეხა და სათითაოდ ყველას ჩამოურიგა. სწორედ მაშინ აეხილათ მოწაფეებს თვალი და იცნეს ის.

მსგავსი შემოსევითვის სრულიად მოუმზადებელი მეფუნდუკები პილიგრიმების მიღებას ვერ აუდიან. არ ჰყოფნით ღამის გასათევი ოთახები. ადამიანებს ეზოში პირდაპირ მიწაზე დაგებულ ქილოფებზე სძინავთ. პირადად მე მათგან შორს, მინდორში, სულელურად მდუმარე ვარსკვლავების ქვეშ ვამჯობინებ ძილს.

დროებით.

გაუფრთხილდი ჯანმრთელობას.

პილატე ძვირფას ტიტუსს

ახალს ვერაფერს გატყობინებ, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ წვერი წამომგზავდა. ეს შეუმჩნეველი გადაადგილების შესანიშნავ საშუალებას მაძლევს. თუმცა არც ილუზიებს მივცემივარ და არც ბრყველად მჭეროდა, რომ გაჭრილი ვაშლივით დავემსგავსე ებრაელს. კრიალა ხელ-ფეხისა და ფინქაფათი გახეხილი ქუსლების შემხედვარეს ჩემში რომაელის ამოცნობა არავის გაუჭირდება.

ყოველ ერს სახის ერთი ნაკვით მაინც გამოარჩევს სხვებისგან. ენა ქმნის ტურებსა და კბილებს, რომელთაც მეტყველების გარეშეც ამოვიცნობთ. კვება განაპირობებს კანის ქსოვილის სტრუქტურას. ადათ-ჩვეულებები გამოხედვას გამომწვევს ან სათნოს ხდის, ან მოძრავს, ან გაყინულს. ცა, რომლის ქვეშაც ვიბადებით, თვალის ფერს განაპირობებს... საშინლად მტკივა კეფა. მე ხომ იძულებული ვარ, თავდახრილმა, კაპიუშონჩამოფხატულმა ვიარო. ფეხებიც კისერზე არანაკლებ მტკივა.

უცნაური, მაგრამ როცა იერუსალიმს ვტოვებდი, პილიგრიმთა ამ შთამბეჭდავ სიმრავლეში თავს ეულად მივიჩნევი, ახლა კი ადამიანებთან სულ უფრო მეტ სიახლოვეს ვგრძნობ. გალილიის ქვა-ღორღიან გზებზე მარტო ჩემი ფეხსაცმლის ძირები კი არ იცვითება, არამედ იმის შეგრძნებაც, რომ უნიკალური არსება ვიყავი. რაღაცა მაიძულებს, ჩემი თანამგზავრების მიმართ მეტი სიახლოვე ვიგრძნო და მათდამი მეტი სითბო გამოვაკვინო. ვერ გეტყვი, კონკრეტულად რა შეიძლება ამ განცდას დაერქვას. არ ვიცი, რა მაფიქრებინებს ამას. იქნებ მოძრაობა ან წყურვილი? იქნებ რაღაც მნიშვნელოვანის ძიება? ან იქნებ ყველაფრის თავი და თავი სულაც დადლილობა?

პილატე ძვირფას ტიტუსს

განვაგრძობ სიარულს.

ხანდახან არცა ვარ დარწმუნებული, რომ პაემანი მაქვს დანიშნული. განსაკუთრებული ძალისხმევა მჭირდება, რომ კლაუდიას წერილის შინაარსი მესსიერებაში აღვიდგინო და ამგვარად ძაღლონე მოვიკრიბო. დარწმუნებული ვარ, სხვა ყარობებსაც მსგავსი გრძნობა ეუფლება. საითკენ გაუწევიათ მათ? ეს დანამდვილებით არავინ უწყის. ალბათ იქ, სადაც იმეუა გამოცხადებას ისურვებს. და რატომ მიდიან იქ? არც ეს იცის ზუსტად ვინმემ. მათ ისეთი ინსტინქტური ძალა უბიძგებს, როგორც წყურვილი, სულიერების წყურვილი, რომელსაც მხოლოდ ნამდვილ წყაროსთან თუ მოიკლავ. იქნებ ისინი ვიღაცამ მიიპატიუა? არავინ ყოფილა გამოჩენილი მინვეული, იმეუას გზავნილი ხომ ყველას ეკუთვნის. მხოლოდ რწმენა თუ აძლევს საშუალებას თითოეულ ამათგანს, განსაზღვროს, აქვს თუ არა აქ ყოფნის უფლება. ჰოდა, მიიწევს წინ ეს უცნაური კოჰორტა. დამდგარი ბუდი ცას აღწევს და მზეს ელვარებას უკარგავს.

დილით ცოტა ხნით შევიჩერდი. მსურდა, შემემომწმებინა, ხიწვმა ჯერ კიდევ ნაზი და რბილი ფეხის კანი ხომ არ დამიზიანა-

მეთქი. თითები მოვისინჯე, ჭრილობები დავითვალე. სწორედ ამ დროს უცნობი ქალი მომიახლოვდა. ჩემ წინ მუხლებზე დაირიქა.

– ნება მომეცით, ფეხები დაგბანოთ.

პასუხის გაცემა ვერც მოვასწარი. ქალმა უკვე დამისველა უსიცოცხლო კიდურები მტკნარი წყლით და ფრთხილად შეუდგა მათ ზელას. შვება ვიგრძენი.

შემდეგ ფეხები სუფთა ნაჭრით შემიმშრალა, მტვრიანი სანდლები დაბერტყა, ჩამაცვა და თასმებით შემიკრა. მე მხოლოდ დახრილი ქალის თავსა და მის არაჩვეულებრივ, შუაში გაყოფილ და მსუბუქი გამჭვირვალე ნაჭრით ოდნავ დაფარულ თმას ვხედავდი.

– გამადლობ, მონავ.

შესრულებული სამუშაოსთვის ერთი მონეტა გავუწოდე.

ქალმა თავი ასწია და მე მირიამ მაგდალელი ვიცანი, ყოფილი როსკიპი, ერთ-ერთი პირველი ქალთაგანი, იეშუას კვალს რომ გაჰყვა; ერთ-ერთი პირველთაგანი, იეშუა რომ გამოეცხადა.

– მე არ ვარ მონა.

გამიღიმა. შეურაცხყოფილი სულაც არ ჩანდა. როგორც მაშინ, პირველი შეხვედრისას, ახლაც მოვიწეხე მისი შუბლის სიმშვიდითა და ბრწყინვალეობით.

– მომიტევე, თუ შეურაცხყოფა მოგაყენე.

– არა, მე შენ შეურაცხყოფას არ მაყენებ. თუ მონობა ახლობლისათვის სიკეთის ქმნას ნიშნავს, მირჩევნია, მონა ვიყო. იეშუა თავად ბანდა ფეხებს თავის მონაფეხებს. რომაელო, შეგიძლია წარმოიდგინო ღმერთი, მუხლს რომ იდრეკს, რათა უბრალო ხალხს ფეხები დაბანოს?

არც ახლა დაელოდა ჩემს პასუხს. გამიღიმა და ნელში გაიმართა.

– იჩქარე, პილატე, შენი მეუღლე მოუთმენლად გელოდება. ის იმ ნეტარ ქალთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთაც გამოეცხადა ღმერთი ჩვენი.

– სად არის? რომელ გზას უნდა დავადგე?

– არა აქვს მნიშვნელობა. იპოვი მას, როცა ამისთვის მზად იქნები. შესანიშნავად მოგეხსენება, რომ ეს ყარიობა, უწინარეს ყოვლისა, გზების გარდა საკუთარ გონებაში უნდა განვახორციელოთ.

თქვა და მირიამი თანმხლებ ქალთა ბრბოში გაუჩინარდა.

ამგვარად მივიღე დასტური, რომ პაემანი კლაუდიასთან ნამდვილად შედგებოდა. მივივიარე იქითკენ, საითაც ფეხები წამიყვანს. იმედი მაქვს, ჩემი ფეხები უფრო გონიერნი არიან, ვიდრე მათი პატრონი.

მიმთავრდება მელანიც და პერგამენტიც, მეფუნდუკემ დიდი ვაი-ვაგლახით რომ მიშოვა. ამიტომ იძულებული ვარ, დაგემშვიდობო, ძვირფასო ძმაო. გაუფრთხილდი ჯანმრთელობას.

პილატე ძვირფას ტიტუსს

პილიგრიმთა უწყვეტი ნაკადი მოედინება ყოველი მხრიდან, როგორც ნაკადულები, მდინარის მთავარ კალაპოტს რომ ერთვიან. ერთი და იგივე საუბრები, ერთი და იგივე ამბები, ერთი და იგივე იმედები... ყველას ერთი დიდი წყალუხვი მორევი ითრევს. და ვრცელდება ჭორები ელვის სისწრაფით.

ყოველდღე ვგრძნობ არაჩვეულებრივი, საშიში და დაუდგომელი ენერჯის მოზღვავებას. ამ ენერჯის წყალობით უციმციმებთ თვალები, სიმშვიდე ეფინებათ შუბლსა და სახეზე, ველარ გრძნობენ დალილობას და ძალა ემატებათ ფეხებში. ეს ენერჯია სხვა არაფერია, თუ არა „კარგი ამბავი“. ახლა ნელ-ნელა ვხვდები, თუ რა მნიშვნელობისაა მათთვის ეს სიტყვები. სჯერათ, რომ იწყება ახალი სამყარო, სამეფო, რომლის შესახებ იეშუა ქადაგებდა. თავიდან, სიმართლე გითხრა, ჯეროვნად ვერ ჩავწვდი სიტყვას – სამეფო. მე, როგორც კეთილი, პრაქტიკული, ნათელგონიერი, შფოთიანი და პასუხისმგებლობის გამძაფრებელი გრძნობით შეპყრობილი რომაელი, სამეფოში პალესტინას მოვიაზრებდი და ვეჭვობდი, რომ იეშუა დიდი ჰეროდეს მიერ დაწყებული დიადი საქმის გაგრძელებას ისახავდა მიზნად, ანუ ოთხ ნაწილად დაქუცმაცებული ქვეყნის გაერთიანებას, რომის განდევნას და ერთიანი სამეფოს ტახტზე ასვლას. მოგვიანებით კრატერიოსის დარად ვიფიქრე, რომ იეშუა აბსტრაქტულ სამეფოზე ლაპარაკობდა, ჰადესის მსგავსზე, როგორც სულის ხსნის პირობაზე. ორჯერვე შევცდი. სინამდვილეში აქ ლაპარაკია ერთდროულად ძალიან კონკრეტულ და ძალიან აბსტრაქტულ სამეფოზე. ეს სამეფო ღმერთის სიტყვით გარდაიქმნება. გარეგნულად იგივე დარჩება, მაგრამ შინაგანად გაცოცხლდება, ახალი ცხოვრებით იცხოვრებს, სიყვარულით განიწმინდება, ყოველი ადამიანი შეიცვლება. ეს სამეფო მხოლოდ მაშინ შეიქმნება, თუ ადამიანები ამას მოინანდინებენ. თუ მარცვალნი უნაყოფო მინაში ჩავარდნა, ის ვერ გაღვივდება, პირიქით – გამოშრება და მოკვდება. ხოლო თუ ნიადაგი ნაყოფიერია, ის გაიხარებს, ფესვებს გაიდგამს, ტანსაც აიყრის და ნაყოფსაც მოისხამს. ეს თესლი იეშუას სიტყვაა! იეშუას სიტყვა იცოცხლებს, თუ მას შეისმენენ. იეშუას სიყვარულის გზავნილი ახდება, თუ ადამიანები თვითონვე ისურვებენ სიყვარულს.

ჯერჯერობით არ ვიცი, ჩემი პირადი მოსაზრებების შესახებ რა მოგწერო, ჩემო ძვირფასო ძმაო. ამჟამად მთელ ჩემს ენერჯიას ერთი რამ იწირავს. ეს გაგების სურვილია. განსჯას მოგვიანებით შევუდგები, მაგრამ დიდად ვაფასებ იმას, რომ იეშუა არც ბრძანებებს გასცემს და არც აიძულებს ვინმეს. პირიქით, მსმენელს მუდმივად მოუწოდებს, შეინარჩუნოს თავისუფლების განცდა. რაოდენ დიდი განსხვავებაა იმ ღვთის მსახურებთან შედარებით, თქვენ დღენიადგ დოგმებით რომ გაბრუდებენ. იეშუას არაფერი აქვს საერთო ცივი ლოგიკის ფილოსოფოსებთან, არც წმინდა წყლის რიტორიკის ადვოკატებთან. იეშუა არავის ახვევს თავს საკუთარ დოგმებს; მეთქი – ის არც ცდილობს, მსჯელობით დაგარწმუნოს.

მხოლოდ შინაგან თავისუფლებას ითხოვს შენგან, მიგვიტოვებს კარზე, რომლის შესხნა ადვილზე ადვილია. ამ პირობის დაცვა აუცილებელია, მისმა სიტყვამ აზრი რომ შეიძინოს. იეშუა განსხვავებულ ცხოვრებას გვთავაზობს. რა გასაცარი სიტობა ამასში, არა?

მეტი რა მოგწერო, ჩემო ძვირფასო ძმაო? კლაუდიასგან ჯერჯერობით არაფერი ისმის. ხანდახან გული საგულეში არ მიჩერდება, მაგრამ ისევ სიარული მგვრის სიმშვიდეს. არ ვიცი, რა დროს ანდომებს ჩემი გზავნილები გალილეიდან შენამდე, მაგრამ დაე, მათ ჩემს ეჭვებთან და უსასრულო ხეტიალზე თხოვასთან ერთად ჩემი სიტობა და მონატრებაც ჩამოგიტანონ.

გაუფრთხილდი ჯანმრთელობას.

პილატე ძვირფას ტიტუსს

ახალი არაფერია.

ვდგები, როგორც კი ინათებს, ვწვები, როგორც კი მზე ჰორიზონტს მიეფარება. დარჩენილ დროს მივდივარ. ჩვენი ბრბო ხან აღმოსავლეთისკენ მიიწევს, ხანაც დასავლეთისკენ, ხან ადის, ხან ჩამოდის. ყოველი ჩვენი გადაადგილება ფუჭია, მაგრამ დღის მანძილზე დაგროვილი დაღლილობა საღამოს ამხან დაფიქრების საშუალებას გვისძობს. ძილი კი განახლებული იმედით გვმუხტავს. სინამდვილეში არავინ უწყის, სად გამოცხადდება იეშუა. არც მე ვიცი, სად მელოდება კლაუდია.

ფრიად თავშესაქცევი ამბავი მსურს გაუწყო, რომელმაც მე, ცოტა არ იყოს, დამაბნია.

არაერთხელ დაფრხებისას ქვიშაზე დახატულ თევზებს მოვკარი თვალი. თავიდან ყურადღება არ მივაქციე, მაგრამ მოგვიანებით მიხვდი, რომ ფიგურები სისტემატურად მეორდებოდა. ზოგჯერ თევზების გამოსაყვანად კნქები და ნიჟარებიც გამოეყენებინათ. აი, სწორედ მაშინ შემეპარა ეჭვი, რომ ეს შეიძლება გარკვეული ნიშანი ყოფილიყო.

რამდენადაც შემძლო, ვცაადე, რომაული აქცენტი დამემალა და ერთ ქალს გამოველაპარაკე. ყელზე თევზის გამოსახულება ეკიდა. ვკითხე, რამეს განსაკუთრებულს ხომ არ ნიშნავს-მეთქი.

– როგორ? არ იცი, ეს რას ნიშნავს? ეს იეშუას ნიშანია. თევზი ბერძნულად ასე უწერს „Ιχθυς“, რაც თავის მხრივ შემდეგ ინიციალებზე მიგვანიშნებს – „იეშუა ქრისტე – ძე ღმთისა – მისხელი“. ჩვენ მას ვიყენებთ, როგორც გამაერთიანებელ და ამოსაცნობ ნიშანს.

ფაბიენი მომაგონდა. სამყაროს მომავალი მეფე, რომლის შესახებაც ყველა ასტროლოგი იუწყებოდა, პირდაპირ უკავშირდებოდა თევზების ნიშანს. საინტერესოა, ფაბიენს ამ საიდუმლო კოდის შესახებ რომ სცოდნოდა, იეშუას კვალს არ გაჰყვებოდა?

გაუფრთხილდი ჯანმრთელობას.

პილატე ძვირფას ტიტუსს

კლაუდიას კვალს ისევ ვერ მივაგენი, მაგრამ წინა წერილში დასმულ შეკითხვაზე პასუხი უკვე მაქვს – ერთ დღეს სიცხისგან გათანგულმა კაპიუშონი გადავიძრე და სულის მოსათქმელად გზის პირას ჩამოვჯექი. მოულოდნელად მხარზე ვილაცამ ხელი მომითათუნა.

– ჩემო კეთილო პილატე, ვერ წარმოვიდგენდი, რომ ერთ მშვენიერ დღეს წვერმოშვებულს გნახავდი.

ფაბიენი, კლაუდიას ლამაზი ბიძაშვილი ხორციტ მადლარი და ხორციელი სიამოვნებით გულნატყვრები რომაელის ღია მზერით შემომცქეროდა. მიმატიუებას არ დალოდებია, ჩემ წინ ჩაიცუცკა, მეზარტულებსა და დაცვას ხელით ანიშნა, ჯორები მეზობელ მინდორზე საძოვრად გაეშვათ.

– იმედის განხილებაც ამას ჰქვია! არა, მაშაბთე, პილატე, მაგრამ არ შემიძლია არ გითხრა. ვფიქრობ, კლაუდიამ მცდარ გზას დაგვყენა. ეს იეშუა მეფედ უნდა მოვიზნოთ? შუხსაც კი ვერ დააჭერიწებ ხელში. როგორ გინდა, რომ ლაშქარს გაუძღვს? იმის ნაცვლად, რომ ხალხის უძირო ნდობით ისარგებლოს და გამოჩნდეს, სადღაც უგზო-უკვლოდ ქრება, სანთლით ვერ მოიძიებ. გაუგებარია, რად გაეხვია ამ იდემალების ბურუსში. მერედა, როგორ იმცირებს თავს! უკანასკნელი გლახაკიც ვერ დაეცემა ასე. ახლა იმასაც იხახის, მალე უნდა გავცვალო აქაურობასო. გეკითხები, მსგავსი არათანმიმდევრულობა გინახავს? არ ისარგებლო ბედნიერი შემთხვევით, განა უგუნურების მანიშნებელი არ არის? ან ის ფრახა, ის იდიოტური ფრახა... კი, კი, გარწმუნებ, ნამდვილად წარმოთქვს. მოიცა, გავიხსენო... ჰო, აი, გამახსენდა: „გვიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი და შეიყვარე მტერი შენი!“ აბსურდი! აბსოლუტური სისულელე! ვის გაუგია მეფე მტრების გარეშე. ჭეშმარიტი მეფე მტერს ამარცხებს და აიძულებს, პატივი სცეს მას. მეფეს არ უყვარს მტრები! არა, ის ყმაწვილი ყოველგვარ პოლიტიკურ ალღოსაა მოკლებული.

ფაბიენი იმდენად იყო თავის სიტყვებში დარწმუნებული, ჩემს თანხმობას არც დალოდებია, ფეხზე წამოდგა და თქვა:

– წავედი. ახლა ბაბილონის მხარეს უნდა გავუთიო. იქაურებს კარგი მეომრების რეპუტაცია აქვთ. იქნებ ასტროლოგების მიერ ნაწინასწარმეტყველები მეფე სწორედ იქიდან მოგვევლინოს.

ფაბიენმა ტოგა შეიბერტყა. რა თქმა უნდა, როგორც ყოველთვის, დარწმუნებული იყო თავისი გადაწყვეტილების მართებულობაში. არც კი გამჩენია სურვილი, ჩემი აღმოჩენა თევზების ნიშანთან დაკავშირებით მისთვის გამეზიარებინა.

– ისე, საბოლოო ჯამში, მიხარია, რომ თავად ჩამოხვედი ამ მიდამოებში. ცხადია, მე არ ვერევი იმაში, რაც არ მეკითხება, მაგრამ შენს ინტერესებში უნდა შედიოდეს, მოავგარო ისე, რომ იმ ებრაელის აზრები მსოფლიოს არ მოედოს. ის საშიშ მორალს ქადაგებს. მორალი, რომელმაც თუ რასაკვირველია სადმე გამოხმაურება პოვა, შესაძლოა მსოფლიო წონასწორობა დაარღვიოს. აცხადებს, ყველა ადამიანი თანასწორიაო. არა, შენ თუ გესმის ეს, პილატე? მითხარი ერთი, წამით მაინც თუ წარმოგიდგენია მსგავსი რამ? თურმე გამოირიცხულია, ერთი ადამიანი მეორეზე აღმატებული იყოს! ჩემი აზრით, აი, ეს რას ნიშნავს: იეშუას იერიში მიაქვს მონობაზე! წარმოიდგინე, მას ერთნაირად დაუგდებენ ყურს თავისუფალი ადამიანები, ახლად გათავისუფლებული მონები და რა თქმა უნდა, თავად მონებიც. მას თავისუფლად შეუძლია საყოველთაო მღელვარება გამოიწვიოს, არსებული ხელისუფლება თავდაყირა დააყენოს და ძლევამოსილ სპარტაკად გარდაიქმნას. იცი,

სპარტაკის მთავარი სისუსტე რა იყო? ის მონა იყო და ამიტომ მხოლოდ მონების აჯანყება მოახერხა. ეს ებრაელი კი მთელ კაცობრიობას მიმართავს და ყველა ჯაჭვის დამსხვრევით იმუქრება. უფროსილდი იეშუას, პილატე! უთვალთვალე მას! თუ საჭირო გახდება, დილეგში უკარი თავი.

– უკვე ვაცვი ჯვარს, სხვა რაღა უნდა ვქნა?

ფაბიენმა ხანგრძლივი მხერა მომაპყრო. ეტყობოდა, რომ ჩემს პასუხზე ფიქრობდა. ცდილობდა, თავი დაერწმუნებინა, რომ ნამდვილად გაიგო ის, რაც გაიგო. შემდეგ თვალეებში ზიზღნარევა ნაპერწკალმა გაუელვა და ბოლოს, ხარხარი მორთო, რათა ჩემი სიტყვები გონებიდან განედევნა.

– აბა, რას ამბობ, პილატე? მე უკვე შევხვდი იმ შენ „ჯვარცმულ“ კაცს. თანაც შორეულ წარსულში კი არა, გუშინ. შესაშური ჯანმრთელობით ვერ დაიკვებინის, ძლივს დგას ფეხზე. ხიბლს ვერ წაართმევ, მაგრამ აკლია ჯანი.

– ისაუბრეთ?

– რასაკვირველია.

– მერე?

– ვერაფერში ვერ დამარწმუნა.

ფაბიენმა თანმხლებ პირებს გამგზავრების ნიშანი მისცა. იეშუასთან შეხვედრამ, როგორც ჩანს, დაარწმუნა, რომ ძებნა სხვა რეგიონში უნდა განედგო. თავი ვერ შევიკავე და წამოვიყვირე:

– ფაბიენ, მეტი რაღა გინდა – შენ ხომ მკვდრეთით აღმდგარს ელაპარაკე!

ფაბიენს წარბიც არ შეუხრია. მარდად მოახტა ცხენს, მე კი სიბრაულულით გადმოხედა:

– არა, პილატე, ვერ დავიჯერებ, რომ მსგავსი მონაწიხი შენც ირწმუნე. უკვე საკმაოდ დიდი ხანია, რაც პალესტინაში ცხოვრობ. ნამდვილი ხელისუფლება რომაულია, კულტურა კი ბერძნული, აი, სიგიჟეში კი ებრაელებს პირველობას ვერავინ წაართმევს...

ფაბიენმა ცხენს დებები შემოჰკრა და გაუჩინარდა. ვერც კი მოვასწარი, კლაუდიას ასავალ-დასავალი მეკითხა. შეიძლება მისგან ამის შეტყობა სულაც არ მსურდა.

ხასიათი გამირთულდა, თუ პირიქით, ზედმეტად გამიმართივდა?

მეტი რა გითხრა... გაუფრთხილდი ჯანმრთელობას.

პილატე ძვირფას ტიტუსს

ვერ გეტყვი, ეს ჰაერის სუნთქვას თუ თრთოლვას უნდა მივაწერო, თუ რას, მაგრამ ნამდვილად ვგრძნობდი, რომ დასასრულს ვუახლოვდებოდი.

დილიდანვე ღრუბლებს მიგყვებოდით, ცაზე ღია მელნისფერი ნაკვალევს რომ ტოვებდნენ. დროთა განმავლობაში შავად შეიღებნენ, გაიბერნენ, დახროვდნენ და გეზი თაბორის მთისკენ აიღეს. ამ მთის ღორღიან გზაზე პილიგრიმთა რიცხვი სულ უფრო მატულობდა და მალე ერთ უწყვეტ ყავისფერ ჯაჭვად გადაიქცა.

პირველი უღელტეხილი როგორც კი გადავლახეთ, შევიტყვეთ, რომ იეშუას თერთმეტმა მოწაფემ, წინ რომ მიგვიძღოდა, უკვე მიაღწია მწვერვალს. ჩვენც სიჩქარე გვმართებდა.

ცაზე ღრუბლებიც, შავად რომ ანათებდნენ, ერთად გროვდებოდნენ, ცოტაც და წვიმად დაიღვრებოდნენ. ავდარი უთუოდ არ დაახანებდა. ცოტა ხანში წარმოიქმნა გავარვარებული მახვილის დარი მოელვარე ზოლი, რომელმაც ღრუბლების ხროვა გააპო და პირდაპირ თაბორის მთის მწვერვალს დაასკდა. დიახ, ეს მეხი დაეცა იქაურობას. ცა აგრუხუნდა და აელვარდა. „მეტისმეტად გვიანა“, – გავიფიქრე ჩემთვის.

ციდან ნიაღვარი ჩამოიქცა. ზოგიერთებმა კლდეს შეაფარა თავი, ბევრმა, მათ შორის მეც, გზა განაგრძო.

როცა უკანასკნელი ციცაბო კალთის ფუძეს მივაღვეით, დავინახეთ, რომ ზემოთ, მთაზე ყველა მოციქულს მოეყარა თავი. თავიდან კინალამ ვერ ვიცანი ისინი. შეშინებული ლაჩრების ნაცვლად ძლიერი, ბრგე და ჯან-ღონით აღსავსე მამაკაცები შემრჩა ხელში. სახეები სიხარულისა და ბედნიერებისგან უბრწყინავდათ. ჩვენთან შესახვედრად მოიჩქაროდნენ. როგორც კი მოგვიახლოვდნენ, ხელები გაშალეს და გულში ჩავვიკრეს. ყველანი ერთდროულად ალაპარაკდნენ. მათი მეტყველება იყო სწრაფი, სიტყვაუხვი, გადამდები... სიტყვები ადვილად სწყდებოდა ბაგეთ, თითქოსდა, რასაც ამბობდნენ, უკვე აღარ იყო მათი კუთვნილება.

– ის ფარეხში შემოგვიერთდა, როცა ინახად ვისხედით და პურსა და ღვინოს ერთმანეთს ვუყოფდით, ზუსტად ისე, როგორც თვითონ გვასწავლა. რამდენჯერმე დაგვეკითხა, გიყვარვართ თუ არაო. მისი კითხვა ერთგვარი სევდით იყო გაულენთილი. გეგონებოდათ, მთელი მისი მისიის წარმატება ჩვენს დადებით პასუხზე იყო დამოკიდებული. ნაკლებად მშვიდი ჩანდა, ვიდრე უნინ. მისი სითბო წარმოუდგენლად სწრაფად მრისხანებაში გადადიოდა. ხმაც უკანკალედა. ასე სჩვევიათ ხოლმე მეგობრებს, როცა გვემშვიდობებიან და დიდი ხნით გვტოვებენ. სიმონმა დაამშვიდა, როცა მისგან ჩვენი სიყვარულის დასტური სამჭერ მიიღო. მთის კალთებზე შეფენილი ცხვრებისკენ გაიშვირა ხელი: „მოუარეთ ჩემს ცხვრებს. აძოვეთ ისინი. გეუბნებით სრულ ქვეშაირიტებას, როცა ყრმანი იყავით, თვითონვე იკრავდით ქამარს და მიდიოდით იქითკენ, საითკენაც გული გაგიწევდათ. როცა დაბერდებით, ასე როდი იქნება. თქვენ გაშლით ხელებს და დაელოდებით, სანამ ვინმე ინებებს თქვენთვის ქამრის შეკვრას. და ის იქ წაგიყვანთ, სადაც თქვენ გსურთ წასვლა.“

– ჩვენ ვერაფერი გავუგეთ მის სიტყვებს. მაგრამ იმედი გვაქვს, ერთ მშვენიერ დღეს ჩაწვდებით მათ არსს, მივხვდებით ყველაფერს, რაც ოდესმე უთქვამს, თუ მეტ სიბრძნეს შევიძინებთ.



– შემდეგ ჩვენგან სამი თავისთან იხმო – სიმონი, ანდრია და იოჰანანი, ღამით ზეთისხილის მთაზე დაპატიმრებისას თან რომ ახლდნენ; დიახ, იმ საშინელ ღამეს, როცა სიკვდილს ელოდა. სურდა, რომ ისინი, ვინც ის დამცირებული იხილა, მთაზე ასვლაში დახმარებოდნენ.

– ჩვენ ერთად ავედით მთის მწვერვალზე...

– მისუსტებული იყო ჩვენი იეშუა, მისგან ძვალი და ტყავი იყო დარჩენილი. სწორედ ასეთი აცვეს ჯვარს. გაშავებული ქრილობები ჯერაც შეუხორცებელი ჰქონდა. ისეთი მიღონებული, არაქათგამოცლილი და მნატე ჩანდა, არც გვჯეროდა, რომ ჯერ კიდევ ფეხზე იდგა. საიდან იკრებდა ნეტავი ძალებს? ცხადია, არა მისი დაგლეჯილი კუნთებიდან, არც ყოველგვარი სითხისგან დაწრეტილი სხეულიდან და არც გარეთ გამოყრილი ძვლებიდან. ეს იყო უფსკრულის პირას მდგარი ჩონჩხი. მაგრამ მისი შუბლიდან და თვალებიდან გადმოდინებოდა უხარმზარი ძალა, მისი სხეულის ამ ნაწილებს შეაფარა სიცოცხლემ თავი; სიცოცხლემ ძლიერმა, დაუდგრომელმა, ჯიუტმა, ბობოქარმა და ლამის გამძვინვარებულმა.

– მწვერვალზე იეშუამ რაღაცას წამოჰკრა ფეხი. შევშინდით ძალიან, ვიფიქრეთ, თუ დაეცემოდა, ცოცხალი ვერ ადგებოდა. მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა. მან დაიჩოქა და ლოცვა დაიწყო. შემდეგ კი ჩვენ ყველანი გვაკურთხა: „წადით და მოიარეთ მთელი ქვეყანა და უქადაგეთ სახარება ყველა ქმნილებას. ვინც ინამებს და ნათელს იღებს, ცხონდება, ვინც არა – განიკითხება. ხოლო მორწმუნეთაგან განუყრელი იქნებიან ეს სასწაულები. ისინი ჩემი სახელით განდევნიან ეშმაკთ და ახალ ენაზე იმეტყველებენ. და თუ სასიკვდილოს დალევენ რასმე, არ ავნებს მათ. ხელს დაადებენ სწულთ და განკურნავენ მათ“. კიდევ ერთხელ გვაკურთხა და ნელ-ნელა დაგვშორდა. უეცრად იეშუა გარდაისახა; მომაკვდავი ადამიანის სახეზე სიცოცხლის ნიშანწყალი დაეტყო. მეტიც, უცნაური ნათელი გადაეფინა, უფრო მკვეთრი, ვიდრე ცეცხლის გულია, უფრო ანკარა, ვიდრე წყაროს წყალია. ისეთი ბრძღვიალა სხივით გასხივოსნდა, რომ შუადღე მწუხრი გვეჩვენა.

– და სამოსიც თეთრად აუქათქათდა.

– შემდეგ აშკარად ვიგრძენით, რომ იეშუას გარშემო უხილავი არსებები განდნენ. იეშუა იღიმებოდა. ასე იღიმებიან ხოლმე, როცა ახლო მეგობრებს ხვდებიან.

– სულ ტყუილად ვჭუტავდით თვალებს. მკვეთრ ნათებას მაინც ვერ შევანჯივთ მზერა. ვერც უცხოთა არსებობა გავარჩიეთ. მიუხედავად ყველაფრისა, იმათ, ვისაც უკეთესი სმენა ჰქონდათ, მოსეს სიტყვები მოესმათ, რომელიც კანონს ღაღადებდა, ასევე ყური მოჰკრეს ელიასაც, რომელიც წინასწარმეტყველთა სახელით ლაპარაკობდა. ისინი იეშუასთან ბჭობდნენ. ჩვენ არაფერი გვესმოდა, მხოლოდ ალაგ-ალაგ თითო-ორი სიტყვა თუ ვიჭერდით. მაგალითად, ასხენებდნენ იერუსალიმს, მსჯელობდნენ ახალ საქმოსა და იეშუას გამგზავნებაზე...

– როგორც ჩანს, ეს სცენა ჩვენთვის არ იყო განკუთვნილი, კეფა გვეწვოდა და თვალები თავისით გვეხუჭებოდა. ძლიერი ძილქუში გვეცა უკლებლივ ყველას, ისეთივე ძლიერი, როგორც გაზაფხულის სეტყვაა. ყველანი მდებლობე მიმოვეყარებით.

– ნეტა რამდენ ხანს ვიყავით გრძნობამიხილ მდგომარეობაში? იმდენ ხანს, რამდენი ხანიც ფრთების ერთ შემოკვრას სჭირდება? იქნებ იმდენ ხანს, რამდენ ხანსაც ზაფხულში სადღლის შემდეგ ძილს ვუთმობთ? როცა თვალები გაგახილეთ, იეშუა იქ აღარ იყო.

– მაგრამ ჩვენს მახსოვრობას, დამოუკიდებლად ჩვენი თვალებისა, ვერაფერიც რომ ვერ დაინახეს, შემორჩა მოგონება იეშუაზე. ის ცაში ამაღლდა განდიდებული და ორი არსებით გვერდადამშვენებული.

თერთმეტმა მონაფემ ერთდროულად შეწყვიტა ლაპარაკი.

ამ დიდებულ ხილვას მთრთოლვარე მდუმარება შეენაცვლა. ჩვენ ყველა ერთმა გრძნობამ გაგვეერთიანა და გულის სიღრმემდე შეგვძრა, უკიდურესობამდე აგვალეღვა. ეს ის წამიერება იყო, როცა ძაღვიც ყველაფერი იწამო; წამიერება, როცა შენში გრძნობ გამბედაობას, ყველაფერს რომ შეგაცვლევინებს და თავიდან დაგაწყებინებს. ისეთი განცდა დაგვეუფლა, თითქოს ცა მოგვიახლოვდა. ღვარცოფიც მალევე შეწყდა.

ყოველი ჩვენგანი სათუთად ინახავდა გულში სიტბოს ამ თხრობის შესახებ, იმ ძვირფას ალს, გაფრთხილებას, გაღვივებასა და ბოროტი ქარებისგან დაცვას რომ საჭიროებდა.

გზას დაღმა დაუყვევით. ხმა არავის ამოგვიღია. მხოლოდ მდუმარებით თუ შეგვეძლო იმ სისავსის გამოხატვა, რომელსაც ჩვენი სხეულები მოეცა. დიახ, მხოლოდ სინუშით, წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა გვეყვირა, გვეკვილა. ეს იქნებოდა ერთი გაბმული, ხანგრძლივი ყიჟინა.

ახლა უკვე ვგრძნობ, რომ კლაუდია სადღაც ახლოსაა, რომ მალე მივაგნებ მას და ნაზად ჩავიხუტებ გულში. ამ წუთისთვის სხვას ვერაფერს ვიამბობ.

მიყვარხარ, ჩემო ძვირფასო ძმაო და გისურვებ მტკიცე და ურყევ ჯანმრთელობას.

პილატე ძვირფას ტიტუსს

მე ვიპოვე კლაუდია.

შუა გზაზე წელში გამართული და ყელმოდერებული იდგა, გეგონება, წინასწარ გრძნობდა, რომ სწორედ ამ წამს უნდა გამოვცხადებოდი.

მკლავებში მოვიქციე და ისე ძლიერ ჩავეხუტე, მეგონა, ნამსხვრევებად ვაქცევდი. საბედნიეროდ, გამიღიმა, სანამ დაეახრჩობდი. ხმის ამოღების საშუალებაც არ მივეცი, ხანგრძლივად დავეკონე ტუჩებზე.

პილიგრიმები ჩვენ გარშემო მშვიდი სვლით განაგრძობდნენ გზას. როცა ველური უინი ოდნავ ჩამიცხრა, კლაუდიამ გადაიხარხარა:

– იცი, გიჟს რომ დაემსგავსე?

ახლა კლაუდია მკოცნიდა, რა თქმა უნდა, თავისებურად, უფრო ქალურად და ნაზად, კეკლუცად. მისი ტუჩები ხან

მნებდებოდნენ, ხანაც მეურჩებოდნენ. საშინლად მომინდა სიყვარულის ძახილს დავენებოდი.

– აღარ დამტოვო, კლაუდია, ნურსად ნუ წახვალ!

– აღარასოდეს დაგტოვებ, მაგრამ ახლა შენ უნდა მომხედო, იზრუნო ჩემზე! თანაც ყოველდღე! მე ძალღონე გამომელია. პილატე, იცი, ჩვენს ნაყოფს დავატარებ მუცლით.

პილატე ძვირფას ტიტუსს

ესეც ასე. როგორც იქნა, კესარიას დავბრუნდით.

ყოველდღე გავყურებ ზღვის უკიდვებანო სივრცეს და ვცდილობ, გონებაში წარმოვიხსახო რომი, შენ, ჩვენი ბავშვობისდროინდელი სახლი და კვიპაროსების პარკი. ვგრძნობ, რომ ჰორიზონტს ამოფარებულნი ჩინებულად გრძნობთ თავს და მოუთმენლად მელოდებით. არ იფიქრო, რომ საბაბს ვეძებ თავის გასამართლებლად და მოსაბოდიშებლად, ეს ბოლო რამდენიმე კვირა რომ არ გწერდი. სიმართლე გითხრა, საბაბსაც ვერ ვპოულობ. მაგრამ მერწმუნე, ჩემო ძვირფასო ძმაო, რომ ისევ ძველებურად მიყვარხარ; მეტიც – უფრო ძლიერ, ვიდრე ოდესმე. ერთი რამ კი ცხადზე უცხადესია – ყოველდღიური მიმოწერის აუცილებლობა უკვე აღარ დგას დღის წესრიგში. მე მივხვდი, რომ ამ წერილებს შენ კი არ გაძღვნიდი, არამედ საკუთარ თავს ვწერდი. ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ჩემს გზავნილებს თითქმის არ პასუხობდი და თუ პასუხობდი, ენაწყლიანობით მაინც და მაინც არ გამოიჩინებდი. ყოველ უსტარში საკუთარ თავს ვამოწმებდი, მქონდა თუ არა უფლება, თავი ისევ ქვეშარით რომაელად მიმჩნია. მე საკუთარ მოსაზრებებს მშობლიურ მიწაზე ვგზავნიდი, რათა იქ გართხმული ფესვები გამემყარებინა, თან ხმამაღლა მეუწყებინა სამყაროსთვის, რომ მე აქაური, პალესტინელი არ ვიყავი. შენ გესაუბრებოდი თუნდაც იმიტომ, რომ შენ შენ ხარ და კიდევ იმიტომ, რომ შენ ძმა ხარ ჩემი, ჩემი ანარეკლი, ჩემი სახე და ორეული, რომელსაც ფრესკაზე აღბეჭდილი ჩემი ქვეშარითგება.

დღეს ეს ყველაფერი ამაოებათა ამაოებად მესახება. რა მნიშვნელობა აქვს, აქ იქნები თუ სხვაგან? მიიღო ქვეყანა და მისი თავისებურებანი, ხომ ნიშნავს იმასაც, აღიარო ისიც, რაც მასში ყველაზე უმნიშვნელოა; ჩაებლაუჭო მინას, ხომ ნიშნავს მასზე ღელვას? მე კი მსურს, წელში გავიმართო.

ამიერიდან აღარ მსურს, ადამიანთა ნიშან-თვისებებში ვიქექო და შედეგად მათ რომაულობაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდე. ამჯერად მინდა, მათში სხვა რამეები აღმოვჩინო. მაგალითად, აქვთ თუ არა მშვენიერების შეგრძნება, არიან თუ არა ხელგაშლილნი, გულუხვნი და სამართლიანნი. შესწევთ თუ არა უნარი, გამოიგონონ ისეთი რამ, რაც ამ ქვეყანას უკეთესს და საცხოვრებლად სასიამოვნოს გახდიდა.

ამ წუთისთვის ვახერხებ, სამსახურებრივ მოვალეობებს ჯეროვნად გავართვა თავი. უზრუნველყოფ წესრიგს: ვიმუქრები, ვუთვალთვალებ, ვსჯი. ძალიან მალე, როგორც კი ბავშვი ამ ქვეყანას მოეველინება, რომს დავბრუნდებით. გამიჩნდა სურვილი, თავად მოვუყვე ტიბერიუსს, რაც აქ დატრიალდა. ეს ბებერი, გათხიზნილი თოჯინა, ცხადია, არ მოისურვებს, ყური დამიგდოს. იმპერატორი დიდი ხანია, უკმაყოფილოა ჩემ მიერ გამგებლის მოვალეობების შესრულების ხარისხით, ყველა ჩემს ინიციატივას წინ აღუდგა და ჩანასახშივე ჩაკლა. იეშუას ამბავს რომ გადმოვუვლაგებ, ვიცი, რომ ზიზღისგან ასისინდება. კლაუდია დარწმუნებულია, რომ ტიბერიუსი უდავოდ მომამართებს დაკავებული თანამდებობიდან. მიუხედავად იმისა, რომ თავის დროზე თავისი გავლენიანი ნაცნობების წყალობით დიდად შეუწყო ხელი ჩემს ამ პოსტზე დანიშვნას, კლაუდიას დღეს სულაც არ ადარდებს, რა გადაწყვეტილებას მიიღებს იმპერატორი. მისი მუცელი დღითიდღე იზრდება და მრგვალდება, ხშირად ვსაუბრობთ იეშუაზე. კლაუდია მომავალს მშვიდი და იმედიანი თვალთ შესცქერის.

უნდა ვაღიარო, რომ მიჭირს კლაუდიას აუღელვებლობა გავიზიარო. არ შემიძლია, მუდმივად იმ განცდებით ვიცხოვრო, როგორც განცდებით თაბორის მთაზე დამეუფლა. ბოლოს და ბოლოს, საკითხავია, რა ვიხილე მე? არც არაფერი. და რა გავიგე? არც არაფერი.

მართალია, ერთხელ კი შევხვდი იეშუას, მაგრამ განა შეიძლება ამას შეხვედრა ეწოდოს? შეხვედრა ხომ რაღაც გადამწყვეტს ნიშნავს, სიახლისკენ გასასვლელი კარია, გარდატეხა, გაელვება, რომელზეც აღიბეჭდება დრო და რომლის დროსაც ერთდროულად წარსულიც იქმნება და მომავალიც. თუ ამ დეტალებს მივიღებთ მხედველობაში, მე იეშუას არ შევხვედრივარ.

იმ დღეს ერთი ტუსადი მომგვარეს.

ღმერთო, რამდენჯერ შევჯახებივარ მსგავს სიტუაციას...

როგორც მთავარ განმკარგულებელს, შემეძლო რელიგიური სასამართლოს მიერ გამოტანილი სიკვდილით დასჯის გადაწყვეტილების დადასტურება ან გაუქმება.

ღმერთო, რამდენჯერ შევჯახებივარ მსგავს სიტუაციას...

დუშმორეული მოსამართლეები მის დანაშაულს ამტკიცებდნენ, ბრალეული კი საკუთარ უცოდველობას გაჰყვიროდა.

ღმერთო, რამდენჯერ შევჯახებივარ მსგავს სიტუაციას...

უბრალოდ, მხოლოდ ერთი მხერა შევაკვლე? თუ ყურადღებით დავაკვირდი მის სახის ნაკვთებს? ისე, განსაკუთრებული მხერა რატომ უნდა მიმეპყრო მისთვის? მე ხომ რომელიღაც მოხელე ვარ და პირველი, რასაც ვხედავ, ჩემი მოვალეობის პირნათლად შესრულებაა. რატომ უნდა დამეთმო ვითომ ამ სრულიად ბანალური, რუტინული და ყოველდღიური შემთხვევისათვის განსაკუთრებული ყურადღება?

იეშუა თავის როლს თამაშობდა, მე – ჩემსას. ისე, სხვებს ვერასდროს აღვიქვამთ ისეთად, როგორებიც სინამდვილეში არიან. მათზე მხოლოდ ნაწილობრივი და დაქუცმაცებული დროის ინტერესებით განპირობებული წარმოდგენა გვაქვს. ჩვენ ვცდილობთ, ადამიანურ კომედიასში ხაზი გავუსვამთ მხოლოდ საკუთარ როლს, გავითამაშოთ (ეს კი ადვილი ნამდვილად არ არის) და ვებლაუჭებით საკუთარ ტექსტს, სიტუაციას. იმ ღამეს ჩვენ მხოლოდ ორი მსახიობი ვიყავით. იეშუა სასამართლოს პროცესისას დაშვებული შეცდომის მსხვერპლს განასახიერებდა, მე, პილატე კი სამართლიან, მიუკერძოებელ იმპერატორის ნაცვალს.

– შენ იუდეველთა მეფე ხარ?

– მე ეს არასოდეს მითქვამს.

– ასე ამბობენ.

– ვინ ამბობს?

– ადამიანები, რომლებიც ბრალს გდებენ; ადამიანები, რომლებმაც შენი თავი მომგვარეს, მთელი სინედრიონი.

– ეს უსამართლობაა. სწორედ ისინი ამბობენ ამას და არა მე. და იმისათვის, რომ დამლუპონ, ამ სიტყვების წარმოთქმას მსაყვედურობენ.

– მიუხედავად ყველაფრისა, შენ აცხადებ, რომ სამეფოს შექმნას აპირებ?

– კი.

– და მერე?

– ჩემი სამეფო არაამქვეყნიურია.

იეშუა სევდიანი ჩანდა. მის სიტყვებში იგრძნობოდა სიმწარე, სინანული უცილო მარცხისა.

მაღე იეშუა გონს მოეგო, მოიკრიბა ძალღონე და განახლებული შემართებით შემეპასუხა:

– ამქვეყნად მეფობა რომ მდომოდა, როგორმე თავიდან ავიცილებდი საკუთარ დაპატიმრებას, ჩემს მსახურებს ვუხმობდი საშველად და აქ, შენ წინ არ აღმოვჩნდებოდი. არა, ჩემი სამეფოს ადგილი არ არის ამქვეყნად.

– გამოდის, რომ მაინც მეფე ხარ?

– კი, მეფე ვარ, სხვა სამყაროს მეფე, საიდანაც მოვედი და სადაც დავბრუნდები, თუმცა აქ ჭერჭერობით ბევრი საქმე მაქვს საკეთებელი. მე ჩამოვედი პალესტინაში, რათა ხალხს ქვემარტება ვაუნყო. ყოველი ადამიანი, ვისაც სიმართლე აინტერესებს, ყურს უგდებს ჩემს ნათქვამს.

– რა არის ქვემარტება?

ეს ფრაზა ისე, უბრალოდ, ძალისხმევის გარეშე წამომცდა, გეგონება, მხრები ავიჩიეო, ოღონდ როგორმე ეს აბეზარი სტუმარი თავიდან მომეშორებინა. რა არის ქვემარტება? არსებობს შენი ქვემარტება, არსებობს ჩემი ქვემარტება და სხვათა ქვემარტება. როგორც კეთილ ბერძნულ სკეპტიციზმზე გაზრდილი რომაელი, მივიჩნევდი, რომ ყველაფერი შედარებითია. ყოველი ქვემარტება არის ქვემარტება იმ ადამიანისა, რომელიც მას ქადაგებს. ცისქვეშეთში იმდენი ქვემარტება არსებობს, რამდენიც ადამიანია. არ არსებობს მხოლოდ ერთი ქვემარტება. სწორედ ამიტომაც ვამბობთ, რომ ის საერთოდ არ არსებობს. მხოლოდ ძალა შობს და გვახვევს თავს ქვემარტებას. თავის მხრივ, ძალაში გონივრული არაფერია. ის იარაღით, მახვილით, ბრძოლით, მკვლელობით, წამებით, შანტაჟით, დაშინებითა და ანგარებით გვაიძულებს რამის კეთებას. ის გონებას დოქტრინასთან დროებითი გარიგებისკენ მოუწოდებს. ქვემარტება გამარჯვებაცაა და მარცხიც, უკეთეს შემთხვევაში კი – ზავი, მაგრამ სინამდვილეში ეს არც ქვემარტებაა და არც მშვიდობა.

– რა არის ქვემარტება?

ეს ყველაფერი უფრო საკუთარ თავს ვკითხე, ვიდრე ბრალდებულს. თანდათანობით სიმშვიდე მიბრუნდებოდა. ჩემდა გასაკვირად, იმ ებრაელმა ყური მოჰკრა ჩემს ნათქვამს და კანკალი აუვარდა.

სახტად დაერჩი.

ეს ადამიანი ეჭვებს შეეპყრო.

ფანატიკოსები ორჭოფობას ჩვეულებისამებრ თავიანთი რწმენის თავგამოდებული მტკიცებით ახშობენ. იეშუამ კი ეს შეკითხვა სრულიად გულწრფელად დაუსვა საკუთარ თავს. როგორც ჩანს, მიხვდა, რომ რწმენა სულაც არ ნიშნავს ცოდნას. შიშობდა, რომ მცდარი გზა ამოირჩა. ვარაუდობდა, რომ მას აღვიქვამდი როგორც გაბრწყინებულ გიჟს. თვითონაც დაეჭვდა, იქნებ მე სულაც მართალი ვიყავი.

შემდეგ იეშუა მოერია კანკალს, მოიკრიბა ძალღონე, გაუძლო ჩემს მწველ მზერასაც და ნელა წარმოთქვა:

– სინამდვილეში რა არის ქვემარტება?

იეშუამ ჩემი დასმული კითხვითვე მიპასუხა. იეშუამ საკუთარი კითხვა უკან მომიტრიალა.

და როგორც ბურთის ჩაწოდების დროს ხდება ხოლმე, ახლა მე ამივარდა კანკალი, დამაფრთხო მოსალოდნელმა დაკითხვამ. არა, მე არ ვიყავი ქვემარტების მფლობელი. მე ხელთ მხოლოდ ძალაუფლება მეპყრა. უაზრო, სრულიად შეუსაბამო ძალაუფლება – თავად გადამეწყვიტა, რა არის სიკეთე და რა არის ბოროტება; ძალაუფლება, რომლითაც ადამიანთა ბედ-იღბალს განაგებ, ვის სიცოცხლეს აჩუქებ, ვისაც აართმევ მას; ძალაუფლება ბილწი და უგვანო.

ჩამოწვა სიჩუმე.

ჩვენ ორს შუა ბურთი სადღაც მიიკარგა.

ჩვენ ვდუმდით.

ჩვენ მაგივრად მდუმარებამ ამოიღა ხმა. აუარება სწრაფი, გაურკვეველი, გაუგებარი და მღელვარე სიტყვა წარმოთქვა.

უცნაური, მაგრამ ეს მდუმარება ჩემზე მელაპარაკა: „აქ რას აკეთებ? – მკითხა, – ვინ მოგანიჭა უფლება, ადამიანთა

სიცოცხლე განაგო? ვინ გაკარნახობს ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღებას?" უეცრად საშინელმა დაღლილობამ მომიცვა. ეს არ იყო დაღლილობა, ძალაუფლება რომ შობს. არა! მე კარგად ვიცნობ ამ შეგრძნებას. კარგი დასვენება და მისი გაქრობა ერთია. ეს იყო ცბიერი ქვეშევრდამ დაქანცულობა, ნელ-ნელა, უჩუმრად რომ დაგრევს ხელს, მოგიშხამავს მთელ სხეულს და მოგიდუნებს რეაქციას. ეს იყო აბსურდული ხელისუფლებით ნაშობი დაღლილობა. რას ვფლობდი უფრო განსხვავებულსა და აღმატებულს, ვიდრე ეს გლახაკი ებრაელი? სტრატეგიული ნიჭი, რომაული წარმომავლობა, თანამდებობა, რომელიც მანიჭებს შეუზღუდავ ძალაუფლებას, თანამდებობა, რომელმაც მიბოძა არმია, იარაღი და ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი რამ... იყო კი ეს ყველაფერი ფასეული?

– რა შეიძლება ამქვეყნად ფასეულობად ვაღიაროთ?

აი, როგორ გადააკეთა ებრაელმა ჩემი შეკითხვა ქეშმარიტების შესახებ. რის გულისთვის ღირს ბრძოლა? რა იმსახურებს თავგანწირვას? რის გულისთვის ღირს სიცოცხლე? არა, მართლა, რა არის ამქვეყნად ღირებული?

რაც უფრო ღრმავდებოდა მდუმარება, მით უფრო ეულად ვგრძნობდი თავს. საშინლად დავითრგუნე. უცნაურია, მაგრამ ამ გარინდებამ თან ახლდა ერთგვარი სიამოც. მე დამეუფლა ერთგვარი თავისუფლების განცდაც, უფრო სწორად, შემეძინა შთაბეჭდილება, რომ დავეხსენი რკინებს, კავშირებსა და ჭაჭვებს, რომელთა ნაქდვეი საკუთარ კანზე შევიგრძენი. არ იყო ეს მონობის ჭაჭვები, ძალაუფლების...

ხანგრძლივი დაფიქრების შემდეგ საკუთარი უფლება-მოვალეობანი კარებს მიღმა მომლოდინე მღვდელმსახურთა მოუთმენელმა შეძახილებმა შემახსენა. გადავწყვიტე, როგორმე იმეუა გადამერჩინა.

და რა დავინახე? არაფერი.

რა გავიგე? ვერაფერი. თუმცა იმას კი მივხვდი, რომ შესაძლებელი იყო, რაღაც-რაღაცეებს ვერ ჩანვდომოდი. ძიების ბოლო ერთი თვის განმავლობაში ვცდილობდი, საკუთარი გონება გადამერჩინა. გადამერჩინა ნებისმიერ ფასად საიდუმლოსგან. გონების ხსნაში ლამის უკუნურებამდე მივედი... მე ნავაგე და მივხვდი, რომ არსებობს რაღაც ამოუხსნელი და მიუწვდომელი. ამის აღიარებამ თავდაჭერებულობა შემილანძღა. სამაგიეროდ, უფრო ქედმაღალი და ამჰარტავანი, უმეცარი გამხდა. დავკარგე რწმენა, აღარ მჯეროდა, რომ თავად განვაგებდი საკუთარ ცხოვრებას, აღარაფერი გამეგებოდა სამყაროს წესრიგისა, აღვიქვამდი ადამიანებს ისეთებად, როგორებიც სინამდვილეში არიან. მაინც, რა მოვიგე? ხშირად ვენუწუნები ხოლმე კლაუდიას, რომ ვიყავი რომაელი, რომელმაც იცოდა, ახლა კი გავხდი რომაელი, რომელიც ორჭოფობს. ყოველ ჯერზე სიცილით მპასუხობს, შემოჰკრავს ტაშს, გეგონება, უნგლიორის ოინი ზედმიწევნით შევესრულე.

– გჯერა თუ ორჭოფობ, ეს ერთი და იგივეა, პილატე, მხოლოდ გულგრილობაა უღმერთობა.

მთელი ძალით ვეწინააღმდეგები კლაუდიას, რომელსაც იმეუას მიმდევართა რიგებში ჩემი გამწესება განუზრახავს. უწინარეს ყოვლისა, თანამდებობა ამას სასტიკად მიკრძალავს, სავსებით შეუთავსებელია ჩემს სამსახურებრივ მოვალეობებთან. ჩემი ობიექტური მოკავშირეები – ტადრის მღვდელმსახურები, კაიაფას წინამძღვრობით, მძვინვარედ ილაშქრებენ ახალი რწმენის წინააღმდეგ და ნადირობენ მოწაფეებზე, ნიკოდემებზე, იოსებ არიმათიელებზე, ხუზებზე, იმ სანყალ კირენელ კაცსაც არ ასვენებენ, აი, იმ შემთხვევით გამვლელს, გოლგოთას მთაზე ჭვარი რომ აათრია. ამას გარდა, უამრავი შეკითხვა დაბიგროვდა, ყოველი მათგანი პასუხს მოითხოვს. აქედან გამომდინარე, ჯერჯერობით საკუთარი აზრი ვერ ჩამომიყალიბდა.

მახსოვს ის მაქსიმი, რომელსაც კრატერიოსი წამდაუნუმ გვიმერებდა მოსწავლეობის უამს: „არ დაიჯერო ის, რის დასაჯერებლადაც განწყვევ“. კლაუდიასთან კამათისას ეს მაქსიმი არაერთხელ დამიპირისპირებია მისი რწმენისთვის.

– კლაუდია, შენ გასურდა გენამა, რასაც იმეუა ქადაგებდა. ამისათვის ამ უკანასკნელს არც დასჭირდა დამტკიცებინა, ღმერთის მოვლინებული რომ იყო.

– ბუნებრივია, მსურს დავიჯერო, რომ სიკეთე ნამდვილად ფასეულია, რომ სიყვარულმა უნდა იზეიმოს ყველა ცრურწმენაზე, რომ სიმდიდრე უარდვილად არაა ის ღირებულება, რომელსაც დღენიდაგ უნდა ველტვოდეთ, რომ სამყარო აზრიანია და სიკვდილს არ უნდა გვეშინოდეს.

– თუ რწმენა გჭირდება, ამით შენ მხოლოდ შენს მოთხოვნილებას აკმაყოფილებ. შენ არ შეესატყვისები ქეშმარიტების კრიტერიუმებს.

– რას მოვიპოვებ ქეშმარიტების კრიტერიუმებში? უკმაყოფილებას? დაუკმაყოფილებლობას? შენი აზრით, უნდა ვირწმუნოთ ის, რაც გვთრგუნავს და სასოებას გვართმევს?

– მე არც ეს არ მითქვამს.

– აი, ხომ ხედავ, არც კმაყოფილება და არც დაუკმაყოფილებლობა ქეშმარიტების კრიტერიუმებად არ გამოდგება. ასე რომ, აქ ლაპარაკი ნამდვილად არ არის არც მსჯელობა-განსჯაზე და არც ცოდნაზე. არამედ რწმენაზე. მთავარია, გნამდეს, პილატე, გნამდეს!

ნეტა რა უნდა მენამა, მისი აზრით? მე არაფერი არ მინახავს. მან კი ნახა. ისიც ხომ მართალია, რომ ზოგიერთებმა ნახეს, მაგალითად, ფაბიენმა, მაგრამ არ დაიჯერეს. ფაბიენმა შეიძლება, იმიტომ არ ირწმუნა, რომ არ ესმოდა. ასე რომ, საჭიროა, ერთდროულად გნამდეს და გესმოდეს კიდევაც. ეს რწმენა ძალიან დიდ ძალისხმევას მოითხოვს. ჯერჯერობით ბერძნული და რომაული რიტუალების მსგავსი კულტი არ შეუქმნია, მაგრამ ძლიერი და ქანცგამწყვეტი სულიერი მობილიზაციისკენ კი უბიძგებს ადამიანებს. შეიძლება სწორედ ამის გამოც არ უწერია დიდი მომავალი.

კლაუდიასთვის ეს არაერთხელ ამიხსნია. უპირველეს ყოვლისა, ეს რელიგია სრულიად შეუსაბამო ადგილას დაიბადა. პალესტინა ერთი პატარა ერია, რომელიც დღევანდელ სამყაროში ვერც მნიშვნელობით და ვერც თავისი ზეგავლენით ვერ დაიკვებინის. ამას გარდა, იმეუა მხოლოდ უნიგნურებს ასწავლიდა. მონაფეებად ტიბერიადის ტბის უხეში და გაუთლელი მეთევზეები აირჩია, რომლებიც, იოჰანანის გარდა, მხოლოდ არამეულზე მეტყველებდნენ, ებრაულად ერთი-ორი სიტყვა გაეგებოდათ, ბერძნულზე კი საერთოდ არ ჰქონდათ წარმოდგენა. რა ბედი ეწევა მათ ისტორიას, როცა უკანასკნელი მოწმე გარდაიცვლება? იმეუას ხომ არაფერი დაუწერია, თუ არ გავითვალისწინებთ იმას, რაც სილასა და წყალზე გამოჰყავდა. სხვათა შორის, არც მოწაფეებს უზრუნიათ წერილობით მემკვიდრეობაზე. და ბოლოს, მთელი მისი უხეშეტი ის იყო, რომ ძალიან მალე წავიდა აქედან. იჩქარა, ადამიანების დარწმუნება ვერ მოასწრო, განსაკუთრებით – გავლენიანი

პიროვნებებისა. რატომ არ ეწვია ატენს ან რომს? რატომ ამჯობინა დედამიწის დატოვება? თუ ის მართლა ღმერთის ძეა, როგორც ამას თავად გვიმტკიცებს, რატომ არ დარჩა სამუდამოდ ჩვენ შორის? რატომ არ ეცადა ჩვენს დარწმუნებას? რატომ არ დაგვეხმარა, სიმაღლითა და ქვეშარიტებით გვეცხოვრა? დედამიწაზე სამარადუდამოდ რომ დარჩენილიყო, მის სიტყვას არავინ დააყენებდა ექვექვეშ.

ჩემი მოსაზრებანი და დასკვნები კლაუდიას ყოველ ჯერზე მხოლოდ სიცილს ჰგვრის. მიმტკიცებს, იეშუას არანაირი საბაბი არ ჰქონდა იმისთვის, ჩვენ შორის დამკვიდრებულიყო. მისი ერთხელ მოსვლა სრულიად საკმარისი იყო და მეტისმეტად ბევრი მტკიცებულების წარდგენა არ სჭირდება. კლაუდია დარწმუნებულია, რომ იეშუა მთელი თავისი სიძლიერითა და სიაშკარავით ხშირად რომ გამოცხადებულიყო, აუცილებლად მისდაუნებურად მოახდენდა ადამიანებზე ზეწოლას. აიძულებდა მათ, მის ფეხით გართხმულიყვნენ და ერთგვარად ინსტინქტს მიმსგავსებულ ბუნებრივ კანონს დაუმორჩილებდა. ის სრულიად სანინააღმდეგოდ მოიქცა. მან ადამიანი თავისუფალი გახადა. ყველას გვიბოძა შესაძლებლობა, თავად გადავწყვიტოთ, გვწამდეს თუ არ გვწამდეს. განა შეიძლება გაიძულონ, ვინმეს შეუერთდე? განა შეიძლება ვინმემ გაიძულოს, გიყვარდეს? ყველა თავად უნდა განაგებდეს საკუთარ ბედ-იღბალს. ყველა თავად უნდა განენწყოს როგორც რწმენისთვის, ასევე სიყვარულისთვის. იეშუა პატივს სცემს ადამიანებს. თავისი ისტორიით გვაძლევს ნიშანს და გვანიჭებს სრულ თავისუფლებას, ეს ნიშანი ყოველმა ჩვენგანმა თავისებურად განმარტოს. იეშუას ისე ძლიერ ვუყვარვართ, რომ ვერ დაგვცალებს. და რომ ვუყვარვართ, იმიტომაც მოგვცა ორჭოფობის უფლება; არჩევანის უფლება, რომელსაც ის გვითვებს, იეშუას საიდუმლოს მეორე სახელია.

კლაუდიას მსჯელობა ჩემში ყოველთვის მღელვარებასა და შფოთს იწვევს, მაგრამ ვერასდროს ვერ მარწმუნებს.

თევზის ნიშნები მრავლდება პალესტინის ქვიშასა და მტვერში. მათ პილიგრიმები ხატავენ თავიანთი კვერთხით, როგორც მზარდი საიდუმლო საზოგადოების გასაღებს. ჩემმა მსტორებმა მომახსენეს, რომ იეშუას მიმდევრებმა თავისთვის ახალი სახელი იპოვეს: ქრისტიანები, ქრისტეს მოწაფეები. იმ ქრისტესი, ღმერთის მიერ რომ იქნა მირონცხებული. ამიერიდან ერთმანეთის ამოსაცნობად ახალი ნიშანი აქვთ, რომელსაც ხშირად ღულზე იკიდებენ. ეს არის ჯვარი.

ამ უცნაურობის გაგონებაზე ტანში ჟრუანტელმა დამიარა. ვის მოუვიდა თავში ეს ბარბაროსული აზრი? რატომ სახრჩობელა არა? ან ცული ან მახვილი? როგორ ფიქრობენ მიმდევართა შემოკრებას იეშუას ცხოვრების ყველაზე ნაკლებად საამაყო და ყველაზე მეტად დამამცირებელი ეპიზოდის გარშემო?

მსტორების მონათხრობი კლაუდიასაც გაგუზიარე. იეშუას ჯვარცმის სცენა გაახსენდა, რომელსაც თავად დაესწრო და ცრემლებად დაიღვარა. ალბათ ვერასოდეს დაივიწყებს გოლგოთას მთაზე გატარებულ იმ ნაშუადღევს, იეშუას აგონიას გულმკვდარი და გაოგნებული რომ ვერ აცილებდა თვალს. საღამოხანს ნაწამები და დაგლეჯილი სხეული კლაუდიამ თავის ილუზიებთან ერთად სუდარაში მონიწებით გაახვიო... იმ საათებში გადატანილი სისასტიკე კლაუდიას ვერაფერმა გაუნელა, ვერც მასთან შეხედვარამ მკვდრებით აღდგომის შემდეგ. ჩავეხუტე. მსურდა, მისი მწუხარება და ტკივილი საკუთარი კუნთებით შემესრუტა, საკუთარი ძალებით გამექრო. კლაუდიამ სლუკუნი შეწყვიტა, გამობურცულ მუცელზე ხელი დაიდო და ბავშვს პატიება სთხოვა. ხმამაღლა ფიქრს მიეცა: „ისინი მართლები არიან. შეიძლება მათ მიერ არჩეული ნიშანი თავისთავად საშინელია, მაგრამ იეშუამ ხომ მთავარი სწორედ ჯვარზე გაკრულმა დაგვანახვა. ის ჯვარცმას მხოლოდ და მხოლოდ ადამიანების სიყვარულის გამო დანებდა... მკვდრებით აღდგა და ამით თქვა, რომ სწორად მოიქცა. გვითხრა, რომ ჰქონდა სიყვარულის უფლება, როცა ვუყვარდით... კიდევ ერთი რამ გვითხრა იეშუამ: უნდა გვიყვარდეს ნებისმიერ გარემოებაში, უნდა გვიყვარდეს ყველგან და ყოველთვის. მაშინაც კი, როცა გვაიძულებენ ვიცრუოთ, უნდა გვეყოს ვაჟკაცობა, გვიყვარდეს“.

ჩემო ძვირფასო ძმაო, ამჯერად გადავწყვიტე, ჩემი მოსაზრებებითა და შინაგანი შფოთით თავი აღარ მოგაბებრო. როცა რომს ჩამოვალთ, ამაზე სამასლაათოდ უამრავი დრო გვექნება. შესაძლოა ღია ზღვაში ცურვისას მთელი ჩემი ფიქრები თავისთავად გაქრეს და როცა ოსტიის სანაპიროზე ფეხს გადავდგამ, ვიგრძნო, რომ ისინი პალესტინის მიწაზე დარჩნენ. იქნებ შესაძლოა ქრისტიანობა, ეს ებრაული ისტორია ჩვენი ზღვის წყლებში გაიხსნას? ან იქნებ ეს ფიქრები აღარასოდეს შემეშვებიან და სამშობლოშიც კი გამომეყვებიან?... ისე, ვინ შეიძლება იცოდეს, რა რა მიმართულებით იქროლებენ ჩვენი ფიქრები, აზრები...?

იზრუნე ჯანმრთელობაზე.

P.S. ამ დილით კლაუდიას, თავს რომ უკვე ქრისტიანად მიიჩნევს – შენ ეს აუცილებლად უნდა გცოდნოდა – ვუთხარი, რომ ამქვეყნად ქრისტიანთა მხოლოდ ერთი თაობა იარსებებს. ეს ის თაობაა, ქრისტე მკვდრებით აღმდგარი რომ იხილა. ეს რწმენა მათთან ერთად გაქრება, როგორც კი ბოლო მოხუცი, რომლის მახსოვრობას ცოცხალი იეშუას სახე და ხმა შემორჩა, თვალებს დახუჭავს.

– ასე რომ, მე ვერასოდეს გავხდები ქრისტიანი, კლაუდია. მე არაფერი მინახავს, ყველაფერს გამოვაკლდი, ყველაფერი ჩემ გარეშე მოხდა. ძალიან დამაგვიანდა... რომ მწამდეს, ალბათ ჯერ ის უნდა ვირწმუნო, რაც სხვებმა იხილეს და იწამეს.

– იქნებ პირველი ქრისტიანი სულაც შენ ხარ, პილატე?